საბჭოთა მემკვიდრეობა

პატარა ქალაქის დიდი ამბები

თეა ეამუშაძე

თეა ქამუშაძე

რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა

პატარა ქალაქის დიდი ამბები

2022 წელი

პუბლიკაცია მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხადაჭერით, გრანტის N YS-19-521
Publication was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRSFG) grant N YS-19-521

მონოგრაფიის გამოცემა ნებადართულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის მიერ

რედაქტორი დოქტორი **ქეთევან ხუციშვილი**

რეცენზეტნები: დოქტორი **ნინო მინდაძე**
დოქტორი **თინათინ ღუდუშაური**

კორექტორი **რუსუდან გელაშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **რეზო თხილიშვილი**

© თეა ქამუშაძე, 2022

ISBN 978-9941-8-4023-4

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 5
შესავალი 11
წიგნის მოკლე შინაარსი 36

I თავი – რუსთავის მშენებლობა და ქალაქის რეპრეზენტაციის ნაციონალური ნარატივები 41

ქალაქი, როგორც საწყისი და გაგრძელება 44
მუზეუმი, როგორც ადგილი-ისტორია და ისტორიის ადგილი 61
შოთას ქალაქი 68
ხალიბების გახსენება და ქალაქის ეკონომიკური პროფილი 83
სტალინის ფაქტორი რუსთავის შექმნაში 91

II თავი – ქალაქ რუსთავის ინტერნაციონალური ნარატივები 97

ორმოცი ძმის ქალაქი 101
„შრომამ შექმნა ადამიანი“ 118
შრომის გმირის სოცრეალისტური და „რეალური“ ისტორია 128

III თავი – საბჭოთა ურბანული ნარატივების ბედი პოსტსაბჭოთა რეალობაში 152

ქალაქი საკუთარი ისტორიის ძიებაში 158
ქალაქი რუსთავი ახალი იდენტობის ძიებაში 172
პოსტსაბჭოთა ურბანული ნარატივები 183

ქალაქის შექმნისა და მნიშვნელობის პოსტსაბჭოთა ინტერპრეტაციები 200

IV თავი – რელიგიურობის ადგილი პოსტსოციალისტურ რუსთავში..... 224

ქალაქი და რელიგია 228
მართლმადიდებლური ეკლესია რუსთავში 234
რუსთავის ეზოს სამლოცველოების სამოქალაქო განზომილება..... 250
რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა..... 271
მუსლიმური თემი საქართველოში..... 283
ისლამის უხილავი კვალი რუსთავში..... 295

V თავი – ნოვა ჰუტა – ქალაქის იდეა, კონტექსტები და პარალელები საქართველოსთან..... 305

ნოვა ჰუტა და კრაკოვი 307
ნოვა ჰუტას მშენებლობის ადგილი და ისტორია 313
სოლიდარობის მოძრაობა, ნოვა ჰუტა და კონტექსტები..... 329
ნოვა ჰუტას სიმბოლურობა და რეპრეზენტაცია 340
ნოვა ჰუტა და რუსთავი..... 352

დასკვნები 364

ინგლისურენოვანი რეზიუმე 381

ბიბლიოგრაფია..... 401

ფოტოები 425

წინასიტყვაობის მაგიერ

რამდენიმე წლის წინ ერთი-ერთი სატელევიზიო არხიდან დამიკავშირდნენ და რუსთავში შეხვედრა მთხოვეს. ქალაქზე გადაცემა უნდა მოემზადებინათ. ვესაუბრე გადაცემის წამყვანს, დავაზუსტეთ გადაცემის ფორმატი და საუბრის შინაარსიც. გადაცემის პროდიუსერთან სატელეფონო საუბრისას კი შეხვედრის დროზე შევთანხმდით. ადგილს რაც შეეხება, ჩვენ გამოგივლით და წაგიყვანთო, მხოლოდ ქუჩა მკითხა. მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, თუმცა არ დამიზუსტებია ქალაქი. დანიშნულ დროს მირეკავენ და მთხოვენ მძღოლს ავუხსნა, ზუსტად სად და როგორ უნდა მოვიდნენ. გაუგებრობა და დაბნეულობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მე თბილისის ქუჩას ვუხსნიდი და ისინი კი რუსთავში მელოდნენ. როგორც ჩანს, მათთვის რთული წარმოსადგენი აღმოჩნდა რომ რუსთავის მკვლევარი რუსთავიდან არ ყოფილიყო.

წინამდებარე წიგნი ჩემი რუსთავით დაინტერესებისა და მისი კვლევის ათწლიან თავგადასავალს მოიცავს. პირველად რუსთავს 2011 წელს ვესტუმრე და იმის შემდეგ იგი ჩემი ქალაქი, ჩემი აკადემიური და პიროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. როდესაც რუსთავზე გატაცებით ვყვები აკადემიურ თუ პირად საუბრებში, ყო-

ველთვის მეკითხებიან ან უბრალოდ გულისხმობენ, რომ მე ამ ქალაქიდან ვარ. როდესაც აღმოჩნდება, რომ მე არ ვარ რუსთავიდან, არ დავბადებულვარ რუსთავის მიწაზე, მაშინ ჩნდება კითხვა, აბა როგორ და რატომ დავინტერესდი რუსთავით?! ჩემი რუსთავით დაინტერესება სხვა გამოცდილებასა და თავგადასავალს ეხება, როდესაც 2009 წელს ლანე კირკლანდის სტიპენდიით გავემგზავრე პოლონეთის ყველაზე გამორჩეულ ქალაქ კრაკოვში. კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტში ერთი აკადემიური წელი უნდა გამეტარებინა პროფესორ ჯისვავ მახის ხელმძღვანელობით. საკვლევი საკითხი იქ ჩასვლამდე არ მქონდა განსაზღვრული. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ეკონომიკური ანთროპოლოგია მაინტერესებდა. კრაკოვით მოხიბლული შევუდექი ქალაქის უკეთ გაცნობას. ჯერ მისი ებრაული უბანი კაზიმიჟი აღმოვაჩინე, მერე კი მისი სოციალისტური ნაწილი – ნოვა ჰუტა. კრაკოვის ასეთი განვითარებით გაკვირვებული დავრჩი და ინტერესი ჩემში კიდევ უფრო გაღვივდა. ნელ-ნელა ნოვა ჰუტას „ექსპერტად“ ჩამოვყალიბდი კირკლანდის სტიპენდიატთა შორის, რასაც გაკვირვება და ხან ირონიაც სდევდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან ჩამოსულმა რა ნახე ასეთი ნოვა ჰუტაშიო. რამდენიმე თვეში უკვე ვიცოდი რომ სადიპლომო თემის დაწერა სწორედ კრაკოვზე, მის ამ ნაწილზე მინდოდა. ნოვა ჰუტადან მივედი რუსთავამდე. ცოტა, მაგრამ საკმარისი ინფორმაცია მოვიძიე რუსთავზე, დიპლომიც წარჩინებით დავიცავი და საქართველოში დავბრუნდი. პირველი, რაც აქ გავაკეთე,

სადისერტაციო თემის შეცვლა იყო. ამ თემაზე მომზადებული საპროექტო განაცხადით მივიღე კარტის სტიპენდია დოქტორანტებისათვის ბუდაპეშტის ფონდ „ღია საზოგადოებისგან“. ამ პროექტის საშუალებით გავიცანი უამრავი საინტერესო ადამიანი აკადემიურ სივრცეში როგორც დასავლეთიდან, ისე ცენტრალური აზიის და კავკასიის მეზობელი ქვეყნებიდან. პროექტში განხორციელებული სამუშაო შეხვედრები და სემინარები შეუფასებელ გამოცდილებად იქცა. ყველაზე განსაკუთრებულ გამოცდილებად მაინც ჰარვარდის უნივერსიტეტში ვიზიტი დარჩება, სადაც სტუმარი მკვლევრის სტატუსით ვიმყოფებოდი დევისის ცენტრში ერთი აკადემიური სემესტრი. ლექცია სემინარებზე დასწრება, სიმპოზიუმებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებაში უდიდესი შენაძენი იყო. ამგვარად დაახლოებით შვიდი წელი „იწერებოდა“ და გროვდებოდა ამბები, რომლებიც დროისა და სივრცის პერსპექტივამ გამოაჩინა, როგორც საგულისხმო თემები ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის. წიგნის სათაური ვფიქრობ, ზუსტად და მართებულად გამოხატავს იმ მოცემულობას, რომ ადგილის მოცულობის მიუხედავად აქ, განსაკუთრებული და ქვეყნისათვის ყველაზე აქტიური პროცესები მიმდინარეობდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსთავი იყო საბჭოთა სისტემის დიდი ექსპერიმენტი და ის, რაც დღეს ქალაქში ხდება, ამ ყველაფრის გაგრძელება და მისი ნაწილია. ასევე ვფიქრობ, რომ ამ ქალაქის კვლევა და მისი გაცნობა არა უბრალოდ საინტერესო ამბავია,

არამედ გამოცდილება, რომლის გათვალისწინება ცხოვრებაში უნდა დაგვეხმაროს. უნდა ვაღიარო, რომ წიგნის სათაური თომას ჰილანდ ერიქსენის წიგნის შთაგონებით ჩამოყალიბდა და ვფიქრობ ყველაზე მართებულად გამოხატავს ჩემი კვლევის პათოსს.

წიგნში სადისერტაციო კვლევის გარდა შესულია პოსტსადოქტორო კვლევა, რომელიც ქალაქში რელიგიურობის რეპრეზენტაციას ეხება. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საკვლევი პროექტი მეოთხე თავის სახით შევიდა წიგნში და ვფიქრობ, საინტერესოდ ერწყმის მანამდე წარმოებულ კვლევას, კერძოდ ქალაქის საბჭოთა ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ნარატივებს. ამ კვლევაში ვეცადე ქალაქისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ქალაქის გამოცდილების კონტექსტში „წამეკითხა“ და შინაგანი ლოგიკა მეპოვნა.

დაბოლოს, მინდა გამოვხატო მადლიერება პირველ რიგში რუსთავის მოსახლეობის მიმართ, რომლებსაც არასდროს უგრძნობინებიათ ჩემთვის, რომ უცხო ვიყავი. განსაკუთრებული მადლობა ჩემს მთხრობელებს, რომლებიც მიხსნიდნენ კარს ქალაქის წარსულსა და აწმყოში, გულწრფელად მიზიარებდნენ თავიანთ ნაფიქრს და გულისნადებს. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მათგანს არ უთხოვია, მისი სახელი ანონიმური დამეტოვებინა, მაინც მიმაჩნია, რომ მათი სახელებითა და გვარებით მოხსენიება მართებული არ იქნება. ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით მათ ვინაობას ნაწილობრივ ანონიმურად ვტოვებ წიგნშიც. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ საკუთარ სახელით ვიხსენიებ,

ნაწილის კი ასაკსა და სქესს ვუთითებ, კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

კიდევ განსაკუთრებული მადლობა ჩემს სტუდენტს, საველე ასისტენტს, მარიკა გაჩეჩილაძეს, რომელიც კორონა ვირუსის გავრცელების გამო არსებული შეზღუდვების პირობებში მეხმარებოდა რუსთავში ეზოს სამლოცველოების კვლევაში. ასევე მადლიერი ვარ ჩემი კოლეგისა და პროექტის ასისტენტის ელისო ჭელიძის, რომლის დახმარებაც ასევე შეუფასებელია.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ ქეთევან ხუციშვილის მიმართ, რომელიც ყოველთვის მეხმარებოდა როგორც აკადემიური, ისე პიროვნული რჩევებით და რომ არა მისი მხარდაჭერა, ვფიქრობ, ამ კვლევას მთლიანობაში თავს ვერასდროს მოვუყრიდი.

ასევე, არ შეიძლება, მადლიერება არ გამოვხატო წიგნის რეცენზენტების მიმართ, რომლებთან ურთიერთობაც ჩემთვის განსაკუთრებული პრივილეგია და გამოცდილებაა.

მადლიერება უნდა გამოვხატო ზოგადად სტუდენტებისა და კოლეგა-პროფესორების მიმართ, რომელებიც უშურველად მიზიარებენ გამოცდილებას და საშუალებას მაძლევენ განვვითარდე. ყველაფერთან ერთად მგონია, რომ ძალიან გამიმართლა, რისთვისაც უბრალოდ მადლიერი ვარ.

დიდი იმედი და სურვილი მაქვს, რომ წინამდებარე წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც რუს-

თაველების, ისე დანარჩენი ქართულენოვანი აუდიტორიისათვის. ასევე იმედს ვიტოვებ, რომ წიგნი მცირედ წვლილს მაინც შეიტანს საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრებასა და რეალობის კრიტიკულ ანალიზში, რომელიც აუცილებელია პოსტსაბჭოთა რეალობის დასაძლევად.

შესავალი

საბჭოთა რეალობა საქართველოს XX საუკუნის (1921-1990) დომინანტური მოვლენაა, რომლის პოლიტიკური ფაქტორი საზოგადოებრივი ყოფის თითქმის ყველა სფეროს მსჭვალავდა და წლების მანძილზე ღირებულებების მთავარ ორიენტირად გვევლინებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წელზე მეტი გავიდა და აღნიშნული პერიოდი საქართველოს ისტორიის ნაწილად იქცა, მისი გავლენის საკითხი დღევანდელობაზე ისევ აქტუალურია. საქართველოს საბჭოთა წარსულისა და მისი მემკვიდრეობის თავისებურებების გასაგებად, რომელიც აწმყოში სხვადასხვაგვარად მანიფესტირდება, ქალაქ რუსთავის რეპრეზენტაციულ მოდელებს, ურბანულ ნარატივებსა და მათთან დაკავშირებულ მეხსიერების პოლიტიკას დროის ჭრილში განვიხილავ. საბჭოთა სისტემა ისტორიული ფაქტების მანიპულაციით ქმნიდა რეალობას „სოცრეალიზმის“ სახით და სხვადასხვა რეპრეზენტაციული საშუალებით საზოგადოების თვალში საკუთარი სისტემის ლეგიტიმაციას უზრუნველყოფდა. ნაშრომში დასმული საკითხები საქართველოში საბჭოთა მემკვიდრეობის თავისებურების გამოყოფასა და მათ ანალიზს ემსახურება, კერძოდ „სოციალისტური“ ქალაქ რუსთავის სახის ფორმი-

რებასა და მისი ტრანსფორმაციის პროცესს ანთროპოლოგიური პერსპექტივიდან განიხილავს. კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს, თუ როგორ აისახა ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაზე საბჭოთა სისტემის მიერ შემოთავაზებული ურბანული ნარატივები და როგორია მათი კვალი ტრანსფორმაციის პირობებში. აქვე დგება საკითხი, თუ რატომ „გაქრა“ რუსთავის თანამედროვე ურბანული რეპრეზენტაციული ნარატივებიდან ქალაქის სოციალისტური წარსული და რატომ ჭირს ახლის შექმნა. ქალაქ რუსთავის სახის ფორმირებისა და მისი პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესზე სამეცნიერო მსჯელობის აქტუალობას განაპირობებს თავად ქალაქ რუსთავის იდეა, რომლის მშენებლობის ინიციატივა და სამრეწველო პროფილი უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა სისტემას, შესაბამისად, როდესაც სისტემა იცვლება/ინგრევა, მისთვის დამახასიათებელი ყველა სახის გამოწვევა სწორედ ამ ტიპის საზოგადოებაში იჩენს თავს და მასზე საუბრისა და დაკვირვების შესაძლებლობასაც თავად იძლევა. საქართველოში საბჭოთა მემკვიდრეობის ანთროპოლოგიური კვლევისათვის ამ პროცესზე დაკვირვება, შეიძლება გახდეს ამოსავალი წერტილი. ამდენად, საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს, ერთი მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობის საკითხის სიმწვავე და მისი გავლენის ხარისხი დღევანდელობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ საკითხებზე სამეცნიერო ნაშრომების დეფიციტი როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. რუსთავის პოსტსაბჭოთა რეალობა დღემდე არ გამხდარა დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ობიექტი სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული კვლევა შეიძლება საინტერესო შენაძენი იყოს როგორც რუსთავის ურბანული კვლევის, ისე ზოგადად საქართველოს საბჭოთა კვლევებისათვის. უფრო ზოგად ჭრილში კვლევა მნიშვნელოვანია ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფარგლებში ახალი თემატიკის შემოტანის კუთხითაც.

საბჭოთა მემკვიდრეობის თავისებურებაზე მსჯელობისას ქალაქ რუსთავის გამოყოფა რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. რუსთავის საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე გამოჩენა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი მნიშვნელოვანი, ახალი ეტაპია საბჭოთა სისტემისათვის, რომელმაც გამარჯვებულის მანტია მოისხა და კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის ახალი ეტაპი მთელი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბლოკის მასშტაბით. ეს პერიოდი ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის მაღალი ტემპით ხასიათდება. ამ ეტაპის განსაკუთრებულობას საქართველოს შემთხვევაში, თავისებურად, ერთ-ერთი ყველაზე „ძველი“ და „ახალი“ ქალაქის, რუსთავის, მშენებლობა გამოხატავს. შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეპრეზენტაციაში აკუმულირებულია ყველა ის წინააღმდეგობა და სირთულე, რომლებიც მემკვიდრეობით დაგვიტოვა საბჭოთა სისტემამ საქართველოში. საბჭოთა მემკვიდრეობა არის ის საკვანძო საკითხი, რომელშიც მეცნიერება და ყოველდღიურობა ერთმანეთს ხვდება. მეცნიერებაში, ისევე როგორც ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, დღესაც მწვავედ დგას საბჭოთა მემკვიდრეობის გადააზრებისა და

რეფლექსიის საკითხი[1]. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გაჩნდა სამეცნიერო ინტერესი ამ მიმართულებით, თუმცა საბჭოთა მემკვიდრეობის გაგება ფართო სამეცნიერო დისკუსიის საგანი არ გამხდარა. რადიკალური პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცვლილებები ფართოდ აისახა მოსახლეობის ყოველდღიურობაზე. თუმცა, ახალი რეალობა იმდენად იყო ახალი, რამდენადაც ძველი აღარ იყო. საძულველი სისტემა, რომელიც დაინგრა, გამოხატავდა მოსახლეობის სურვილს ეცხოვრა განსხვავებულად, თუმცა, სასურველი შედეგი მოლოდინებისგან განსხვავდებოდა. მუშათა ინდუსტრიული ქალაქი, რომელიც დღიდან დაარსებისა დასაქმების მსურველთ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით იზიდავდა, პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვეყანაში უმუშევრობის მთავარ კერად იქცა. ამდენად, რუსთავი, როგორც საბჭოთა სისტემის პირმშო და მისი ერთგვარი მსხვერპლი, საბჭოთა მემკვიდრეობაზე დაკვირვებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის და სამეცნიერო ინტერესს სხვადასხვა მიმართულებით აღვივებს.

წიგნში განხილული თემის საკვლევი კითხვები ქალაქ რუსთავის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ურბანული ნარატი-

---

[1] *საბჭოთა წარსულის გააზრებისა და რეფლექსიისათვის არაერთი საზოგადოებრივი სივრცე შეიქმნა, მათ შორის საბჭოთა კვლევის ლაბორატორია, რომელიც სხვადასხვა სახის აქტივობასთან ერთად, მოსახლეობის ფართო წრეებს აწვდის შესაბამის ლიტერატურას, თუმცა, მათი კვლევითი ინტერესი ძირითადად საბჭოთა ტერორსა და მის მსხვერპლზეა ორიენტირებული. აღნიშნული ტექსტები ამასთანავე პუბლიცისტური ხასიათისაა.*

ვების გამოყოფის, იდენტიფიცირებისა და მათი ანალიზის შესაძლებლობების საფუძველზე ჩამოყალიბდა:

1) რატომ მიმართავდა საბჭოთა სისტემა ნაციონალურ ნარატივებს ახალი, სოციალისტური ქალაქის რეპრეზენტაციისათვის? რატომ იყო დაინტერესებული და რატომ უწყობდა ხელს კომუნისტური მთავრობა ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობის პარალელურად ისტორიული ქალაქის რეკონსტრუქციას?

2) როგორ თანაარსებობდა რუსთავის „ნაციონალური“ და „ინტერნაციონალური“ ნარატივები გვერდიგვერდ და როგორი იყო მათი როლი რუსთავის ახალი მოსახლეობის იდენტობების ჩამოყალიბებაში? რა როლი ითამაშა სოციალისტურმა რეალიზმმა საბჭოთა იდენტობების ფორმირებაში? რატომ წერდნენ მუშები ლექსებსა და თხზულებებს? რატომ სტუმრობდნენ მეტალურგიულ ქარხანას ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები?

3) რა ბედი ეწია რუსთავის ურბანულ ნარატივებს პოსტსაბჭოთა პერიოდში? რატომ დაკარგა ქალაქის „ინტერნაციონალურმა“ სახემ აქტუალობა, ხოლო „ნაციონალურმა“ – დამაჯერებლობა? როგორ აისახა რუსთავის ურბანულ სივრცეში ქალაქის ტრანსფორმაციისა და ახალი იდენტობების ძიების პროცესი?

4) როგორ ითარგმნა რელიგიურობის ენაზე და როგორ მატერიალიზდა ქალაქის სივრცეში კომუნისტების მიერ შექმნილი ურბანული ნარატივები? როგორ დაუკავშირდა მართლმადიდებლობა ქალაქის ნაციონალური გააზრების ხატებს და რატომ ვერ აისახა ქალაქის ინტერნაციონალური სახე ქალაქში რელიგიური მრავალფეროვნების გაგებაზე?

5) როგორ შეიძლება შევადაროთ რუსთავის პოსტსაბ-ჭოთა გამოცდილება მსგავსი პროფილის ქალაქს პოლონეთში – ნოვა ჰუტას? რა მსგავსება-განსხვავებების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ორი ინდუსტრიული გიგანტის მომსახურე ქალაქის შედარება? მსგავსებების გვერდით, განსხვავებების გამოყოფის პირობებში, ბუნებრივია ისმის შეკითხვა, თუ რატომ მოხდა ის, რომ ნოვა ჰუტასადმი ინტერესი, როგორც ტურისტული თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო კუთხითაც, განუზომლად დიდია და ყოველდღიურად კიდევ უფრო იზრდება მაშინ, როცა რუსთავის დათვალიერებას არავინ სთავაზობს საქართველოში ჩამოსულ ტურისტს. სამწუხაროდ, სამეცნიერო ინტერესიც, მისი სოციალური და პოლიტიკური ბუნების გასაგებად პრაქტიკულად არ არსებობს[1].

კვლევის მეთოდები: წიგნში წარმოდგენილი საკვლევი საკითხების შესწავლა ანთროპოლოგიის კვლევის პერსპექტივიდან ხორციელდება, რომელიც ძირითადად ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. საკვლევი საკითხების იდენტიფიცირებისა და შესწავლის მიზნით 2011 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, სხვა-

---

[1] *რუსთავის შესახებ სამეცნიერო გამოკველვა პრაქტიკულად არ შესრულებულა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, გამონაკლისს წარმოადგენს ეკა პაპაშვილის სადისერტაციო ნაშრომი არქიტექტურაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. კვლევები პოსტსაბჭოთა რუსთავის შესახებ ძირითადად ორი მიმართულებით არის წარმოდგენილი: ერთი, ესაა ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა (ობგაიძე: 2005, ხომერიკი: 1992, შუკაკიძე 1991) და მეორე, უმუშევრობისა და სამეურნეო საქმიანობის კვლევა (ღურწკაია: 2000, ტივიშვილი 1999, გაგნიძე: 1994, ყანჩაველი: 1993).*

დასხვა ინტენსივობით, სისტემატურად ვესწრებოდი და ვაკვირდებოდი ქალაქ რუსთავში გამართულ სხვადასხვა შეხვედრასა და ღონისძიებას. გარდა ცალკეული, დაგეგმილი, ვიზიტებისა ოჯახებში, ინტენსიურად ვესწრებოდი ქალაქში გამართულ საჯარო ღონისძიებებს, მათ შორის რუსთავქალაქობას, რომელიც ძირითადად ოქტომბრის მეორე ან მესამე კვირის ბოლო დღეს აღინიშნება. გარდა ამისა, საგანგებოდ ვიკვლევდი და ვაკვირდებოდი სხვადასხვა დღესასწაულს, როგორებიცაა: გიორგობა (23 ნოემბერი), შობა-ახალი წელი, ნათლისღება (19 იანვარი)[1], 3 მარტი (დედის დღე), 8 მარტი (ქალთა საერთაშორისო დღე), 9 აპრილი (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე), 9 მაისი (ფაშიზმზე გამარჯვების დღე), 26 მაისი (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) და ა. შ. დაკვირვებისა და ჩართული დაკვირვების მეთოდის საშუალებით შევეცადე გამერკვია რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დღეებთან ასოცირებულ შინაარსებს ქალაქის მოსახლეობისათვის. უბრალო დაკვირვების მეთოდით შევეცადე გამერკვია, შესაბამისი ნარატივების ხილვადობა ქალაქის ურბანულ სივრცეში. ბუნებრივ ინტერესს იწვევდა საბჭოთა სისტემასთან ასოცირებული დღესასწაულების აღნიშვნისა თუ იგნორირების კერძო ან საჯარო ინიციატივებზე დაკვირვება. განსაკუთრებული დაკვრივების საგანს ქალაქის დაბადების დღედ გამოცხადებული და ქრისტიანული ნათლისღების დღე წარმოადგენდა რუსთავში. გარდა ამ დღეებთან დაკავშირებული პრაქტი-

---

[1] *19 იანვარი, საბჭოთა სისტემის მიერ გამოცხადებული იყო ქალაქ რუსთავის დაბადების დღედ (იხ. გაზეთების „მეტალურგი“ და „სოციალისტური რუსთავი“ შესაბამისი დღის ნომრები).*

კის ვიზუალიზირების ძიებისა ქალაქის მასშტაბით, გამოკითხვის საშუალებით ვცდილობდი გამერკვია თუ რატომ დაიკავა ხალხის მეხსიერებაში გახსენების ადგილი დავიწყებამ? ქალაქის რაობის კონტექსტში რა ახსოვდათ და რას ვერ იხსენებდნენ? რა ახალი მნიშვნელობები შეიძინა ქალაქის საჯარო სივრცეში წარმოდგენილმა მატერიალურმა და არამატერიალურმა რეპრეზენტაციამ? არაფორმალური გამოკითხვებისა და საუბრების პარალელურად, ქალაქის სხვადასხვა დარგთან ასოცირებული მოქალაქეებისგან 30 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩავიწერე. გარდა ამისა, რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართულ ღონისძიებებში მივიღე მონაწილეობა სხვადასხვა სტატუსით (2011-2014), კერძოდ, სკოლის მოსწავლეებისათვის ისტორიის ცოდნის კონკურსში. სასკოლო კონკურსში, ჟიურის წევრის სტატუსით საშუალება მქონდა ჩართული დაკვირვების მეთოდით ჩემთვის საინტერესო საკითხები გამერკვია. მუზეუმი, როგორც ისტორიის, მეხსიერებისა და რეპრეზენტაციული ნარატივების შეხვედრის ადგილი, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა როგორც დასაკვირვებლად, ისე კითხვების დასასმელად. ქალაქი რუსთავი, როგორც საკვლევი ეთნოგრაფიული ველი, ერთი მხრივ, მარტივად ხელმისაწვდომი, იყო ჩემთვის, როგორც მკვლევრისათვის. ენობრივი ბარიერის არარსებობა, ურბანულ სივრცეში ორიენტირების თავისუფლება, ქალაქში სიარულისა და დაკვირვების დროს ყურადღების მიპყრობის მიზეზის არარსებობა მასალის მოპოვების შესაძლებლობას საგრძნობლად მიადვილებდა. თუმცა, მეორე მხრივ, დიდი გამოწვევა იყო ქალაქის სივრცეში დასაკვირვებელი ობიექტებისა და

გამოსაკითხად რელევანტული პირების შერჩევა, რაც სათანადო ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებისათვის აუცილებელი პირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ეთნოგრაფიის წარმოება ქართული ეთნოლოგიური სკოლისათვის სიახლეს არ წარმოადგენს[1], ამ მიმართულებით კვლევის წარმოება მეთოდოლოგიური კუთხით დახვეწასა და გამართვას საჭიროებს.

რაც შეეხება ზოგადმეთოდოლოგიურ ჩარჩოს, ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი, როგორც დროის ჭრილში, საბჭოთა – პოსტსაბჭოთა, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით, წიგნის მეხუთე თავი პოლონეთის სოციალისტური ქალაქის, ნოვა ჰუტას განხილვასა და მის რუსთავთან შედარებას ეძღვნება. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობაზე საუბრისას რუსთავის მაგალითი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მაგალითის კვლევის (Case Study) მეთოდი.

---

[1] *ქალაქის მკვიდრთა მუშათა ყოფისა და კულტურის შესწავლა საბჭოთა კავშირში 1940-იანი წლების ბოლოსა და 1950-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ქალაქების ეთნოგრაფიული შესწავლისათვის გამოიყო ქალაქების სამი ჯგუფი: სამრეწველო და სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებული ქალაქები და ქარხნები, რომელთა სამრეწველო პროფილი ბურჟუაზიული საზოგადოებისგან მოდიოდა (ტყიბულის ქვანახშირი, ჭიათურის მარგანეცი), მეორე ქალაქების, რომელთა საწარმოები ექსპლუატაციაში სოციალიზმის დასაწყისიდან შევიდა (კასპი ცემენტი, ზესტაფონი ფეროშენადნობი) და მესამე – ომის შემდგომი პერიოდის საწარმოებით (რუსთავის მეტალურგია და ქუთაისის ავტოქარხანა). უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქისა და მუშათა ეთნოგრაფიული კვლევის მიმართულებაში ჩართული იყვნენ ქართული ეთნოლოგიური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები და მათი რაოდენობა 15 მკვლევარს აღემატებოდა ჯავახიშვილი: 1971.*

კვლევისათვის დამუშავდა სხვადასხვა სახის წყარო, რაც შესაბამისი მეთოდებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებას გულისხმობს, როგორებიცაა მასალის მეორეული ანალიზი, კვლევის ვიზუალური მეთოდი, კონტენტანალიზი და სხვ.

წყაროების მიმოხილვა: ძირითადი წყარო, რომელსაც წარმოდგენილი შრომა ეყრდნობა, არის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც თავად ველზე მუშაობის პროცესში მოვიპოვე, ესაა დაკვირვებები, პირადი ჩანაწერები, ინტერვიუები და ჩემ მიერ გადაღებული ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა. ამას გარდა ნაშრომისათვის გამოვიყენე საგაზეთო სტატიები, როგორც საბჭოთა სისტემის მიერ ნარატივიზაციის პროცესში ეფექტურად გამოყენებული სარეპრეზენტაციო ველი. ძირითადად ავიღე ორი გაზეთი („მეტალურგი“ და „სოციალისტური რუსთავი“), რომლებიც რუსთავში გამოიცემოდა და ქალაქის ცხოვრების ყოველდღიურობას ფართოდ ეხმიანებოდა. მათი მოცულობიდან გამომდინარე, მხოლოდ საიუბილეო წლების ნომრები დავამუშავე (1948, 1958, 1968, 1978, 1988)[1]. ამას გარდა ფართოდ გამოვიყენე მხატვრული ლიტერატურაც, რომელიც შესაბამისი სპეციფიკის, სტილის (იგულისხმება სოციალისტური რეალიზმი) გათვალისწინებით გულისხმობდა შესაბამის რეფლექსიას რუსთავის სოციალისტურ რეალობაზე. შესაბამისი ლიტერატურის დამუშავებამ საშუალება მომცა, ქალაქის რაობის წარმოდგენაში მუშა-პოეტების გამორჩეულ როლზე მემსჯელა, რაც შოთა რუსთაველის ქალაქ რუსთავთან ასოცირებაშიც გამოიხატებოდა. ამავე წყაროების დამუშავების

[1] *ქალაქის დაარსების წლად 1948 წელი მიიჩნევა.*

საფუძველზე გამოიკვეთა აუცილებლობის ტენდენცია – საქართველოს ყველა მწერალსა თუ პოეტს საკუთარ შემოქმედებაში სათანადო ადგილი და ყურადღება რუსთავისათვის უნდა დაეთმო. კვლევისათვის მნიშვნელოვანი წყარო იყო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები რუსთავისა და ნოვა ჰუტას შესახებ. ვინაიდან ნარატივების ვიზუალიზაციას განსაკუთრებული როლი ეკისრება საზოგადოების მეხსიერებაზე ზემოქმედების მოსახდენად, შესაბამისი წყაროები კვლევისა და ანალიზის მიღმა ვერ დარჩებოდა. ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სახის ოფიციალური და არაოფიციალური დოკუმენტაცია, მათ შორის რუკები, რომლებიც ასევე კონკრეტული საკითხების გასარკვევად საგულისხმო წყაროს წარმოადგენს. კვლევის დროს, ბუნებრივია, გამოვიყენე ელექტრონული რესურსები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა სოციალური ქსელი და მედია. თანამედროვე რეპრეზენტაციის საშუალებები შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე ბევრად არის დამოკიდებული. პოსტსაბჭოთა პერიოდის ნარატივებისა და იდენტობათა კონსტრუირებაზე დაკვირვება წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე. კონკრეტული საკითხების გასარკვევად დეტალურად განვიხილე ინტერნეტბლოგები, რომლებიც რუსთავის სკოლებმა საკუთარი ქალაქის სარეპრეზენტაციოდ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსისათვის მოამზადეს. ამ შემთხვევაში საშუალება მოგვეცა არამხოლოდ დავკვირვებოდით ახალი იდენტობების ნარატივიზაციას, არამედ აღნიშნული საკითხებისადმი ინტერესიც გაგვეზომა. კვლევისათვის საგულისხმო წყაროს წარმოადგენს

აგრეთვე მონუმენტები და რუსთავის ურბანულ სივრცეში მათი თავგადასავალი. ამ შემთხვევაში არსებით საკითხს სივრცე და სივრცეში მოძრავი ობიექტები წარმოადგენს, რომელთა გადაადგილებაც თავისებურად საერთო ღირებულებებში აქცენტების გადანაცვლებასა და ახალი იდენტობების ძიების პროცესზე მიგვითითებს.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ანთროპოლოგიის რამდენიმე თემატური ველი იკვეთება – საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევები, ურბანული კვლევა, რელიგიის კვლევა და მეხსიერება. განსაკუთრებული რეალობა, რომელსაც პოსტსოციალიზმი/პოსტსაბჭოთა და ტრანზიციული პერიოდი შეარქვეს, დიდი ხანია მოექცა დასავლელი მეცნიერების ინტერესის სფეროში, თუმცა მათი ინტერესი, ძირითადად ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებზე კონცენტრირდა.[1] დაგროვილი სამეცნიერო ლიტერატურის კვალობაზე, ანთროპოლოგებმა დასვეს საკითხი ცოდნის დაგროვების ძალთა დიფერენციაციის შესახებ დასავლელ და ადგილობრივ მეცნიერებს შორის, რაც ეთიკურ საკითხებსა და პასუხისმგებლობის გრძნობას უკავშირდებოდა.[2]

---

[1] *Verdery K., Theorizing Socialism: A prologue to the „Transition". The Anthropology of Politics: a reader in Ethnography, Theory and Critique. Malden & Oxford, Blackwell, 2002; Hann Ch., Dunn E. (eds) Civil Society: Challenging Western models. London: Routledge, 1996.*

[2] *De Soto H., Contested Landscapes: Reconstructing Environment and Memory in Post-socialist Saxony-Anhalt. Altering States: Ethnographies of translation in Eastern Europe and the Former Soviet Union, Ann Arbor: University of Michigan Press, 2000; Buchowski M., The Enigma of Middle Class: a Case Study of Entrepreneurs in Poland, Changing Economies and Changing Identities in Postsocialists Eastern Europe. Berlin: Lit Verlag., 2008; Hann and Skalnik 2009.*

სწორედ ანთროპოლოგებმა დააყენეს ეჭვქვეშ დასავლური საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის გარდაუვალი გამარჯვების ალბათობის შესაძლებლობა, რომელიც სოციალისტური სისტემის ნგრევისთანავე გაჩნდა. ტრანზიციის პარადიგმა დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური პრინციპებიდან იყო აღებული, როგორც ერთადერთი შესაძლებლობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარებისათვის. ეს ტერმინი ანთროპოლოგებმა შინაარსის გამო გააკრიტიკეს, რაშიც ევოლუციური პროგრესი, სასურველი მიზნის საბოლოო შედეგი იგულისხმებოდა.[1]

აღნიშნული კრიტიკის საფუძველზე ტრანზიციის ცნება ტრანსფორმაციით შეიცვალა. აღნიშნული ტერმინი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის განვითარების თვალსაზრისით შესაძლო მრავალფეროვნებას უკეთ გამოხატავს. ამ საკითხებზე მსჯელობას მოჰყვა შეკითხვა – ამ საზოგადოებებში მომხდარი ცვლილებები ბოლოს და ბოლოს დასრულდა თუ არა, თუ არ დასრულებულა, რა იქნება შემდგომი ეტაპი და თუ დასრულდა, რა საჭიროა ტერმინები „ტრანსფორმაცია“ და „პოსტსოციალიზმი.“[2] ანთროპოლოგი კ. ჰანი, ტერმინ „პოსტსოციალიზმის“ გამოყენებას მაინც რე-

---

[1] *Burawoy M., Katherine V. (eds.) Uncertain transition: ethnographies of Change in the Postsocialist World. Lanham, Rowman & Littlefield, 1999, Buyandelgeriyn M., Post-Post-Transition Theories: walking on multiple Paths. Annual Review of Anthropology, 37:235-250.*

[2] *Hann Ch., Humphrey C., Does the Category „Postsocialist“ Stil make Sense? postsocialism: Ideals, Ideologies and Practices in Eurasia. London; New York: Routledge, 1999. Mandel R., Caroline H. (eds.) Markets & Moralities: Ethnographies of Postsocialism. Oxford, New York: Berg, 2002.*

ზონულად აღიქვამს და მიაჩნია, რომ მას ჯერ კიდევ აქვს რესურსი, იქიდან გამომდინარე, რომ სოციალიზმის იდეოლოგიური და პრაქტიკული გამოყენება აღნიშნულ საზოგადოებებში კვლავ გრძელდება. მისი აზრით, ტერმინი პოსტსაბჭოთა აღნიშნული კვლევისათვის ასევე საკვანძო ტერმინს წარმოადგენს.

საკვლევი საკითხების მოთავსება მეხსიერების თეორიულ ჩარჩოში განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. ქალაქ რუსთავის სახის ფორმირების პროცესი პირდაპირ კავშირშია საბჭოთა სისტემის მიერ წარმოებულ მეხსიერების პოლიტიკასთან. ქალაქის ადგილის შერჩევიდან დაწყებული, მისი სამრეწველო პროფილით დამთავრებული რუსთავის რეპრეზენტაციულ მოდელებში ისტორიული ფაქტები და მოვლენები აისახა, რასაც საზოგადოების მეხსიერებაზე, ცხადია, შესაბამისი კვალი უნდა დაეტოვებინა; მშენებარე ქალაქის ახალი მოსახლეობისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ახალ იდენტობათა ფორმების შეთავაზება, სადაც სისტემის მიერ წარმოდგენილ მოდელებში, ისტორია და მეხსიერება უკანასკნელ როლს არ თამაშობდა. და ბოლოს, საბჭოთა/პოსტსაბჭოთა ურბანული ნარატივების კონსტრუირების პროცესი, რომელიც კოლექტიური მეხსიერების პროდუქტად ყალიბდება და ძალაუფლების ლეგიტიმაციას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ტერმინ „მეხსიერებას“ ვ. კანშტეინერის გაგებით ვიყენებ. მისი აზრით, მეხსიერება სამი ტიპის მოცემული ფაქტორის ურთიერთგავლენის შედეგად იქმნება. ესენია: ინტელექტუალური და კულტურული ტრადიციები, რომლებიც აყალიბებენ ჩვენს წარმოდგენებს წარსულზე, მეხსიერების შემქმნელები,

რომლებიც არჩევენ ტრადიციებსა და ამით მანიპულირებენ და მეხსიერების მომხმარებლები, რომლებიც იყენებენ, უკუაგდებენ ან გარდაქმნიან მათ საკუთარი გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად.[1] ხოლო კ. კლეინი, რომელიც მეხსიერების კვლევების პოსტმოდერნისტული კრიტიკით გამოდის, აღნიშნავს, რომ ტერმინ „მეხსიერებით", რისი გაკეთებაც შეიძლება, არის ის, რომ აჩვენო, თუ როგორ მუშაობს რეპრეზენტაცია და ახსნა რეპრეზენტაციის ძალის დიალექტიკა.[2]

მეხსიერების, დამოუკიდებელ კვლევის სფეროდ გამოყოფა მ. ჰალბვაქსის სახელს უკავშირდება, რომელმაც ინდივიდისათვის სახასიათო დამახსოვრების უნარი საზოგადოებას, კოლექტივს დაუკავშირა და ტერმინი „კოლექტიური მეხსიერება" გამოყო, რაც კოლექტიურად გაზიარებული წარსულის რეპრეზენტაციას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ მეხსიერების აღნიშნული გაგება თავისებურად ეხმიანება წარსულის ისტორიოგრაფიულ რეპრეზენტაციას, მან წარსულის კოლექტიური მეხსიერება მკაფიოდ გამიჯნა ისტორიისგან. კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში მისთვის ამოსავალი ფაქტორი ყოველდღიური კომუნიკაცია იყო, რისი ნაკლებობაც დავიწყებას გამოიწვევდა.[3] ჰალბვაქსის ტრადიციის გამგრძელებლად პიერ ნორა მიიჩნევა, რომელიც არსებულ

---

[1] *Kansteiner W., Finding Meanings in Memory: Critique of collective memory studies. Harvard, History and Theory, vol. 41, 2002.*

[2] *Klein, L., On the Emergence of Memory in Historical Discourse. Representations 69: pp. 127-150, 2000.*

[3] *Habwachs M., The Collective Memory. Trans. Francis J., Ditter and Vida Yazdi Ditter. New York: Harper and Row, [1920] 1980).*

თეორიულ დისკურსს გასცდა და მეხსიერების ისტორიული „ადგილების“ გამოყოფით, საფრანგეთის მაგალითზე, კოლექტიური მეხსიერების საგულისხმო ილუსტრაციები შემოგვთავაზა. მისთვის მეხსიერება საზოგადოების ყოველდღიურობაში განსხეულებული რეალობაა მაშინ, როცა ისტორია წარსულის რეკონსტრუქციას წარმოადგენს, რომელიც აღარ არსებობს. ამგვარად, მისთვის ისტორია ტოტალური ფენომენია, რომელიც ფრაგმენტულ მეხსიერებას უპირისპირდება და მისი ადგილის დაკავებას ცდილობს.[1]

მეხსიერებისა და ისტორიის მიმართების საკითხი განსხვავებულად დგას სხვა ავტორთა შრომებში. მათი უმრავლესობა აქცენტს ისტორიისა და მეხსიერების გადაკვეთის შესაძლებლობებზე აკეთებს, იმაზე, რომ ერთი მეორეს შეიძლება აგრძელებდეს.[2] ისტორიისა და მეხსიერების ურთიერთ დაკავშირებულობას ნაწილი ტერმინ „სოციალური მეხსიერების“ გამოყენებით გამოხატავს. რომლის მიხედვითაც მეხსიერება არასდროსაა რეპრეზენტაციებსა და დისკურსებს მოწყვეტილი, რაც ისტორიოგრაფიის, მედიისა და პოლიტიკის სივრცეში იქმნება.[3] მსგავსი ფენომე-

---

1 *Nora P., Between Memory and History: Lex Lieux de Memoire. Representations 26, 1989.*

2 *Cubitt G., History and Memory. Manchester and New York: Manchester University Press, 2007, Kansteiner W., Finding meanings in Memory: Critique of collective memory studies. Harvard, History and Theory, vol. 41, 2002. : Olick J., Joyce R. Social Memory Studies: From „Collective Memory“ to the Historical Sociology of Mnemonic Practice. Annual Review of Sociology 24: pp.105-140, 1998.*

3 *Vodopivec N., Past for the Present: the Social memory of Textile Workers in Slovenia. Remembering Communism: Genres of Representations. New York: Social Science Research Council, 2010.*

ნის გამოსახატავად „სოციალური მეხსიერების“ გვერდით გამოიყენება ტერმინები „ცოცხალი ისტორია“,[1] „კულტურული მეხსიერება“ „მნემოისტორია“[2], „ეროვნული მეხსიერება“ „საჯარო მეხსიერება“ „ხალხური მეხსიერება“[3] და სხვა. წარმოდგენილ ნაშრომში მეხსიერებისა და ისტორიის მიმართების ორივე მიდგომა გამოყენებულია სხვადასხვა საკითხის გასაანალიზებლად, რიგ შემთხვევაში ვხვდებით ისტორიისა და მეხსიერების დაპირისპირებას, სადაც ადგილს „დავიწყება“ იკავებს, რიგ შემთხვევაში კი მეხსიერება ისტორიის გაგრძელებას წარმოადგენს, იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტს ეხება საქმე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც მეხსიერების კვლევებში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს, არის ინდივიდუალური მეხსიერების მიმართება კოლექტიურთან. ამ თვალსაზრისით, ხშირად კრიტიკულად უბრუნდებიან ჰალბვაქსს, რომელიც ინდივიდის მეხსიერებას კოლექტივისგან დამოუკიდებლად არ განიხილავდა. მისი მტკიცებით, შეუძლებელია ინდივიდმა მისივე ჯგუფის გარეშე დაიმახსოვროს რაიმე. იგი მხოლოდ ავტობიოგრაფიულ მეხსიერებას გამოყოფდა კოლექტიურისგან. ამის საპირისპიროდ თანამედროვე კვლევების ტენდენცია ამ ორი კატეგორიის

---

1 *Richardson T., Kaleidoscopic Odessa: history and Place in Contemporary Ukraine. Toronto: University of Toronto Press, 2008.*

2 *Assman J., From Moses to Egyptian: the Memory of Egypt in western Monotheism, and „Collective Memory and Cultural Identity“, The Collective Memory reader, Oxford: Oxford University Press, 2011.*

3 *Hutton H. P., History as an Art of Memory, University Press of New England; 1st edition,1993.*

მეხსიერებას ურთიერთდაკავშირებულად განიხილავს და მათ შორის იერარქიას არ გამოყოფენ და არც ცალკეულის უპირატესობას ამტკიცებენ. „თითქმის ყველა პიროვნული მოგონება დაისწავლება, მემკვიდრეობით გადაეცემა ან უბრალოდ ეცნობება სოციალური მეხსიერების საერთო წყაროდან."[1] ხოლო ერთიანი მეხსიერების ჩამოყალიბებაში ინდივიდები შესაბამის როლს ასრულებენ.

წარსულის შესახებ გადმოცემულ ამბებში ადამიანები საგულისხმო კულტურულ კონტურებს ხაზავენ და მათ ინტერპრეტაციას ეწევიან, ხშირად ანგარიშს არ უწევენ და უარყოფენ ისეთ საკითხებს, რომლებიც ერთიან ნორმებში არ თავსდება. ამავდროულად არ არსებობს ერთიანი მეხსიერების გაგება, რომელსაც ჯგუფის ყველა წევრი იზიარებს.[2] ელიზაბეტ ჯელინის დაკვირვებით, ნებისმიერ დროსა და ადგილას, წარმოუდგენელია იპოვო ერთიანი მეხსიერება, ერთიანი ხედვა და წარსულის ერთნაირად გაზიარებული ინტერპრეტაცია. შესაძლოა ისტორიულ დროსთან მიმართებაში იყოს უფრო მაღალი ხარისხის თანხმობა წარსულის რაობის შესახებ, როდესაც ერთ წყაროს ვხვდებით, თუმცა ის ტექსტიც ხომ გამარჯვებულის ამბავია, ისტორიულ ჭიდილსა და ბრძოლაში გამოვლილის.[3] მაშინ, როცა,

---

[1] *Brundage F., Where These Memories Grow: History, Memory and Southern Identity. Chapel Hill, NC: University of North Carolina Press, 2000.*

[2] *Hewer Ch., and Kut M., Re-narration: How Pasts Change in Conversational Remembering. Memory Studies 3 (1) pp. 13-82, 2010.*

[3] *Jelin E., Contested Memories of repression in the Southern Cone: Commemorations in a Comparative Perspective. Political transitions: politics and Cultures. London: Pluto Press, 2003.*

ნებისმიერ საზოგადოებაში, შესაძლოა, არსებობდეს მეხსიერების „მულტი კოლექტიურობა“ კანშტეინერი დაობს, რომ ინდივიდი ყოველთვის არის რამდენიმე მნემონიკური საზოგადოების ნაწილი და რომ ჯგუფური გახსენება სხვადასხვა დონეზე გამოიყენება.[1]

ერთ-ერთი საგულისხმო თემა, რომელიც თანამედროვე მეხსიერების კვლევებში ხაზგასმით გვხვდება, არის მეხსიერებისა და იდენტობის მიმართების საკითხი. იდენტობაზე ფოკუსირებით მეხსიერების პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გამოყენების შესაძლებლობებზე ხდება ყურადღების გამახვილება. იდენტობა, მეხსიერების მსგავსად, უფრო პროცესს მოგვაგონებს, ვიდრე დასრულებულ პროდუქტს, რომელიც რეპრეზენტაციის ფარგლებში ოპერირებს.[2] მეხსიერება, იდენტობასთან მიმართებაში განიხილება როგორც იარაღი, რომელიც აკონსტრუირებს, ურთიერთობს და მოსახლეობისათვის სამყაროს სიმბოლური მოდელებით გაგებას უზრუნველყოფს.[3] მეხსიერება, როგორც ასეთი, უბიძგებს ჯგუფს სოლიდარობისა და ჯგუფური მიკუთვნებულობისკენ.[4] მეხსიერება, იდენტობის ლეგიტი-

---

1 *Kansteiner W., Finding Meanings in Memory: Critique of collective memory studies. Harvard, History and Theory, vol. 41, 2002. გვ. 189.*

2 *Hall S., Introduction: Who Needs „Identity“? in Questions of Cultural Identity. Stuart Hall and Paul Du Gay eds. Sage, London, pp.1-17,1996.*

3 *Misztal b., Theories of Social Remembering. Philadelphia: Open University Press. 2003.*

4 *Olick J., Joyce R. Social Memory Studies: From „Collective Memory“ to the Historical Sociology of Mnemonic Practice. Annual Review of Sociology 24: pp. 105-140, 1998.*

მაციისათვის ფართოდ გამოიყენება, არსებითი მნიშვნელობები ნებისმიერი ინდივიდუალური თუ ჯგუფური იდენტობებისათვის ფორმირდება მოგონებების საშუალებით.[1] წარსული, ხელშესახები ხდება მნემონიკური პრაქტიკითა და შესაბამისი ადგილების საშუალებით, როგორებიცაა, დღესასწაულების აღნიშვნა, მემკვიდრეობა, გმირები, ენა, მონუმენტები და მუზეუმები. სწორედ ისინი ემსახურებიან ჯგუფისათვის, მათ შორის ერისათვის, ერთიანობის საფუძველის შექმნასა და კონსესუსის ილუზიას, რომელიც მთავრობისათვის ლეგიტიმაციას ემსახურება.[2] მეხსიერება და იდენტობა ურთიერთგადაჯაჭვულია, ვინაიდან არამხოლოდ იდენტობა საზრდოობს მეხსიერებით, არამედ თავად მეხსიერებაც ყალიბდება იდენტობის შედეგად.[3]

მეხსიერება ყოველთვის არ ემსახურება ჯგუფის შეკვრას, პირიქით, იდენტობების გამოყოფისა და პოლიტიკური პროექტების საგანიც შეიძლება გახდეს. მეხსიერებები ღრმადაა დაკავშირებული ძალაუფლებასთან.[4] მეხსიერებისათვის ბრძოლა, როგორც წესი, ზემოდან ქვე-

---

1 *Fentress J., and Wickhan Ch., Social Memory, Cambridge, Mass.: Blackwell, 1992.*

2 *Climo J., and Cattel M., eds.Introduction: Meanings In Socail Memory and History: Anthropological Perspectives. In Social memory and History, pp. 1-38, Walnut Creek, CA and Oxford: AltaMira Press, 2002;*

3 *Gillis J. R., ed. Commemorations. Princeton, New Jersey: Princeton University Press,1996.*

4 *Hodgkin K., Radstone S., Contested Pasts: The Politics of memory. New York: Routledge. Olick J., Joyce R. Social Memory Studies: From „Collective Memory“ to the Historical Sociology of Mnemonic Practice. Annual Review of Sociology 24:105-140, 1998.*

მოთ მიემართება თუმცა, ოლიკ და რობინსის მტკიცებით, მეხსიერებისათვის შეჯიბრი შესაძლოა როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან და როგორც ცენტრიდან, ისე პერიფერიიდან. აღნიშნული დისკუსია ფართოდ ეხმიანება წიგნში დასმულ საკითხს, რადგან რუსთავში მეხსიერების პოლიტიკა, რომელსაც სისტემა ისტორიული ფაქტების გამოყენებით აქტიურად ეწეოდა (მაგ. შოთა რუსთაველის ქალაქის აღორძინება), მისი ძალაუფლებით იყო გამყარებული, რაც, თავის მხრივ ლეგიტიმაციის საკითხს უკავშირდებოდა. მაშინ, როცა მსგავსი მცდელობები პოსტსაბჭოთა პერიოდში ხელისუფლების მხრიდან არაეფექტური, ნაკლებ დამაჯერებელია და გაუზიარებელი რჩება მოსახლეობის მხრიდან. ახალი ნარატივების ფორმირების პროცესში, რასაც, თავის მხრივ, მოსახლეობის მეხსიერება უშლის ხელს, ნაკლებად ან თითქმის არ მონაწილეობს ხელისუფლება, რომელსაც არ შესწევს უნარი „დაწეროს“ ახალი ისტორია და აწარმოოს შესაბამისი მეხსიერების პოლიტიკა. წარმოდგენილ კვლევაში ქალაქ რუსთავის მაგალითზე ნათლად ჩანს რეპრეზენტაციის, იდენტობების, ურბანული ნარატივებისა და მეხსიერების ურთიერთმიმართება და ურთიერთდამოკიდებულება. ჩემი სამეცნიერო კვლევისათვის ასევე ვიყენებ სოციალისტური რეალიზმის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა სისტემის მიერ, როგორც რეპრეზენტაციული საშუალება იდენტობების ფორმირებისათვის. ამ შემთხვევაში გამოვყოფდი ევგენი დობრენკოს ნაშრომს სოციალისტური რეალიზმის პოლიტეკონომია, სადაც იგი მხატვრული შემოქმედების მეთოდს,

„სოცრეალიზმს“ ფართო სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში განიხილავს.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, რელიგიების წარმოშობა და გავრცელება დიდწილად სწორედ ქალაქებთან იყო დაკავშირებული, ამის აღიარებასა და გააზრებას მაინც დიდი დრო დასჭირდა.[2] ამ პროცესის ნაწილს წარმოადგენს სეკულარიზმთან დაკავშირებული კონცეპტების რევიზიაც. სეკულარიზაციის თეორიის მიხედვით მოდერნულობის ზრდის პარალელურად უნდა მომხდარიყო რელიგიის მნიშვნელობის შემცირება. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მსოფლიოში, მათ შორის ქალაქებში, განვითარებულმა მოვლენებმა, განსხვავებული რეალობა წარმოაჩინა, რამაც თეორიული მოდელების ინტერპრეტაციებისა და რეფორმულირების საჭიროება დააყენა დღის წესრიგში. მოდერნულობის „მრავლობითობის“ აღიარებიდან გამომდინარე, პიტერ ბერგერმა შემოგვთავაზა არსებული ვითარების მისეული ხედვა, რაც რელიგიური პლურალიზმისა და მის ორგვარ გაგებაში გამოიხატა. ერთ შემთხვევაში ესაა რელიგიური და სეკულარული ინსტიტუტების თანაარსებობის დაშვება, ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, საერთო, საზიარო სივრცის შესაძლებლობის აღიარება განსხვავებული

---

[1] *Dobrenko E., Political economy of Socialist Realism. 1st ed. London:Yale University Press New Haven, 2007.*

[2] *Casanova J., Religious Associations, Religious Innovations and Denominational Identities in Contemporary Global Cities, pp.113-128, in Topographis of Faith: Religion in Urban Space, BRILL Leiden-Boston, 2013.*

რელიგიური მსოფლმხედველობებისათვის.[1] რელიგიური პლურალიზმის ბერგერისეული გაგება საინტერესოდ წარმოაჩენს საქართველოსა და კერძოდ რუსთავში არსებულ რეალობას.

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ სამეცნიერო სივრცეში რუსთავის შესახებ კვლევებს, მათი მოძიება ძირითადად საბჭოთა პერიოდშია შესაძლებელი. პირველი სამეცნიერო კვლევა რუსთავის შესახებ აკადემიკოს ლევან ჭილაშვილს ეკუთვნის, რომელმაც 1958 წელს წარმოადგინა სადისერტაციო ნაშრომი – „რუსთავის არქეოლოგიურ-ისტორიული ნარკვევი". არქეოლოგიური მასალის საფუძველზე განიხილა ანტიკური და შუა საუკუნეების რუსთავის ისტორიული რეკონსტრუქცია. შეიძლება ითქვას, ეს იყო პირველი ფუნდამენტური კვლევა რუსთავის შესახებ, რომელმაც სამეცნიერო საზოგადოებას კონკრეტული და საგულისხმო ინფორმაცია მიაწოდა ისტორიული ქალაქის შესახებ.[2] ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ რუსთავის არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა სოციალისტური რუსთავის მშენებლობის პარალელური პროცესია. 1964 წელს ქეთევან თოფურიძემ რუსთავის ყოფა ახალ ისტორიულ კონტექსტში განიხილა. აღნიშნული სამეცნიერო კვლევა, მისი წინამორბედისგან განსხვავებით სოციალისტურ სისტემაში

---

[1] *Berger L. P., The Many Altars of Modernity: Toward a Paradigm for Religion in a Pluralist Age, publisher: De Gruyter, 2014.*

[2] *ჭილაშვილი ლ., ქალაქი რუსთავი. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია / თბილისის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1958.*

ქალაქის რაობის გაგებასა და მისი სპეციფიკის გამოყოფას ემსახურება.[1]

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომებში ვხვდებით რუსთავის ისტორიის ნარკვევებს, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ სტატიათა კრებულში ამიერკავკასიაში შავი მეტალურგიისათვის ბაზის მომზადების საკითხები, რუსთავის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ისტორიული კონტექსტი; რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ამუშავების ისტორიასა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამრეწველო მიღწევები და სირთულეები ისტორიულ კონტექსშია განხილული.[2]

რაც შეეხება საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრებას სამეცნიერო დონეზე მეხსიერების კონცეპტის გამოყენებით, შეიძლება გამოვყოთ ნ. ჩიქოვანის სტატია „საბჭოთა დრო და პოსტსაბჭოთა მეხსიერება: როგორ კონსტრუირდება ახალი მეხსიერება საქართველოში“, სადაც საუბარია მეხსიერების ადგილებისა და ნარატივების ტრანსფორმაციაზე. ამ პროცესებზე დაკვირვებისა და რეფლექსიისათვის, იგი საქართველოს ისტორიიდან ორ საკვანძო მოვლენას გამოყოფს, საქართველოს გასაბჭოებასა და მეორე მსოფლიო ომს. ამ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით ნარატივების კონსტრუირებას მეხსიერების პოლიტიკის ნაწილად გა-

---

1 *თოფურიძე ქ., რუსთავი (ისტორიული ნარკვევი), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965.*

2 *ჩხარტიშვილი ს., რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორია (1944-1983), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.*

ნიხილავს.[1] მ. თორია მეხსიერების ადგილების გამოყოფის თავისებურებებს საქართველოში, 2003 წელის, ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში ხელისუფლების მიერ გატარებული მეხსიერების პოლიტიკის ფონზე განიხილავს, რაც საბჭოთა წარსულის გადააზრებასა და მთავრობის ლეგიტიმაციის საკითხს უკავშირდება.[2]

საგულისხმო შრომებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ურბანული ტრანსფორმაციის შესახებ ვხვდებით კრებულში „თბილისი ცვლილებების ხანაში (ურბანული სივრცისა და ქალაქგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი). კრებულში ფართოდ და საინტერესოდ არის წარმოდგენილი საქართველოს დედაქალაქის განვითარების თავისებურებანი საბჭოთა და მის შემდგომ პერიოდში როგორც ქალაქგეგმარების, ისე ნარატივიზაციის კუთხით, სადაც მეხსიერება როგორც გახსენებისა და დავიწყების შესაძლებლობა შესაბამის ადგილს იკავებს თბილისის ურბანულ სივრცეში.[3]

---

[1] *Chikovani N., Soviet Time in Post-Soviet Memory: How the New Memory has been Constructed in Georgia, in Time and Culture / Temps et Culture. ed by E. Bourdon, Chr.Heath, L. Shee, C Vallee, Bucharest, Editura Universitati din Bucuresti, pp. 193-204, 2017.*

[2] *თორია მ., საბჭოთა წარსული, მეხსიერების ადგილები და იკონოკლაზმი თანამედროვე საქართველოში, ჟ. ცივილიზაციური ძიებანი № 9, 2012.*

[3] *სალუქვაძე ი. (რედ.), თბილისი ცვლილებების ხანაში (ურბანული სივრცისა და ქალაქგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი), თბილისი, 2010.*

წიგნის მოკლე შინაარსი

პირველ თავში ქალაქ რუსთავის მშენებლობასთან დაკავშირებული ნაციონალური ნარატივების დაბადებისა და ჩამოყალიბების პროცესია განხილული. ამიერკავკასიაში შავი მეტალურგიის განვითარების საკითხი და მისთვის შესაბამისი ადგილის მოძიება რუსთავის რეპრეზენტაციულ ნარატივში საგულისხმო ადგილს იკავებს. მისი წარდგენა საზოგადოებისათვის გაუდაბურებულ ველად და ისტორიულ ნაქალაქარად შემთხვევითი არ ყოფილა. რუსთავის ნაციონალურ ნარატივში რუსთავის, როგორც რუსთაველის ქალაქის, წარმოჩენა, ასევე ბუნებრივად თავსდება. ქართული იდენტობისათვის რუსთველის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სოციალისტური რუსთავის შოთა რუსთაველთან ასოცირება კომუნისტებისათვის, ერთგვარ ცდუნებად იქცა. ამავე ნარატივში თავსდება ხალიბების თემაც, როდესაც შავი მეტალურგიის განვითარება ქართულ მიწაზე ხალიბთა მემკვიდრეობის გაგრძელებად გამოცხადდა. რუსთავის ნაციონალური ბუნების ვიზუალიზაციის მნიშვნელოვან სივრცეს რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი წამოადგენს, რომელმაც შესაბამისი ფუნქცია პოსტსაბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნა. რუსთავის, როგორც ნაციონალური ღირებულებების მქონე ქალაქის წარმოჩენა

სტალინის პიროვნულ ფაქტორსაც დაუკავშირდა, რომელმაც როგორც საქართველოს ისტორიის კარგმა მცოდნემ, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები გაითვალისწინა და საქართველოს ისტორიული ქალაქი დაუბრუნა/აჩუქა.

მეორე თავში რუსთავის ინტერნაციონალური სახის ფორმირების თავისებურებებია განხილული, რაც ერთი მხრივ, იდეოლოგიურად სასურველ მოდელს წარმოადგენდა, ხოლო, მეორე მხრივ კი, სოციალისტურ ქალაქში შექმნილ რეალობას ასახავდა. სისტემის მხრიდან, რუსთავის, როგორც, ორმოცი ძმის ქალაქის ბრენდირება მისი რეპრეზენტაციული მოდელის შექმნის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. რუსთავის ინტერნაციონალური ბუნების წარმოჩენით ახდენდნენ მის საბჭოთა კავშირთან ასოცირებას, რომელიც ხალხთა მეგობრობის იდეას უწევდა პროპაგანდას. ქალაქის ინტერნაციონალური რეპრეზენტაციის მოდელი საინტერესოდ თანაარსებობდა ნაციონალურთან, რაც ისტორიული ქალაქის ხელახალი დაბადების იდეაში გამოიხატებოდა, რაც მხოლოდ მოძმე ხალხთა თანადგომის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ქალაქის ინტერნაციონალური ნარატივების ფორმირების ნაწილს წარმოადგენს ახალი, საბჭოთა იდენტობების ფორმირების საკითხიც. ახალი იდენტობების საგანი იყო შრომის ღირებულებების სათავეში მოქცევა და მისი ბრძოლასთან გათანაბრდა. ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა შემოქმედებით შრომასთან გაიგივდა, ნაყოფიერი შრომა კი — პატრიოტიზმთან, რომელიც გმირობის წყაროდაც შეიძლებოდა ქცეულიყო. ხალხთა მეგობრობის ქალაქში საბჭოთა იდენტობების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს სოცია-

ლისტური რეალიზმი თამაშობდა, რომელიც რეალობის ფა-ბრიკაციის გზით არსებულის ჩანაცვლებას გულისხმობდა.

მესამე თავში საბჭოთა ნაციონალური და ინტერნაციონალური ნარატივების ტრანსფორმაციის პროცესის თავისებურებების გარკვევის მცდელობაა წარმოდგენილი. ამ თავში დასმულია კითხვები: თუ რატომ დაკარგა აქტუალობა ქალაქის ინტერნაციონალურმა ნარატივებმა და რატომ აღარ არის დამაჯერებელი ქალაქის ნაციონალური ნარატივები. წარმოდგენილი საკითხები რეფლექსიას ახდენს რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობაზე. ამავე თავში რუსთავის ახალი იდენტობისათვის შესაბამისი მარკერების გამოყოფის შესაძლებლობები მეხსიერების პოლიტიკისა და რეპრეზენტაციული საშუალებების ჭრილში განიხილება. აქვე ვხვდებით ქალაქის რაობის პერცეფციის ანალიზის მცდელობას, რაც მეხსიერებისა და დავიწყების დიალექტიკით კონცეპტუალიზდება და ქალაქის ურბანულ სივრცეში შესაბამისი ფორმებით არის მატერიალიზებული.

მეოთხე თავი ეთმობა რელიგიურობის კვლევას ქალაქში და მის მატერიალურ გამოვლინებებს, რომელიც იდენტობების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამავე დროს ახალ წესრიგს ქმნის. ამ თავში განხილულია ქალაქის ნაციონალური ნარატივების კავშირი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და შესაბამისად რელიგიური მრავალფეროვნების გაგება ქალაქის ინტერნაციონალურობის კონტექსტში. ამ საკითხებზე მსჯელობისათვის განხილულია ქალაქში პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის ამბები და მისი მიმართება ქალაქის წარსულთან და მისი გაგრძელების ინტერპრეტაციასთან. ამ თა-

ვში რელიგიურობის საჯარო გამოვლინებისა და სამოქალაქო აქტივობის ფორმებად განხილულია რუსთავის ე. წ. ეზოს სამლოცველოები. ეზოს სამლოცველოების მოწყობა სამეზობლო თემების ორგანიზებით ხდება, რაც თვისობრივად განსხვავებული და ახალი მოვლენაა, როგორც რელიგიურობის ისე სამოქალაქო მონაწილეობის კუთხითაც. რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულების და აღქმის გასაზომად მოხმობილი იქნება ფაქტები ქალაქში მუსლიმური თემის პოზიციის შესახებ. ასევე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ფაქტები, რომელიც სასამართლო დავის საგნად იქცა. ამ ორი ტრადიციული კონფესიის მიმართ გამოხატული დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ რელიგიური პლურალიზმის მიმართ გამოხატულ ფორმალურ და არაფორმალურ დამოკიდებულებაზე.

მეხუთე თავი პოლონეთის სოციალისტური ქალაქის – ნოვა ჰუტას განხილვას ეთმობა როგორც კრაკოვის, ისე ერთიანი პოლონეთის კონტექსტში. რუსთავის მსგავსად, ნოვა ჰუტას „ამბავი“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იწყება. ორივე შავი მეტალურგიის მუშათა ქალაქად დააპროექტეს. ორივე ქალაქის მშენებლობა საბჭოთა კავშირის ლეგიტიმაციის საკითხსა და მისი ძალის რეპრეზენტატულობას დაუკავშირდა, თუმცა, მათი განვითარება სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. მათ შორის არსებული განსხვავებულობა საბჭოთა სისტემისა და მისი მემკვიდრეობის თავისებურებებზე მსჯელობისათვის ფართო შესაძლებლობებს იძლევა საქართველოსა და პოლონეთის მაგალითებზე. ნოვა ჰუტა უკვე დიდი ხანია მოექცა სამეცნიერო ინტერესის

სფეროში. იმის მიუხედავად, რომ დღეს იგი კრაკოვის მუნიციპალური ადმინისტრაციის ნაწილია, თვითმყოფადობას მაინც ინარჩუნებს და ტურისტული კუთხითაც ძალიან პოპულარულია. ამ თვალსაზრისით რუსთავის ნოვა ჰუტასთან შედარებას, გარდა იმისა, რომ საგულისხმო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძლება ჰქონდეს, მოხდეს, რა რუსთავის საბჭოთა წარსულის „აღიარება", მისი ტურისტულ პროდუქტად ქცევა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისათვის შეთავაზება. აღნიშნულ თავში ერთი მხრივ, რუსთავი წარმოდგენილია, როგორც დიდი სამეცნიერო კვლევის პოტენციალის მქონე ქალაქი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ახლო წარსული ტურისტულ რესურსადაა გააზრებული, რომელიც ჯერ ადგილობრივებმა უნდა შეამჩნიონ, რათა შემდგომ სხვებს შესთავაზონ. ამ შემთხვევაში ნოვა ჰუტა საკუთარი გამოცდილებით საინტერესო მაგალითს ქმნის რუსთავისა და მთლიანად საქართველოსათვის.

თავი პირველი

რუსთავის მშენებლობა და ქალაქის რეპრეზენტაციის ნაციონალური ნარატივები

სოციალისტური რუსთავის მშენებლობის ეფექტური რეპრეზენტაციისათვის კომუნისტურმა რეჟიმმა, ქალაქისა და ქვეყნის წარსულს მიმართა. ისტორიაში მოძიებული ნაციონალური ნარატივები ოფიციალურ ვერსიებად შესთავაზა საზოგადოებას, რითაც, ერთი მხრივ, საკუთარი ლეგიტიმაციის ხარისხი გაამყარა, მეორე მხრივ, მეტი წონა და ფასი შესძინა საკუთარ შემოქმედებას.

ქალაქ რუსთავის მშენებლობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას უკავშირდება და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მთავარ არენად იქცევა, ნიმუშად ნათელი და დიადი მომავლისა. მეტალურგიული ქალაქის მშენებლობისათვის რუსთავის ველი, ისტორიული ნაქალაქარი შეირჩა, რომელიც 1944 წლისათვის, როდესაც მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი დაუსახლებელი და უდაბური იყო. ქალაქის დაარსების ოფიციალურ თარიღად მი-

ჩნეულია 1948 წლის 19 იანვარი[1]. აქვე აღვნიშნავ, რომ გარკვეული სიმბოლურობის მატარებელია ის ფაქტი, რომლის მიხედვითაც, ქალაქის დაბადების დღე მართლმადიდებლური კალენდრით ნათლისღების დღესასწაულს ემთხვევა. შემთხვევითი არ უნდა იყოს რომ ისტორიული ქალაქის „ნათლიად“ საბჭოთა სისტემა გვევლინება. ამ ფორმით ერთი მხრივ ხდება რელიგიური დღეობის გადაფარვა, მეორე მხრივ მისთვის ახალი შინაარსის შეძენა. რაც შეეხება ქალაქის სახელს, ნამოსახლარი ქართულ ისტორიულ წყაროებში სამი სახელითაა ცნობილი: ბოსტან-ქალაქი, ნაგები და რუსთავი[2]. ბუნებრივია, მათგან ისტორიულად ყველაზე გავრცელებული და დამაჯერებელი აირჩა ქალაქის წარსადგენად. ქალაქისთვის საქართველოს ისტორიაში ადგილის მოძიებით, კომუნისტებმა თავად ქვეყნის ისტორიის წაკითხვის თავისებური ინტერპრეტაციებიც შემოგვთავაზეს. აიღეს რა საკუთარ თავზე ისტორიის რეკონსტრუქცია, ამით ისინი მეხსიერების შემქმნელებადაც მოგვევლინნენ.

ქალაქ რუსთავის დაარსებიდან მოყოლებული, მისი რეპრეზანტაციისას შეიძლება რამდენიმე საკითხი გამოვყოთ, რომლებიც ქალაქის ნაციონალურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს და ამასთანავე ქვეყნის ისტორიის კონტექსტში მისი წაკითხვის საშუალებას იძლევა:

---

[1] *1948 წლის 19 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავს ეწოდა ქალაქი რუსთავი (ლეჟავა: 1963).*

[2] *ქალაქის დასახელების აღნიშნულ ვერსიებს მოისმენთ რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გიდისგან.*

1) ქალაქის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევა; გაუდაბურებული, გავერანებული, ხრიოკი ადგილის დასურათხატება და ხაზგასმა; ისტორიული ქალაქის მნიშვნელობის წარმოჩენა. ისტორიული ქალაქის აღდგენა-აღორძინების იდეა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობებზე მსჯელობა;

2) ქალაქის მხარეთმცოდნეობის/ისტორიული მუზეუმის შექმნა და მისი სამეცნიერო-პოპულარული დისკურსის გააქტიურება; ქალაქის ორი რეალობის პარალელური მშენებლობა მუზეუმის როლი მის წარმოჩენაში; ქალაქის მიწისზედა და მიწისქვეშა რეალიების გამთლიანების შესაძლებლობა საგამოფენო სივრცეში;

3) ქალაქის ასოცირება უდიდეს ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სახელთან; ამბიციური პროექტის ამბიციური სახელდება, ლიტერატურული და ისტორიული ფანტასმაგორიები;

4) მივიწყებული ტრადიციების აღორძინება/შექმნა, ქალაქის ეკონომიკური პროფილი და მისი გამოძახილი საქართველოს შორეულ წარსულში, კერძოდ, ხალიბთა მემკვიდრეობის გაცოცხლების იდეა.

5) სტალინის პიროვნული ფაქტორი და მისი მონაწილეობის მითოლოგიზაცია ქალაქის კონტექსტში.

ქალაქი, როგორც საწყისი და გაგრძელება

ქალაქის მშენებლობის მნიშვნელობისა და აქტუალობის წარმოსაჩენად მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის გეგმა ვერ იქნებოდა საკმარისი. საჭირო იყო სათანადო ადგილის შერჩევა-მოძიება. ადგილისა, რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლებლობას მისცემდა რეჟიმს, საკუთარი წარმოდგენები ახალი ტიპის ქალაქზე განეხორციელებინა, მეორე მხრივ კი, საკუთარი თავი აღმშენებელ, სამართლიან და დიდსულოვან სისტემად წარმოეჩინა, რომელიც ქვეყანას დანგრეულ-გაუდაბურებულ და დავიწყებული ქალაქის ნაცვლად კეთილმოწყობილ ისტორიული მემკვიდრეობის მატარებელ ქალაქს უბრუნებდა.

ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობის შესაძლებლობა საქართველოში 30-იანი წლებიდან განიხილებოდა. თუმცა კონკრეტული ნაბიჯები ამ გეგმის განსახორციელებლად მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას გადაიდგა, როდესაც კიდევ უფრო მძაფრად დადგა საკითხი მეტალურგიული ქარხნების პერიფერიებში გადატანის აუცილებლობის შესახებ. ადგილის შერჩევა საკმაოდ დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა, რადგან მეტალურგიული ინდუსტრიის განვითარება შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურისა და ნედლეულის მიწოდების შესაძლებლობების არსებობას გულისხმობდა. აღნიშნული საკითხები პერიოდულად სხვადასხვა ტიპის შეხვედრაზე განიხილებოდა. პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე ცალკეული საკითხი მხოლოდ საკავშირო დონეზე წყდებოდა. მესამე

ხუთწლედის გეგმაში კი უკვე გათვალისწინებული იყო ბაქოში პატარა გადამმუშავებელი მეტალურგიული ქარხნის აგება. 1940 წლის დასაწყისში, რესპუბლიკის საგეგმო ორგანიზაცია საფუძვლიანად ასაბუთებდა საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში სრული მეტალურგიული ციკლის მქონე საშუალო სიმძლავრის მეტალურგიული ქარხნის აშენების მიზანშეწონილობას. ქუთაისზე არჩევნის შეჩერებას სპეციალისტები მისი მდებარეობისა და წარმოების რენტაბელობის გათვალისწინებით ასაბუთებდნენ[1]. ქართული მეტალურგიის განვითარებისათვის ქუთაისის განხილვა, როგორც ჩანს არც ისე რეზონანსული აღმოჩნდა, ვინაიდან მის შესახებ ინფორმაციას სხვა წყაროებში თითქმის ვერ ვხვდებით.

ქართველი სპეციალისტების შეთავაზების მიუხედავად, რომელთა არჩევანიც ქუთაისზე შეჩერდა, 1940 წელს მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში მეტალურგიული ქარხნის ორ ადგილზე მშენებლობის თაობაზე (თბილისსა და ბაქოში). სპეციალურმა კომისიამ თბილისის მახლობლად „ველის“ ტერიტორია შეარჩია. ქარხნის ასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები 1940 წელსვე დაიწყო. თუმცა სამუშაოები ნელა და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. 1941 წელს კი, ვინაიდან საბჭოთა კავშირისათვის მეორე მსოფლიო ომი ახალ ფაზაში გადავიდა სამშენებლო სამუშაოები, ცხადია შეჩერდა.[2]

---

[1] *ჩხარტიშვილი ს., რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორია (1944-1983), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, გვ. 23.*

[2] *გერგედავა ზ., ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის მძლავრი ბაზის შექმნის პრობლემა ომამდელ პერიოდში, საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან : ეძღვნება სსრკ შექმნის 50 წლისთავს,1972, გვ. 3-48.*

კავკასიაში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის აუცილებლობა კვლავ აქტუალური 1943-1944 წლების მიჯნაზე გახდა, როცა მეორე მსოფლიო ომის შედეგების კონტურები რამდენადმე გამოიკვეთა. პირველ რიგში თბილისი და მის მიმდებარე, „ველის“ ტერიტორია განიხილებოდა. აღნიშნული დაწუნებულ იქნა, ქარხნის განვითარების შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო. სანაცვლოდ გააქტიურდა რუსთავის ველი, რომელიც დაუსახლებელი იყო:

> „თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 27 კილომეტრზე ახალი ტერიტორია შეარჩიეს. ესაა მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ძველი ქართული ქალაქის – რუსთავის – ნანგრევების მიდამოები, რომელიც შესანიშნავი გეოგრაფიული გარემო პირობების მიუხედავად, მტრის არაერთი შემოსევის გამო, აქამდე უკაცრიელ ტრამალად იყო ქცეული“[1].

ამ „უკაცრიელი ტრამალის“ შესახებ უამრავი ინფორმაცია გვხვდება მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. მნიშვნელოვანი პროპაგანდის საგნად სწორედ ის ფაქტორი იქცა ადგილის შერჩევისას არა მხოლოდ ქარხნისა და ინდუსტრიის განვითარებაზე ზრუნავდნენ, არამდე ადგილზეც, მის აღორძინებასა და გაცოცხლებაზე. ერთ-ერთი პირველი, სადაც აღნიშნულის შესახებ იწერება არის 1949 წლის „აგიტატორის ბლოკნოტი“, სადაც ვკითხულობთ:

---

[1] *ჩხარტიშვილი ს., რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორია (1944-1983), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, გვ. 28.*

„მხოლოდ გაზაფხულზე, ისიც ორიოდე კვირით, ამწვანდებოდა მთელი ეს უზარმაზარი ველი. გარდაბნელი მწყემსები ამით სარგებლობდნენ და იქ საქონელს მიერეკებოდნენ საძოვრად, ხოლო, როდესაც კარგ ბალახს ეკალბარდი დაჯაბნიდა და ზაფხულის მწვავე მზე სუსტ ბალახს შეტრუსავდა, რუსთავის ველზე საქონელიც ვერ ძლებდა და ჯოგი ადგილს ინაცვლებდა“[1].

ამ და სხვა გამოქვეყნებულ მასალაში რუსთავის ველი, რომელიც ქალაქის მშენებლობისათვის განიხილებოდა, წარმოდგენილია, როგორც ყოვლად გამოუსადეგარი და გაუსაძლისი ადგილი ცხოველებისთვის. აღნიშნული კონტექსტის აქცენტირება კიდევ უფრო ამძაფრებს გადაწყვეტილების განსაკუთრებულობას. ამ ფორმით წარმოდგენილი სამშენებლო ადგილი, რომელსაც ფუნქცია არ გააჩნდა, დამდგარი შედეგის მნიშვნელობას კიდევ უფრო აზვიადებს და მთელი გრანდიოზულობით წარმოაჩენს მას.

მეტალურგიული გიგანტისათვის ადგილის შერჩევის საკითხს ფართოდ ეხმიანება 1938-1952 წლებში, ცეკას პირველი მდივანი, კანდიდ ჩარკვიანი მემუარებში. იგი წერს რომ, 1943 წელს მან საჭიროდ ჩათვალა, თავიდან დაეყენებინა, საკითხი საქართველოში მეტალურგიის მშენებლობის თაობაზე. აქვე ვხვდებით მის მსჯელობას, რომლის მიხედ-

---

[1] *ლომთაძე დ., „რუსთავი საქართველოს ინდუსტრიული სიამაყეა ჟ. აგიტატორის ბლოკნოტი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალი №2, 1949, გვ. 29.*

ვითაც შექმნილ ვითარებაში დაგეგმილი მეტალურგიული ცენტრის მშენებლობისათვის განსხვავებული გარემო პირობები იყო საჭირო. მისი ვარაუდით, ქარხნის მშენებლობა ბევრად დიდ და გაცილებით მოხერხებულ ტერიტორიას მოითხოვდა, ვიდრე მისთვის უწინ გამოყოფილი ველის ტერიტორია იყო. მისი ლოგიკა ასევე ვითარდება:

> „თბილისის რაიონს კარგად ვიცნობ. ჩემი შეხედულებით, ყველა ჩამოთვლილ პირობას თბილისიდან 27-28 კილომეტრის მანძილზე მდებარე რუსთავის ველი დაკმაყოფილებდა. იგი საქართველოს რელიეფისათვის უჩვეულო ვაკე ადგილი იყო, ვრცელი და ხევებით დაუნაწევრებელი... ადგილიც ხომ ისტორიული იყო. აქ მდებარეობდა შუა საუკუნეებში ცნობილი ქალაქი რუსთავი, თბილისის ფარი სამხრეთიდან მომავალ გზაზე. ისტორიული ინტერესისა და პრაქტიკული საჭიროების გამო მაშინ მთელი ეს ვაკე ფეხით მოვიარე“.[1]

ამგვარად მაშინდელი ქვეყნის პირველი პირი, პირადად მონაწილეობს საკითხის მომზადებასა და გადაწყვეტაშიც. იგი დეტალურად საუბრობს საკითხის დამუშავების პროცესსა და საკუთარ ჩართულობაზე, თუ როგორ ეცნობა მასალებს და როგორ ცდილობს მათ გადამოწმებას პირადად. საკუთარ პოზიციას იგი არგუმენტირებულად აყალიბებს და იმგვარ საკითხებსაც გამოყოფს, რომლებიც

---

[1] *ჩარკვიანი კ., განცდილი და ნააზრევი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2004, გვ. 331.*

სადავო შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგალითად რუსთავის ველის ცუდი რეპუტაცია საზოგადოებაში.

> „რუსთავის ველს ხალხში ცუდი სახელი ჰქონდა. ისევე, როგორც მთელი გარდაბნის რაიონში, ისიც მალარიის ბუდედ ითვლებოდა და ბევრს იქ ცხოვრება ვერც წარმოედგინა“.[1]

იგი დეტალურად მოგვითხრობს, თუ როგორ უწევდა სპეციალისტების გადარწმუნება. კანდიდ ჩარკვიანი გადმოგვცემს მრეწველობის დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივნის ზ. ჩხუბიანიშვილისა და რესპუბლიკის მთავარი სანიტარიული ინსპექტორის ი. ფრანგულიანის პოზიციებს. ამ უკანასკნელის აზრით:

> „ყარაიაში“ ციებას ვინ მოსპობს და იქნებ სხვა ადგილი შეერჩიათო“. ხოლო ზ. ჩხუბიანიშვილის აზრით, რუსთავი მალარიის კერაა, ზაფხულში აუტანელი სიცხით. ხალხი იქ ვერ იცხოვრებს. იქ ქარხნისა და ქალაქის აშენებაზე ფიქრიც ზედმეტია.[2]

ამგვარად პოზიციის დასაბუთება, პროექტის გატანა ადვილი საქმე ვერ იქნებოდა საქართველოს სსრ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისთვისაც კი. მან

---

[1] *ჩარკვიანი კ., განცდილი და ნააზრევი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2004, გვ. 332.*

[2] *ჩარკვიანი კ., განცდილი და ნააზრევი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2004, გვ. 333.*

აქტიური მუშაობა ჯერ საქართველოში დაიწყო, შემდგომ კი კრემლში განაგრძო სტალინთან. კრემლში, ჩარკვიანის პოზიციის გასაზიარებლად, ერთ-ერთ ძირეულ არგუმენტად ქალაქის დასახელება და მისი ისტორიულობა გამოდგა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ზავენიანგი კომისიის სხვა წევრებთან ერთად სპეციალურად ჩამოდის საქართველოში საკითხის შესასწავლად. მათი მასპინძელი კანდიდ ჩარკვიანი იხსენებს:

> „სტუმრებს ნანგრევებიც ვაჩვენე, მოკლედ ვუამბე მონღოლებისაგან იავარქმნილი შუა საუკუნეების ქალაქ რუსთავის შესახებ.
> – ესეც საქმეაო – თქვა ა. ზავეგიაგინმა – გამოდის, რომ საქართველოს ისტორიულ ქალაქს მკვდრეთით აღვადგენთ და ახლებურად ვაშენებთ“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ მემუარები მომხდარი ფაქტებიდან დაცილებულ დროში იწერება, როცა უკვე გადაწყვეტილების შედეგები სახეზეა, ცალკეული ფაქტები მაინც ყურადღებას იქცევს. კერძოდ ის, რომ რუსთავის საპრეზენტაციოდ დიდი ძალისხმევის დახარჯვა იყო საჭირო, ის, რომ ადგილობრივები სკეპტიკურად უყურებდნენ რუსთავის დასახლებას მაშინ, როცა შორიდან, კრემლიდან, საინტერესოდ მოჩანდა ისტორიული ქალაქის ხელახალი აღმოჩენა და მისი აღმშენებლობა.

---

[1] *ჩარკვიანი კ., განცდილი და ნააზრევი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2004, გვ. 331.*

ის რომ ქალაქი ცარიელ ადგილზე გაშენდა და განვითარდა, რუსთავის რაობის ნაწილად იქცა. ქალაქის მშენებლობისათვის ადგილის განსაკუთრებულობასა და მასთან დაკავშირებულ ამბებს ყველა ეტაპზე იხსენებენ. ქალაქის თავდაპირველი ხატის, გაუდაბურებული ველის მიმართ საკუთარი პერსონალური გამოცდილებისა თუ დამოკიდებულების შესახებ რამდენიმე მაგალითს გაზეთ „მეტალურგის" საიუბილეო ნომრებიდან მოვიყვან[1].

პირველი, ესაა ინტერვიუ ცნობილ ქართველ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასთან, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი და საგულისხმო აღმოჩნდა, რომ მის ტექსტს ხშირად უცვლელად სხვადასხვა გაზეთში ბეჭდავდნენ. ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მწერალი, რომელმაც აღიარება და დაფასება საბჭოთა სისტემისგანაც მოიპოვა აღნიშნავს:

> „მე ჩემს სიჭაბუკეში ტურაზე და კურდღელზე მინადირია რუსთავში. გამოხდა ხანი, მერე დაიწყო მშენებლობა. პირველსავე წელს ხშირი სტუმარი ვიყავი რუსთავისა, ვმეგობრობდი ამ ქალაქის დამფუძნებლებთან ნესტორ გიორგაძესა და ნიკო გომელაურთან. მათ გამოიჩინეს არნახული მხნეობა, რისი შედეგი ეს იყო – გატიალებული ტრამალის ქალაქად ქცევა. ჩვენ ვცხოვრობთ ფრიად მძიმე და საინტერესო ეპოქაში.

---

[1] *ვინაიდან ქალაქის დაარსების თარიღად 1948 წელი მიიჩნევა, პერიოდული პრესის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება 1958, 1968, 1978 და 1988 წლების ჟურნალ-გაზეთებს მივაქციე, სადაც აკუმულირებული სახით ვხვდებით ქალაქის შესახებ საბჭოთა ნარატივებს.*

ვინც ამ ეპოქის გრიგალისებრ ქროლვას ნაბიჯს ვერ უწყობს, იგი დარჩება პროვინციად. ჩვენ, ქართველები, უძველეს ეპოქაში ვიყავით „რვალით ხურონი“. არც ჩვენს დროს უნდა დავანებოთ პირველობა სხვას. ვიბრძოლოთ და ვიშრომოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის“.[1]

ნარატივში, რომელიც დიდი მწერლის ავტორიტეტით არის გამყარებული საუბარია აუთვისებელ, თითქმის გავერანებულ ადგილზე, და იქვე ვხვდებით საბჭოთა პერიოდში მის გარდასახვას ქალაქად, რაც დროის მოთხოვნად და გამოწვევად მიიჩნევა. მეორე საკითხი, არანაკლებ საყურადღებო არის ის, რომ ქართველები, უძველეს ეპოქაში იყვნენ „რვალით ხურონი“, ანუ ამუშავებდნენ ლითონს და, შესაბამისად, ახლა ეს ტრადიცია უბრუნდება ქვეყანას ამ ქალაქის მშენებლობით. იქვე ხაზგასმა ხდება შორეული წარსულის სიდიადეზე. ასევე აღსანიშნავია და არა შემთხვევითი, რომ შრომა და ბრძოლა ერთგვარად გათანაბრებულია და ქვეყნის სამსახურს გულისხმობს. ამდენად, მწერლის ამ ფრაზებში აკუმულირებულია წარსული, როგორც პოტენციალი და ახალი დროის შესაძლებლობა მოახდინოს სასწაული, რომელიც უდაბნოს ქალაქად ტრანსფორმაციაში გამოიხატება.

ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანების გარდა ქალაქის ზემოთ ხსენებულ ნარატივს აძლიერებს და ამდიდრებს ჩვეულებრივი მოქალაქეების მონათხრობიც, რომ-

---

[1] *გამსახურდია კ., გულითადი სალამი რუსთავის მშრომელებს, მისი ქარხნების ხელმძღვანელებს, გაზ. მეტალურგი №4, 1968, გვ. 2.*

ლებსაც სისტემა უკვეთავდა პრესას. რუსთავის საიუბილეო წლის (1968) გაზეთ „მეტალურგის“ ერთ-ერთი ნომერი გვაცნობს ქალაქისა და ამ მიწის ერთ-ერთ, შეიძლება ითქვას, ყველაზე ლეგიტიმურ მკვიდრს. რუსთავის მოქალაქე, რომლის მეხსიერება სცილდება ქალაქის დაარსების ისტორიას, გვიყვება ბავშვობის მოგონებებზე. მის შესახებ სტატია ასეა დასათაურებული: „32 წელი რუსთავის მიწაზე“, მაშინ როდესაც იმ დროისათვის ქალაქი მხოლოდ 20 წლისა იყო.

> „...ღამღამობით ტურების ჩხავილი არ გვასვენებდა ხოლმე, ხშირად აცელქებულებს დედა დაგვემუქრებოდა, თუ არ გაჩერდებით მგელსა და ტურებს შევაჭმევ თქვენ თავსო. სიგრძე-სიგანეზე გაწოლილ უდაბნოს მხოლოდ ქარი თუ ახმიანებდა დღისით. საშინელი მდუმარება შიშს გვგვრიდა და საცხოვრებელი ბინიდან შორს არც ერთხელ არ წავსულვართ, – ასე იგონებს თავის და რუსთავის წარსულს ქარხნის სტამბის მეკაბადონე ჟუჟუნა ხოშტარია.“[1]

სტატიის ავტორი შემდგომ მოგვითხრობს ადამიანის ოცნებაზე, თუ როგორ სურდა სიცოცხლით სავსე ქალაქში ცხოვრება. ასევე, თუ როგორ დაჰპირდა მამა სურვილის ასრულებას და მას მაინც არ სჯეროდა, სანამ თავისი თვალით არ იხილა და არ მოესმა მანქანების გუგუნი. შეიძლება ითქვას, რომ მის თვალწინ დაიბადა ქალაქი. რვაწლიანი სკო-

---

[1] *აბულაძე ნ., 32 წელი რუსთავის მიწაზე, გაზ. მეტალურგი, №4, 1968, გვ. 2.*

ლის დამთავრების შემდგომ ჟუჟუნა ხოშტარიამ სტამბას მიაშურა და ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა რუსთავში. ამრიგად გამოვიდა, რომ ქალაქის ყველაზე ძველი მკვიდრი, მის ახალ ამბებს პირველი კითხულობს.

ბოლოს სტატიის ავტორი, საუბრობს ამ ფაქტის სიმბოლურობაზე.

> „ჩვენი ქალაქის პირველი ბინადარი, მისივე მატიანის დაკაბადონებულია.“[1]

ქალაქის რეპრეზენტაციის შესახებ უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება, სადაც მცირედი ვარიაციებით მსგავსი შინაარსისა და პათოსის ტექსტები გვხვდება. ქალაქის ერთ-ერთ წარმდგენად გვევლინება გაზეთ „მეტალურგის“ კორესპონდენტი, თ. ლეკვეიშვილი, რომელიც რუბრიკაში: „დიდების მატიანე“ ქალაქის ისტორიას ქვეყნის წარსულსა და აწმყოსთან პირდაპირ კავშირში განიხილავს.

„მზით სავსე ქალაქი“, ასე ასათაურებს ავტორი საგაზეთო სტატიას, რომელიც ქალაქის ოცი წლისთავს ეძღვნება. ავტორი ქალაქის აღსაქმელად მკითხველს იაღლუჯის მთის კორტოხზე ეპატიჟება, რათა სიმაღლიდან გადმოხედოს რუსთავს, საიდანაც ისინი არა მხოლოდ ჭაბუკ ქალაქს, არამედ წარმტაც სილამაზეს იხილავენ, შეიგრძნობენ ადამიანთა შრომის სიდიადესა და ბობოქარი ეპოქის სულს. მისი თქმით, ძნელი წარმოსადგენია, რომ მზეჭაბუკი

---

[1] *აბულაძე ნ., 32 წელი რუსთავის მიწაზე, გაზ. მეტალურგი, №4, 1968, გვ. 3.*

(ქალაქი), რომელიც გიგანტივით „გაწოლილა“ ორ მთას შორის, მხოლოდ 20 წლისაა.

> „ცადაზიდული მსუნთქავი მილები, წეროებივით ყელყარყარა ამწეები, მრავალსართულიან სასახლეთა გუმბათები ქარგავენ თვალის მიმტაცებელ პანორამას“.[1]

ავტორი ასევე არ იშურებს მხატვრულ შედარებებს ღამის რუსთავის დასახატავად. ქალაქს ვარსკვლავეთს ადარებს. მისი თქმით, ამ ცაზე ყველაზე მეტად ხუთი ვარსკვლავი კაშკაშებს განსაკუთრებით.[2]

ავტორი აგრძელებს იაღლუჯის გორიდან ქალაქზე წარმოსახვით ყურებას და სინანულით იხსენებს ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებს, რომლებიც ბერქა-ყაენისგან ბოსტან-ქალაქის აოხრების ამბავს მოგვითხრობს.

შემდგომ კი დგება ახალი, „ოქტომბრის“ საუკუნე. რუსთავსაც ამ ოქტომბრის პირმშოდ იხსენიებს. მისი თქმით, ათ წელზე ნაკლები დრო დასჭირდათ ნაქალაქარზე ქალაქის ასაშენებლად, რომელიც უფრო დიადი და მხრეგაშლილია.

> „შრომის ფრონტი ბრძოლის ფრონტს ჰგავს. ისე, როგორც ბრძოლაში, შრომაშიც არიან გმირები“.[3]

---

[1] *ლეკვეიშვილი თ., მზით სავსე ქალაქი. გაზ. მეტალურგი №4, 1968, გვ. 2.*

[2] *სავარაუდოდ, ავტორს ხუთი სოციალისტური შრომის გმირი უნდა ჰყავდეს მხედველობაში, რომელთა ჯილდოს გამოხატავდა მედალი ხუთქიმიანი ვარსკვლავით.*

[3] *ლეკვეიშვილი თ., მზით სავსე ქალაქი. გაზ. მეტალურგი №4, 1968, გვ. 2.*

სტატიის ავტორი ერთგვარ პარალელს ავლებს სვეტიცხოვლისა და პანამის არხის მშენებლობის ხანგრძლივობასთან, რასაც მოაყოლებს ქალაქში მიღებული პროდუქციის მასშტაბურობას.

> „ქალაქში, რომელიც მხოლოდ ოცი წლისაა, იმდენი ფოლადი გამოდნა, ხალიჩად ეყოფოდა მთელს დედამიწას...“

დასკვნის სახით ავტორი წერს, რომ ოცი წელი ძალიან ცოტაა ისტორიისათვის მაშინ, როცა უამრავი რამის გაკეთებისათვის საკმარისი აღმოჩნდა, რის შემდეგაც იგი ვახუშტი ბატონიშვილს „გადაახედებს“ იაღლუჯის მთის კალთიდან და ათქმევინებს მისივე ენით, თუ ბერქა ყაენისგან განადგურებული და შემდგომი ხანგრძლივი დროით მიტოვებული ქალაქი როგორ აღადგინა მშრომელმა, გონიერმა და ძლიერმა ხალხმა, სადაც იდნობა ფოლადი, იქსოვება ძაფი და კეთდება დუღაბი მშენებლობისათვის.[1]

რუსთავის რეპრეზენტაციაზე პასუხისმგებლობა საქართველოს მასშტაბით ყველაზე ნაწილდებოდა, ვისაც ხელში კალამი ეჭირა და ამ ფორმით შეეძლო აზრის გამოხატვა. მათ შორის იყვნენ, რაღა თქმა უნდა, მეცნიერები, ჟურნალისტები და მწერლები. რუსთავის ახალი გმირების ამბების მოსათხრობად ჭაბუა ამირეჯიბმა ნოველას ისტორიულად მჟღერი სათაური, „იყავნ ქალაქი“, შეურჩია. სათაურის წაკითხვისას მოლოდინი ჩნდება, რომ გავეცნობით

---

[1] *ლეკვეიშვილი თ., მზით სავსე ქალაქი. გაზ. მეტალურგი №4, 1968, გვ. 2.*

ისტორიული ქალაქის აღმშენებლობას. ამის სანაცვლოდ კი ვკითხულობთ,

> „ჩვიდმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ბარი მოხვდა აქაურობას. ახლა აქ ჟამთააღმწერლობისთვისა და სამუზეუმო შრომისთვის არავის სცალია. ალბათ ვერც აიტანს მუზეუმის მყუდროება რუსთავის ქვაფენილების ტემპს. ხალხის მძლავრი ნაკადი განუწყვეტლივ მიედინება. მხნედ, გამიზნულად მიაბიჯებს ადამიანი“.[1]

ჭაბუა ამირეჯიბის ნოველა რუსთავის შესახებ ორი განსხვავებული ნარატივის ჭიდილია. დოკუმენტური პროზის სტილში გადმოცემული თხრობა გვაცნობს ახალი ქალაქის მკვიდრთ, „ტიპურ“ გმირებს, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ და ახალ დროს ქმნიან. ახალი დრო განსხვავებულია, აჩქარებულია და თავისებურად უპირისპირდება წარსულს, ნელსა და უმოძრაოს. ამის მიუხედავად, მაინც სწორება წარსულზე კეთდება, სწორედ მასთან მიმართებაში იქმნება კონტრასტი, რომელმაც ახალი დროის უპირატესობა უნდა წარმოაჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის სტილი უცხო და უადგილოა ახალ ქალაქში, მას განსაკუთრებული როლი აკისრია ქალაქის იდენტობის ჩამოყალიბებაში. სწორედ რუსთავის მუზეუმს დაეკისრა მისია, ეჩვენებინა ქალაქის კონტრასტული ისტორია განადგურებიდან აღორძინებამდე.

---

[1] *ამირეჯიბი ჭ., იყავნ ქალაქნი, კრ.: მადლი კომუნისტური შრომისა, თბილისი, 1963, გვ. 41.*

რუსთავის გაუდაბურებული ველის ხატი და მისი ტრიუმფალური მშენებლობა ქალაქის ყველაზე პოპულარულ დისკურსად ყალიბდება, თუმცა, ამავდროულად, გაჩნდა მისი სამეცნიერო-კულტურული მნიშვნელობის წამოწევის აუცილებლობაც.

> „სოციალისტური ქალაქის რუსთავის მშენებლობასთან ერთად 1944 წლიდან იწყება მისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა-ძიება“.[1]

რუსთავის პირველი არქეოლოგები მისი მშენებლები იყვნენ, სწორედ ისინი პოულობდნენ სხვადასხვა ნივთს, რომელთა საფუძველზეც უკვე 1953 წლის პირველ მარტს გაიხსნება რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის რუსთავში ჯერ კიდევ არაა აშენებული საცხოვრებელი სახლები. მუზეუმის განსაკუთრებულობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აქ წარმოდგენილია ორი რუსთავი, ისტორიული და ინდუსტრიული, რასაც მნახველებზე შესაბამისი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. იმას, რომ მუზეუმს ქალაქის რეპრეზენტაციაში განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნდა, ერთი კონკრეტული სტატისტიკური მონაცემი მიუთითებს. 1953-1956 წლებში იგი 60 ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა ინახულა[2]. რუსთავის არქეოლოგიური შესწავლა და მის შესახებ სამეცნი-

---

[1] *ჯორბენაძე ბ., რუსთავის მუზეუმის ახალი ექსპოზიცია, ჟ. "ძეგლის მეგობარი", 1988, გვ. 66-67.*

[2] *თევზაძე გ., რუსთავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 38, 1953.*

ერო ნაშრომებიც 50-იანი წლებიდან ჩნდება, მათ შორის აღსანიშნავია ლევან ჭილაშვილის მონოგრაფიული ნაშრომი „რუსთავი“ 1958 წელი.

ვფიქრობ, ქალაქის ისტორიული წარსულის საინტერესო მაგალითს არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის ერთ-ერთი მოთხრობა „შავი ორშაბათი“ წარმოადგენს, რომელიც ისტორიული ქალაქის განადგურების ბოლო დღეს დაწვრილებითა და თანამიმდევრობით აღადგენს.

> „...გარეთ რომ გავიდნენ, წინკარში დაბმული ძაღლის წკავწკავი და ღმუილი შემოესმათ. ერთ-ერთმა იმასაც მოუქნია ხმალი და თავი გაუპო.
> მზე საშუადღეოზე იყო წამოწეული, როცა სისხლითა და ცეცხლით გულნაჯერებმა მონღოლებმა თავი მოიყარეს და დასავლეთისკენ განაგრძეს გზა. დანაკარგს არაფრად მიიჩნევდნენ. ნადავლიც ეცოტავათ, მაგრამ წინ კიდევ რამდენიმე, უფრო დიდი და მდიდარი ქალაქი ეგულებოდათ და ახლა იქით რბოდა მათი ხარბი და დაუნდობელი გონება.
> რუსთავი კი გამალებით იწვოდა და იფერფლებოდა. ძე-ხორციელი აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ცეცხლი ჩაექრო და რაიმე მაინც გადაერჩინა“.[1]

აღსანიშნავია, რომ ავტორი ქალაქ რუსთავში არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა და ქალაქის მუზე-

---

[1] *ლომთათიძე გ., ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, („ვახტანგ გორგასალი უჯარმაში“ და „რუსთავის შავი ორშაბათი“), ჟ. „მნათობი“, №1, 1975, გვ. 152-155.*

უმის დაარსების ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორიც თავად იყო. ქალაქის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული დღის გაცოცხლებას იგი აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეეცადა. ეპოქისათვის დამახასიათებელი გამოგონილი სახელებითა და სისასტიკით გამორჩეული სცენების აღწერით ავტორის მიზანი უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება დასამახსოვრებელი გახადოს ისტორიული ქალაქის უკანასკნელი დღე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქ რუსთავის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევა მისი სახის წარმოდგენასა და ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. აღნიშნული მისი რეპრეზენტაციის განუყოფელ ნაწილად იქცა. გაუდაბურებული ველი და ისტორიული ნაქალაქარი სხვადასხვა ფორმით მოემსახურა რუსთავის მნიშვნელობის წარმოჩენას ქართული საზოგადოების თვალში. აღნიშნული საკითხი ბუნებრივად უკავშირდება სისტემის ლეგიტიმაციას, რომელიც ქალაქის მშენებლობით ქვეყანაზე მზრუნველად და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის შემოქმედად წარმოაჩენს თავს. ამდენად, ადგილის შერჩევის საკითხი რუსთავის ურბანული ნარატივის განუყოფელი ნაწილი ხდება, რომელიც შესაბამის გავლენას პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ინარჩუნებს.

მუზეუმი, როგორც ადგილი-ისტორია
და ისტორიის ადგილი

ქალაქ რუსთავში მუზეუმის დაარსება 1950 წელს პრაქტიკულად წინ უსწრებს იქ მოსახლეობის გამოჩენას. ამ დროისათვის ქალაქში მხოლოდ რამდენიმე საერთო საცხოვრებელი დგას, სადაც ძირითადად ჩამოსული მშენებლები ცხოვრობენ. ჯერ კიდევ „ცარიელ“ ქალაქში მუზეუმს სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა შეესრულებინა ერთდროულად აღენუსხა და წარმოეჩინა მიწისქვეშა და მიწისზედა ქალაქის პარალელური მშენებლობა. მუზეუმის პირველი ექსპონატების აღმომჩენნი, პირველი არქეოლოგები სწორედ მუშები იყვნენ, რომლებიც საძირკველს უყრიდნენ ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობას. ამდენად, რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შეიძლება ითქვას, რომ საკვანძო ადგილს იკავებს ქალაქის რეპრეზენტაციაში. სწორედ მუზეუმი უნდა გამხდარიყო ის ადგილი, სადაც წარსული და აწმყო ერთმანეთს შეხვდებოდა, სადაც ქალაქის ყველაზე დამაჯერებელ ისტორიას მოგვიყვებოდნენ ფაქტებითა და არგუმენტებით არქეოლოგიური არტეფაქტების სახით.

მუზეუმის კონცეფცია სწორედ ორი რუსთავის წარმოჩენის აუცილებლობაზე აიგო, პირობითად რომ ვთქვათ, რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი. ექსპოზიციებიც შესაბამისად განლაგდა, ერთი მათგანი ქალაქის ვრცელ ისტორიის ძვ. წ. XV საუკუნიდან გვიან შუა საუკუნეებამდე მოგვითხრობს, ხოლო მეორე სოციალისტური რუსთავის მშენებლობის მემატიანედ გვევლინება. ამგვარად

მუზეუმი აერთიანებდა და კრავდა ქალაქის განსხვავებულ ხედვას ერთ ისტორიად. მხოლოდ მას შეეძლო ასე ერთიანად წარმოეჩინა ქალაქის ტრაგიკული წარსული და ტრიუმფალური სვლა მომავლისაკენ. მუზეუმის საშუალებით ახალ ქალაქს ადგილი მოეძებნა საქართველოს ისტორიაში და, ამავდროულად, მის გაგრძელებად ქალაქის ინდუსტრიული პროფილი დასახელდა.

ქალაქის ორი სახის ერთიანობაზე საუბრის შესაძლებლობას რუსთავის მუზეუმის ექსპონატების საშუალებით ვხვდებით სხვადასხვა სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებშიც.

> „მუზეუმი ძირითადად ორი – რევოლუციამდელი წარსულის და საბჭოთა პერიოდის განყოფილებისგან შედგება. განყოფილებაში წარმოდგენილია მრავალი ექსპონატი, რომლებიც წარმოგვიდგენენ რუსთავს, როგორც უძველეს ციხე-ქალაქს..... გავიდა საუკუნეები და, აი, დადგა რუსთავის ახალი განთიადი. აქ, ამ ძველ ქართულ მიწაზე, მოვიდნენ მშენებლები, საბჭოთა ადამიანები. წამოიმართა ახალი რუსთავი. მუზეუმის პირველი სართულიდან ადიხართ მეორე სართულზე „საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში.“ აქ გამოფენილი სურათები, მაკეტები და დიაგრამები მეტყველებენ რუსთავის ახალ ისტორიაზე .“[1]

---

[1] *თევზაძე გ., რუსთავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 38, 1953, გვ. 66.*

ამ ფორმით შეკრული ნარატივი სწორედ იმ მასალას ქმნის, რომელიც უკვე უნდა აისახოს სამეცნიერო და მხატვრულ ტექსტებში, შემდგომ კი კოლექტიური მეხსიერების ნაწილად იქცევა.

რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა არა მხოლოდ გააერთიანა ნარატივი ქალაქის განსხვავებული წარსულის შესახებ, არამედ რეალობის ასახვის განსხვავებული განზომილებაც შემოიტანა და საზოგადოებას შესთავაზა, როდესაც მუზეუმში ცოცხალი ადამიანების ფოტოები გამოფინა. თანამედროვე ადამიანების ფოტოების გამოფენით მუზეუმმა რამდენადმე ამოაყირავა მაშინდელი საზოგადოების წარმოდგენები ისტორიისა და გმირების შესახებ. იგი ქალაქის არა მხოლოდ გაფეტიშებულ წარსულს აფასებდა და უმკვიდრებდა ადგილს საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ აწმყოც მისივე გააზრების ნაწილად აქცია. თანამედროვე პროცესებისადმი ამგვარი დამოკიდებულება მუზეუმის დამთვალიერებელს არჩევანს არ უტოვებდა, არ აღფრთოვანებულიყო მოცემულობით, რომელიც მის წინ და მასთან ერთად იქმნებოდა.

> „მუზეუმში გამოფენილია ქალაქის მოწინავე ადამიანების პორტრეტები, მათ შორის, მეექსკავატორე ვახტანგ მაღულარიასი, რომელმაც ათი წლის წინ ამოიღო პირველი ციცხვით რუსთავის მიწა; კალატოზ კონსტანტინე ლიხოტასი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პირველ საცხოვრებელ სახლს რუსთავში; მეფოლადე შალვა კუხალეიშვილისა, რომელმაც აქტი-

ური მონაწილეობა მიიღო პირველი ქართული ფოლადის გამოდნობაში“.[1]

ამგვარად, მუზეუმში წარმოდგენილი ადამიანები იმავე ქალაქში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. მათი ნახვა მეზობლებს, თანამშრომლებს, ოჯახის წევრებს, ნათესავებსა თუ თანამოქალაქეებს მუზეუმის გარდა სახლში, სამსახურსა და ქალაქის ქუჩებშიც შეეძლოთ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მუზეუმს რეკორდული რაოდენობის მნახველები ჰყავდა გახსნის დღიდან. რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ოფიციალურად, 1953 წლის 1 მარტს, გაიხსნა. გაზაფხულის პირველ დღეს მუზეუმის გახსნა, ასევე გარკვეული სიმბოლურობის მაჩვენებელი შეიძლება ყოფილიყო, თუმცა, უფრო არსებითი მაინც მუზეუმის კარის ფართო გაღება იყო მნახველთათვის. გახსნიდან სამ წელიწადში მუზეუმი 60 ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა ინახულა. მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნი საინტერესო ჩანაწერებს ინახავს, მათ შორის თავად მნახველთა ვინაობის შესახებ. მათ შორის არიან: დიასახლისები, სკოლის მოსწავლეები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები, ასპირანტები, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურის სამსახურის თანამშრომლები, საოსტატო სკოლის მასწავლებლები და სხვა მრავალი. დამთვალიერებელთა მრავალფეროვნების მიუხედავად მათი

---

[1] *თევზაძე გ., რუსთავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 38, 1953, გვ. 66.*

შთაბეჭდილებები თვისობრივად მსგავსია. მაგალითად, გახსნიდან მესამე დღეს მუზეუმს სწვევიან ქალაქის მკვიდრი დიასახლისები. მათ ჩანაწერში ვკითხულობთ:

> „ვინახულეთ ჩვენი ქალაქის მუზეუმი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ძველი ქართული ქალაქის ასახვამ და იმ ბუმბერაზულმა სხვაობამ, თუ რა ჩქარი ტემპით აღსდგა განახლებული ქალაქი, ჩვენი ქვეყნის სიამაყე“.[1]

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივის მიერ შთაბეჭდილებების წიგნში გაკეთებულ ჩანაწერში კი ვკითხულობთ:

> „ქართული კულტურის ერთ-ერთ ძველ კერაზე ახალი, სოციალისტური სამრეწველო ქალაქის აღმოცენება და მისი განმაცვიფრებელი განვითარება საუკეთესო მაჩვენებელია სტალინურ ეპოქაში საბჭოთა საქართველოს ნამდვილი აყვავებისა“.[2]

შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად მსგავსი პათოსის, შინაარსის მქონე ჩანაწერს ვხვდებით ქალაქში მცხოვრები დიასახლისებისა და სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლების წერილებშიც. ამის საილუსტრაციოდ კიდევ ორ

---

[1] *რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. შთაბეჭდილებების წიგნი. გრიგალაშვილი ნ., კობაძე მ., 1953.*

[2] *რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. შთაბეჭდილებების წიგნი. „მუზეუმის კოლექტივის სახელით“. პაპავა ვ., 1953.*

ჩანაწერს მოვიხმობ, პირველი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებს ეკუთვნის, ხოლო მეორე – რიგით დამთვალიერებლებს:

> „მუზუმში გამოფენილი ექსპონატები ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენენ რუსთავის დიდი კულტურული წარსულისა, ბრწყინვალე აწმყოსი და დიადი მომავლისა“.[1] (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით კასრაძე 1953).

მუზეუმის რიგითი დამთვალიერებლების შთაბეჭდილებები კი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

> „15 მარტს დავათვალიერეთ ქ. რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ჩვენში კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ძველმა რუსთავმა, მაგრამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ახალ რუსთავმა, რომელიც სტალინურ ეპოქაში არის აშენებული.“[2]

მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის ჩანაწერების წიგნის შთაბეჭდილებები განსხვავებულ სოციალურ, პროფესიულ თუ ასაკობრივ ჯგუფს ეკუთვნის, ისინი, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსს შინაარსს გადმოგვცემენ მიმსგავსებული ვა-

---

[1] *რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შთაბეჭდილებების წიგნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა სახელით, კასრაძე თ., 1953.*

[2] *რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შთაბეჭდილებების წიგნი, ჯანაშია ე., კორთსანჯია ო., დაუშვილი თ., ხარშილაძე ლ. 1953.*

რიაციებით. ყოველ მათგანში აღნიშნულია ქალაქ რუსთავის შორეული წარსულის მნიშვნელობა და კიდევ უფრო საგულისხმო დღევანდელობა, რაც აშკარა კონტრასტს ქმნის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. მათდა უნებურად ან, შესაძლოა, სრულიად განზრახ ისინი ადარებენ ისტორიულ ეპოქებს და უპირატესობას მათთვის ახლოს მყოფ აწმყოს ანიჭებენ, სადაც შესაძლებელი გახდა იმავე შორეული წარსულის აღმოჩენა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტად იქცა ქალაქის რაობის წარმოსაჩენად. რუსთავის რეპრეზენტაციაში არსებით როლს ქალაქის მუზეუმი თამაშობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატუსს იგი დღემდე გარკვეული ისევ ფორმით. სწორედ მუზეუმში დაცული ექსპონატების საშუალებით არის შესაძლებელი იმ ნარატივების ჩამოყალიბებაზე თვალის გადევნება, რომელიც ქალაქის კონტრასტულ, თუმცა ერთიან ბუნებას ქმნის.

შოთას ქალაქი

შოთა რუსთაველის დაკავშირება ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავთან კომუნისტებისათვის ნამდვილ საცდურად იქცა. რუსთავის მშენებლობა საქართველოში საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ამიერკავკასიაში მძლავრი მეტალურგიული ცენტრის ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ვინაიდან მხოლოდ ინდუსტრიალიზაცია კომუნისტებისათვის ქალაქის რეპრეზენტაციისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, კომუნისტებმა რუსთავის გარშემო ნაციონალური ნარატივების ჩამოყალიბება-შექმნაზეც იზრუნეს. ერთ-ერთ ასეთ მძლავრ ნარატივად შეიძლება ჩაითვალოს შოთა რუსთაველის სახელის დაკავშირება რუსთავთან.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის შექმნის დღიდან იქვე ფუნქციონირებას იწყებს ბიბლიოთეკა და ლიტერატურული წრე, სადაც მეტალურგები მძიმე ფიზიკურ შრომასთან ერთად, ინტელექტუალურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ლექსის წერა მეფოლადეებისათვის, ერთი მხრივ, ქალაქის ყველაზე საამაყო მკვიდრისათვის პატივის მიგებას და, მეორე მხრივ, ყველა შრომისა და საქმიანი შესაძლებლობის გათანაბრებას გულისხმობდა. მეტალურგიულ ქარხანაში დასაქმებულთა პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები კრებულში, „რუსთავის ჩირაღდნები“ (1958 წელი) გამოჩნდა, რომელსაც მოჰყვა შემდგომი („მზე შინა“ 1961 წელი). განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ლიტერატურული ალმანახი „რუსთავის ჩირაღდნები“, რომელშიც შოთა რუსთაველთან დაკავშირებით რამდენიმე საგუ-

ლისხმო რეფლექსიას ვხვდებით. ამის ერთ-ერთ მაგალითად ალექსანდრე ჯახუას ლექსი, „სამელნე“, გამოდგება, რომელსაც მინაწერი ახლავს. მინაწერიდან ვიგებთ, რომ რუსთავის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია უძველესი სამელნე, რომელიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. სწორედ სამელნეს მფლობელი გამხდარა ავტორისათვის შთაგონების წყარო. ლექსის ძირითადი პათოსი გამოხატავს პოეტის მოკრძალებასა და პატივისცემას სამელნეს სავარაუდო მფლობელის მიმართ. ლექსის ბოლო სტრიქონებში ავტორი მკითხველს პირდაპირ მიმართავს, რომ არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მას ამ სამელნესთან სწორედ შოთა რუსთაველი გაახსენდა.

„ჩაჰყვა მიწაში უთქმელი სევდა...
და მიმიხვდებით, ამ სამელნესთან
ვინ მომაგონდა, ვინ გამახსენდა!..[1]

კრებული, შედგენილობის თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვანია, იმის მიუხედავად, რომ მცირე მოცულობისაა (სულ 86 გვერდი). ჟურნალში გამოყოფილია რუბრიკები, მათ შორისაა საბავშვო ლექსები. ამ ნაწილში ვხვდებით იპოლიტე შავლოხაშვილის ერთ საგულისხმო ლექსს, რომლის სათაურია „ხუმრობით ვეტყვი ბიჭებს“. ლექსი დიალოგის პრინციპზეა აგებული, ავტორი ხალისიან პატარა ბიჭს თავდაპირველად სადაურობას ეკითხება, ბიჭი პასუ-

[1] *ჯახუა ა., „სამელნე“, „რუსთავის ჩირაღდნები“, მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული ალმანახი, №1, 1958, გვ. 39.*

ხობს, რომ იგი „რუსთაველია“, შემდეგი კითხვა კი არის, თუ რას ეძახიან მას. ამაზე კი თავად პოეტს მოვუსმინოთ:

„ – შოთას მეძახის დედა. –
თქვა და ბიჭუნა უცებ გამშორდა,
შორიდან ხელებს მიქნევს.
აქ დაკარგული მგოსნის ბავშვობა
მას უპოვნია იქნებ?!
სულ სხვანაირი ვიგრძენ სუნთქვა მე
მივდევ ...
ვეწევი...
ვიჭერ...
იცნობდეთ ყმაწვილ შოთა რუსთაველს, –
ხუმრობით ვეტყვი ბიჭებს.[1]

ამ საყმაწვილო, დასამახსოვრებელი ლექსით ავტორი შეეცადა ბავშვის სახელის გენიალურ პოეტთან ფორმალური დამთხვევით, არსებული მოცემულობისათვის ახალი შინაარსი შეეძინა და მკითხველში გამოწვეული ასოციაცია კიდევ უფრო გაემძაფრებინა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სახლთან არსებული ლიტერატურული გაერთიანება 1966 წელს აქვეყნებს მხატვრულ-ლიტერატურულ კრებულს „შოთაის მიწის ლხენამა“. მრავლისმეტყველია თავად პუბლიკაციის დასათაურება, რომელიც გარკვეულ მოლოდინებსა და ასო-

---

[1] *შავლოხაშვილი ი., ხუმრობით ვეტყვი ბიჭებს, „რუსთავის ჩირაღდნები“, მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული ალმანახი, 1958, გვ. 29.*

ციაციებს ბადებს მკითხველში, შოთა რუსთაველის „მიწის“, მისი სადაურობის დაზუსტებასთან დაკავშირებით. წიგნის წინათქმაში ვკითხულობთ:

> „უსაზღვრო, უნაპირო ა ჩვენი სიხარული, სიამაყე: დიდებულად ვზეიმობთ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს“.

შემდგომ რედაქტორი საუბრობს პოეტის, შოთა რუსთაველის, სრულიად განსაკუთრებულობაზე როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მას თითქოს და ზედმეტადაც მიაჩნია მსჯელობა პოეტის სადაურობაზე, თუმცა, მაინც საჭიროდ თვლის, ამ საკითხზე გაამახვილოს ყურადღება. მისი მსჯელობა ასე ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ, არ აქვს მნიშვნელობა, შოთა რუსთაველი მესხეთიდანაა თუ ჰერეთიდან, მთავარია, რომ იგი ქართველია, კაცური კაცია და გენიალური ნაწარმოების ავტორია, რომლის ბადალიც მსოფლიო ლიტერატურას არ მოეპოვება. ამასთან, მაინც შეახსენებს მკითხველს, რომ განსაკუთრებით რუსთაველელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანამემამულის სადაურობას და ამის გათვალისწინებით მოჰყავს ციტატა სტაბილური სახელმძღვანელოებებიდან[1], რომელზედაც თაობები აღიზარდა:

> „საქართველოში ცნობილია ორი რუსთავი: ერთი რუსთავი მესხეთშია, მეორე კი თბილისის ქვემოთ

[1] *ასე მოიხსენიებს სასკოლო სახელმძღვანელოებს კ. მუმლაძე.*

> მდებარეობს, მტკვრის პირად. ვფიქრობთ, რომ შოთა იმ რუსთავიდან იყო, სადაც ამჟამად დიდი მეტალურგიული ქარხანაა.“ და ვიდრე რაიმე ხელშესახები წყარო არ აღმოჩენილა, საწინააღმდეგოს მტკიცებას, რბილად რომ ვთქვათ, აზრი არა აქვს“.[1]

ამგვარად, კრებულის რედაქტორი შესავალ ნაწილში ასაბუთებს რუსთაველის წარმომავლობას ინდუსტრიული რუსთავის სასარგებლოდ და გენიალური ქართველი პოეტი დისკუსიაში შემოჰყავს მუშა-პოეტებთან. კრებულში წარმოდგენილ ავტორებსა და მათ ნამუშევრებს, იგი, როგორც ტრადიციის გაგრძელებას, ისე განიხილავს, რომელსაც საფუძველი ამავე მიწაზე თავად რუსთაველმა დაუდო. ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ, ამ კრებულის მაგალითზე, ლიტერატურის აღორძინებასა და განვითარებაზე იზრუნა. ამ პროექტის ნაწილს წარმოადგენს ხალხის ფართო მასებში მხატვრული ნიჭიერების გამოვლინების წახალისება და სწორედ მათ შემოქმედებას წარუდგენს საზოგადოებას ამ კრებულის სახით. ავტორთა უმრავლესობისათვის ლექსის წერა არა ძირითად საქმეს, არამედ თავისუფალი დროის ალტერნატიულად გამოყენების საშუალებას წარმოადგენდა. ამდენად კრებულში დაბეჭდილი ავტორები ძირითადად რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშრომელები იყვნენ.

ქარხნისა და მუშა-პოეტების ლიტერატურული ტრადიციის თავისებურ განვითარებასა და გაგრძელებას 1998

---

[1] *მუმლაძე კ., რედ. შოთაის მიწის ლხენამა. რუსთავი: მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული გაერთიანების ლიტერატურულ-მხატვრული კრებული, 1966, გვ. 3.*

წელს, ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველის“ პოეტური კრებული, „ვარ რუსთაველი“, წარმოადგენს. იგივე ავტორები ახალ რეალობაში იმავე თემებზე საუბრობენ ლექსებითა თუ პროზაული ტექსტით. კრებულის შესავალში, ბუნებრივად ვხვდებით ლიტერატურისა და რუსთავის მიწის მჭიდრო კავშირზე აქტიურ მსჯელობას. მიუხედავად იმისა, რომ კრებულის წინათქმაში შოთა რუსთაველის წარმომავლობაზე მტკიცებით ფორმაში არაა საუბარი, ეს აზრი იმპლიციტურად მაინც დომინირებს. ამ შემთხვევაში რედაქტორი ქალაქში ახლი ლიტერატურული ტრადიციების ჩამოყალიბებაზე, აკეთებს აქცენტს.

> „ღვთის განგება გახდათ საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს ქართველი კაცის შემობრუნება ნაქალაქარზე, რაც დიდი მამულიშვილების შორის გახედვა-განჭვრეტითა და ძალისხმევით მოხდა.
> რუსთავის პირველ მშენებლებს, პირველ მეტალურგებს, ქიმიკოსებსა და მეცემენტეებს პირველი მელექსე-მოშაირენიც ჩამოჰყვნენ. რუსთაველის ნატერფალზე კვლავ ძარღვიანი ქართული სიტყვა ისმის.
> მხატვრული სიტყვის დიდოსტატები – გალაქტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე რუსთავის ხშირი სტუმრები იყვნენ და ღირსეულადაც აფასებდნენ ჩვენი სამშობლოსათვის უკანასკნელ ასწლეულში ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს – იავარქმნილი ქალაქის ხელმეორედ შობას“.[1]

---

[1] *ახვლედიანი ს., ვარ რუსთაველი, ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია "რუსთაველის" ლიტერატურული კრებული, რუსთავი, 1998, გვ. 3.*

შემდგომ რედაქტორი საუბრობს ქალაქის განსაკუთრებულობაზე, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა. ამგვარად, იგი რუსთავს ცისარტყელას ადარებს, სადაც ქართული სული და გენი ალმასივით ელვარებს.

კრებულის პირველი გვერდები რუსთაველ პოეტს, სილოვან ახვლედიანს, ეთმობა, რომლის მოღვაწეობის პერიოდი პირდაპირ ემთხვევა ქალაქის დაარსებას. მის შესახებ ვკითხულობთ:

> „რუსთავის დაარსების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ემთხვევა ამ ქალაქში პოეტ სილოვან ახვლედიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის 50 წლისთავიც“.[1]

იქვე ვგებულობთ, რომ იგი ძირითადად იყო დაკავებული პუბლიცისტიკითა და სარედაქციო საქმიანობით, ხელმძღვანელობდა ლიტერატურული გაერთიანების პოეზიის სექციას, რომელიც ფუნქციონირებდა მეტალურგიული კომბინატის კულტურის სასახლის ბაზაზე. იგი იყო ომისა და შრომის ვეტერანიც. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი პირველი ლექსი ამ კრებულში სწორედ შოთა რუსთაველს ეძღვნება. ლექსის სახელწოდებაა „სიზმარი რუსთაველთან შეხვედრისა“. ლექსში პოეტი მოგვითხრობს სიზმრის მეშვეობით თავის ემოციურ შეხვედრას დიდ პოეტთან, რომელიც ქალაქს ღამით ესტუმრა. პოეტი მისივე სახელობის ქუჩით

---

[1] *ჯახუა გ., რედ. ვარ რუსთაველი, ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია "რუსთაველის" ლიტერატურული კრებული, რუსთავი, 1998.*

შემოდის ქალაქში, რომელსაც ეძინა. მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მთვარე უნათებს მას გზას. ავტორი აღწერს მღელვარებას, რომელსაც დიდი პოეტი ქალაქის ხილვისას გამოხატავს:

„მერე ანაზდად დაუნამა კურცხალმა თვალი,
ჩანდა, ახალ დარს შეუდარა ძველი ავდარი
და მითხრა: „მოველ, რომ მეტირა ქალაქი მკვდარი,
ის კი დამიხვდა, ვით იესო, მკვდრეთით აღმდგარი.
შორეთში წასულს არ მქონია ტვირთი სხვა რამე,
აქ დარჩა ჩემი ნაკალმარიც, ჭერიც, ტყე-ველიც,
პალესტინაში მე წავიღე მხოლოდ ვარამი
და ცრემლნი ქრისტეს სამშობლოში დასანთხეველი“.[1]

შემდგომ ავტორი რუსთაველს ათქმევინებს, რომ მისი წასვლის შემდგომ ამ მიწაზე 700 წლის მანძილზე ლექსი არ დაწერილა. მისივე თქმით, სწორედ ლექსის ავტორი (სილოვან ახვლედიანი) იყო ამ მიწაზე პირველი მგოსანთა შორის, რომელსაც წილად ხვდა უფლის ჯილდოს სახით, მისია, დაეწერა პირველი ლექსი. რუსთაველი ავტორის ენით საუბრობს პოეტების მისიაზე ზოგადად საზოგადოებაში და ტრადიციის გაგრძელების აუცილებლობაზე. სწორედ რუსთაველისგან იღებს დარიგებებს ლექსის ავტორი, თუ რაზე და როგორ უნდა წეროს. დასასრულს, პოეტი შოთა რუსთა-

---

[1] *ახვლედიანი ს., ვარ რუსთაველი, ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია "რუსთაველის" ლიტერატურული კრებული, რუსთავი, გვ. 6,1998.*

ველს, როგორც საქართველოს მგოსანთა მამად იხსენიებს და ემოციურად გამოეთხოვება მას.

ამ კრებულის შემთხვევაში აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ იგი დაბეჭდილია უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, შესაბამისად, რელიგიური პათოსის გაძლიერება აშკარად იგრძნობა, რაც რამდენადმე სიახლეა. თუმცა მთლიანობაში თუ განვიხილავთ კრებულს, აშკარა ინერცია აღინიშნება. ამ ფორმით სოციალისტური ქალაქის ლიტერატურული ტრადიცია და ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდება უახლეს წარსულზე კრიტიკული რეფლექსია და მისი რევიზიის მცდელობები.

საბჭოთა ინერციითა ნაკარნახევი, აღნიშნული კრებულის იდეაც ზოგადად. წინამორბედი პუბლიკაციების მსგავსად, ისიც ლიტერატურის, როგორც საყოველთაო საქმიანობის წარმოჩენას ემსახურება. მშრომელი ხალხისთვის პოეტური ფორმების ძიება, მოიცავდა დამოკიდებულებას ადგილისადმი, სადაც მეფოლადეები და პოეტები ერთად მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ ახალ დროს. ამგვარად, თავს მოვალედ მიიჩნევდნენ, საკუთარი პატივისცემა გამოეხატათ რუსთავის საამაყო მკვიდრისა და საქართველოში ყველაზე დიდი მწერლისადმი.

რუსთაველ მწერლებსა და მწერლობაზე საუბარი, წარმოუდგენელია, კარპე მუმლაძის გარეშე, რომლის შემოქმედება მთლიანად რუსთავს, მისი დროის გმირებს, მეტალურგების, ქიმიკოსებისა და სხვა მშრომელთა ყოფის წარმოჩენას ეთმობა. მას საპასუხისმგებლო პოზიცია ეკავა, მეტალურგიულ ქარხანასთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. უმეტესწილად

სწორედ მას უკავშირდება რუსთავში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები. იგი იხსენებს, როგორ დაავალა გიორგი ლეონიძემ მას რუსთავში ჩასულიყო და იქ მშრომელთა გვერდით ეცხოვრა, რათა გაეზიარებინა და შეეგრძნო ის რეალობა, რომელიც სხვებისთვის უნდა მოეთხრო.

> „თუ გინდა რამე გააკეთო, იქ უნდა იცხოვრო და იმუშაო. ეს მარტო შენთვის კი არაა საჭირო, ეს სჭირდება რუსთავსაც. გმირების გვერდით მწერლის ცხოვრება და მუშაობა – აი რა არის დამახასიათებელი ჩვენი დიდი დროისთვისო“.[1]

კარპე მუმლაძე, როგორც ტიპური საბჭოთა მწერალი სოცრეალიზმის ჟანრში წერდა, რასაც თავად დოკუმენტურ პროზას უწოდებს. მის ნაწარმოებებში ვხვდებით ახალი დროის გმირებს, მწერლის თანამედროვე მშრომელთა ცხოვრებასა და შრომით თავგადასავლებზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისეული რეფლექსია საკუთარი თავის შოთა რუსთაველთან. ერთ-ერთ მხატვრულ ნარკვევში, „ქართველი მეტალურგები“ ვკითხულობთ:

> „რომელი ერთი დავასახელო? სოციალისტური შრომის გმირები ვარდიშ კობერიძე თუ არჩილ ძამაშვილი? მეფოლადე ამირან ფანცულაია თუ რკინიგზელი თენგიზ მჭედლიშვილი? მილმგლინავი პეტრე ბენდიანაშვილი თუ ცვლის უფროსი ნოდარ კურატა-

---

[1] *მუმლაძე კ., მხატვრული ნაწარმოების გმირი – უმტკიცესი რვალისა, „მერანი“. თბილისი 1982, გვ 19.*

შვილი? თვითეული მათგანი არათუ ნარკვევის გმირად გამოდგება; მათზე პოემები უნდა იწერებოდეს, ასე ვთქვათ, რუსთაველის შაირით გაწყობილი“.[1]

შოთა რუსთაველის რუსთაველობის მტკიცებას, არა მხოლოდ რუსთაველი მწერლები, არამედ სხვა ცნობილი ქართველი პოეტებიც აქტიურად ცდილობენ. ამ იდეის მხარდასაჭერად შოთა რუსთაველი ხუტა ბერულავას თანამედროვე რუსთავში ჩაჰყავს. ლექსში „შოთა რუსთაველი რუსთავის მშენებლებთან“, სწორედ ამ იდეის რეპლიკაცია და მისი გამდიდრებაა. ლექსი შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ჟურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა. ამგვარად, დიდი პოეტი მოინახულებს მშობლიურ მხარეს და საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს იმ პროცესების მიმართ, რომლებიც ამ მიწაზე მიმდინარეობს. იგი რუსთაველებს ასე მიმართავს:

„– შემომეგებეთ, მანდ ვინ ხართ,
მე თქვენი შოთა მოვედი,
აღარ მეგონა, ამ მიწას
თუ თვალახელილს ვპოვებდი,
...
აწრთეთ ქართული ფოლადი,
ვითარ წინაპართ სცოდნიათ“.[2]

---

[1] *მუმლაძე კ., ქართველი მეტალურგები, თბილისი: საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, 1962, გვ. 4.*

[2] *ბერულავა ხ., შოთა რუსთაველი რუსთავის მშენებლებთან, ჟ. "დროშა" 1966, გვ. 15.*

ლექსის მთავარი გმირი, შოთა რუსთაველი, არამხოლოდ ადასტურებს ფაქტს საკუთარი წარმომავლობის თაობაზე, არამედ რუსთავის რეპრეზენტაციის სხვა ნარატივებსაც ამყარებს, კერძოდ, ხალიბთა ქართული წარმომავლობისა და მათი მემკვიდრეობის რუსთავში აღორძინების შესახებ.

შოთა რუსთაველის სახელი და მასთან დაკავშირებული ასოციაციები სოციალისტურ რუსთავში სხვადასხვა ნარატიული ფორმით გვხვდება, მაგ. სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში „საბჭოთა საქართველო“ მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანების შესახებ, რომლებიც რუსთავში ახალი ცხოვრების დასაწყებად ჩამოვიდნენ. ფილმი გვაცნობს მეტალურგ ბერძენიშვილსა და მის ოჯახს. მშენებარე ქალაქის ხედების შემდეგ, კადრში ჩნდება მამაკაცი, რომელიც საწერ მაგიდასთან ზის და წიგნს ათვალიერებს. შემდეგ უკვე გამოჩნდება მისი მეუღლე და ორი შვილი. კადრებს ედება ხმა, რუსულენოვანი მთხრობელი გვიყვება, რომ ესაა მეტალურგი ბერძენიშვილი, თავის ახალ სახლში, რომ მას ჰყავს მეუღლე თამარი და ორი შვილი, ტარიელი და ავთანდილი. აქვე ვიგებთ, რომ იგი წარმოშობით გორის რაიონიდანაა, სადაც შვებულებებს ოჯახთან ერთად ატარებს ხოლმე. ფილმის რამდენიმეწუთიან მონაკვეთში სახიერად ლაგდება ინფორმაცია ახლად დაარსებული რუსთავ-ქალაქის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ ვიზუალური კუთხით თუ შევხედავთ, წარმოდგენილი პიროვნება უფრო მწერალს ან სხვა ინტელექტუალური საქმიანობით დაკავებულ ადამიანს მოგვაგონებს. ხოლო მისი ვაჟების სახელები პირდა-

პირ ასოციაციას ბადებს რუსთაველის პოემის გმირებთან. არც მეუღლის სახელის ხსენება უნდა იყოს შემთხვევითი. გარკვეული სიმბოლურობის მატარებელი უნდა იყოს მეტალურგ ბერძენიშვილის კავშირი ქალაქ გორთან, სტალინის დაბადების ადგილთან.[1]

შოთა რუსთაველის აქტუალობაზე ახალ საბჭოთა რუსთავში მიუთითებს კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, კერძოდ ის, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გაზეთ „მეტალურგში“ ხშირად ვხვდებით სტატიას, დასათაურებულს რუსთაველის ფრაზით. საგულისხმოა, რომ ამ სტატიებში საუბარია არა მწერლობასა და პოეზიაზე, არამედ ქარხნისა და მეფოლადეების ცხოვრებაზე. მოვიხმობ რამდენიმე მაგალითს, 1967 წლის 24 მარტის ნომერში ქვეყნდება სტატია სათაურით „სჯობს სახელისა მოხვეჭა...“

ნარკვევის ავტორი, ლ. თავაძე ავითარებს მოსაზრებას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესახებ, რაც, მისი აზრით, წინაპრებისგან მიიღეს და იმავე ღირებულებების დაცვას ავალებს კომუნისტური კოდექსი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გაატარონ.[2]

ამავე წლის 8 მარტის ნომერში კი გვხვდება სტატია სათაურით: „ლეკვი ლომისა სწორია ...“ ავტორი შრომაში დაწინაურებულ უამრავ ქალთაგან გამოყოფს ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში მომუშავე თამარ კაჭა-

---

[1] *ჯალიაშვილი ა., საბჭოთა საქართველო 1947 წელი, დოკუმენტური ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №7264, F6-47.*

[2] *თავაძე ლ., სჯობს სახელისა მოხვეჭა, გაზ. "მეტალურგი", 24 მარტი, 1967, გვ.4.*

ხიძეს და მისი მიღწევების შესახებ ამაღლებული პათოსით მოგვითხრობს.[1]

„მეგობრობა გზად და ხიდად ...“ ასეა დასათაურებული სტატია, სადაც საუბარია უკრაინელი და ქართველი მეტალურგების მეგობრობის შესახებ.

აქვე აღნიშვნის ღირსია, ის ფაქტიც, რომ გაზეთ მეტალურგში სისტემატურად იბეჭდებოდა ქარხნის თანამშრომელთა შემოქმედება. გაზეთებში გვხვდება პოეზიის გვერდი, რომელიც გაფორმებულია რუსთაველის ბარელიეფური პორტრეტით.

ამგვარად შოთა რუსთაველის წარმომავლობის რუსთავთან ასოცირება და მისი ინდუსტრიული ქალაქის მკვიდრად გამოცხადება ერთ-ერთ, ყველაზე დიდ შესაძლებლობად იქცა საბჭოთა რეჟიმისათვის. აღნიშნული თემა რუსთავში ლიტერატურული პროცესების ქვაკუთხედადაც მოგვევლინა. შოთა რუსთაველის რუსთაველობის საკითხი, რაც კომუნისტური მთავრობის მხარდაჭერით რუსთავის ურბანული ნარატივის ჩამოყალიბდა, ერთნაირი ენთუზიაზმით აიტაცეს როგორც ადგილობრივმა პოეტებმა, ასევე ჟურნალისტებმა, მეცნიერებმა და თავად რუსთავის მოსახლეობამაც კი. ძნელი წარმოსადგენია აღნიშნული სისტემის პროპაგანდის გარეშე მომხდარიყო, მისი იძულებისა და ზემოქმედების, თუმცა ისტორიას ცალკეული აქტორის მცდელობების სახით შემორჩა. შოთა რუსთაველის თემა ყველაზე ძლიერი არგუმენტი და გამართლება აღმოჩნდა რუსთავის განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად როგორც

---

[1] *მოდებაძე მ., ლეკვი ლომისა სწორია, გაზ. "მეტალურგი" 8 მარტი, 1967, გვ. 3.*

ქვეყნის შიგნით, ისე საბჭოთა კავშირის მასშტაბით. შოთა რუსთაველი, ქალაქის რეპრეზენტაციული ნარატივის ყველაზე არსებით ნაწილად შეიძლება განვიხილოთ საბჭოთა პერიოდში, იმის მიუხედავად რამდენად დამაჯერებლად გამოიყურება დღეს მსგავსი მტკიცება მოცემული ისტორიული ფაქტებისა და წყაროების ფონზე.

ხალიბების გახსენება და ქალაქის ეკონომიკური პროფილი

ქალაქ რუსთავის საპრეზენტაციოდ მისი ისტორიულ ნაქალაქარზე აღმოცენება სახელი და შოთა რუსთაველთან კავშირი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. ქალაქის ინდუსტრიულ პროფილსაც მოეძებნა ძირები და საფუძვლები საქართველოს შორეულ ისტორიაში, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და ძვ. წ. I ათასწლეულში მცხოვრებ ქართველურ ტომებთან, ხალიბებთან. ანტიკური ტრადიციის თანახმად, ხალიბები, მოსინიკები და თუბალები რკინის მეტალურგიის პიონერებად მიიჩნევიან. ისტორიოგრაფიაში აღიარებული ფაქტია, რომ ბერძნები ფოლადის წარმოების საიდუმლოს სწორედ ხალიბებისგან ეზიარნენ და შესაბამისად, რკინას მათი სახელით, (ხალიბიკოს) ანუ ხალიბურით, იხსენიებდნენ.[1] ხალიბების საკითხის გააქტიურება რუსთავის კონტექსტში თვალშისაცემ ფაქტად გვევლინება და თვისობრივად განსხვავებულ ვითარებას ქმნის ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიის განვითარების წარმოსაჩენად. ამგვარად, რუსთაველების ხალიბებთან ასოციაციით იქმნება ნარატივი, რომლის მიხედვითაც დაიწყება ქვეყანაში ტრადიციების აღორძინება.

შემთხვევითობას ვერაფრით დავაბრალებთ გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში“ გამოქვეყნებულ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას რეცენზიას გ. კვირკველიას მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომზე სათაურით: „ქართველი ტომების

---

[1] *ჩიტაია გ., ქართველი ტომების როლის აღიარება მელითონეობის ისტორიაში, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, №159, 1978. გვ. 3.*

როლის აღიარება მელითონეობის ისტორიაში“. წერილში ავტორი დეტალურად მიმოიხილავს ანტიკურ წყაროებში დასახელებულ ქართველურ ტომებსა და მათ მელითონეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც არამხოლოდ ქართველი მეცნიერების მიერაა აღიარებული. იგი ყურადღებას ამახვილებს გ. კვირკველიას მიერ მელითონეობის ისტორიაში ქართული კვალის გაანალიზებისა და სათანადო შეფასების მნიშვნელობაზე. ამ შემთხვევაში არსებითია ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ხასიათის წერილი ქვეყნდება გაზეთში, რომლის მკითხველთა წრეს ვიწრო სამეცნიერო ჯგუფი კი არა, გაცილებით ფართო აუდიტორია წარმოადგენს. ამდენად, ხალიბთა ღვაწლის აღიარებით არამხოლოდ ისტორიას ვაცოცხლებთ, არამედ აწმყოსაც ვეხმიანებით და ვქმნით ახალ რეალობას.

ქართველთა მეტალურგიული წარსულის გაცოცხლებისა და ქალაქ რუსთავის დაარსების რეპრეზენტაციის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ქართული მხატვრული ფილმი – „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ გამოდგება. აკაკი ბელიაშვილის ნაწარმოების – „ვეფხია ხალიბაურის“ მიხედვით გადაღებული ფილმი 1954 წელს გამოვიდა ეკრანებზე. ფილმის მთავრი გმირი ახალგაზრდა ვაჟი, ვეფხია ხალიბაურია. მოქმედება მთაში (ხევსურეთი) ვითარდება, ვეფხია საშუალო სკოლას ამთავრებს და, როგორც წარმატებული ყმაწვილი, ქალაქში აპირებს სწავლის გაგრძელებას. მას გაგონილი აქვს მეტალურგიული გიგანტის მშენებლობის შესახებ და საკუთარ მომავალს სწორედ მას უკავშირებს. სოფლის დატოვებამდე საცოლის ბაბუა მოუთხრობს მას, რომ მათ წინაპრებსაც სცოდნიათ მეტალის გამოდნობის

საიდუმლო, მაგრამ ავბედითი ჟამის გამო, მათ ეს ცოდნა დაუკარგავთ და სწორედ ახლა აქვთ შანსი მისი უკან დაბრუნებისა.

ვეფხია ჩადის ქალაქში[1], და იქ პროფესიულ სასწავლებელში შედის. ერთხელაც ვეფხიასა და მის ჯგუფელებს რუსთავის სანახავად წაიყვანენ. მივლენ და რას ხედავენ? ცარიელი ადგილი, უდაბური ველი... ყმაწვილები ვერ მალავენ გაკვირვებას და კითხულობენ თუ სადაა ქალაქი და ქარხანა? ამის შემდეგ სპეციალურად შერჩეულ ახალგაზრდებს რუსეთში, ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში აგზავნიან სასწავლებლად, საიდანაც ისინი, როგორც კვალიფიციური კადრები უკვე აშენებულ ქარხანასა და ქალაქში ბრუნდებიან. ამ პროპაგანდისტული ფილმის მიხედვით სახეზეა ნარატივის წყობა, რომელიც საქართველოს ისტორიაში პოვებს გამოძახილს, კერძოდ, უძველეს ხალიბურ ტომებთან. ფილმში აქცენტი ტრადიციის აღდგენა-დაბრუნებაზე კეთდება, ამჯერად „მოძმე“ რუსი ხალხის წყალობითა და მეშვეობით.

ხალიბების ხსენება რუსთავის მეტალურგიული პროფილის კონტექსტში ერთგვარ ნორმად იქცევა, იგი მეტაფორისა და სიმბოლოს ადგილს იკავებს სხვადასხვა საპრეზენტაციო ტექსტში. ასე მაგალითად ლ. ხარბედიას და გ. ჯახუას წიგნში „ხალიბთა მემკვიდრენი“.[2] საუბარია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორიასა და მის მუშებზე. შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის

---

[1] *იგულისხმება თბილისი.*

[2] *ჯახუა გ., იუბილარი ქალაქი, ჟ. „დროშა“, №7, 1978.*

მუშები და ქალაქის მუშათა ავანგარდი პირდაპირ ხალიბთა მემკვიდეებად არის დასახელებული. მხატვრული ფორმებით გადმოცემული რუსთავის რეალობა სიახლისა და სიძველის ნაზავს წარმოადგენს. იქ, სადაც ახალზეა საუბარი, აუცილებლად იხსენებენ ძველს.

> „ – დიახ, დღევანდელ რუსთავზე მოგახსენებდით, მაგრამ იყო ძველიც, ის ქალაქი ურიცხვ მტერთა ხელით მრავალგზის აღიგავა პირისაგან მიწისა“.[1]

სხვადასხვა ფორმით ხდება ქალაქის საწყისებში მდგომი იმ ადამიანების გახსენება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ახალი რეალობის შექმნასა და „ტრადიციების აღდგენაში“. ამ ტრადიციაში, რა თქმა უნდა, ფოლადის წარმოებაც იგულისხმებოდა.

> „იმდენად დიდი იყო ქართული ფოლადის ხელახლა და რაც შეიძლება ადრე დაბადების სურვილი, სიხარული და ენთუზიაზმი, რომ მარტენის ამუშავების მოლოდინში „მეტალურგმშენის“ მშრომელები და ქალაქის მუშა-მოსამსახურენი წინასწარ აგროვებდნენ ჯართს“.[2]

---

[1] *ხარბედია ლ., ჯახუა გ. ხალიბთა მემკვიდრენი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1984, გვ. 4.*

[2] *ხარბედია ლ., ჯახუა გ. ხალიბთა მემკვიდრენი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორიის ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984, გვ. 23.*

ფოლადის ხელახლა დაბადების მოლოდინზე აქცენტის გაკეთება, სხვა არაფერია თუ არა რუსთავის ხალიბური ნარატივის გააქტიურება საზოგადოებრივ დისკურსში, რომელმაც შესაბამისი განწყობები უნდა შექმნას და მეტალურგიის გამოჩენას საკუთარ მიწაზე კიდევ უფრო მეტი ფასი დაადოს.

შემეცნებითი ხასიათის პუბლიკაციას ვხვდებით ჟურნალ „პიონერში", სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული საქართველოს მიწაზე მეტალურგიის დაბადების წანამძღვრები, კერძოდ, თუ როგორ მოხდა უკაცრიელ ველზე გიგანტური მშენებლობების დაწყება. აქვე ვკითხულობთ, რომ ლითონის დამუშავებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, რასაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი მადნები ადასტურებენ. მეტი დამაჯერებლობისათვის იგი მოიხმობს კონკრეტულ ავტორებსა და წყაროებს „ძველი ბერძნები კარგად იცნობდნენ რკინის ხალიბურ მეტალურგიას. ფსევდოარისტოტელე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვა ავტორები ქებით მოიხსენიებენ რკინის დამუშავების ძველ ქართველ ოსტატებს. სტრაბონის ცნობით, ხალიბების მიერ დამზადებულ რკინას უცხოეთში დიდი გასავალი ჰქონია".[1]

ამგვარად პუბლიკაციის ავტორი ხალიბებს ძველ ქართველ ოსტატებად იხსენიებს და რომლებმაც აღიარება ბერძნებისაგან მიიღეს და მათ ნამუშევარს დიდი გასავალიც ჰქონია „უცხოეთში". საქართველოს ტერიტორიაზე

---

[1] *ლარცულიანი შ., მეტალურგიული გიგანტი (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად), ჟ. „პიონერი", №8, 1967, გვ. 1.*

მეტალურგიის განვითარების მასშტაბების საჩვენებლად ტექსტში მოხმობილია უამრავი სტატისტიკური მონაცემი, აღწერილია საამქროების ტექნოლოგიური მხარეები და, რაც მთავარია, მოთხრობილია ადამიანების შესახებ, რომელთა კავშირიც ხალიბებთან ეჭვს არ იწვევს. ავტორი ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ პუბლიკაციას ასრულებს სახელოვანი მეტალურგების დევიზით, რაც მეტი და მაღალი ხარისხით შავი ლითონის გამოდნობას გულისხმობს.[1]

ალ. ასლანიშვილის წიგნი სათაურით, „ხალიბური ფოლადივით უტყუარი“ (1984) რუსთაველების პირდაპირ დაკავშირებას ახდენს ხალიბებთან. წიგნში მოთხრობილია ახალი დროის ადამიანების შესახებ. წიგნის გმირების შერჩევის მთავარ კრიტერიუმად ავტორს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღების შესაძლებლობა აურჩევია, რომელიც საბჭოთა ადამიანებს მიეცათ. შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში განუზომლად გაიზარდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების მნიშვნელობა და ავტორიტეტი საზოგადოებაში. მისივე თქმით, განსაკუთრებულია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა წვლილი სახალხო მეურნეობაში. ამ წიგნის საშუალებით მის მიზანს ამ ადამიანების გაცნობა წარმოადგენს, რომელთა ნამდვილობა ხალიბურ ფოლადს მოგვაგონებს. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კუ-

---

[1] *ლარცულიანი შ., მეტალურგიული გიგანტი (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად), ჟ. „პიონერი“, №8, 1967, გვ. 3.*

რსდამთავრებულთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირებიც. აქვე მათ ზოგად დახასიათებისას ვკითხულობთ:

> „აი, ის ჭაბუკი, ფართო მხრების რხევით რომ მოაბიჯებს, წელან ღუმელთან იდგა და ფოლადს ადნობდა, ის გოგონა სულ ახლახან ცადაწვდენილი ამწეს კოშკურიდან ჩამოვიდა. იმ ჭაღარა კაცმა, მისალმებისას მთასავით ბიჭებმა ანთებული სიგარეტები მუჭში რომ დაუმალეს, მეორე ცვლაში გაკვეთილების გადაცემა დაამთავრა და ახლა სახლისკენ მიიჩქარის, ის მშენებლობიდან ბრუნდება, სწორედ ისინი არიან – ხალიბთა მოდგმა, ვისმა წინაპრებმაც 30 საუკუნე იქნიეს ხმალი და ჰოროლი, ისტორიის ქარსა და ცეცხლს გამოსტაცეს სამშობლო და ენა თვისი.“[1]

ამგვარად, ხალიბთა მემკვიდრე, მხოლოდ მეფოლადეები კი არა, რუსთავის მთელი საზოგადოებაა, განსხვავებული პროფესიებითა და საქმიანობით.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელთათვის შეიქმნა დასასვენებელი ცენტრი, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. ამ ადგილს მათ ხალიბაური უწოდეს. ამდენად, ხალიბთა სახელის მოხსენიებას განსხვავებულ კონტექსტებში შესაბამისი დატვირთვა მიენიჭა და საზოგადოების ისტორიულ მეხსიერებაზე გავლენის მოხდენის მცდელობადაც შეიძლება ჩავთვალოთ.

---

[1] *ასლანიშვილი ა., „ხალიბური ფოლადივით უტყუარი“. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1978, გვ. 28.*

შორეული წარსულიდან ხალიბთა საქმიანობის დაკავშირება რუსთავის მეტალურგიულ გიგანტთან, რუსთავის რეპრეზენტაციული ნარატივის ასევე საგულისხმო ნაწილად იქცა. ისტორიული ფაქტებით მანიპულაცია რეჟიმისათვის მნიშვნელოვან ლეგიტიმაციის იარაღს წარმოადგენდა. აღნიშნული ნარატივის მიხედვით ქართველებს ჰქონიათ გამოცდილება ფოლადის დამუშავებისა, რომელიც ისტორიული ქარტეხილების გამო, სამწუხაროდ, დავიწყებას მისცემია. ამავე ნარატივში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა რეჟიმმა უზრუნველყო ისტორიული ცოდნის დაბრუნება რუსთავში მეტალურგიის მშენებლობით.

სტალინის ფაქტორი რუსთავის შექმნაში

სტალინის პიროვნული ფაქტორის გაზომვა და მისი შეფასება ერთი შეხედვით მარტივი უნდა იყოს, როცა საქმე იმ ეპოქას ეხება, რომელიც მან თავად შექმნა. თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას არგუმენტების მოხმობას ის ფაქტი ართულებს, რომ მისი მოხსენიება, უკვე მის გარდაცვალებიდან მოყოლებული, ყველა ბეჭდური საშუალებიდან პრაქტიკულად ქრება. ამ შემთხვევისთვის შემორჩენილი მასალა, რომელიც ქალაქის მშენებლობის საწყისებს ასახავს და ქალაქის მშენებლობაში სტალინის პიროვნულ ფაქტორს საგანგებოდ გამოყოფს. ამის საილუსტრაციოდ 1949 წლის აგიტატორის ბლოკნოტიდან ციტატას მოვიხმობ, სადაც ქალაქისათვის ადგილის შერჩევასა და სტალინის პირად არჩევანზეა საუბარი.

> „ხუთი წლის წინათ რუსთავის ველი მწირი, შიშველი, უკაცრიელი იყო. არც ერთი შენობა, არც ერთი კარავი, რომ უამინდობისას კაცს თავი შეეფარებინა, იქ არ მოიძებნებოდა, გარდა ტიპიური პატარა საველე სარკინიგზო სადგურისა. ირგვლივ მრავალ ათეულ კილომეტრზე არც ერთი მცენარე არ იყო“.[1]

გაუდაბურებული ქალაქის სურათის დახატვის შემდგომ, მისი ისტორიულ წყაროებში მოხსენიების შესახებ

---

[1] *ლომთაძე დ., რუსთავი საქართველოს ინდუსტრიული სიამაყეა, ჟ. „აგიტატორის ბლოკნოტი“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალი, №2, 1949, გვ. 30.*

ვიგებთ, სადაც, როგორც ჩანს, სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა. ამას კი მოჰყვება, ავტორის თქმით, დიდი სტალინის ბრძნული მითითება, სწორედ აქ რუსთავის ველზე, ამიერკავკასიაში პირველი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყების შესახებ. გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთება პირველ რიგში, სტალინის ავტორიტეტითაა გამაგრებული, შემდგომში კი დეტალური საუბარი მოჰყვება ამიერკავკასიაში საწარმოო კვანძების განლაგების თაობაზე. ტექსტის ფინალურ ნაწილში კი ვკითხულობთ:

> „მეტალურგიული ქარხნის შექმნა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით შენდება, საქართველოს ბოლშევიკებისათვის უდიდესი საპატიო ამოცანაა“.[1]

ქართული მეტალურგიის სათავეში მდგომი ადამიანების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის ამოცანა აქვს დასახული წიგნის – „ქართველი მეტალურგები“, ავტორს. წიგნის შესავალი ნაწილიდან ვგებულობთ, რომ რუსთავისა და მეტალურგიის მშენებლობა სტალინის პირადი გადაწყვეტილება იყო, რომელიც ისტორიასა და არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარს ეფუძნებოდა. მისივე თქმით, სწორედ სტალინმა დაისახა მიზნად ახალი საბჭოთა ქალაქის აშენება, თავისი გიგანტური მეტალურგიული ქარხნით.

---

[1] *ლომთაძე დ., „რუსთავი საქართველოს ინდუსტრიული სიამაყეა“ ჟ. „აგიტატორის ბლოკნოტი“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალი, №2, 1949, გვ. 47.*

„ეს მიზანი საქმედ იქცა. სულ სხვაა რუსთავი დღეს, ყოფილი ბოსტან-ქალაქი, იგი თავისი შესანიშნავი ნაგებობით, გაშლილი მოედნებით, ბაღებით, სკვერებით, გაზონებით, ლარივით სწორი და ფართო ქუჩებით, ნამდვილ ახალი ტიპის კეთილმოწყობილ საბჭოთა ქალაქად გადაიქცა, ხოლო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც თვით ამ ქალაქისა და ქარხნის აშენების ინიციატორის ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს, საბჭოთა კავშირის სხვა ინდუსტრიულ ქარხნებს შორის ერთ-ერთ მძლავრ გიგანტურ წარმოებად არის ცნობილი.[1]

ერთი შეხედვით, სტალინის ფაქტორის წინ წამოწევა რუსთავის კონტექსტში, ბუნებრივი გვეჩვენება და საგანგებო ყურადღებას შეიძლება არ მოითხოვდეს. ამის მიუხედავად, საკითხს თუ უფრო ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ რუსთავის ნაციონალური დისკურსი მნიშვნელოვნად სწორედ სტალინის პიროვნებით არის გამაგრებული. ქალაქისათვის ადგილის შერჩევის საკითხის ინტერპრეტაციები ძირითადად სტალინის პიროვნული დამოკიდებულების ხაზგასმაზე კონცენტრირდება. სტალინის წარმომავლობა, მისი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის ისტორიისადმი და მისი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ხდება მნიშვნელოვანი ნარატივი ქალაქისათვის, რომელიც გამოხატავს რუსთავის მშენებლობის იდეასა და მისი განხორციელების გარდაუვალობას. ამ დამოკიდებულების მყისიერ რეაქციას

[1] *ღონღაძე შ., ქართველი მეტალურგები, თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა, 1955, გვ. 8.*

წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხნისადმი მისი სახელის მინიჭება, რომლის ხსენებაც ქართულენოვან ტექსტებში 1956 წლის შემდგომაც პასიური ინერციით გრძელდება. დიდი ბელადისათვის ზოგადად მეტალურგიის მნიშვნელობაზე მისი ფსევდონიმი სტალინიც მეტყველებს. სწორეს მის პატივსაცემად, 1950 წლის 29 აპრილს პირველი ნადნობი ფოლადისგან ბელადის ბიუსტის ჩამოისხა. სტალინის ბიუსტმა საპატიო ადგილი რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლებიდან ბეჭდურ მედიაში პრაქტიკულად ქრება სტალინის ხსენება, მეტალურგიული ქალაქის კონტექსტიდან ის არასდროს კარგავს კუთვნილ ადგილს. მეტიც შეიძლება ითქვას, რომ მან ყველაზე ღრმა კვალი დატოვა საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაზე, რუსთავის ნაციონალური დისკურსი კიდევ უფრო გააძლიერა. მისმა ფაქტორმა საგრძნობი გამოძახილი უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდში პოვა თუმცა არაერთგვაროვანი. სტალინის მიმართ დამოკიდებულება ქალაქის კონტექსტი განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

სტალინის პიროვნების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ქალაქის მკვიდრთა ის ნაწილი გამოხატავს, რომელიც აქ, ახალგაზრდობაში, ბედის საძიებლად ჩამოვიდა. ახლა, ისინი, ქალაქის უხუცესები არიან და მიაჩნიათ, რომ მათ უკეთ იციან თუ რატომ და როგორ აშენდა ქართული ქალაქი ამ ადგილას და რა იყო ბელადის რეალური ზრახვა. ორი მთხრობელი მინდა გავიხსენო, ერთი გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორი ბ-ნი გივი და მეორე კი

მეტალურგიული ქარხნის მაღალ პოზიციაზე მომუშავე პროფესიონალი მეტალურგი. როდესაც მათ შევხვდი ორივე მათგანი 70 წელს გადაცილებული იყო. მათ ნარატივებს ქალაქის შესახებ სტალინის პიროვნების ფაქტორის განსაზღვრა აერთიანებდა. მწერალი და გაზეთის რედაქტორი, ქალაქის დაარსების იდეას პირადად სტალინის ინიციატივასა და მისსავე გადაწყვეტილებას უკავშირებს. მისი აზრით სტალინმა კარგად იცოდა საქართველოს ვითარება და ყველაფერი გაითვალისწინა, ეკონომიკური სარგებლიდან დაწყებული, ქართული იდენტობის გამყარებით დამთავრებული. მისი აზრით, სტალინის სურვილი იყო ქართული ქალაქის მშენებლობა ამ რეგიონში. ბ-ნ პავლეც ხაზგასმულად აღნიშნავს სტალინის როლს გადაწყვეტილებაში საქართველოში აშენებულიყო მძლავრი მეტალურგიული ცენტრი. იგი გვიზიარებს ამბავს, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიაში უნდა აშენებულიყო მძლავრი მეტალურგიული საწარმო. როგორც მისთვის ცნობილი გახდა აზერბაიჯანი იყო დაინტერესებული ამ პროექტის მის ტერიტორიაზე განხორციელებით, თუმცა საბოლოოდ არჩევანი მაინც საქართველოზე შეჩერდა. აქ ჩნდება სტალინის ფაქტორი, რომელიც სამართლიან და ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებს. მისი აზრით, რომ არა სტალინი, საქართველო ასეთი სიდიდის პროექტს ვერასდროს განახორციელებდა. იგი საუბრობს რუსთავის ამიერკავკასიის მეტალურგიული ცენტრის გასაოცარ მასშტაბზე, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ეს ნამდვილი სასწაული იყო. მისივე თქმით, აგერ უკვე ამდენი წელია ანგრევენ მეტალურგიას და ვერ დაანგრიეს.

რუსთავის მშენებლობის კონტექსტი და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა ბუნებრივად დაუკავშირდა მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლების პირველ პირს, იოსებ ბესარიონის ძე სტალინს. გარდა იმ ფაქტისა, რომ ბელადის გადაწყვეტილებისა და უშუალო მონაწილეობის გარეშე მაშინ არაფერი ხდებოდა, მისი წარმომავლობა ამ მოცემულობას კიდევ უფრო ამყარებდა და ნაციონალურ ელფერს სძენდა. ამგვარად, სტალინის პიროვნული ფაქტორი რუსთავის ურბანული ნარატივის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

თავი მეორე

ქალაქ რუსთავი ინტერნაციონალური ნარატივები

ქალაქ რუსთავის მშენებლობის რეპრეზენტაცია კომუნისტურმა რეჟიმმა ნაციონალური ნარატივებით გაამდიდრა და ქართულ საზოგადოებას ინდუსტრიული გიგანტის მშენებლობასთან ერთად ისტორიული ქალაქის დაბადებაც ამცნო. როგორც უკვე დავინახეთ, მეტალურგიის მშენებლობამ ქართულ მიწაზე საქართველოს ისტორიიდან სხვადასხვა გამოძახილი პოვა, ხალიბების ვინაობით დაწყებული და მონღოლების შემოსევით დამთავრებული. ფორმით ნაციონალური პროექტი ახალი სისტემის მამოძრავებელი და მისი სიმბოლო უნდა გამხდარიყო. ამის მისაღწევად კი განსხვავებული ღირებულებათა სისტემა და ახალი იდენტობები უნდა ჩამოყალიბებულიყო, რასაც ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიის განვითარება და მუშათა კლასის გაძლიერება შეესაბამებოდა. ისტორიული ქალაქის აღორძინების იდეა და მასთან ასოცირებული ნარატივები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან, რის გაკეთებასაც კომუნისტები რეალურად ცდილობდნენ, ახალი ადამიანისა და ახალი საზოგადოების შექმნის სახით. ამ ამოცანების შესრულება

სისტემამ ინტელექტუალურ ელიტას სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენების გზით დააკისრა. სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა პოლიტიკურ სცენაზე ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ იქცა, რომელმაც საზოგადოებას ახალი რეალობის შესაბამისი ნარატივები შესთავაზა. სოციალისტური რეალიზმი ერთგვარ მანქანას მოგვაგონებს, რომელსაც საბჭოთა რეალობა სოციალიზმად უნდა გარდაექმნა, ხოლო სოციალიზმის სიმბოლური ღირებულებები ყოველდღიურობის დერეალიზებით ჩამოეყალიბებინა.[1] აღსანიშნავია, რომ სისტემის მიერ შემოთავაზებული განსხვავებული ნარატივები (ნაციონალური და ინტერნაციონალური) გვერდი-გვერდ მშვიდობიანად თანაარსებობდა, ვინაიდან ერთი პასუხს აგებდა რეალობის ფორმაზე, ხოლო მეორე მის შინაარსზე. ამ იდეოლოგიური ტექსტების უკან მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა იდგა, რომელიც ერთი მხრივ ქართველთა ნაციონალურ გრძნობებს უწევდა ანგარიშს ხოლო, მეორე მხრივ, ცხოვრების ახალი სტილის დამკვიდრებას ცდილობდა.

ახალი, განსხვავებული ცხოვრების სტილის მოდელირებისა და ტირაჟირებისათვის ყველაზე შესაფერი სივრცე, საბჭოთა სისტემისათვის, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა, ინდუსტრიული ქალაქი რუსთავი იყო. სოციალისტური რუსთავი საქართველოს სხვა ქალაქებისგან გამოირჩეოდა, როგორც მდებარეობით, ისე შემადგენლობით. ეს იყო ქალაქი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა თითქმის ან საერთოდ არ იყო სოფელზე და მიწის სამუშაოებზე დამოკი-

---

[1] *Dobrenko E., Political economy of Socialist Realism. 1st ed. London:Yale University Press New Haven, 2007, გვ. 161.*

დებული. ვინაიდან ქალაქი 1944 წელს, „ცარიელ ადგილზე“, ველზე გაშენდა, მისი მკვიდრნი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან, ძირითადად დაშორებული სოფლებიდან ჩამოვიდა, მათ ძველი ცხოვრების წესთან კავშირი გაწყვიტეს და მუშათა კლასში ჩაეწერნენ. ამგვარად, რუსთავი, როგორც მუშათა ქალაქი, საბჭოთა საქართველოში სანიმუშო ურბანულ სივრცედ ჩამოყალიბდა მძიმე მრეწველობის პროფილითა და მუშათა კლასის მაღალი კონცენტრაციით. რუსთავს, ხშირად მულტიკულტურული ხასიათის გამო ორმოცი ძმის ქალაქსაც უწოდებდნენ, რითაც იგი პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის მიკრო მოდელს განასახიერებდა. რუსთავის ამ სახით წარმოჩენის მცდელობას აქტიურად ვხვდებით მაშინდელ პერიოდიკაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. მჟავანაძე რუსთავის შესახებ წერს:

> „რუსთავი მრავალეროვანი ქალაქია, მეგობრობისა და ძმობის ქალაქი. ტყუილად კი არ ვუწოდებთ მას 40 ძმის ქალაქს. აქ ერთად ცხოვრობენ და ერთსულოვნად შრომობენ 40 ეროვნების წარმომადგენლები... შეიძლება სიამაყით ითქვას, რომ ამ ქალაქში როგორც მზე წყლის წვეთში, აისახა მთელი ჩვენი ცხოვრება, მთელი ჩვენი ქვეყანა, სადაც ერთიან, ერთსულოვან მრავალეროვან ოჯახში გაერთიანებულია დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი“.[1]

---

[1] *გელაშვილი ვ., რუსთავი მეგობრობისა და ძმობის ქალაქი. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 17 აგვისტო 1972. გვ. 3.*

მოხმობილ ციტატაში, ქვეყნის მაშინდელი პირველი პირი (ვ. მჟავანაძე) რუსთავს, როგორც იდეალურ ქალაქს, ისე წარმოადგენს, რომელიც საერთო, საბჭოთა მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამებოდა როგორც სიმბოლური, ისე ფაქტობრივი მონაცემებით. მოცემულ თავში რუსთავს განვიხილავ რეპრეზენტაციის არა მიზნად, არამედ საშუალებად. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს კვლევის შემდეგი მიმართულებები:

1) ქალაქის დასახელება და მისი ინტერპრეტაციის საშუალებები, რუსთავი – ორმოცი ძმის ქალაქი, რუსთავის სიმბოლური დატვირთვა და მისი ურბანული სივრცე, როგორც რეპრეზენტაციის ფორმა;

2) ახალი (საბჭოთა) იდენტობების ფორმირება და მათი ადგილი ტრადიციულ ღირებულებათა სისტემაში;

3) სოციალისტური შრომის გმირის წოდება, გზა რიგითობიდან ელიტარულობამდე. ელიტურობის საბჭოთა გაგება და შეუძლებლობის შესაძლებლობა;

ორმოცი ძმის ქალაქი

რუსთავს, როგორც ისტორიულ ქალაქს, ხშირად იხსენიებენ ბოსტან-ქალაქად, რომლის განადგურების არსებითი ნარატივი საქართველოში მონღოლების ბატონობის პერიოდს უკავშირდება და ქალაქის ძველ დიდებასთან ერთად მის ტრაგიკულ ბედსაც ასახავს. რაც შეეხება ისტორიული ქალაქის აღორძინების ნარატივს, XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან, აქ მისი ფორმულირება ამგვარის სახით გვხვდება: ორმოცი ძმის ქალაქი, ახალგაზრდობის ქალაქი, სიჭაბუკის ქალაქი, მეგობრობის ქალაქი, ძმობის ქალაქი, ხალხთა მეგობრობის ქალაქი და სხვ. ამ შემთხვევაში აქცენტი ქალაქის მრავალეთნიკურ და მულტიკულტურულ ხასიათზე კეთდება, რომელიც მის მკვიდრთა განსხვავებულობაზე მეტად, მათ შორის საერთოზე მიუთითებს, რადგან „ძმებსა“ და „მეგობრებზეა“ საუბარი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დასახელება „ორმოცი ძმის ქალაქი“, რომელიც ერთი შეხედვით ქალაქის ეთნიკურ შემადგენლობაზე შეიძლება მიგვითითებდეს. სინამდვილეში, ძნელი სათქმელია, თუ რა სახის კონკრეტული სტატისტიკური მონაცემი უდევს საფუძვლად რუსთავის ორმოცი ძმის ქალაქად მოხსენიებას. ამის მიუხედავად, სახელი, უდავოდ, ასახავს, ერთი მხრივ, ქალაქის მოსახლეობის ეთნო-კონფესიურ მრავალფეროვნებას და, მეორე მხრივ, სისტემის იდეოლოგიურ მხარდაჭერას მის მთელ ტერიტორიაზე მოახდინოს საბჭოთა კავშირის მიკრო მოდელის ტრანსპლანტაცია.

ნაციონალური სულისკვეთებითა და კომუნისტური პათოსითაა გაჟღენთილი ისტორიული ქალაქის აღორძინების იდეა, რომლის რეპრეზენტაციას არაერთი საგაზეთო სტატია თუ პუბლიკაცია დაეთმო. „შოთა რუსთაველის ქალაქის“ მშენებლობა კომუნისტური მთავრობისათვის ამბიციურ პროექტად იქცა, რის საფუძველსაც არამხოლოდ ქალაქის მომავალი ინდუსტრიული პროფილი, არამედ მისი დიადი და ამავდროულად ტრაგიკული წარსულიც განაპირობებდა. წარსულის გაცოცხლება, მისთვის ახალი ელფერის შეძენა წარმოადგენდა ნარატივის არსებით ნაწილს, რომელიც მულტიკულტურულობის იდეით უნდა გაგრძელებულიყო და ახალი რეალობის შექმნით დასრულებულიყო. ქალაქის აღორძინების ნაციონალური ნარატივი მოხერხებულად შეიკმაზა ინტერნაციონალიზმითა და მის განვითარებულ ფორმად წარმოგვიდგა.

> „1944 წელს, როცა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაეყარა ახალი რუსთავის მშენებლობას. პირველ მშენებლებს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი ამ ქალაქის ისტორიული ბედი. და როცა მიწას პირველი წერაქვი დაჰკრეს, თითქოს კარზე დაუკაკუნეს საუკუნეების მანძილზე მიწის ქვეშ მთვლემარე ქალაქს და უთხრეს: გამოიღვიძე, მოვედი შენ ძველ ბინადართა, ძველ მეციხოვნეთა შთამომავალი, რომ ძველ საძირკველს ახალი კედლები დავაშენოთ, რომ ამ ცის ქვეშ შავ წარსულში დაღვრილი უბედურების ცრემლები სიხარულის ცრემლებით შევუცვა-

ლოთ, რომ კვლავ გაგაგონოთ მშობლიური ქართული „ნანა“.[1]

ამგვარად, გამოდის, რომ საბჭოთა მთავრობის მისია დაკარგული, მიძინებული ქალაქის აღორძინება ყოფილა, რომელიც უკუღმა დატრიალებულ ისტორიულ ბედის ჩარხს წაღმა აბრუნებს. ყურაღებას იქცევს ტექსტის მხატვრული ფორმა, სადაც ემოციის გასაძლიერებლად ისეთ შედარებებს ვხვდებით, როგორებიცაა „კარზე კაკუნი“ და „მთვლემარე ქალაქის გაღვიძება, გამოფხიზლება“. ამ ფორმატის ტექსტებში, რომლებიც სისტემატურად ჩნდება პრესაში, ქალაქის მძიმე წარსულის გახსენების შემდგომ, საგრძნობი ადგილი კომუნისტურ სასწაულზე საუბარს ეთმობოდა, რაც მოძმე ხალხის ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

მსგავსი შინაარსის ტექსტები, ახალი რეალობის გაცნობასთან ერთად, ბუნებრივია, საბჭოთა სისტემის ერთგვარი ლეგიტიმაციის ხასიათსაც ატარებდა, მისი არსებობის გამართლებას, რადგან სწორედ „მისი წყალობით“ გახდა შესაძლებელი დაკარგული წარსულის დაბრუნება.

„კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით ჩადუღაბდა სოციალისტური რუსთავის საძირკველი, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ჩვენი სამშობლოს მძვინვარე მტრებმა საუკუნეების წინ ფერფლად აქციეს ძველი ქართული ქალაქი. ჩვენ კანონიერად გვეამაყება ის, რომ ამ ქალაქის მშენებლობის მძიმე წლებში ქართვე-

[1] *ქალაქი ნაქალაქარზე, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 19 იანვარი, №12-13, 1958, გვ. 1.*

ლები მარტო არ ყოფილან. მათ მხარში ედგნენ როგორც ღვიძლი ძმები რუსები, სომხები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და თითქმის ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ხალხთა შვილები.
ამიტომ სავსებით ბუნებრივად და სამართლიანად უწოდა ხალხმა რუსთავს ძმათა ქალაქი, სადაც 46 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთი ოჯახის წევრებივით უგებენ ერთმანეთს, ერთი ოჯახის წევრებივით შებმიან საქმეს და ხარობენ ძმური შრომის საამაყო შედეგით".[1]

წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი ტიპური ნიმუშია, რამდენიმე საგულისხმო მომენტს მოიცავს, ისტორიული ქალაქის აღორძინება მხოლოდ კომუნისტური პარტიისა და მოძმე ხალხის თანადგომის შედეგია და რომ თანამედროვე რუსთავი ინტერნაციონალურ ოჯახს წარმოადგენს, სადაც 46 ენაზე მოსაუბრე ადამიანი ძმურად, გვერდი-გვერდ შრომობს. ამგვარად რუსთავის ინტერნაციონალური საზოგადოება ისტორიული ქალაქის გაცოცხლებასა და მისთვის ახალი რეალობის შექმნაზე ზრუნავს, სადაც შრომა მათ ერთიან ოჯახად აყალიბებს. საგულისხმო დეტალია „ღვიძლ ძმებად" რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების მოხსენიება, რომელთა გვერდითაც სხვა ძმებიც, იდგნენ. ამ შემთხვევაში აქ

[1] *უბირია ა., ძმათა ქალაქი, გაზ. „სოციალისტური რუსთავი", 19 იანვარი 1978, გვ. 1.*

ენობრივ ან სხვა სახის კავშირებზე საუბარი ზედმეტია, ეს განაცხადი მხოლოდ იდეოლოგიურ ხედვას ეფუძნება, სადაც კავშირ-ურთიერთობებს პოლიტიკურ ელიტებს შორის კომუნიკაცია განაპირობებდა.

მსგავსი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი საგაზეთო სტატია სათაურით „ორმოცი ძმის ქალაქი", სადაც არამხოლოდ მოძმე ხალხის გვერდით დგომაზე, არამედ ქვეყნის ფარგლებში ქართველების ერთიანობაზეც არის საუბარი, რის საფუძველსაც ისტორიული ქალაქის აღორძინების შესაძლებლობა ქმნიდა.

> „ქართველი კაცი ოდითგანვე ოცნებობდა რუსთავის გამოცოცხლებაზე... სამამულო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, როცა რუსთავის უდაბნო ველზე ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა კუთხიდან მივიდნენ მშენებლები, რათა აქ აეგოთ და აეღორძინებინათ ქართველ მეტალურგთა ქალაქი...
> ქალაქის მშენებლობის ძნელ წლებში ქართველები მარტო არ ყოფილან. მათ მხარში ედგნენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბელორუსები, ოსები, ბერძნები, ყაზახები, უზბეკები... ამიტომაა, რომ ხალხმა სავსებით ბუნებრივად და სამართლიანად უწოდა რუსთავს ძმათა ქალაქი".[1]

ქალაქის აღორძინებაზე ოცნება ქართული საზოგადოებისათვის რეალობად ვერ იქცეოდა, რომ არა „ერთო-

---

[1] *გიორგაძე რ., ორმოცი ძმის ქალაქი. სამშობლო, 4 თებერვალი 1978. გვ. 3.*

ბლივი“ ძალისხმევა, რაც, თავის მხრივ, ახალ რეალობას ქმნის ინტერნაციონალური საზოგადოების სახით. შესაბამისად, ქალაქის მოხსენიება ძმათა ქალაქად არა უბრალოდ ასახავს რეალობას, არამედ სამართლიანიცაა.

ისევ ორმოცი ძმის ქალაქზეა საუბარი ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც რუსთავში ჩასული ერთი ქალბატონის ისტორიაა მოთხრობილი.

> „ამ ლამაზ ქალაქს, რომელიც გაშენებულია მტკვრის ორივე მხარეზე, ორმოცი ძმის ქალაქი ჰქვია. ეს იმიტომ, რომ იგი ორმოცმა ძმამ ააშენა. 40 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მოვიდა აქ პირველი დაძახებისთანავე. ორმოცი სხვადასხვა დედის შვილები ერთი ქალაქის შვილები გახდნენ“.[1]

ამ შემთხვევაში მოცემულობის აღქმას ამძაფრებს დედის, როგორც მეტაფორის, შემოტანა, რომელიც აკავშირებს ადამიანებს ყველაზე ახლო კონტაქტით, რასაც ძმობა და ერთი ოჯახი ჰქვია. კიდევ უფრო ფართო გაგებით, დედას თავად ქალაქი ასახიერებს, რომელიც მშობელი ხდება სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისათვის და მათ საერთო ოჯახურ გარემოს სთავაზობს.

რუსთავზე, როგორც ძმათა ფუძესა და საერთო სახლზე ლაპარაკია ბელორუსი პოეტის, ანატოლი ბელოუსოვის, ლექსში, „ორმოცი ძმის ქალაქი“:

---

[1] *კაკაბაძე ლ., ორმოცი ძმის ქალაქი. ჟ. საქართველოს ქალი №3, 1967, გვ. 3.*

„ხალხი საუბრობს აქ სხვადასხვა ენაზე, თუმცა
სულ ყველას ესმის ის, რაც ძმობის ენაზე ითქვა.
შრომამ შეჰყარა, შრომამ შეჰკრა, და ეს ქალაქიც
ბედნიერი როგორც ძმათა ფუძე და სახლი,
და ორმოცი ძმის სიამაყე და სიძლიერე –
ცად აღმართული ვეებერთელა მილები ქარხნის.“[1]

არაქართველი პოეტის მხრიდან ქალაქზე დაწერილი ლექსი ასევე გარკვეული სიმბოლურობის მანიშნებელია. ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ლექსი ერთგვარი აგურია, რომელმაც საერთო სახლი უნდა ააშენოს განსხვავებული ეროვნების ძმათათვის.

ქალაქის ინტერნაციონალურ ბუნებაზე ხაზგასმა რუსთავის არა მხოლოდ საკუთრივ დასახელებებში იკვეთება, არამედ მისი ურბანული სივრცეც ამ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, ხალხთა მეგობრობის იდეას, მისი ქუჩების სახელებიც ეხმიანება, რომლებზეც ვლადიმერ კობახიძე, საგაზეთო სტატიაში, „ძმობის ქალაქი,“ საუბრობს. მისი აზრით, სწორედ ხალხთა მეგობრობამ ააღორძინა რუსთავი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე ახალი ქალაქი. აქვე ვკითხულობთ ამ ფაქტის სიმბოლურ გამოხატულებაზე:

„რაოდენ სიმბოლურია, რომ რუსთავის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი ატარებს ხალხთა მეგობრობის სახელწოდებას. ესეთივე სახელწოდება აქვს მიკუთ-

[1] *ბელოუსოვი ა., ორმოცი ძმის ქალაქი. ჟ. „რუსთავის ჩირაღდნები“, მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული ალმანახი, 1958, გვ. 105.*

ვნებული ლარივით გაჭიმულ ცენტრალურ გამზირს, რომელიც ამ დიდი მეგობრობის შემოქმედის – ვლადიმერ ლენინის სახელობის გამზირის გაგრძელებას წარმოადგენს. აქვე, წლეულს საფუძველი ჩაეყარა ახალ ხეივანს, რომელსაც რუსთაველები ხალხთა მეგობრობის ხეივანს უწოდებენ.“[1]

ამგვარად, რუსთავის ურბანულ სივრცეში ცენტრალური ადგილი ხალხთა მეგობრობის მოედანს, მეგობრობის ქუჩასა და ასევე მეგობრობის ხეივანს ეკავა. ხალხთა მეგობრობის იდეა არამხოლოდ ნარატიულ ტექსტებში ჩნდება, არამედ ქალაქის ურბანული სივრცის ნაწილი ხდება, რომელიც თავის მხრივ, მოსახლეობის სამეტყველო და სივრცით ორიენტირად იქცევა.

სტატიაში, რომელიც გაზეთ „სამშობლოში“ გვხვდება, ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ცალკეული ადგილი პირდაპირ სიტყვა-სიტყვით არის გადმოწერილი სხვა საგაზეთო ტექსტებიდან. ავტორი, საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვლადიმერ კობახიძე, ზემოთ მოყვანილ ციტატაში ზუსტად იმეორებს გ. გელაშვილის (გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“) ფრაზებს ქალაქის ქუჩების სიმბოლური დასახელების თაობაზე და ასევე თუ როგორ ასახავს რუსთავი სრულიად საბჭოთა კავშირის მოდელს. [2]

---

[1] *კობახიძე ვ., ძმობის ქალაქი, გაზ. „სამშობლო“, იანვარი 1973, გვ. 2.*

[2] *კობახიძე ვ., ძმობის ქალაქი, გაზ. „სამშობლო“, იანვარი 1973, გვ. 2.*

მეტად საგულისხმოა აღნიშნული გაზეთის შესაბამისი ნომრის პირველი სატიტულო გვერდი, რომელიც მთლიანად რუსთავის ფოტოების კოლაჟს ეთმობა, სადაც ვხვდებით წარწერას – „შრომის, სწავლის, ბედნიერების ქალაქი“. პირველ ორ ფოტოზე ზემოდან ნაჩვენებია რუსთავის ურბანული სივრცე, მეგობრობისა და ლენინის გამზირი. ლენინის ძეგლითაა წარმოდგენილი მეგობრობის მოედანი. აქვე ვხვდებით მოსწავლეებს დედაენით ხელში, ახალდაქორწინებულთა და ქარხნების ამსახველ სამ ფოტოს. ეს ყველაფერი კი რუსთავის 25 წლისთავს ეძღვნება. ეს ფოტოები, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით იმეორებენ არსებულ ნარატივებს ქალაქის რაობის შესახებ, რომელიც ხალხთა მეგობრობის პირდაპირ მანიფესტს წარმოადგენს.

რუსთავის ქუჩების განხილვას სხვა არა ერთი საგაზეთო სტატიაც ეთმობა, მაგალითად რემ დავიდოვის „მეგობრობის ქუჩები“ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“. ავტორის თქმით, მხოლოდ ქუჩათა ჩამონათვალის გაკეთებაც საკმარისი იქნება მათი შინაარსის წარმოსადგენად. იგი გამოყოფს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის მოედანს, მშვიდობის, შრომის, ახალგაზრდა სპეციალისტთა და პირველ მშენებელთა ქუჩებს სხვათა გვერდით. იქვე საუბრობს, დონეცკელი მეტალურგების ქუჩაზე, რომელიც სილამაზით გამორჩეულია და ქალაქის უახლოესი ისტორიიდან უკრაინელ ხალხთან მეგობრობას ასახავს. ქუჩის სახელწოდებათა რიგში თავსდება სუმგაითის მეტალურგთა და ჩერკასკის ქუჩები, რაც ქალაქის უახლესი წარსულის, ასევე თავისებურ ასახვასა და რეფლექსიას წარმოადგენს.[1]

---

[1] *დავიდოვი რ., მეგობრობის ქუჩები, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 23 აპრილი 1972, გვ. 4.*

გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპოდენტი, ზ. მერკვილაძე, საგაზეთო სტატიაში „მეგობრობის ქალაქი“ იხსენებს ქალაქის დაფუძნების ისტორიას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მსვლელობას ემთხვევა. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე რუსთავს მეგობრობის ქალაქს უწოდებენ და ეს ჭეშმარიტება გამოიხატება იმ ფაქტით, რომ ქალაქში 40 სხვადასხვა ეროვნებაა წარმოდგენილი. სტატია გრძელდება დეტალური აღწერით, თუ რომელი ქალაქიდან რომელი ეშელონი ჩამოდიოდა შესაბამისი მისიით. რუსთავის მშენებლობის ფერხულში ხალხთა ჩართულობის საილუსტრაციოდ მას ერთი დოკუმენტი მოჰყავს.

> „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის არქივში ინახება ერთი საინტერესო დოკუმენტი. დროჟამს იგი გაუხუნებია და გაუყვითლებია, მაგრამ მაინც შეიძლება გვარების ამოკითხვა. ეს არის რუსთავის პირველი მშენებლების ხელფასის უწყისი. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილი გვარები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ქართველებთან ერთად აქ, ახალი ქალაქის ხარაჩოებზე მოსულან აზერბაიჯანელები და რუსები, უკრაინელები და სომხები, ბელორუსები და მოლდაველები, ყაზახები და ლიტველები“.[1]

ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ სტატიის ავტორი „საყოველთაოდ“ მიღებულ მოცემულობას ქალაქის ინტერნაციონალური ბუნების თაობაზე უკვე ისტორიად ქცეული

---

[1] *მერკვილაძე ზ., მეგობრობის ქალაქი. გაზ. „კომუნისტი“, 7 ოქტომბერი 1967, გვ. 3.*

დოკუმენტური მასალით ამყარებს, რომელსაც როგორც არქივში დაცულ ისტორიულ წყაროს, ისე გვთავაზობს. სტატიას კი ასრულებს რუსთავის აღწერით, რაც ცად აზიდული საქარხნე მილებითა და გამაყრუებელი აგრეგატების ხმაურით გამოიხატება. ეს სურათი, კი ავტორისათვის ყველაზე კარგად წარმოაჩენს ინდუსტრიული რუსთავის ხალხთა მეგობრობის მაჯისცემას.

გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ 1972 წლის 10 ნოემბრის ნომერი მთლიანად ოქტომბრის რევოლუციის მრგვალი თარიღის აღნიშვნას ეთმობა. პირველ გვერდზე გამოტანილია სტატია სათაურით: „ერთიან, ძმურ ოჯახში“ აღწერილია თბილისში გამართული საზეიმო მსვლელობა, სადაც, ბუნებრივია, თავისი სოლიდური წარმომადგენლობით რუსთავიც იღებდა მონაწილეობას. ამ შემთხვევაში ყურადღებას სტატიის დასათაურება იქცევს, რომელიც ადამიანური ურთიერთობების ყველაზე მჭიდრო ფორმაზე, ოჯახზე, მიუთითებს, რომელიც, ამავდროულად, ერთიანი და ძმურია. ამ სტატიას კი მოჰყვება ღონისძიების აღწერა ქალაქ რუსთავში სათაურით – „ზეიმობს ძმობისა და მეგობრობის ქალაქი“. ამავე ნომერში გვხვდება სტატია: „მშვიდობისა და მეგობრობის ქალაქი“, სადაც უკვე ქრესტომათიულად ქცეულ ტექსტებს უკვე მერამდენედ იმეორებენ ხალხთა ერთიანი ძალისხმევის შესახებ, რომელმაც „სასწაული“ მოახდინა:

> „აი, სწორედ ამ ენთუზიასტებისა და მათი თანამოსაქმეების დაუღალავმა შრომამ აქცია რუსთავი რესპუბლიკის სიამაყედ, ორმოცზე მეტი ეროვნების

მშრომელთა საასპარეზოდ, მშვიდობისა და მეგობრობის ქალაქად...“[1]

ამგვარად, რუსთავი წარმოჩენილია, როგორც ადგილი შრომითი ასპარეზობისათვის, რომლის საბოლოო მიზანი მშვიდობა და ხალხთა მეგობრობაა. ეს ნარატივი იმდენად კარგად არის ფორმულირებული, რომ პრაქტიკულად ქალაქის შესახებ ყველა რეპრეზენტაციის ნაწილად იქცა. ამ ტიპის ტექსტებს მიეკუთვნება 1971 წლის გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნებული სტატია „რუსთავი – ხალხთა მეგობრობის ქალაქი“. ავტორი რ. ჯაფარიძე (მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ქალაქის ინტერნაციონალურ იმიჯს ამდიდრებს სხვადასხვა კონკრეტული მაგალითითა და, ამავდროულად, დაბეჯითებით იმეორებს რუსთავის შესახებ არსებულ ზოგად მოცემულობებს, როგორიცაა მაგ. ქალაქის ქუჩების დასახელება, სადაც ხაზგასმა ხალხთა მეგობრობაზე კეთდება. აქვეა საუბარი ქართველების მიერ რუსეთისა და უკრაინის ქარხნებში მიღებულ გამოცდილებასა და რუსთავში გამოჩენილ პირველ ეშელონებზე, რომელიც ინტერნაციონალური შემადგენლობისა იყო და რომელსაც ქალაქის მშენებლობის საწყისი უკავშირდება. მის მიერ მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ქალაქის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქი მონაწილეობს, ესენია: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი და სხვ.

---

[1] *ღვაბერია ო., „მშვიდობის და მეგობრობის ქალაქი“, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 10 ნოემბერი, 1972, გვ. 2.*

ხალხთა მეგობრობის თვალსაჩინო და საგულისხმო მაგალითად ავტორს მშრომელთა ერთი კონკრეტული ჯგუფი მოჰყავს:

> „ხალხთა ურღვევი მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა სოციალისტური შრომის გმირის, ცნობილი რუსთაველი მშენებლის, შოთა მოდებაძის, ბრიგადის მაგალითი. ამ 29-კაციანმა კომუნისტურმა შრომის ბრიგადამ, რომელშიც შედიან ქართველი ბ. როსტაშვილი, ოსი ს. კოკოევი, სომეხი ა. ატერიანი, რუსი ლ. სინდოროვა, უკრაინელი მ. სოსენკო და სხვები, ისე აითვისა მშენებლობის საქმე, რომ 5-6 თვეში ამთავრებენ რვა და ცხრასართულიანი სახლების მშენებლობას“.[1]

ამდენად ქალაქის ინტერნაციონალური სახის წარმოჩენა ხდება არა მხოლოდ ზოგადი მონახაზებით ქალაქის ისტორიისა და მისი ურბანული სივრცის აღწერით, არამედ კონკრეტული ადამიანების გვარების დასახელებით, რომლებიც აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ. მოხმობილი მაგალითები კიდევ უფრო დეტალური ხდება, როდესაც ავტორი სტატიის დასასრულს ჩეხოსლოვაკიიდან მოსულ წერილზე საუბრობს, რომელიც, მისთვის, ხალხთა მეგობრობის მორიგ ილუსტრაციას წარმოადგენს. სტუდენტი მარია ვაშინკოვა წერს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტს შარლოტა კვანტალიანს.

---

[1] *ჯაფარიძე ქ., „რუსთავი – ხალხთა მეგობრობის ქალაქი“, გაზ. „კომუნისტი“, 5 დეკემბერი 1971, გვ. 2.*

წერილში მარია შარლოტას რუსთავისა და ზოგადად საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს, რათა მან თავის ქვეყანაში საქართველოზე გამოფენა მოაწყოს. ამგვარად, ავტორი, ორი ადამიანის პირად მიმოწერას ასაჯაროებს და მას ხალხთა ურყევი მეგობრობის დასტურად განიხილავს.[1]

სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" ქვეყნდება სტატია: „რუსთავი – მეგობრობისა და ძმობის ქალაქი". სტატიას თან ახლავს საქინფორმის მოზრდილი ფოტო, რომელიც რუსთავის ურბანულ სივრცეს ასახავს, კერძოდ, ხალხთა მეგობრობის გამზირს. სტატიაში თავმოყრილია რუსთავის გარშემო არსებული ყველა ნარატივი, რომლებიც მის ინტერნაციონალურ ბუნებას წარმოაჩენს. ავტორი არც მხატვრულ ხერხებს იშურებს რუსთავის სიდიადის წარმოსაჩენად. ხოლო ქალაქის მშენებლობის გაზაფხულზე დაწყება განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს.

> „გაზაფხულის ამ სანეტარო ჟამს რუსთავი აღმოჩნდა ის მადლიანი თესლი, რომელმაც მეგობრობის, ძმობის და სიყვარულის თბილი გრძნობით გაპოხიერებულ ნიადაგში მოხვედრილმა ლაღად გაიხარა."[2]

---

[1] *ჯაფარიძე ქ., რუსთავი – ხალხთა მეგობრობის ქალაქი, გაზ. „კომუნისტი", 5 დეკემბერი 1971, გვ. 3.*

[2] *გელაშვილი ვ., რუსთავი – მეგობრობისა და ძმობის ქალაქი, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 17 აგვისტო 1972, გვ. 2.*

„სანეტარო ჟამი“, „მადლიანი თესლი“, „თბილი გრძნობით გაპოხიერებული ნიადაგი“, „ლაღად გახარება...“, აღნიშნული ფრაზები შეიძლება დამაბნეველიც კი აღმოჩნდეს შინაარსისა და კონტექსტის გასაგებად, როცა საქმე ქალაქის შენებლობას ეხება. ქალაქის შესახებ ნარატივების ამგვარი ინტერპრეტაცია გამონაკლისს არ წამოადგენს, მეტიც, იგი ერთგვარი ტენდენციის შემქმნელია.

საგულისხმოა, რომ რუსთავის საბჭოთა კავშირთან მიმართება ამ სტატიაში არაერთხელ გვხვდება. მიზანიც ესაა – რუსთავის განსაკუთრებულობის წარმოჩენა სწორედ საბჭოთა სისტემას უნდა დაუკავშირდეს და იგი, როგორც ნოყიერი ნიადაგი, ისე უნდა გამოიყურებოდეს.

ავტორი საგანგებო ყურადღებას ურალი-რუსთავის პირველ ეშელონს უთმობს, რომელსაც ქალაქის საწყისად განიხილავს და იმ პირველ შთაბეჭდილებას გადმოსცემს, რომელიც მატარებლის მგზავრებს უნდა შეჰქმნოდათ, როდესაც ფეხი რუსთავის მიწაზე დაადგეს.

> „ბაქანზე გადმოსული ხალხი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა მოშიშვლებულ, უსიცოცხლო ველს, სადაც მათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, პირადად ამხ. ი. ბ. სტალინის დავალებით უნდა აეშენებინათ მძლავრი მეტალურგიული კომბინატი და ქალაქი“.[1]

სტატიის ავტორი რუსთავის ინტერნაციონალური ბუნების წარმოსაჩენად არ იშურებს მაგალითებს ქუჩების

---

[1] *გელაშვილი ვ., რუსთავი მეგობრობისა და ძმობის ქალაქი, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 17 აგვისტო 1972, გვ. 2.*

დასახელებიდან დაწყებული ცალკეული ფაქტებით დამთავრებული. ამჯერად მეტალურგიულ ქარხანაში მეგობრობის ზეიმისა და მეგობრული ნადნობის შესახებ მოვიხმობ ციტატებს:

> „ამას წინათ მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართა მეგობრობის ზეიმი, სადაც ჩვენი საზოგადოება შეხვდა იმ ღვაწმოსილ ადამიანებს, რომლებმაც გამოადნეს პირველი რუსთავული ფოლადი, აამუშავეს საგლინავი და მილსაგლინავი საამქროები.
> ტრადიციად იქცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში მეგობრულ ნადნობთა გამოშვება, 1972 წლის 1 მაისს მარტენის საამქროს მეფოლადემ ვ. პაშკინმა, მისმა ხელშემწყობმა ე. შანიძემ და რუსთავში სტუმრად ჩამოსულმა ზაპოროჟიელმა მეფოლადემ ა. ფომენკომ, ჩამომსხმელმა ა. დიდკოვსკიმ გამოუშვეს მეგობრული ნადნობი“.[1]

ერთი შეხედვით მეტალურგთა კულტურის სასახლეში პირველ მეტალურგებთან შეხვედრასა და ქარხანაში ნადნობის ჩამოსხმას ხალხთა მეგობრობასთან საერთო ბევრი არაფერი უნდა ჰქონოდა, მაგრამ, როცა საქმე ქალაქის იმიჯსა და მის უკან მდგომ ტოტალიტარულ სისტემას ეხება, გასაკვირი არაფერი უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, რუსთავის საბჭოთა რეპრეზენტაციებში ორი კონტექსტი ფიგურირებს, ისტორიული ქალა-

---

[1] *გელაშვილი ვ., „რუსთავი მეგობრობისა და ძმობის ქალაქი“. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 17 აგვისტო, 1972, გვ. 3.*

ქის აღორძინება, რომლის მნიშვნელობის წარმოსაჩენად შოთა რუსთაველის ავტორიტეტი მოიშველიეს და ხალხთა მეგობრობის მანიფესტაცია, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ პროექტის განხორციელება. ამდენად სახეზეა ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული ნარატივის შერწყმა ინდუსტრიული რუსთავის ახალ სახეში.

„შრომამ შექმნა ადამიანი“

ახალი, საბჭოთა იდენტობების ფორმირების პროცესს ქალაქ რუსთავის რეპრეზენტაციის კონტექსტში განვიხილავ, სადაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდი გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ახალ ღირებულებათა ფორმირება, ცხადია, ახალი გმირების შექმნას უნდა მომსახურებოდა. ამ ვითარების გასაანალიზებლად მოვიხმობ მაგალითებს საბჭოთა ბეჭდური მედიიდან.

ზოგადად საბჭოთა იდენტობებსა და ღირებულებათა ჩამოყალიბებაზე მსჯელობისას ყურადღებას რამდენიმე მიმართულება იქცევს, კერძოდ:

1) შრომის, როგორც უმთავრესი ღირებულების წარმოჩენა; შრომა, როგორც ადამიანური ღირსების განმსაზღვრელი და გმირობის წყარო;

2) შრომისა და ბრძოლის მიმართების ახალი განზომილება; შრომა, როგორც ყოველდღიური ბრძოლა;

3) ნებისმიერი შრომის გათანაბრება; ფიზიკური შრომის, როგორც შემოქმედებითი პროცესის, ხოლო მუშის, როგორც შემოქმედი, ინტელიგენტი ადამიანის წარმოდგენა;

4) შრომა, როგორც პატრიოტული აქტი;

ღირებულებათა ტრანსფორმაციის პროცესი პერმანენტულ ხასიათს ატარებდა და ძირითადად ბეჭდური მედიის საშუალებებით ვრცელდებოდა. თუ ტრადიციულად ქართველისათვის უმაღლეს ღირებულებას სამშობლოს დაცვა და მისთვის სიკვდილი წარმოადგენდა, უკვე საბჭოთა საქართველოში, ადამიანს მხოლოდ შრომით უნდა ესახელებინა თავიცა და ქვეყანაც. ამგვარად, ყველა სახის საინფო-

რმაციო წყაროებში მასიურად დაიწყო შრომისათვის ომის, ბრძოლის მახასიათებლების მიწერა. საწარმოო შრომა ტერმინოლოგიურ დონეზე, როგორც ყოველდღიური ბრძოლა ისე აღიწერებოდა, ხოლო საწარმო, ქარხანა – ბრძოლის ველად; ნაყოფიერი შრომა კი, ბრძოლაში გამარჯვებასთან იყო გატოლებული; ქვეყნისათვის სასარგებლო შრომა გმირობის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. მშრომელი ადამიანები საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდნენ. მათ შესახებ მზადდებოდა სიუჟეტები, სადაც, მათ სხვებისათვის თავიანთი გამოცდილების გაზიარების საშუალება ეძლეოდათ. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში რუსთავის ახალი გმირების შესახებ არაერთი დოკუმენტური ფილმი და სატელევიზიო სიუჟეტი ინახება. აქვე ვხვდებით რუსთავის ერთ-ერთ სოციალისტური შრომის გმირს, ამირან ფანცულაიას. ტელეფილმში „ახალი მიჯნა", გმირი მისი ქალაქის ისტორიის ტრაგიკული ეპიზოდების შესახებ მოგვითხრობს, მონღოლების მიერ რუსთავის აოხრებას და შემდგომ მისი ხელახალი დაბადების სიხარულსაც გვიზიარებს.[1] ამგვარად, მეტალურგიული ქარხნის სოციალისტური შრომის გმირი ქალაქ რუსთავის ახალი ისტორიის ნაწილად და მის რეპრეზენტატორადაც გვევლინება. საგულისხმოა, რომ გმირის გამოსვლაში ქალაქის ისტორიის ორი ნარატივი ერთიმეორეს ავსებს, ანუ ქალაქის მძიმე ისტორიული წარსულის წარმოჩენა მხოლოდ ახალმა რეალობამ (სოციალისტურმა რეალიზმმა) შეძლო.

---

[1] *ვეფხვაძე გ., „ახალი მიჯნა" – 1953-1958. ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №810, F6-71.*

შრომის, ღირებულებათა სათავეში მოქცევა სხვადასხვა საქმიანობის გათანაბრებასაც გულისხმობდა. ფიზიკური შრომა ინტელექტუალურ საქმიანობას გაუთანაბრდა. გამოვიდა, რომ მუშა და მეცნიერი ქვეყნისათვის თანაბარი ღირებულების საქმიანობას ეწეოდნენ. ამ ფაქტის დასტურად ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესებაც გამოდგება.

კონკრეტულ მაგალითებს, საბჭოთა იდენტობათა ფორმირების შესახებ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პერიოდული გამოცემა, „მეტალურგი“ გვთავაზობს. გაზეთი 1957 წლის 1-ლი იანვრიდან გამოდიოდა და საწარმოს ოფიციალურ უწყებას წარმოადგენდა. გაზეთი ორენოვანი იყო, სტატიები მასში ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა. რაც შეეხება გამოცემის პერიოდულობას, მკითხველს, კვირაში ორი ნომრის გაცნობის საშუალება ეძლეოდა. გაზეთების გვერდები ძირითადად ქარხნის მუშათა ისტორიებს, შრომით „ფრონტზე“ მათ წარმატებებსა და მიღწევებს ეთმობოდა.

დამატებით ინტერესს გაზეთების საახალწლო ან საიუბილეო ნომრები იწვევს, სადაც სისტემისათვის სასურველ წარმოდგენებს აკუმულირებული სახით ვხვდებით. გაზეთ „მეტალურგში“ ქალაქ რუსთავის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სტატიაში „ქართველი ხალხის სიამაყე“, ვკითხულობთ:

> „დიდმა ოქტომბერმა, კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანებს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა; მათი ცხოვრება ხალიასიანი და

> საამური გახადა, ხოლო მათი შრომა ღირსების, სახელის, მამაცობისა და გმირობის საქმედ იქცა.“[1]

მსგავსი ფრაზები საკმაოდ ტიპურია „მეტალურგის“ საგაზეთო ენისათვის და პრაქტიკულად სხვადასხვა სიტყვებით უამრავ პუბლიკაციაში მეორდება. მაგალითად, მილსაგლინავი საამქროს უფროსის, პავლე წერეთლის, საახალწლო მილოცვას მოვიყვან, სადაც აქცენტები თანაბრადაა გადანაწილებული ქალაქის ისტორიულ ნარატივსა და ახალი დროების განდიდებაზე:

> „ბევრი დიდი გამარჯვება, სიხარული და ბედნიერება მოგვიტანა ქართველებს გასულმა წელმა. სულმნათი შოთას და მისი მშობელი ერის სახელი შორს გასცდა ტარიელისა და ავთანდილის თელილ მერიდიანებს. მეორე ლენინის ორდენი აკიაფდა ჩვენი რესპუბლიკის დროშაზე. საქართველოს სადიდებელში ჩვენი სიტყვა გაგვაჩნია რუსთაველ მეტალურგებს. მათი სახელით ყველა მამულიშვილს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ ახალ გამარჯვებებს.“[2]

მოლოცვაში, სადაც ბუნებრივია შრომით გამარჯვებებზეა საუბარი, ასევე ვხვდებით ნაციონალური ნარატივების გაჟღერებას და მათ ახალი დროის სამსახურში ჩაყე-

---

[1] *ჯამასპიშვილი ს., ქართველი ხალხის სიამაყე, გაზ. „მეტალურგი“, 21 იანვარი 1958, გვ. 3.*

[2] *წერეთელი პ., საახალწლო მილოცვები, გაზ. „მეტალურგი“, 1 იანვარი 1967, გვ. 5.*

ნების მცდელობას. ავტორის აზრით, ჩვენი დროის ახალმა გმირებმა, მეტალურგებმა საქართველოს არანაკლებ გაუთქვეს სახელი, ვიდრე ეს შოთა რუსთაველის პოემის გმირებმა მოახერხეს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან პარალელის გავლება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ეს მეთოდია კომუნისტებისათვის ახალი იდენტობების შესაქმნელად. წარსულის გამოყენებით, მისი ინტერპრეტაციით აწმყოს ლეგიტიმაცია საბჭოთა პროპაგანდის ნაწილად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ისტორიაში ანალოგიების ძიების კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება 1967 წლის გაზეთ „მეტალურგის“ გვერდებზე გამოქვეყნებული სტატია სათაურით „ხელმადლიანი ვაჟკაცი“. სტატია ქვეყნებს შორის შრომითი ურთიერთობის კარგი მაგალითის განხილვას ეძღვნება. საქმე ერთი ქართველი მეტალურგის საქმიანობას ეხება რუმინეთში, რომელსაც ტექსტის ავტორი ერთგვარად ანთიმოზ ივერიელსა და მის მოღვაწეობასთან აიგივებს. რუბრიკაში ჩვენი ქარხნის ადამიანები საუბარია გივი მაღლაფერიძეზე, რომელმაც სამუშაო გამოცდილება მაგნიტოგორსკში მიიღო. აი, რას ვკითხულობთ ტექსტში:

> „– გივის ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ – ქალაქ რომანშიც ჰყავს მეგობრები, მაგ. ტოდორ დობრე, რომელმაც მისგან ისწავლა მემილეობა. სხვა მეტალურგებთან ერთად გივი გაჰყვა რუმინელ კოლეგებს დასახმარებლად.
>
> –სახელოვანი წინაპრის ანთიმოზ ივერიელის ნაკვალევს გაყოლილმა ქართველმა ვაჟკაცებმა საშვი-

ლიშვილო საქმე გააკეთეს რუმინეთში, აამუშავეს მილსაგლინავი ქარხანა.

–ასე იწრთო და დავაჟკაცდა გივი მაღლაფერიძე შრომასა და ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ მისმა ცვლამ ხუთწლედის პირველი წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. წინ კიდევ დიდი გზაა. გამარჯვებით გევლოს, ხელმადლიანო ვაჟკაცო.“[1]

შემთხვევითი არ უნდა იყოს სტატიის ავტორის მიერ მოხმობილი პარალელი. ანთიმოზ ივერიელი (1650-1716) ქართული წარმოშობის რუმინელი მოღვაწე თანაბარი სიამაყის წყაროა როგორც რუმინელების, ისე ქართველებისათვის. მის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთში სტამბის შექმნა. ამ და სხვა საქმიანობისათვის იგი რუმინელ წმინდანად შერაცხეს. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე, XVIII საუკუნის საქართველოში სტამბის გაჩენაც, როცა მან საკუთარი მოწაფე ისტორიულ სამშობლოში განსაკუთრებული მისიით გამოგზავნა. ამგვარად, ისტორიული პარალელის მოხმობა, ავტორისათვის ახალი დროის გმირის განდიდებას უნდა ემსახურებოდეს და მას დამაჯერებლობას სძენდეს. აქვე ვხვდებით მორიგ ხაზგასმას ყველა საქმიანობის თანაბარი მნიშვნელობის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებით საგულისხმოა ბრძოლისა და შრომის აღმნიშვნელი ტერმინების „აღრევა“ თუ დამთხვევა, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და საერთო იდეოლოგიის პროპაგანდას

---

[1] *მურმანიშვილი კ., „ხელმადლიანი ვაჟკაცი“. გაზ. „მეტალურგი“, 6 იანვარი 1967, გვ. 3.*

ემსახურებოდა. მილიტარისტული განწყობის შექმნა შრომით ფრონტზე რეჟიმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. როგორც ევგენი დობრენკო აღნიშნავს, ვინაიდან კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სოციალიზმში შრომის ზრდისათვის ეკონომიკური ინტერესი არ არსებობდა, ამ შემთხვევაში წინა პლანზე ღირსების, კაცობისა და გმირობის თემა იწევდა.[1] აღნიშნული ღირებულებები ტრადიციულად ცხოვრების სხვა სფეროსთან, ქვეყნის დაცვასთან ასოცირდებოდა. შესაბამისად, მოხდა შინაარსების ჩანაცვლება, ფორმა კი იგივე დარჩა. საბრძოლო სულისკვეთების გამომხატველი არაერთი საგაზეთო სტატიის სათაური გვხდება გაზეთ „მეტალურგის" გვერდებზე, მაგალითად, როგორიცაა:

„რენტაბელობისათვის ბრძოლის ფრონტზე" [2]

„უტევენ ხუთწლედის ზღუდეებს" [3]

„ჯარისკაცური შემართებით" [4]

„იბრძვიან უკეთესი მაჩვენებლებისთვის" [5]

„კვლავ ბრძოლაა საჭირო" [6]

---

1 *Dobrenko E., Political economy of Socialist Realism. 1st ed. London:Yale University Press New Haven, 2007, p. 215.*

2 *კვახაძე ზ., რენტაბელობის ბრძოლის ფრონტზე. გაზ. „მეტალურგი", 27 იანვარი 1967, გვ. 2.*

3 *ჭოხონელიძე კ., უტევენ ხუთწლედის ზღუდეებს. გაზ. „მეტალურგი", 3 თებერვალი 1967, გვ. 3.*

4 *ოდიშვილი გ., ჯარისკაცური შემართებით, გაზ. „მეტალურგი", 10 თებერვალი 1967, გვ. 2.*

5 *ბეჟუაშვილი ჟ., იბრძვიან უკეთესი მაჩვენებლებისათვის, გაზ. „მეტალურგი", 3 ივნისი 1967, გვ. 4.*

6 *მენაპირე უ., კვლავ ბრძოლაა საჭირო, გაზ. მეტალურგი, 1 მაისი 1967, გვ. 3.*

შრომაში საბრძოლო განწყობა მაინც ყველაზე მეტად სოციალისტური შრომის გმირებთან მიმართებაში გვხვდება. ისინი, როგორც შრომაში არაერთგზის გამარჯვებულები, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ და საკუთარი არსებობით სხვებს სამუშაო ფრონტზე მოტივაციას აძლევენ. 1961 წლის გაზეთ „მეტალურგის“ ერთ ნომერში შრომაში გამარჯვებული გმირებისადმი მიძღვნილ ლექსებს ვხვდებით. ორივე ლექსიდან მოვიხმობ ნაწყვეტებს. ლექსების ადრესატები სოციალისტური შრომის გმირები არიან. პირველი ლექსის სათაურია, „სოციალისტურ შრომის გმირს ა. ძამაშვილს“:

„დღეს საქართველოს ზეიმზე
შენი დალოცვა მომინდა:
კვლავ ასახელე სამშობლო
კომუნისტური შრომითა.
შენი ნაშრომის მნახველმა
თქვას, „ეს რამ შექმნა, რა ხელმა?!“
მრავალჯერ გაიხმიანოს
შენი გმირობის სახელმა“. [1]

ამგვარად ქვეყნის ზეიმზე დიდება და დღეგრძელობა ეკუთვნის გმირს, რომელმაც საკუთარი შრომით სამშობლო ასახელა. ამ ყველაფრის გამო მან საქვეყნო სახელი და აღიარება დაიმსახურა. ასევე საგულისხმოა ფრაზა: „რა ხელმა შექმნა“, რითაც ხაზი სწორედ შემოქმედებით შრომას გაეს-

[1] *მახარაძე შ., სოციალისტურ შრომის გმირს ა. ძამაშვილს, გაზ. „მეტალურგი“, 12 მაისი 1961, გვ. 3.*

მის. ერთი შეხედვით, ამ მარტივი მოცემულობის ლექსში საბჭოთა იდენტობის მთელი დიალექტიკაა გადმოცემული, რაზეც ახალი საზოგადოება უნდა დაფუძნებულიყო.

მეორე ლექსი ასევე სოციალისტური შრომის გმირს, ვ. კობრიძეს ეძღვნება:

„უბრალოებას აქვს მუდამ ფასი
სიტყვაც და საქმეც იცი კაცური
სწორედ ისაა შენში ძვირფასი,
იცი, რომ შენ ხარ ხალხის მსახური“[1]

ლექსის ამ სტროფში, სადაც კაცური სიტყვისა და საქმის უბრალოებაზეა საუბარი, ირიბად ადრესატის „წარმომავლობაც“ იგულისხმება, რაც მას ხალხის ნაწილად და მისსავე მსახურად წარმოადგენს. გმირის ეს მახასიათებელი შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან მისი „ხალხურობა“, „ჩვეულებრიობა“ არის შესაძლებლობა იმავე ხალხისათვის, მიბაძონ, მას დაემსგავსონ. ამგვარად, ავტორის აზრით, გმირში ფასეული მისი უბრალოებაა, რაც გამორჩეული ადამიანების ხვედრია. ასევე მნიშვნელოვანია, იგი ჩასწვდეს საკუთარ მისიას, იყოს ხალხის სამსახურში. ორივე ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სიტყვითაა დაწერილი, საერთო სათქმელს გადმოსცემს: რჩეული ხარ, იმიტომ რომ შრომით გამოაჩინე სამშობლო და საკუთარი თავი. ეს ყოველივე კი ბევრს გავალებს, კერძოდ, ხალხის სამსახურში ყოფნას.

---

[1] *გორდეზიანი გ., სოციალისტურ შრომის გმირს ვ. კობერიძეს. გაზ. „მეტალურგი“, 12 მაისი 1961, გვ. 3.*

გაზეთ „მეტალურგის“ გვერდებზე ფოლადის დნობა, ხშირად ლექსის წერის ეკვივალენტად განიხილებოდა და ა.შ. ამის საილუსტრაციოდ სოციალისტური შრომის გმირის ინტერვიუდან ნაწყვეტს მოვიხმობ, სადაც იგი ფოლადის დნობის პროცესზე საუბრობდა:

> „...მერე იყო ოთხი ბრიგადა ვმუშაობდით ბოლოში. ყველას ჰქონდა თავ-თავის გეგმა. ყველა ერთნაირი ხომ არ არის, კაცო. სულ უბრალო რაღაც ავიღოთ. ლექსს რომ დაწერს ვიღაც, ყველას ხომ არ შეუძლია ერთნაირად წეროს. ისეა საწარმოც.“[1]

ვფიქრობ, შედარება, რომელიც შრომის გმირმა საუბარში მოიხმო, თავისებურად ასახავს საბჭოთა პერიოდში ღირებულებათა და იდენტობების ჩამოყალიბების პროცესში დასმულ აქცენტებს.

---

[1] *საველე დღიური 2012: 11.*

შრომის გმირის სოცრეალისტური და „რეალური“ ისტორია

უმაღლესი ჯილდო, სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 1938 წლის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დაწესდა, რისი საფუძველიც მანამდე არსებული საბჭოთა გმირის ტიტული გახდა. ამ წოდების სრულიად განსაკუთრებულობასა და არაორდინალურობაზე საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რამდენიმე საგულისხმო დეტალი მიუთითებს. ერთი ის, თუ ვინ გახდა მისი პირველი მფლობელი და როგორია ზოგადი სტატისტიკა ჯილდოების მიღება-დაბრუნება/უარის თქმის შესახებ. ჯილდოს შემოღებიდან დაახლოებით ერთი წელი იფიქრეს თუ ვინ უნდა ყოფილი მისი პირველი მფლობელი. 1939 წლის 20 დეკემბერს, თავად იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გახდა პირველი ადამიანი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მისი დაბადების 60 წლის თავზე მიენიჭა. რაც შეეხება მისი ფლობის სტატისტიკას, მისი დაარსებიდან 1991 წლამდე სხვადასხვა წყაროს მიხედვით ორი ციფრი 20605 და 21560 სახელდება. ხოლო უკანასკნელი, ვინც ეს წოდება დაიმსახურა, იყო ყაზახი ოპერის მომღერალი ბიბიგულ ტულიგენოვა. 1938 წლის გაზეთ „პრავდის“ მიხედვით სოციალისტური შრომის გმირის წოდება ენიჭებათ პირებს, სახელმწიფოს მიმართ განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ვინც ეროვნული მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და სსრკ-ს დიდების გაზრდისათვის იღვაწა. საგულისხმოა, რომ სოციალისტური შრომის გმირთა სიაში მოხვედრის ისტორიები განსხვავებულია და ხშირად წინააღმდეგობები-

თაც ხასიათდება. მაგალითად 1943 წლამდე ამ სიაში არ მოხვედრილა არც ერთი მუშა და გლეხი. ხოლო, რაც შეეხება შემოქმედებით ელიტას, მათი გვარები უფრო მოგვიანებით, 60-იანი წლებიდან გამოჩნდა სოციალისტური შრომის გმირების გვერდით. აღსანიშნავია, რომ ამავე ჯგუფში მოხვდა ორი მოზარდი, რომლებმაც ეს წოდება სკოლაში სწავლის პერიოდში შრომითი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მოიპოვეს. აქვე კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, რომლის მიხედვითაც 95 ადამიანს ეს წოდება ჩამოერთვა და მათგან რამდენიმეს ისევ უკან დაუბრუნდა. 16 შემთხვევაა, როცა ეს ტიტული გარდაცვალების შემდგომ მიენიჭათ პირებს. იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ წოდებაზე უარი თქვა.[1] სურათი, რომელიც ამ წოდების გარშემო იხატება, მიგვანიშნებს იმ სირთულეებზე, რომლებიც ამ ტიტულის გარშემო ხალხის გაერთიანების დროს დგება. ასევე, საგულისხმო ფაქტორია დრო და ეპოქა, რომელიც ტენდენციებს ქმნიდა და ცვლიდა ამ ტიტულის მაძიებელი ხალხისათვის.

არსებითი, რაც ამ ტიტულს, როგორც ელიტარულს, გამოყოფს და წარმოადგენს, არის თავად დასახელება, სადაც სიტყვა გმირი ფიგურირებს. გმირი, როგორც ადამიანური ყოფის გამორჩეული კატეგორია, ტრადიციული გაგებით ცალკეული პირის თავგანწირვას უკავშირდება და ძირითადად მაღალი იდეალებისათვის ადამიანის ტრაგიკული აღსასრულის შემდგომ დგება როგორც ფაქტი. ამ თვალსაზრისით, კომუნისტებმა ერთგვარი გარღვევა მოახდინეს საზოგადოების ცნობიერებაში, როცა გმირების ძიება ქარხნებში, მინდვრებსა და ვენახებში დაიწყეს, რითაც შრომა

[1] *სლავინი 2009: «Стаханов. Забытый герой» ВГТРК, 2009.*

ადამიანურ ღირებულებათა სათავეში მოაქციეს. ამ წოდებაში ასევე საკვანძო სიტყვად იქცა შრომა, რომელიც უნდა გამხდარიყო გმირობის საფუძველი. შრომის, როგორც განსაკუთრებული პატივისა და ღირსების დასაბუთება, ახალი იდენტობების ჩამოყალიბების პროცესსაც გულისხმობდა. საბჭოთა მოქალაქის იდენტობის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი სწორედ სამუშაოს უნდა ეთამაშა. ახალი იდენტობები უნდა გამხდარიყო რეალური საფუძველი, შესაბამისი ელიტის ფორმირებისათვის.

ჯილდო პოლიტიკოსებს, მუშებს, გლეხებს, მეცნიერებსა და ხელოვან ადამიანებზე თანაბრად ნაწილდებოდა. ამ ჯილდოს მეშვეობით კომუნისტური სისტემა თავისებურ ელიტურ ჯგუფს გამოყოფდა, თუმცა, ამავდროულად, მიანიშნებდა, რომ ამ სიაში მოხვედრის პოტენციალი ნებისმიერ მოქალაქეს გააჩნდა. სოციალისტური შრომის გმირთა ჩამონათვალში მწერლებთან, კომპოზიტორებსა და უბრალო მუშებთან ერთად ქვეყნის პირველი პირებიც ხვდებოდნენ.

სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა სისტემამ ახალი რეალობის სახით შესთავაზა საზოგადოებას, სადაც რეპრეზენტაციის ფორმა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის შინაარსს. ევგენი დობრენკოს აზრით, სოციალისტურ რეალიზმს უნდა შევხედოთ არა როგორც ბედნიერების ფაბრიკას ან ილუზიების ლაბორატორიას, არამედ როგორც საწარმოო ქარხანას, რომელიც თავისებურ რეალობას – სოციალიზმს აწარმოებს. მისი აზრით, სოციალისტური რეალიზმის მთავარი ფუნქცია ტყუილი კი არა, რეალობის ჩანაცვლება იყო.[1] სოცრეალიზმის თავისებურ პროდუქტად

[1] *Dobrenko E., Political economy of Socialist Realism. 1st ed. London:Yale University Press New Haven, 2007. p. 158.*

საბჭოთა გმირები გვევლინებიან, რომელთა გამორჩევისა და წარმოჩენის როლი მან საკუთარ თავზე აიღო.

მოცემულ თავში ერთი გმირის პირობითად „სოცრეალისტური“ და „რეალური“ ამბავი ნაკლებად წინააღმდეგობრივია და შეიძლება ითქვას, რომ ავსებს კიდეც ერთი მეორეს. ამგვარად, როდესაც საბჭოთა რეალობაზე ვსაუბრობთ, საბჭოთა მოქალაქეების მეტყველება და ფიქრი ძირითადად სოციალისტური რეალიზმის ლექსიკითა და წარმოდგენებითაა გაჯერებული. ამის მიუხედავად, გმირის მიერ მოთხრობილი ისტორიები, მაინც იძლევა საშუალებას სოციალისტური რეალიზმის დისკურსის მიღმა განვიხილოთ ერთი კონკრეტული შრომის გმირის ამბავი, გამოიყოს ცალკეული საკითხები. გმირის რეალური ისტორიები, ეთნოგრაფიული კვლევისას მოგროვდა და უშუალოდ მის თხრობას ეყრდნობა. იმავე გმირის სოცრეალისტურ ისტორიაში მის შესახებ დაწერილი ბიოგრაფიული ხასიათის თხზულებას ვგულისხმობ, რომელიც, პირველ პირში, მომავალი გმირის „რეალურ“ ისტორიას გვიყვება, გვაცნობს მის ოჯახს, სამუშაო გარემოსა და მის პირად დამოკიდებულებებს ბანალურ თუ მარადიულ თემებზე. კარპე მუმლაძის „ცხელი ზაფხულის ათი დღე“, იგივე მეფოლადის დღიური, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მომავალ სოციალისტური შრომის გმირს, ოთარ ლომიძეს წარმოგვიდგენს. ამ ნაწარმოებთან კავშირში თავად ავტორი მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, გიორგი ლეონიძესთან, შეხვედრას იხსენებს:

> „ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მითხრა: ერთი ზაფხული რუსთავში არც ერთ მწერალს არ ეყოფა. თუ გინდა

> რაიმე გააკეთო, იქ უნდა იცხოვრო და იმუშაო. ეს მარტო შენთვის კი არაა საჭირო, ეს სჭირდება რუსთავსაც. გმირების გვერდით მწერლის ცხოვრება და მუშაობა – აი, რა არის დამახასიათებელი ჩვენი დროისათვისო.“[1]

მწერლისა და მუშის სიახლოვე, გვერდიგვერდ თანაცხოვრება, არამხოლოდ სოცრეალიზმის მწერლობაში გამარჯვებას მოემსახურებოდა, არამედ ელიტარულობის ტრადიციულ გაგებაშიც მნიშვნელოვან კორექტივებსაც შეიტანდა. ერთი მხრივ, ვხვდებით მწერლებისა და პოეტების ფაბრიკა-ქარხნებთან დაახლოებას, ხოლო, მეორე მხრივ, მუშების მცდელობებს, თავად აღწერონ და გადმოსცენ ახალი რეალობა. ახალ დროში მწერლების რჩეული, გმირები მუშები და გლეხები ხდებოდნენ. მწერლის არჩევანზე შემდგომ ყურადღება პოლიტიკურ ელიტასაც შეიძლებოდა გაეკეთებინა. ამის მაგალითად ჩვენი გმირი, ოთარ ლომიძეც, გამოდგება. მან სოციალისტური შრომის გმირის წოდება აღნიშნული ნაწარმოების არაერთგზის გამოქვეყნების შემდგომ მიიღო. ამ ფაქტიდან ჩანს, რომ იგი ჯერ მწერალმა და შემდგომ პარტიულმა ნომენკლატურამ შეამჩნია, ჯერ ლიტერატურულ და შემდგომ რეალურ გმირად მოგვევლინა. თხზულების ავტორთან ამ საკითხზე საინტერესო რეფლექსიას ვხვდებით:

---

[1] *მუმლაძე კ., „ზაფხულის ათი ცხელი დღე“. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.*

„მე კი ვეძებდი გმირს, რომელიც ჯერჯერობით არ იყო ეგრეთ წოდებულ ოფიციალურ რჩეულთა შორის, მაგრამ დაბეჯითებით მეცოდინებოდა, რომ ხვალ და ხვალზევით იგი იქნებოდა ყველასთვის მაგალითი... მართლაც, რომ სანუკვარი მისია აკისრია მწერალს, აღმოაჩინოს გმირი და დაასაბუთოს მისი გმირობა“.[1]

ამგვარად, მწერალი კარგად აცნობიერებს საკუთარ როლსა და მისიას რეალობისგან შექმნას სოცრეალისტური რეალობა, რომელიც რეალობად იქცევა. იგი ირიბად მისი გმირის ელიტის წარმომადგენლად ქცევის პოტენციალზეც მიანიშნებს. ოთარ ლომიძის საუბრიდანაც ჩანს, რომ გმირობის მინიჭების საკითხი წლების მანძილზე განიხილებოდა და გაურკვეველ მიზეზთა გამო ფერხდებოდა. შესაძლოა ნაწარმოების შექმნასა და მის გამოქვეყნებას გმირობის მინიჭების საქმეში გადამწყვეტი როლი არ ეთამაშა, თუმცა, ამ ფაქტორის უგულებელყოფაც შეუძლებელია.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების ისტორიები თავისებურებად გამოხატავს ახალი ელიტის ფორმირების წინააღმდეგობრივ ფარულ პროცესებს. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ მოვისმინე საჩხერის რაიონის სოციალისტური შრომის გმირის შესახებ. იგი ჭიათურის მაღაროში მუშაობდა. იმის გამო, რომ სხვა რაიონიდან მუშებს ყოველდღიურად არ ევლოთ თავიან სახლებში, მათ ქალაქ ჭიათურაში ბინები დაურიგდათ. მის გვერდით მუშაობდა

---

[1] *მუმლაძე კ., „ზაფხულის ათი ცხელი დღე“. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.*

ადამიანი, რომელიც გეგმებს შესაშური გადაჭარბებით ასრულებდა. სწორედ ის განიხილებოდა შრომის გმირობის კანდიდატად, თუმცა, როდესაც მას ეწვივნენ ბინაზე, მისი ოთახის სანიტარიული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალეს და ყურადღება სხვაზე შეაჩერეს, ვისაც განსაკუთრებულად მოწესრიგებული პირადი ნივთები და ოთახი აღმოაჩნდა.[1] კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი სტატუსის მინიჭებისას არა შრომითი მიღწევები, არამედ ჰიგიენური ნორმების ზედმიწევნით დაცვა აღმოჩნდა. ამგვარად, ვაწყდებით გარკვეულ წინააღმდეგობებს, სადაც ტერიტორიალური პრინციპების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ვხვდებით.

კარპე მუმლაძის ნაწარმოებში გმირის მსჯელობები სოციალისტური რეალიზმის კვალდაკვალ საბჭოთა იდენტობების გამყარებას ემსახურება, რომლის უკან ლიტერატურული გმირი და რეალური პროტოტიპი იდგა. ამ სახით გმირი მეფოლადე მორალური ელიტის კატეგორიაში თავსდება.

> „ბევრი ჩემი ამხანაგი მუშაობს მაგალითად გარდაბანში. ლეგირებული ფოლადის მაგივრად მუყაოს უშვებენ. ალბათ მუყაოც საჭიროა, მაგრამ... ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი, თითქოს გაიოლებული შრომა და ცხოვრება ადამიანის მიზანი და ამოცანა იყოს! სიამოვნება სიძნელის გადალახვაა. ადამიანი ვაჟკაცად უნდა იყოს დაბადებული და ბოლომდე ასე დარჩეს... კაცს რაც შეგიძლია, ის უნდა აკეთო. თუ მეტი შეგი-

[1] *საველე დღიური 2011: 5.*

ძლია და ნაკლებს აკეთებ, ლაჩარი ყოფილხარ, დეზერტირი ყოფილხარ!..“ [1]

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა ტიპის სამუშაოებთან დაკავშირებით ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომას, ერთი მხრივ ყველა სამუშაოს თანაბარი ღირებულების დეკლარირება და, მეორე მხრივ, საქმიანობათა იერარქია, სადაც მძიმე ფიზიკური შრომა სიის სათავეშია მოქცეული და ვაჟკაცობას უტოლდება. შესაბამისად, მსუბუქი სამუშაოს შესრულება ნაკლებად საამაყოდ და სამარცხვინოდაც კი შეიძლება ჩაითვალოს ძლიერი ფიზიკური შესაძლებლობების მამაკაცისათვის.

ამ მონაკვეთში ავტორი, მთავარი გმირის სახელით საუბრობს შრომაზე, რომელიც ყველასათვის ცხოვრების მიზანი უნდა იყოს და რომ საქმეში თავი არ უნდა დაზოგო. შრომაში თავგანწირვა კი ვაჟკაცობად მიაჩნია, რის საპირისპიროდაცაა მოხმობილი სიტყვა „დეზერტირი“. შრომაში მაქსიმალიზმი, ესაა რეალურად მთავარი კრიტერიუმი, რომელიც ამ სიტყვების ავტორს გმირობის, ელიტის კანდიდატად აქცევს. ამ ექსპრესიულად გამოხატულ სიტყვებში დიდაქტიკური ტონიც აშკარაა, რომელიც ასევე რჩეულების ხვედრია.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად საკუთარი იდენტობის მანიფესტაციისათვის საქართველოში ითვლება სუფრა, რომელიც ძირითადად გაჯერებული იყო ჰეროიკული ნარატივებით. სუფრა, ესაა თავშეყრის ადგილი, სა-

[1] *მუმლაძე კ., ზაფხულის ათი ცხელი დღე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977, გვ. 6.*

დაც იდენტობები ფიქსირდება და მყარდება. მეფოლადის დღიურში საინტერესოდაა მოყვანილი პურობის სცენა, სადაც ნაწარმოების მთავრ გმირს თამადობას, სუფრის ხელმძღვანელობას სთხოვენ, მისი ლოგიკა კი ასე ლაგდება:

> „...შენ უნდა იყოო. მე სამუშაოზეც მეყოფა ბრიგადირობა, ახლა სუფრაზეც გაუჭირე საქმე!.. თუმცა, ისინიც მართლები არიან: თუ საქმეში ხარ მეთაური, სუფრაზეც მეთაურობა გეკუთვნის“.

გმირის ლიდერობაზე ხაზგასმა ასევე გზაა რჩეულობისკენ, რომელზედაც არსებობს კონსესუსი. ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, თამადას, სუფრაზე, გიორგი ჭავჭანიძის თამადა ახსენდება და სათქმელს ლექსის საშუალებით გადმოგვცემს, რომელიც ასეთი სტროფით სრულდება:

> „სად გიდევს შენი წილი აგური, შენი ხარაჩო სად აღმართულა?
> საით მიგიდის გზა წაღმართული. რა არის შენი ოფლით ნაპკური:
> ჩაი კოლხური, ვაზი კახური, იქნებ ფოლადის მილი ქართული?
> გვითხარი, რაა შენში ქართული?“

ამ ლექსში პრაქტიკულად ვხვდებით იდენტობის ახალ, საბჭოთა, ფიქსირებულ მარკერებს, რომელიც „ქართველობას“ განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ აქ პირდაპირ მონაც-

ვლეობს ბრძოლა და შრომა, შესაბამისად სამშობლოსათვის სისხლის ღვრა ჩანაცვლებულია შრომაში ოფლის ღვრით. თუ სამშობლოსათვის ფიზიკური თავგანწირვა არისტოკრატიის პრივილეგიას წარმოადგენდა, მისთვის შრომით თავგანწირვა მშრომელთა უპირატესობა იყო.

ამას მოჰყვება თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების რიგი, რომლის თემატიკაც ტრადიციულად ისევ შრომის პროცესსა და მისი შედეგების მნიშვნელობის წარმოჩენას ეთმობა.

> „ჩვენს შრომას გაუმარჯოს, დღევანდელ გამარჯვებას გაუმარჯოს! იმ ფოლადების სხმულებს გაუმარჯოს, დუღაბად რომ ჩაეკირება კომუნიზმის საძირკველს!“

გმირი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბევრს არ სვამს, ღვინოსა და არაყს საერთოდ არ ეტანება და აკრიტიკებს კიდეც გადაჭარბებულ ღვინის სმას.

ამის შემდგომ სვამენ წინაპრების სადღეგრძელოს, რომელშიც ხაზგასმულია, რომ მათი კარგი ჩვევები და ტრადიციები უნდა გაგრძელდეს.

> „ჩვენი წინაპრებისა იყოს, სულით წმინდა, უმანკო წინაპრებისა! მათი კარგი ჩვევების და ტრადიციების გაგრძელებისა იყოს! მშობლების სადღეგრძელო იყო!..“[1]

---

[1] *მუმლაძე კ., ზაფხულის ათი ცხელი დღე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977, გვ. 35-36.*

ნაწარმოების გმირი, სადაც მარტენში მისი მოგვარეების სიმრავლეზე საუბრობს, იქვე მიუთითებს, რომ ერთ-ერთი მათგანი მუშა პოეტია, რომელიც ხშირადაც იბეჭდება და მისი ზოგიერთი ლექსი ზეპირადაც იცის.

ნაწარმოების გმირი დღიურის ერთ-ერთ ეპიზოდში აღწერს ქარხანაში პიონერთა სტუმრობას და გვიყვება, თუ როგორი ინტერესით ადევნებენ თვალს ფოლადის დნობის პროცესს ახალგაზრდები, რომელთაგან ზოგი გალაკტიონივით პოეტი, ზოგიც მასავით მეფოლადე გამოვა. ამის შემდგომ, იხსენებს გალაკტიონის ვიზიტს ქარხანაში და მოგვიანებით მასთან შეხვედრას, რომლის დროსაც მას პოეტმა ნამდვილი გმირი უწოდა. ამის საპასუხოდ მეფოლადე მსჯელობს, რომ გმირი თავად გალაკტიონი იყო.

> „შეიძლება ამ პიონერებს შორისაც არის ვინმე, რომელიც სამშობლოს ასახელებს გალაკტიონივით!.. არც სახელიანი მეფოლადე წააგებდა. ყოველ შემთხვევაში მე არ ვემდური ბედს: როცა შრომა სიხარულს განიჭებს, რა ძნელიც უნდა იყოს, მაინც ბოლომდე უნდა გაიტანო ლელო, თუ სავაჟკაცოცაა, ხომ კმაყოფილი ხარ და კმაყოფილი!..“[1]

გალაკტიონის ხსენება ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, ქარხნის შემოქმედებითობასა და მის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. ანუ ქარხანაში სტუმრად მოსულ პიონერთაგან რომელიმეს ექნება ლექსის წერის ნიჭი და შთაგონების

---

[1] *მუმლაძე კ., ზაფხულის ათი ცხელი დღე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977, გვ. 55.*

წყაროდ ქარხანა, ფოლადის დნობა იქცევა. გალაკტიონთან მისი საუბრის ფაქტი კი მათ თანატოლებად, მეგობრებად წარმოაჩენს. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ნაწარმოების გმირი თხრობას პოეტ ალიო მირცხულავას ლექსით ასრულებს:

„გაზაფხულია, მოდის მაისი,
სურნელს მოაფქვევს ბაღში, ყანაში.
მოდის ქართული სიდარბაისლით,
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში!“[1]

ნაწარმოების კითხვისას რამდენიმე წინააღმდეგობრიობას ვაწყდებით, რომლებიც თავად გმირის წარმოდგენის საკითხს ეხება. ერთი შეხედვით იგი ჩვეულებრივი ყოველდღიურობის მქონე ადამიანს გვაგონებს, ამავდროულად, ის ლიდერად და ინიციატორად გვევლინება. წიგნში გადმოცემული მისი ისტორიები არ გვაოცებს. უბრალო ლოგიკური დაუკმაყოფილებლობის გრძნობით გვასრულებინებს მონოტონურ ამბავს. როგორც ჩანს, გმირის ამგვარი წარმოჩენა შემთხვევითობა ან მწერლის გემოვნების გამოხატულება არ უნდა იყოს მხოლოდ. ჩვეულებრივი ადამიანების გმირებად ქცევა საბჭოთა იდეოლოგიის ნაწილად და საბჭოთა ელიტის ფორმირების საშუალებადაც შეიძლება განვიხილოთ. რჩეული შეიძლება გახდეს ყველა, ვისაც შეამჩნევენ და გამოყოფენ, რომელიც სრულად ვერასდროს შეიცვლება, იქნება რჩეული და დარჩება „ჩვეულებრივიც“.

---

[1] *მუმლაძე კ., ზაფხულის ათი ცხელი დღე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977, გვ. 90.*

სწორედ მასის ნაწილი შეიძლება გახდეს კარგი მისაბაძი მაგალითი საზოგადოებისათვის. ამ წინააღმდეგობრიობის ნაწილია გმირის პოეზიაში განსწავლულობა და მის მიერ მოხმობილი ლექსის სტრიქონები. მუშა-პოეტების ციტირება, დიდი პოეტების ქარხნებში სტუმრობა ამავე იდეის განვითარებას ემსახურება. ეს პროცესი რომ გეგმაზომიერი იდეოლოგიის ნაწილს წარმოადგენდა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან მისი დაარსების დღიდან ფუნქციონირებდა ლიტერატურული წრე და კულტურის სასახლე. ამ გაერთიანების ბაზაზე გამოიცემოდა ლიტერატურული ჟურნალი „რუსთავის ჩირაღდნები“, სადაც ქარხნის მუშათა შემოქმედება იბეჭდებოდა. ასევე საგულისხმოა, რომ ნაწარმოების გმირი, რეალურ ცხოვრებაშიც ლიტერატურული წრის შეხვედრებში იღებდა მონაწილეობას, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, ბოლომდე მაინც ვერ „აიყოლიეს“ და მწერლობაზე პრეტენზიას არ აცხადებს. ამის მიუხედავად, ცხოვრებაში იგი არაერთ მწერალთან და პოეტთან მეგობრობდა. ამდენად, ლიტერატორებისა და მუშების დაახლოების პროექტი საბჭოთა ელიტარულობის გაგების ერთ საგულისხმო მხარეს წამოადგენს.

ელიტარულობის სხვა მხარეს მშრომელი გმირების რესურსებზე წვდომა წარმოადგენდა. სოციალისტური შრომის გმირებს შეეძლოთ ჰყოლოდათ ავტომობილი, ჰქონოდათ ფართო ბინა პრესტიჟულ ადგილას, რაზეც ყველა ოჯახს, ბუნებრივია, ხელი არ მიუწვდებოდა. ოთარ ლომიძის ოჯახისათვის მეგობრობის გამზირზე ბინის გადაცემა ერთ-ერთი გადამღები ჯგუფის მუშაობას უკავშირდება.

ისტორია კი ასეთია, რუსეთიდან ჩამოსული ქალი რეჟისორი ქალაქკომში მისულა და უთქვამს: რამდენიმე დღეა ვიტანჯებით ამ კაცის ბინაში არსებული სივიწროვით, ეს ფილმი საფრანგეთში უნდა ვაჩვენოთ და რას იტყვიან კაპიტალისტებიო. ამ ფაქტის შემდგომ მყისიერად გადასცეს „დიდი“ ბინა გმირის ოჯახს. „ვოლგა“ ჰყავდათ, რის გამო ნათესავები ხშირად სთხოვდნენ ქორწილებში წაყოლას, რაც ასევე ოჯახისა და გმირის სტატუსს უსვამდა ხაზს.

> „ვინც არ იცის, „ვოლგის“ ყიდვა საბჭოთა კავშირში იოლი რამ არ იყო. ხელზე, ანუ ბაზარზე „გაზ 24 ვოლგა“ ოცდაათი ათასი მანეთი ღირდა კლასიკურ დროს, სახელმწიფო ფასი კი თხუთმეტი ათასი იყო. მაგრამ სად იყო სახელმწიფო ფასი. სახელმწიფო რომ ვოლგის ყიდვის უფლებას მოგცემდა, დეკლარაციები უნდა გევსო და სახელმწიფოსთვის ახლო მუშაკი უნდა ყოფილიყავი.“[1]

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რესურსი, რა თქმა უნდა, სოციალური ქსელი, საკავშირო მასშტაბით სანაცნობო წრე იყო, სადაც მის სიტყვასა და სატელეფონო ზარს თავისი წონა გააჩნდა.

> „რა თქმა უნდა, ხალხიც პატივს მცემდა. რა დასამალია და, დეპუტატი რომ გავხდი მერე, შეიძლება ბევრს კი არ ვაკეთებდი, მაგრამ, უბრალო მაგალითი

---

[1] *მორჩილაძე ა., ჩრდილი გზაზე, თბილისი: ბაკურ სულაკაური გამომცემლობა, 2014, გვ. 171.*

ავიღოთ. უბრალო ვიღაცა რო დაეჭირათ, გეგონება, გენერალური პროკურორი ვიყავი, მირეკავდნენ...“

ბ-ნმა ოთარმა ჩემთან საუბარში ორი ფაქტი გაიხსენა, როდესაც მისი შუამდგომლობით ირკუტსკის ციხიდან ქართველი ახალგაზრდა გაანთავისუფლეს და მეორე, როდესაც მის ქალაქში წვრილმანი ხულიგნობისათვის მოზარდთა ჯგუფი პროკურატურისგან იხსნა. ირკუტსკის შემთხვევასთან დაკავშირებით, მან ისიც აღნიშნა, თუ რა მარტივი იყო მისთვის საკავშირო მასშტაბით ფრენა, რომ ნახევარი საათით ადრე მივიდოდა აეროპორტში და სადაც უნდოდა, საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ნებისმიერი მიმართულებით უპრობლემოდ გააფრენდნენ.[1]

სოციალისტური შრომის გმირობას უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის სტატუსიც მოჰყვა, რომელიც ფორმალურად მას პოლიტიკური პროცესის ნაწილად და გადაწყვეტილების მიმღებად წარმოაჩენდა. დეპუტატობა ბუნებრივია გულისხმობდა სხვადასხვა სახელმწიფო დონის ვიზიტებსა თუ ექსკურსიებს ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასთან ერთად. საგულისხმო ფაქტია, რომ უმაღლეს რეგალიებთან ერთად იგი ქარხნის მშრომელთა სიაში კვლავ ირიცხებოდა და იმავე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებდა, რომელსაც მანამდე.

ელიტად გახდომის შესაძლებლობისა და ამ ცნების დეკონსტრუქციის კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი მუშის სახელმწიფოს პირველ პირთან ურთიერთობის შესაძლებლობაა. ჩვენმა გმირმა ქარხნის პარტიული ნომენკლატურისგან მითითება მიიღო, ბრეჟნევისათვის პირადი წერილი

[1] *საველე დღიური 2012: 6.*

გაეგზავნა, სადაც მის მიერ საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუს გამოეხმაურებოდა. რუსულ ენაზე დაწერილი წერილი ო. ლომიძემ პარტკომში საჩვენებლად მიიტანა. ერთმა ქალბატონმა წერილის ენობრივი თვალსაზრისით გასწორება დაიწყო, რითაც ავტორის გულისწყრომა გამოიწვია.

„– აბა, მე ვუთხარი, არ წაშალოთ! უნდა ეტყობოდეს, რომ მუშის დაწერილია, თან ქართველის-თქო!“

შემდგომ წერილის გაგზავნა დავიწყებია და რამდენიმე დღის შემდგომ შვილს წერილის სპეციალურ, წითელ, საფოსტო ყუთში ჩაგდება სთხოვა. ზუსტად ორი დღის შემდგომ უთხრეს, რომ ბრეჟნევისგან პირადი წერილი მიიღო. როგორც საუბარში მითხრა, ამ ამბავზე თავიდან უფიქრია – „რა ეშმაკად მინდა მისი წერილიო“, მაგრამ, როცა ეს წერილი გაზეთებში დაიბეჭდა და შემდგომ სოციალისტური გმირის წოდებაც მიიღო, მიხვდა, რომ ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდებოდა. ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს დემონსტრაციულ აქტთან, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს სოციალური ბარიერი, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებთან შესაძლებელია უშუალო კომუნიკაცია, თუნდაც წინასწარ გაწერილი და ფორმალური ხასიათის.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მომავალ გმირს სურდა პირველი პირისადმი გაგზავნილ წერილს მუშის ხელი დასტყობოდა, მაგრამ მუშის ტანისამოსი და შესაბამისი გარემო მას გარკვეულ „უხერხულობებს“ უქმნიდა საზოგა-

დოებისა და მეგობრების წრეში. იგი ერთ ასეთ ამბავს იხსენებს:

> „მაშინ ბევრი იწერებოდა ჩემზე, ახლა ჩემმა ამხანაგებმა, რომელთაგან ზოგი უნივერსიტეტში, ზოგი გეპეიში სწავლობდა, უთქვამთ ჩავიდეთ ერთი ოთარი ვნახოთ, ამდენს რომ წერენო. შემოვიდნენ საამქროში. ახლა, რა დასამალია, ზოგს სახელო გვაქვს მოგლეჯილი, ზოგს დამწვარი აქვს. დავინახე ეს ბიჭები მოდიან, თან ცვლა მთავრდებოდა, ერთ ჩვენებურ ბიჭს ვუთხარი, ესენი მოდიან ჩემთან, არ მინდა რომ ასე მნახონ გამურული, ჩემი სახლი ხომ იცი, მე სახლში ვიქნები და შენ წამოიყვანე ესენი-თქო“.[1]

აქედან ნათლად ჩანს, რომ ასეთ სახელოვან კაცს, რომელზედაც გაზეთები წერდნენ, აქვეყნებდნენ მის ფოტოებს, არ სურდა მოუწესრიგებელ სამუშაო ფორმაში ენახათ ახლობლებს.

ცნობილი ფაქტია, რომ მეფოლადეები, როგორც რთული სამუშაოს შემსრულებლები, პენსიაზე, შედარებით ადრე, 50 წლის ასაკში გადიოდნენ. სწორედ აქედან ხდება ქარხნის სოციალისტური შრომის გმირების ჩაწერა „რეალურ“ ელიტაში, ისინი სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები ხდებიან. მაგალითად, არჩილ ძამაშვილი, მეტალურგიული ქარხნის პირველი გმირი, საპენსიო ასაკში რუსთავის კინოთეატრის დირექტორი გახდა, ამირან ფა-

---

[1] *საველე დღიური 2014: 8.*

ნცულაია, „დომბიტას“[1] დირექტორი, ვარდიშ კობერიძე კი ჯერ პროფკავშირების თავმჯდომარე, შემდეგ კი „დოსაა-ფის“ კომიტეტის თავმჯდომარე. რაც შეეხება ო. ლომიძეს, მას რუსთავის ახალაშენებული სასტუმროს დირექტორობა ერგო. სოციალისტური შრომის გმირების გავლენა საზოგა-დოებაში და მათდამი დამოკიდებულება მათი ცხოვრების საპენსიო ასაკს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მათ მდგო-მარეობას ქარხანაში. თუმცა, ამ ყველაფერმა მხოლოდ საბ-ჭოთა კავშირის დანგრევამდე გასტანა.

> „მერე იქ რომ მოვიდა ახალი მთავრობა, კომუნისტი ხარო. კომუნისტი თუ ვარ-თქო და წავედი უკან“[2]

ამ დროისათვის, მეტალურგიული ქარხნის სამი სოცი-ალისტური შრომის გმირი იყო ცოცხალი და ყველა მათგანს მოუწია თანამდებობის დატოვება და ვერც მათმა შთამო-მავლობამ აუწყო ფეხი ახალ დროს. როგორც ო. ლომიძე ამბობს, სხვა გმირებმაც მისი ბედი გაიზიარეს. თუმცა ნამ-დვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს ღირსეული პიროვნება, რომე-ლიც 80 წლის ასაკში ისევ მეფოლადედ მუშაობდა მეტალუ-რგიაში, წუხდა დაკარგული პრივილეგიების გამო ან წუწუ-ნებდა სასურველი პირობების არ ქონის გამო[3].

---

[1] *საყოფაცხოვრებო სახლი.*

[2] *საველე დღიური 2012: 5.*

[3] *ოთარ ლომიძეს, რომელიც 2020 წელს გარდაიცვალა, 2012 წლიდან 6-ჯერ ვესტუმრე, პირველად რომ მივედი მათთან სახლში ნოემბერი იყო და ძალიან ციოდა, ისე ვისაუბრეთ რამდენიმე საათი, რომ ქუ-რთუკი ვერ გავიხადე, რადგან სახლში გათბობა არ იყო. ამის მიუხე-დავად მათ ოჯახში ძალიან თბილი და სასიამოვნო ატმოსფერო იყო, წუწუნისა და ვაი-ვიშის გარეშე.*

პარადოქსულად მოჩანს რეალობა, რომლის მიხედვითაც, დროის მცირე მონაკვეთში პოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგად ელიტარულობის გაგება და მისი კომპოზიცია მნიშვნელოვნად იცვლება საზოგადოებაში. ყოველივე სწორედ სოციალისტური ელიტის დაკომპლექტების, კონსტრუირების თავისებურებებზე შეიძლება მიუთითებდეს საბჭოთა ეპოქაში, სადაც საზოგადოების მხრიდან არ ხდებოდა ელიტარულობის გაგების მიღება და გაზიარება.

თუ მეგობრებთან შეხვედრის ისტორიას ბ-ნ ოთარი ხალისით იხსენებდა, სხვა შემთხვევამ მას გული ატკინა და როგორც გველის ნაკბენი 40 წლის მანძილზე, ისე დაამახსოვრდა. ამ ამბის მთავარი გმირი, ერთ-ერთი სკოლის მოსწავლის მშობელი იყო. როგორც იგი იხსენებს, მათ, როგორც სახელოვან მეფოლადეებს რუსთავში საშეფო სკოლები ჰქონდათ, საიდანაც პერიოდულად მოსწავლეები ქარხნის დასათვალიერებლად მიჰყავდათ.

> „მე-10 სკოლიდან მიმყავს ბავშვები, ჩემთან მოვიდა ერთი გაბღენძილი მშობელი, ბოდიში მომითხოვია და „პივის“ გამყიდველი „დვაციტადინით“. ჩვენ ავტობუსით მივედით ქარხნამდე. ამ კაცმა მითხრა, ჩემ გვერდით დაჯექითო მანქანაში. ქარხნის ტერიტორიაზე რომ შევედით, რა თქმა უნდა, ეს მეტალურგიაა და მუშები თავისებურ სამოსში იყვნენ. აბა ჰალსტუხით, ხომ არ იქნებოდნენ?! ეს რომ დაინახა, თავის შვილს ეუბნება: „ამას ხომ ხედავ, თუ არ ისწავლი, აქ მოგიწევს მუშაობაო!“.[1]

[1] *საველე დღიური 2012: 5.*

ამ სიტყვებზე გაბრაზებულმა და გულნატკენმა ბ-ნმა ოთარმა მანქანა გააჩერებინა და უთხრა, რომ ჯგუფთან ერთად შეხვდებოდა. ამ შემთხვევაში შეძლებული „საქმოსანი“, რომელსაც ელიტის მსგავსად ხელი მიუწვდება გარკვეულ რესურსებზე, მაგ. ჰყავს ძვირად ღირებული მანქანა, შვილს უსწავლელობის შემთხვევაში ქარხანაში მოხვედრით აშინებს. ამ მამაკაცის ერთი ფრაზა არღვევს მძივივით აწყობილ სოციალისტურ რეალობას, რომლითაც ახალგაზრდები უნდა მოხიბლულიყვნენ. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ისაა, რომ ოთარ ლომიძეს იგი ამ ქარხნის ნაწილად არ აღიქვამს და მასთან არ ერიდება საკუთარი აზრის გამოხატვას, რომლის მიხედვითაც ფიზიკური შრომა ინტელექტუალური საქმიანობის საპირისპიროდაა წარმოდგენილი.

ამ პიროვნებისადმი ოთარ ლომიძის დამოკიდებულება საინტერესოდ ეხმიანება თანამედროვეობასაც. იგი ამბობს, რომ ამ ტიპის ადამიანების საქმიანობებს, დღეს პროფესიებს ეძახიან,

> „სპეკულიანტი მოვაჭრე გახდა, ხალტურისტი ბიზნესმენი“[1]

ანუ როგორც ჩანს, დღეისათვის სწორედ ამ ტიპის „ანტიელიტამ“ ო. ლომიძისა და რუსთავის სოციალისტური შრომის სხვა გმირებისაგან განსხვავებით, ადაპტაცია უკეთ მოახერხა და რესურსებისადმი წვდომაც შეინარჩუნა. იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად შეიცვალა ოთარ ლო-

[1] *საველე დღიური 2014: 2.*

მიძის ოჯახის მატერიალური და შესაბამისად სოციალური მგომარეობა, ერთ ფაქტს გავიხსენებ. მასთან პირველად 2012 წლის 29 ნოემბერში მივედი სტუმრად. ძალიან ცივი და ქარიანი დღე იყო, ბატონი ოთარი სქელ ქურთუკში დამხვდა. სახლში გათბობა არ ჰქონდა და არც მე მიფიქრია ქურთუკის გახდა. ასე ვისხედით და ვსაუბრობდით დაახლოებით 3 საათი. 87 წლის გმირი, რომელიც 2020 წლამდე, გარდაცვალებამდე მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა. იგი ჩემთვის საუკეთესო მეგზური აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ლაბორატორიის ლაბირინთების დასალაშქრავად, რომლის ვიზუალიზაციისათვის მათი სასტუმრო ოთახიც გამოდგება, სადაც წარმოდგენილია გმირის საბჭოთა დიდების კუთხე, რომლის ქვეშ ზამთრისათვის მომზადებული კომპოტის ქილები და ბოსტნეულის კონსერვები ელაგათ. წინააღმდეგობები, რომელსაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის აღრევა ქმნიდა, დამატებით კითხვებს აღმიძრავდა, თუ რას წარმოადგენდა ეს ადამიანი იმ სისტემისათვის რჩეულ გმირსა თუ მსხვერპლს.

დაბოლოს, რუსთავის სოციალისტური შრომის გმირების შესახებ თხრობას ერთი სიურრეალისტური ამბით დავასრულებ, რომელიც სხვა სოციალისტური შრომის გმირს არჩილ ძამაშვილს ეხება და ბ-ნ ოთარმა ერთ-ერთი სტუმრობის დროს გამიზიარა.

> „სურამში, ჩუმათელეთს უძახიან, იქ არის ეკლესია, მარიამობას აღნიშნავენ ხოლმე 28 აგვისტოს. მეუღლე ახალი შერთული მყავდა და რადგან მე იქიდან ვარ წარმოშობით, წავიყვანე იქ. ის ძველი ეკლესიაა,

> განათება არ იყო. ერთ კუთხეში სურათი იდო, როგორც ხატი. იქვე სანთლებსაც ანთებდნენ და ეს იყო არჩილ ძამაშვილი თავისი ბრიგადით გადაღებული. ჟურნალი მეტალურგის გარე ყდა ვიცანი. ჯამებივით ქუდები ეხურათ. ხალხს ეგონათ ანგელოზებს უნთებდნენ სანთლებს. მე ვიცანი ფოტო, იმიტომ, რომ სახლში მქონდა ეგ ჟურნალი".[1]

ამ ფაქტის სიღრმისეული ინტერპრეტაცია რთულია, რადგან სურათის სრულად აღდგენა შეუძლებელია და მხოლოდ სპეკულაციისათვის ტოვებს ადგილს. ამის მიუხედავად, კარგად ასახავს რეალობის სხვა, გაბუნდოვანებულ მხარეს, რომელსაც სისტემა გმირების ამორჩევითა და მათი საზოგადოებისთვის შეთავაზებით ქმნიდა. რაც მათ გაყალბებული „ხატის" მდგომარეობაში ამყოფებდა, მათზე ლოცულობდნენ და მერე მათი არსებობა არავის გახსენებია, თითქოს არც არაფერი ყოფილა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის მშენებლობის კონტექსტი და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა ბუნებრივად დაუკავშირდა მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლების პირველ პირს, იოსებ ბესარიონის ძე სტალინს. გარდა იმ ფაქტისა, რომ ბელადის გადაწყვეტილებისა და უშუალო მონაწილეობის გარეშე მაშინ არაფერი ხდებოდა, მისი წარმომავლობა ამ მოცემულობას კიდევ უფრო ამძაფრებდა და ნაციონალურ ელფერს სძენდა. ამგვარად, სტალინის პიროვნული ფაქტორი რუსთავის ურბანული ნარა-

---

[1] *საველე დღიური 2014: 7.*

ტივის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

სოციალისტური შრომის გმირების, როგორც ელიტური კატეგორიის, გამოყოფა, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სოციალისტური იდენტობების ჩამოყალიბების პოლიტიკაზე. სოციალისტური რეალიზმის, როგორც რეალობის კონსტრუირებაში გადამწყვეტი როლის მქონე მეთოდზე. სწორედ ამ რეალობის ნაწილს წარმოადგენდა ახლად ფორმირებული ელიტა. სოციალისტური იდენტობების კონსტრუირებისათვის აქტიურად გამოიყენებოდა მილიტარისტული სულისკვეთებით გაჯერებული ნაციონალური ნარატივები. ბრძოლისა და თავდადებისათვის გამოიყო ახალი ასპარეზი, სამუშაო ფრონტი. შესაბამისად ელიტას აკომპლექტებდნენ იმ ადამიანებით, რომლებიც მუშაობისას გმირობას იჩენდნენ, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. ერთი მხრივ, ათანაბრებდნენ სხვადასხვა სამუშაოებს, მეორე მხრივ, იქმნებოდა სამუშაოთა იერარქია, სადაც სათავეში მძიმე ფიზიკური შრომა ექცეოდა. კონკრეტული სოციალისტური შრომის გმირების ისტორიის მაგალითზე კი შეგვიძლია დავაკვირდეთ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ტიტულის მინიჭებიდან იწყებოდა. ტიტულის მინიჭება ერთგვარ წყალგამყოფად იქცეოდა ადამიანის ცხოვრებაში, რაც მას, ერთი მხრივ, ელიტური ცხოვრების სტილს და, მეორე მხრივ, იმავე სამუშაოზე დარჩენასა და რუტინაში მონაწილეობას სთავაზობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფში მოხვედრილი ადამიანები მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ საზოგადოებაში, რასაც მათი რესურ-

სებისადმი წვდომა და ნომენკლატურასთან სიახლოვე განაპირობებდა, მათ ვერ შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა დონეზე ამ ადამიანების ელიტურობა არ იყო გაზიარებული საზოგადოების მიერ და, შესაბამისად, ახალ დროში მათი „გმირებად“ ფუნქციონირება შეწყდა.

თავი მესამე

საბჭოთა ურბანული ნარატივების ბედი პოსტსაბჭოთა რეალობაში

ნებისმიერი წარსული არსებობს და მოქმედებს მხოლოდ აწმყოში, როგორც ფაქტორი, ხოლო მისი ზეგავლენის ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ძალაუფლება, რომელიც ოპერირებს აქ და ახლა. ამდენად, წარსულის რეპრეზენტაცია აწმყოში არსებულ წარმოდგენებს ეფუძნება და სწორედ იგი განსაზღვრავს მის ფორმასა და შინაარსს. წარსული აუცილებლად გულისხმობს რაღაცის გახსენებას და ამავდროულად, რაღაცის დავიწყებას. უნდა განვასხვაოთ წარსულის ორი ფორმა, წარსული, როგორც ისტორია, და წარსული, როგორც მეხსიერება. ორივე ფორმა შერჩევითი ხასიათისაა და მისი არჩევანი ერთგვარ პოლიტიკურ აქტს წამოადგენს როგორც გახსენების, ისე დავიწყების. გახსენებასა და დავიწყებას შორის დიალექტიკურ კავშირზე საუბრობს ანე უაითჰედი თავის წიგნში „მეხსიერება“. იგი დავიწყებას მეხსიერების ნაწილად განიხილავს და ასკვნის, რომ სწორედ დავიწყების უნარი აძლებინებს ადამიანებს უფრო დიდხანს. მისი აზრით, დავიწყების ზოგიერთი ფორმა პიროვნული და სამოქალაქო ჯანმრთელობისათვის აუ-

ცილებელი პირობაა და მიიჩნევს, რომ დღეს მეხსიერების კვლევა დავიწყების მიმართულებით უნდა წარიმართოს.[1]

რუსთავის მაგალითზე შევეცდები წარსულის გახსენებისა და დავიწყების გაგება კოლექტიური მეხსიერებისა და ისტორიის მიმართებას დავუკავშირო. ისტორია და მეხსიერება ჯერ კიდევ მ. ჰალბვაქსმა განასხვავა. მან წარსულის ხატს, როგორც კოლექტიური მეხსიერების პროდუქტსა და წარსულს, როგორც ისტორიის შემოქმედებას შორის მკვეთრი ზღვარი გაავლო. მის კვალდაკვალ პიერ ნორა მეხსიერებას საზოგადოების ყოველდღიურობაში განსხეულებულ რეალობას უწოდებს, მაშინ, როცა ისტორია, მისი აზრით, წარსულის რეკონსტრუქციას წარმოადგენს იმისას, რაც უკვე აღარ არსებობს. ამდენად, ისტორია თავისი მონუმენტურობით ფრაგმენტულ მეხსიერებას უპირისპირდება და მის ადგილს იკავებს.[2]

ვულფ კანშტეინერი განიხილავს რა მეხსიერებას, როგორც თანამედროვე ჰუმანიტარული დარგებისათვის ერთერთ ყველაზე პრობლემატულ საკითხს, მის კონცეპტუალიზებას ამგვარად ახდენს:

> კოლექტიური მეხსიერება სამი ტიპის ისტორიული ფაქტორის ურთიერთმიმართების შედეგს წარმოადგენს: ინტელექტუალური და კულტურული ტრადიციები, რომლებიც წარსულზე ჩვენს წარმოდგენებს

---

[1] *Whitehead A., Memory. London and New York: Routledge Taylor & Fracis Group, 2009, გვ. 157.*

[2] *Nora P., Kritzman L. D. (eds.). Realms of Memory: Rethinking the French Past, New York: Columbia University Press, 1996, გვ. 3.*

> აყალიბებენ; მეხსიერების შემქმნელები, რომლებიც არსებულ ტრადიციებს ირჩევენ და ამით მანიპულირებენ და მეხსიერების მომხმარებლები, რომლებიც სარგებლობენ, უგულებელყოფენ ან გარდაქმნიან ინფორმაციას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.[1]

ქალაქ რუსთავის მაგალითზე წარმოვადგენ ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდის თანმხვედრ ორი წარსულის რეპრეზენტაციის ანალიზს. პირველი, ესაა ქალაქ რუსთავის დაარსება და კომუნისტების მიერ შექმნილი ქალაქის წარსული, რომელიც ადგილს საქართველოს ისტორიაში პოულობს; ეს იქნება მეხსიერების შემქმნელების მიერ ამორჩეული და შეთავაზებული ნარატივები, (რაც წიგნის პირველ და მეორე თავში იყო წარმოდგენილი). ხოლო, მეორე წარსული, ესაა – პოსტსაბჭოთა პერიოდი, რეჟიმის ცვლილება და ქალაქის ნარატივების გაქრობა ნაციონალური ისტორიიდან. ესაა წარსული ცოცხალი მეხსიერებით, რომელიც ისტორიის ფაბრიკაციის ერთგვარ გამოცდილებასაც მოიცავს. ეს ნაწილი ეხება მეხსიერების მომხმარებლებსა და მათ რეაქციას შეთავაზებულ ნარატივებზე. ამ ქალაქის მაგალითზე შევეცდები ვაჩვენო, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც შექმნილ ისტორიას საზოგადოების მეხსიერება უპირისპირდება და რა ადგილი უკავია მათ შორის დავიწყებას. ქალაქის ორი წარსული პირობითად შეგვიძლია განვასხვავოთ, წარსული, როგორც ისტორია, საბჭოთა რეკონსტრუქცია და პოსტსაბჭოთა გამოცდილება, წარსული, როგორც

---

[1] *Kansteiner W., Finding meanings in Memory: Critique of collective memory studies. Harvard, History and Theory, vol. 41, 2002, გვ. 180.*

მეხსიერება. ქალაქის ფარგლებში, როცა საქმე წარსულის გახსენებას, მის რეპრეზენტაციას ეხება, მეხსიერებაში არსებული „ისტორიის ადგილს“ „დავიწყება“ იკავებს, რასაც სისტემის ცვლილებასთან ერთად ახალი იდენტობების ძიება შეიძლება იწვევდეს. ამდენად, ნაშრომის მიზანია აჩვენოს, თუ როგორი ფორმებით ცდილობდნენ კომუნისტები ქალაქის წარსულის რეკონსტრუქციასა და რა მნიშვნელობა ჰქონდა მის ნაციონალური ისტორიის კონტექსტში განხილვას; ხოლო შემდგომ, სისტემის ცვლილებასთან ერთად, რა ბედი ეწია ამ ნარატივებს? რატომ „გაუჩინარდა“ ის წარსული ქვეყნის ისტორიიდან? რამდენად შესაძლებელია ამ ფაქტის კონცეპტუალიზება დავიწყების ხელოვნებად საზოგადოებაში, რასაც უაითჰედი დაცვის ფუნქციად მიიჩნევს. შევეცდები ვაჩვენო, რომ წარსული, რომელიც კომუნისტებმა ისტორიად აქციეს, ქალაქის მეხსიერებაში დღემდე ცოცხალია, ხოლო ოფიციალურ საქართველოს ისტორიაში მისი ადგილი დავიწყებამ დაიკავა, ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ არსებული სისტემა იმავე წარსულის ახალ ინტერპრეტაციას არ შემოგვთავაზებს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი მიზანი არაა წარმოდგენილი ნარატივების მართებულობისა თუ ადეკვატურობის დადგენა და, მით უფრო, მათი განსჯა.

პოსტსაბჭოთა რუსთავის რეალობაზე მსჯელობა ეყრდნობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზს და მათზე ეთნოგრაფიულ დაკვირვებას. ვინაიდან ნაშრომის მთავარ მიზანს ქალაქ რუსთავის გენეზისთან დაკავშირებული ნა-

რატივები და მისი ინტერპრეტაცია წარმოადგენს, დაკვირვებისა და ინტერესის ძირითად საგნად საჯარო დისკურსი იქცა. საჯარო სივრცეში გამოვყოფდი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და იქ გამართულ ღონისძიებებს, რომლებიც ქალაქის წაკითხვის თავისებურ ფორმებს გვთავაზობს.

1) ესაა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართული კონკურსი ისტორიის ცოდნაში „ერი და კაცობრიობა“, სადაც ქალაქის სკოლის წარმომადგენლები ერთიმეორეს ისტორიის ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. კონკურსის გამართვის ადგილი, რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი პირდაპირი ფორმით ეხმიანება რეფლექსიას ქალაქის იდენტობის შესახებ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის ისტორიის მუზეუმში ყოველწლიურად ტარდება კონკურსები ქალაქის ისტორიის შესახებ სხვადასხვა დასახელებით.

2) ქალაქის ურბანული სივრცის ტრანსფორმაცია; მეხსიერების ადგილების **ტრანსფორმაცია.** სამთავრობო და კერძო ინიციატივები; თანამედროვე ქალაქის ურბანული სივრცის რეფლექსია უახლოეს წარსულზე; ხალხთა მეგობრობის კვალის ძიება რუსთავის ქუჩებში; რელიგიური ფაქტორის წინ წამოწევა და ეკლესიების გამოჩენა რუსთავის მიწაზე; ავტობაზრობა და ქალაქისათვის ახალი ფუნქციის მინიჭების შესაძლებლობები;

3) ქალაქ რუსთავის რეპრეზენტაცია რუსთაველების მიერ სასკოლო-საგანმანათლებლო დისკურსში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

გამოცხადებული საბლოგო კონკურსი საჯარო სკოლებისათვის საკუთარი ქალაქის შესახებ; ახალი იდენტობების ჩამოყალიბების კონტექსტების ძიება და ქალაქის საიმიჯო ფორმების პრეზენტაცია;

4) ქალაქის მკვიდრთა პოსტსაბჭოთა რეფლექსია ქალაქის წარმოშობის მიზეზებსა და მის მნიშვნელობაზე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობაში; ქალაქი, როგორც ქართული ნაციონალიზმის თავისებური ფორპოსტი; ხედვები შესაძლო საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ ქალაქის კონტექსტში.

ქალაქი საკუთარი ისტორიის ძიებაში

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქალაქი რუსთავი და მისი ადგილი საქართველოს ისტორიაში საინტერესოდ წარმოჩინდება ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა ღონისძიების მიზანს ისტორიის პოპულარიზაცია და ქვეყნის ისტორიაზე მოქალაქეების რეფლექსია წარმოადგენს. ისტორია, როგორც იდენტობის სამშენებლო მასალა, ყველაზე კარგად საჯარო სივრცეში გამოიკვეთება, მაშინ, როცა მასზე ახალგაზრდები საუბრობენ. არსებითი საკითხი ნარატივების მანიფესტაციისათვის შესაბამისი კონტექსტებია, რომლებსაც დრო და გარემო აყალიბებს. ამ საკითხზე მსჯელობისათვის მსურს განვიხილო რუსთავის სასკოლო კონკურსი „ერი და ისტორია“, რომელიც ქალაქის მასშტაბით 2011 წლის 20 ნოემბერს გაიმართა. ამ კონკურსის მაგალითზე შევეცდები ვიმსჯელო ისტორიისა და მეხსიერების მიმართებაზე „პოსტინდუსტრიულ“ რუსთავში, ასევე რა ადგილს იკავებს მათ შორის დავიწყება. კონკურსის ფარგლებში ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, თუ რა ბედი ეწია კომუნისტების მიერ შექმნილ ნარატივებს ქალაქის ისტორიის შესახებ, თუ მოიძებნა ქვეყნის ისტორიაში მათი ადგილი და რა ფორმით? ასევე კონკურსის შინაარსსა და მის ფორმასთან ერთად მსურს ყურადღება იმ ფიზიკურ გარემოზე გავამახვილო, სადაც აღნიშნული ღონისძიება გაიმართა რუსთავის მხარეთმცოდნეების/ისტორიის მუზეუმზე, როგორც მეხსიერებისა და ისტორიის შეხვედრის ადგილზე, სადაც ქალაქის ორი ისტორიაა წარმოდგენილი: რუსთავის, როგორც ისტორიული ქალაქის, რომელიც მტე-

რთა შემოსევების შედეგად განადგურდა და მეორე – კომუ-
ნისტების მიერ ტრიუმფით აღორძინებული ინდუსტრიული
ქალაქისა.

კონკურსის გამართვის ინიციატორი რუსთავის ორი
სკოლის დირექტორი აღმოჩნდა, მათი იდეის განხორცი-
ელება რუსთავის განათლების რესურსცენტრმა ითავა.
საგანგებოდ ამისთვის შექმნილმა ჯგუფმა საქართველოს
ისტორია ეპოქების მიხედვით თემებად დაყო და კენჭისყ-
რით გადაანაწილა სკოლებს შორის. ვინაიდან კონკურსს
ოთხი მიმართულება გააჩნდა, თითოეული სკოლის მოსწა-
ვლეებს უნდა მოემზადებინათ შესაბამის თემაზე:

1) ნარატიული მოხსენება;

2) ისტორიული რუკა;

3) სტენდური მოხსენება და

4) ისტორიული სიუჟეტის მქონე მხატვრული ნაწარმო-
ები.

რაც შეეხება საკონკურსო თემებსა და მათ განაწილე-
ბას, პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ქრონოლოგიური ჩა-
რჩო, რომელიც ქართლის სამეფოს გაერთიანებით ძვ. წ. III
საუკუნიდან იწყება და მხოლოდ 1921 წლამდე, საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე გრძელდება. ამ შემ-
თხვევაში ნიშანდობლივი ფაქტია საქართველოს ისტორიის
მეოცე საუკუნის სოლიდური ნაწილის უბრალოდ უგულებე-
ლყოფა, რომელიც ქვეყნის ისტორიის საბჭოთა პერიოდსა
და მათ შორის ქალაქ რუსთავის ხელახალი დაბადების
ისტორიასაც მოიცავს. ამ საკითხით გაკვირვებულმა და
დაინტერესებულმა კონკურსის ერთ-ერთ ორგანიზატორ
ქალბატონს მივმართე. რაზედაც ასეთი პასუხი მივიღე,

რომ საჭიროდ არ ჩათვალეს ამ ეპოქის მომზადება და მისი პრეზენტაცია, მიზეზად დასახელდა, რომ რიგი საკითხები საკამათო შეიძლებოდა ყოფილიყო. ანუ ეს ნიშნავს, რომ მე-20 საუკუნემდე ჩვენს ისტორიაში საკამათო და სადავო არაფერია, მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ისტორიამ შეიძლება გამოიწვიოს კამათი? იქნებ საქმე ისტორიის გაგებასთან გვაქვს და არა სადავო საკითხებთან? ანუ, არის თუ არა საბჭოთა პერიოდი ისტორიის კუთვნილება, თუ მისი ფესვები და ყლორტები დღემდე ცხოვლადაა წარმოდგენილი ჩვენს ყოველდღიურობაში, ან იქნებ არ დამთავრებულა ეს ეპოქა და დღემდე ცოცხლობს საზოგადოების მეხსიერებაში? შესაძლოა საზოგადოების პათეტიკური და გაიდეალებული დამოკიდებულება უხერხულობას შექმნიდა ამ პერიოდისადმი, ან ამ პერიოდში გართულდებოდა გმირის მოძიება? ვინ არიან და როგორები არიან ამ დროის გმირები? ისტორია ხომ არჩევანს ძირითადად დადებით პერსონაჟებზე, გმირებზე აკეთებს, მათზე, ვინც ქვეყნის ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებს. მოკლედ, უამრავი კითხვა-პასუხი ამომიტივტივდა ისტორიის ამ ნაწილის უარყოფასთან დაკავშირებით. რომ არაფერი ვთქვათ პოლიტკორექტულობაზე, რომელსაც თავისი ადგილი უნდა ეჭიროს ამგვარი კონკურსების ორგანიზებისას. ჩემი კიდევ ერთი გაკვირვება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ჩემ გარდა არავის მოუკითხავს სოციალისტური პერიოდი საქართველოს ისტორიაში (მათ შორის ამ პერიოდის სპეციალისტს, ისტორიკოსს, თსუ-ს ასოცირებულ პროფესორს, რომელიც კომისიაში სამუშაოდ იყო მოწვეული) თითქოს ერთგვარი, ფარული შეთანხმება იყო ასეთი. კონკურსზე წარმოდგენილ

თემებთან დაკავშირებით ასევე მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩამოთვლილი საკითხები შეიძლება რამდენიმე მსხვილ თემად დაჯგუფდეს, როგორებიცაა: 1) რელიგია და მისი როლი ქვეყნის ისტორიაში; 2) ქვეყნის გაერთიანება და 3) თავგანწირული ბრძოლებისა და გმირების თავგადასავლები. ჩამონათვალში უბრალოდ ნახავდით საკითხებს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ისტორიიდან, ასევე ნაკლებად იყო წარმოდგენილი კულტურისა და ხელოვნების საკითხები დამოუკიდებელი სახით. პრეზენტაციებში აქცენტების ამგვარი გადანაწილება, ერთგვარად პასუხს სცემს კითხვას, თუ რატომ არ მოხდა საბჭოთა პერიოდის ისტორია კონკურსის ორგანიზატორთა მიერ შემუშავებულ თემატურ სქემაში. რელიგია და რელიგიური საკითხები ათეისტური სისტემის კონტექსტში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. როგორც ცნობილია რელიგია როგორც სოციალური და პოლიტიკური აქტორი განდევნილი იყო საჯარო სივრციდან. ასევე, როგორც უკვე გამოჩნდა, საბჭოთა პროპაგანდისტულ რეალობაში „ბრძოლის ველად“, ქარხანა, ფაბრიკა, ან სულაც ჩაის პლანტაცია იქცა, ხოლო გმირობის წყაროდ კი – შრომითი წარმატებები. ასევე, ქვეყნის გაერთიანება და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არაერთმნიშვნელოვანი და შინაარსს მოკლებული ჩანს ერთიან საბჭოთა კავშირში. ამდენად, საკონკურსოდ წარმოდგენილი თემატიკა და მისი პათოსი უბრალოდ ვერ თავსდება ქალაქისა და ქვეყნის უახლესი წარსულის ისტორიულ აღქმაში და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მისი ერთგვარი იგნორირება, რომლის კონცეპტუალიზება შეიძლება მოვახდინოთ როგორც „დავიწყება“.

ამჯერად რამდენიმე სიტყვით აღვწერ გარემოს, რომელიც ისტორიის კონკურსის შესაბამისი ეტაპისათვის მომზადდა, რომელიც ერთგვარად **ცხადყოფს** იმას, რის მტკიცებასაც მოგვიანებით კონკურსზე წარმოდგენილი მასალის ანალიზის საშუალებით შევეცდები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, კონკურსი ქალაქის მუზეუმში გაიმართა, რომლის შექმნა პირდაპირ ქალაქის მშენებლობას ემთხვევა, იმის მიუხედავად, რომ მისი დაარსების ოფიციალურ თარიღად 1951 წელი მიიჩნევა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქალაქის ინტენსიური მშენებლობა და მასთან ერთად არქეოლოგიური გათხრები. დღეისათვის მუზეუმი ორი სართულისგან შედგება და მის ორ განსხვავებულ წარსულს, ისტორიას მოგვითხრობს. პირველ სართულზე წარმოდგენილია, ქალაქის მშენებლობისა და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები. გამოფენილი ექსპონატების დათარიღების ქრონოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს ძვ. წ. XIX საუკუნიდან ახ. წ. XVIII საუკუნის ჩათვლით. ხოლო მეორე სართულზე წარმოდგენილია ქალაქის ტრიუმფალური მშენებლობა კომუნისტების მიერ, ქალაქის პირველ მშენებლებთან ერთად ვხვდებით ქარხნის წარმატებულ მუშებს, სოციალისტური შრომის გმირებს, რომლებმაც ქვეყანა შრომით ასახელეს. აღსანიშნავია, რომ მუზეუმში ვიზუალური თვალსაზრისით ცვლილება არ შეიმჩნევა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. ექსპოზიციები ზუსტად ისევე გამოიყურება, როგორც მაშინ წარმოედგინათ ქალაქის ისტორია მუზეუმის თანამშრომლებს, როდესაც პირველ დამთვალიერებლებს გაუღეს მუზეუმის კარი. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის კოლექცია მისი გახსნის

დღიდან მნიშვნელოვნად გამდიდრდა, შესაბამისად საგამოფენო ვიტრინებიც შეივსო და შეიცვალა, მისი კონცეფცია და შინაარსი დღემდე უცვლელი ფორმითაა წარმოდგენილი მუზეუმში. საგულისხმო ფაქტია, რომ რუსთავის ისტორიულ მუზეუმში ყოველწლიურად, რეგულარულად სხვადასხვა დასახელებით ტარდება სკოლის მოსწავლეებისათვის კონკურსი, სადაც ერთმანეთს ქალაქის ისტორიის ცოდნაში ეჯიბრებიან. სპეციალურად კონკურსისათვის მუზეუმის დირექტორმა შეადგინა საისტორიო ტექსტი, რომელიც მუზეუმში დაცულ ექსპონატებსა და ისტორიულ წყაროებში დაცულ ფაქტებს აერთიანებს. რუსთავის ისტორიის ერთგვარ გზამკვლევს თან ერთვის საკონკურსო დავალებების ნიმუშებიც.[1]

ჩვენთვის საინტერესო კონკურსის ძირითადი ნაწილი მუზეუმის მეორე სართულის საგამოფენო დარბაზში მიმდინარეობდა, რომელიც საგანგებოდ სკოლების მიერ მომზადებული სტენდებითა და რუკებით გაფორმდა. განსაკუთრებით სიმბოლურ და მრავლისმეტყველად ის ფაქტი მომეჩვენა, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების ამსახველი სტენდური მოხსენებები, მიყუდებული და მიმაგრებული იყო არსებულ მუდმივმოქმედ ექსპოზიციაზე, რომელიც ქალაქის სოციალისტურ წარსულს გადმოგვცემდა. ამგვარად, ისტორიული გმირების კოლაჟები სოციალისტური რუსთავის შრომის გმირების ფოტოებს ფარავდა და რიგ შემთხვევაში ვიზუალური თვალსაზრისით ეკლექტურ მთლიანობას ქმნიდა. სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების

---

[1] *პაჭიკაშვილი ნ., რუსთავის ისტორია, რუსთავის ისტორიის მუზეუმი, რუსთავი, ჩანაწერი, 2012.*

ამგვარი განლაგება, ჩემი აზრით, თავისებურად ეხმიანებოდა და გამოხატავდა მათ დამოკიდებულებას საკუთარი ქალაქის ორი წარსულისადმი. ახლო წარსული უფრო ძველით გადაიფარა, შრომის გმირები, რომელთაგან ზოგი ისევ ცოცხალია[1], საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში დაღუპული ისტორიული გმირების სურათებით დაიფარა. ვინაიდან სოციალისტურმა პერიოდმა ჯერ ვერ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის საყოველთაოდ აღიარებულ ისტორიაში, რადგან იგი ჯერ კიდევ მეხსიერების კუთვნილებაა, მისი გმირები ადვილად იწირება დავიწყებისათვის, გადაფარვისათვის. როდესაც საქმე ისტორიის რეპრეზენტაციას ეხება, რომელიც იდენტობის მანიფესტირების ერთგვარი ფორმაა, შესაბამისი სახეებისა და ფაქტების მოძიება უფრო შორეულ წარსულში ხდება, სადაც ინტერპრეტაციის მეტი საშუალებაა. საინტერესო დეტალია, რომ ქალაქ რუსთავის ისტორია და მისი კვალი სოციალისტური პერიოდის ისტორიასთან ერთად გაუჩინარდა. თუ შევაჯამებთ საკონკურსოდ წარმოდგენილ თემატიკას რუკების, პლაკატების, მოხსენებებისა და მხატვრული ნაწარმოებების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის სოციალისტურ ისტორიასთან ერთად დაიკარგა, უფრო სწორად, ადგილი ვერ ნახა ვერც ქალაქის იმ ისტორიამ, რომელიც შორეული წარსულიდან იღებდა სათავეს და რომლის წარმოჩენაც კომუნისტებმა ითავეს. უშუალოდ რუსთავს, როგორც ანტიკური და შუა საუკუნეების ქალაქს, არ დათმობია არც ერთი მოხსენება და სტენდი. ასევე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად არ შემხვედრია შოთა რუსთაველი, როგორც

[1] *კონკურსის ჩატარებისას ცოცხალი იყო.*

ისტორიული ეპოქის შემოქმედი და მასთან დაკავშირებული თემა. ამდენად, ქალაქი რუსთავი ვერ მოხვდა ვერც ერთ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც მოსწავლეებმა ისტორიული მოვლენებითა და გმირებით წარმოადგინეს. კომუნისტების მიერ ქალაქის რეპრეზენტატიული ნარატივების კვალის მოძიება პოსტსაბჭოთა რუსთავში გაჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნარატივები ნაციონალური ხასიათისა იყო და ქალაქის ისტორიას ქვეყნის ისტორიის კონტექსტში განიხილავდა. თუ კომუნისტები მთლიანად საქართველოს ისტორიის ახალ წაკითხვას გვთავაზობდნენ რუსთავის მაგალითზე, დღეს რუსთავის მკაფიო კვალის მოძიებაც კი ჭირს ამავე ქალაქში გამართულ საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ კონკურსში. პირველი, ქალაქის დაარსების თარიღი და ადგილი სავარაუდოდ იმდენად არ იწვევს ინტერესს, რომ საკონკურსოდ მისი მომზადება არავინ განიზრახა. შოთა რუსთაველის მემკვიდრეობაზეც არავის გამოუხატავს პრეტენზია ან თანხმობა. რაც შეეხება მეტალურგიის ტრადიციის აღორძინების თემას, მისი აქტუალობა მეტალურგიული ქარხნის დაკნინებასთან ერთად გაუჩინარდა ქვეყნის წარმოდგენილი ისტორიიდან.

ამგვარად, საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ კონკურსში გამოტოვებული სოციალისტური და პოსტსოციალისტური ისტორიის ნაწილის კვალს ვერ ნახავდით ვერც მოხსენებებში, ვერც რუკებსა და ვერც პლაკატებზე. ჩემი აზრით, ამ პერიოდებზე ერთგვარი რეფლექსიის გარკვეული ფორმები მხოლოდ კონკურსის ფილოლოგიურ ნაწილში შეიძლება იქნეს მოძიებული, სადაც მოსწავლეები ისტორიულ მოვლენებზე მხატვრული ნაწარმოებების შე-

ქმნას ცდილობდნენ. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მოსწავლეთა რამდენიმე ნაშრომის მოკლე შინაარსს გადმოვცემ:

1) „ბიჭი ფარნავაზი“ – ასევე ერქვა ორგვერდიან ნოველას, რომლის მთავარი გმირი სკოლის მოსწავლეა. მისი სახელი ქართლის გამაერთიანებელი პირველი მეფის სახელს ემთხვევა. ეს ფაქტი მისთვის ერთგვარ გამოწვევად და ბედისწერად იქცევა. ისტორია, რომელიც მასთან მისი სახელით მოვიდა, მისგან აქტიურ ქმედებასა და ერთგვარ გმირობას ელის. ეს ყველაფერი მას ავადმყოფობის დროს მაღალი ტემპერატურის პირობებში სიზმრის სახით ეზმანება და ტანჯავს. ამ შემთხვევაში საინტერესოა, რომ სიუჟეტი თანამედროვე (დიდი ალბათობით პოსტსაბჭოთა) ყოველდღიურ ცხოვრებაში ვითარდება, სადაც ისტორია თავს ახსენებს ვაჟს, რომლისთვისაც გმირი მეფის სახელი დაურქმევიათ. ეს მოთხრობა საინტერესოდ ეხმიანება კონკურსს მთლიანობაში, როგორც იდენტობის ძიების ერთგვარ პროცესს ახალ რეალობაში. ამ შემთხვევაში სახელთან ასოცირებული ისტორია თავს გვახსენებს და მოსვენებას გვიკარგავს, დავიწყებულის გახსენებას გვაიძულებს.

2) „ხელები“ – ამ ნაწარმოებში ასაკოვანი კომუნისტის შესახებაა მოთხრობილი, რომელსაც „ხელები ეწვის“. ამის მიზეზი მის მიერ საბჭოთა პერიოდში ჩადენილი დანაშაულია, კერძოდ, დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის, საფლავის შელახვა, წაბილწვა. ეს ნაშრომი შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი რეფლექსიაა საბჭოთა წარსულსა და მის მემკვიდრეობაზე უკვე პოსტსაბჭოთა ეპოქის პერსპექტივიდან. მხატვრული ტექსტი უფრო მეტად აწმყოზეა

ორიენტირებული, სადაც გმირს ახლო წარსულში უფრო შორეული წარსულის დავიწყებისათვის და უგულებელყოფისათვის სასჯელი ერგება, რასაც შემდგომ სინანულიც მოჰყვება. ამ თვალსაზრისით იგი ნამდვილ გამონაკლისს წარმოადგენდა კონკურსის ფარგლებში.

მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ ორივე მხატვრულ ტექსტში გმირები ისტორიასა და მის ძალას გრძნობენ. ორივე შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზით დავიწყებულია ისტორია, რასაც შესაბამისი სანქცია, სასჯელი მოჰყვება ავადმყოფობისა და ფიზიკური ტკივილის (ხელების წვის) სახით. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების გმირები სხვადასხვა ასაკისანი არიან, მათზე თანაბრად ვრცელდება სასჯელი, რომელიც ისტორიისადმი არასათანადო დამოკიდებულების მიზეზით ჩნდება.

კონკურსის ამავე ნაწილში, ერთ-ერთი ნაშრომი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირს, ვახტანგ გზირიშვილს, მიეძღვნა, რომელიც რუსთავიდან ყოფილა და მისი სახელიც რუსთავის ერთ-ერთ ქუჩას გარდაცვალების შემდგომ მიენიჭა. ნოველაში მისი ცხოვრების რომანტიკული ამბავია გადმოცემული. მთავარი გმირის შავ ზღვაზე დაწყებულ სასიყვარულო ურთიერთობას ომი წყვეტს და ასრულებს. ავტორი შეეცადა ქალაქის უახლესი დროის გმირის ადამიანურ თვისებებზე მოეთხრო, მის ადამიანურ სისუსტეებზე, რასაც ხელი არ შეუშლია მისთვის, ქვეყნისთვის თავი გაეწირა საჭირო მომენტში. კონკურსის პირობებიდან გამომდინარე, ეს ნაშრომი უბრალოდ არ განვიხილეთ, ვინაიდან მისი თემატიკა ვერ ფარავდა საკონკურსოდ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ამის მიუ-

ხედავად, ჩემთვის მაინც საინტერესოდ დარჩა ფაქტი, რომ ასეთი ნაშრომი კონკურსის ფინალურ ეტაპზე მოხვდა და ჟიურის წევრებს მისი გაცნობის საშუალება მოგვეცა.

უნდა აღინიშნოს რომ საკონკურსოდ, ჟიურის წინაშე წარმოდგენილი ისტორიის ლიტერატურული ტექსტების 90% რამდენადმე შაბლონული და სტანდარტულად საქართველოს ისტორიის ცალკეული ფაქტისა თუ გმირის გაიდეალების მცდელობებს წარმოადგენს. ძალიან გამიმართლა, რომ კონკურსის ამ სეგმენტის ჟიურის წევრის სტატუსით მიწევდა მონაწილეობის მიღება ამ ღონისძიებაში, რომელმაც საშუალება მომცა ყველა განსახილველ საკონკურსო ტექსტს გავცნობოდი.

კონკურსის პირობები, საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრები და მათი პრეზენტაციის ფორმები საგულისხმო რეფლექსიის საშუალებას იძლევა თანამედროვე ქალაქის რაობის დისკურსზე აქცენტირებული დეტალებითა და გამოტოვებული, დავიწყებული ფაქტებით.

აქვე მინდა გამოვყო კონკურსის დაჯილდოების პომპეზური ცერემონიალი, რომელიც რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში იმავე 2011 წლის 11 დეკემბერს გაიმართა. ღონისძიება დაგეგმილზე ერთი საათით გვიან გაიმართა, რისი მიზეზიც საპატიო სტუმრების დაგვიანება იყო. ასევე საგულისხმოა, რომ ღონისძიებას ესწრებოდნენ რუსთავის ყველაზე ცნობილი სახეები (მათ შორის ქვემო ქართლის გუბერნატორი, ქალაქის მერი და მეუფე) და სტუმრები დედაქალაქიდან. მაყურებელს, პირველ რიგში, თვალში ეცემოდა სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის მოწყობილი ისტორი-

ული სიმბოლოებით გაფორმებული სცენა, დეკორაციის ნაწილი იყო ნახევრად ჩაბნელებული სცენა და მის თავზე დამაგრებული გარღვეული ბადე – „ჩამოქცეული ცა“, რომელსაც მნახველში სავარაუდოდ სინანული და წუხილის გრძნობა უნდა გამოეწვია წარსულის გამო. ამ ემოციას კიდევ უფრო ამძაფრებდა მოსწავლეთა მიერ წაკითხული პატრიოტული ლექსები. ინსცენირების ერთ-ერთ, საფინალო ნაწილში, ღონისძიების წამყვანი მოსწავლეები, სცენაზე კოსტუმირებულ ისტორიულ გმირებს, პატრიოტებს უხმობენ. შესაბამისი მუსიკალური თანხლებით საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის მეფეები, გმირები და წმინდანები დროშებით ხელში თავს იყრიან სცენაზე. შორეული წარსულიდან გმირების გამოძახება, მათი მოწვევა ვფიქრობ ყოფილი სოციალისტური ქალაქისათვის იდენტობის თავისებური ძიების პროცესს შეიძლება მოგვაგონებდეს.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქ რუსთავის დაარსებისთანავე კომუნისტებმა იზრუნეს მისი წარსულის შექმნაზე, რომელსაც ისტორიის სახე მისცეს, ამით შეეცადნენ აეთვისებინათ „ტერიტორია“, რომელიც მეხსიერებისთვის იყო განკუთვნილი, „დაიწერა“ რუსთავის ურბანული ნარატივები, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ნაციონალურ ისტორიაში ადგილის დაკავებისა. ასეთი ნარატივები იყო ისტორიული რუსთავის გაცოცხლება, რომელიც განადგურდა მრავალი შემოსევის შედეგად; შოთა რუსთაველის დაკავშირება ქალაქის წარსულთან და მის მემკვიდრეობაზე პრეტენზია; დავიწყებული ტრადიციების აღდგენა, როგორიცაა რკინის დნობა და ამ პროცესში ბუ-

ნებრივია კომუნისტების როლის კიდევ უფრო განდიდება. თუმცა სისტემის ცვლილებასთან ერთად ეს ნარატივები გაქრა ისტორიის დისკურსიდან და მხოლოდ მეხსიერებას და არქივებს შემორჩა. კონკურსის მაგალითზე ჩანს, რომ მთლიანად უარი ითქვა საბჭოთა პერიოდის წარმოდგენაზე, როგორც საქართველოს ისტორიის ნაწილზე და მასთან ერთად ქალაქზე შექმნილი ისტორიული ნარატივებიც „გაუჩინარდა", რაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მათი შექმნის ისტორია ჯერ კიდევ ცოცხალია საზოგადოების მეხსიერებაში და ამავდროულად არ შექმნილა ოფიციალური ისტორია, რომელიც მათ ადგილს დაიკავებდა. ამ ყოველივეს ვიზუალური ილუსტრაციისათვის კი მუზეუმის მეორე სართულზე წარმოდგენილი საკონკურსო მასალის განლაგება გამოდგება. როდესაც ახლო წარსულის, საბჭოთა ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია უფრო შორეულ წარსულზე მომზადებული მასალით იფარება და რომელსაც ისტორია ჰქვია, ხოლო ის, რაც მეხსიერებაში ჯერ კიდევ მყარადაა, საჯარო დავიწყებისთვისაა განწირული. კონკურსის ორგანიზატორების მიერ გაწერილი ფორმატის მიუხედავად, სადაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის გადააზრებისათვის ადგილი არ რჩებოდა, კონკურსის მხატვრულ ნაწილში მაინც მოიძებნა რამდენიმე შემთხვევა, სადაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობაზე რეფლექსია ხდება. მთლიანობაში კი საქართველოს ისტორიაში გამართულმა კონკურსმა ქალაქ რუსთავში აჩვენა, რომ საბჭოთა წარსულის გადააზრება არ დგას დღის წესრიგში, რასაც ცოცხალი მეხსიერება უშლის ხელს, რომელიც წინააღმდეგობრივია,

არაერთგვაროვანია და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად, პირად გამოცდილებებსაც მოიცავს. შესაბამისად, ამ ადგილის შევსება და გადაფარვის მცდელობას ვხვდებით უფრო ძველი ისტორიის მოშველიებით, რომელიც, როგორც ჩანს, დღევანდელ იდეოლოგიასა და მისწრაფებებს უფრო კარგად გამოხატავს და შეესაბამება. ამგვარად, კონკურსზე წარმოდგენილ საქართველოს ისტორიის კონკურსში არ მოიძებნა ადგილი არათუ სოციალისტური რუსთავისათვის, არამედ ისტორიული რუსთავისათვის, რაც ადასტურებს, რომ ქალაქი ახალი იდენტობის ძიებაშია.

ქალაქი რუსთავი ახალი იდენტობის ძიებაში

რუსთავის პოსტსაბჭოთა ნარატივები თუ მათი არტიკულირება საჯარო სივრცეში სასკოლო კონკურსების სახით მუზეუმებსა თუ სხვა დაწესებულებებში, მათი მასშტაბურობის მიუხედავად მაინც შეზღუდულია დროსა და სივრცეში. ამ თვალსაზრისით, მეტი შესაძლებლობის მქონეა ქალაქის შესახებ ბლოგების სასკოლო კონკურსი. თვისობრივად განსხვავებული ფორმატი, რაც ნარატივების კონსტრუირებაში ახალი ტექნოლოგიებისა და საშუალებების ჩართვას გულისხმობს, რუსთავის ნაციონალურ თუ ინტერნაციონალურ ნარატივებზე დაკვირვების ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ამ შემთხვევაში არსებითი საკითხი რუსთავის შესახებ ნარატივების საპრეზენტაციოდ ინტერნეტის გამოყენებაა, რომლის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით ყოველდღიურად იზრდება. ამდენად, საინტერესოა ვირტუალური სივრცის გამოყენების შესაძლებლობები და საშუალებები რუსთავის პოსტსაბჭოთა ნარატივების ინტერპრეტატორებისათვის.

2013 წელს, განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ქალაქ რუსთავის ექვსი სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებულმა ბლოგებმა, მიიღეს მონაწილეობა. საკონკურსოდ, საქართველოს მასშტაბით სკოლებს თავიანთი ქალაქის, რაიონის ან სოფლის შესახებ უნდა მოემზადებინათ ინტერნეტბლოგები. ამგვარად აღნიშნულ ბლოგებს ქალაქის რეპრეზენტაციის თავისებურ მოდელებად განვიხილავ და მათზე დაყრდნობით საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნარატივების პოსტსაბჭოთა თავგა-

დასავალზე ვიმსჯელებ. აქვე, ვეცდები გავარკვიო, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი ბლოგერების მიერ შექმნილ ტექსტებში კომუნისტების მიერ შემოთავაზებული ნაციონალური თუ ინტერნაციონალური ნარატივები. ვფიქრობ ამავე ბლოგების განხილვით, ქალაქის ახალი იდენტობის მარკერების გამოყოფის პროცესზე დაკვირვებაა შესაძლებელი. კვლევის ამოცანა ისევ რუსთავური ნარატივების განსხვავებულ რეპრეზენტაციურ ფორმებში ასახული შინაარსის ტრანსფორმაციაზე დაკვირვება და მისი გაგებაა.

რაც შეეხება უშუალოდ ბლოგების მიმოხილვას, ქალაქის რეპრეზენტაციის კონტექსტში, ვეცდები გამოვყო მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. შევეცდები გავარკვიო კომუნისტების მიერ შექმნილი ნარატივებიდან რა მოხვდა სკოლის მოსწავლეების მიერ დანახულ თანამედროვე ქალაქის იმიჯში და რა ვიზუალური და შინაარსობრივი ფორმები შეიძინა მან. ასევე მინდა გამოვყო ის საკითხები, რომლებიც პირობითად ქალაქისათვის იდენტობის ძიების პროცესს მოგვაგონებს.

ეთიკური მოსაზრებების გამო, თავს შევიკავებ რუსთავის სკოლების დასახელებისგან და პირობით, რიგობითი რიცხვებით მოვიხსენიებ პირველიდან ექვსის ჩათვლით.

თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ, რაც ბლოგებში ერთი შეხედვითვე ჩანს და მათ თავისუფლად აერთიანებს, ქალაქის შესახებ ისტორიული წყაროების დეტალური მიმოხილვაა, ექვსივე სკოლა დაწვრილებით მოგვითხრობს ისტორიული ქალაქის შესახებ თუ რომელი წერილობითი წყარო რა ცნობას გვაწვდის რუსთავის შორეული წარსულის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სოცია-

ლისტური რუსთავის შესახებ ინფორმაციას მოკლედ და აბსოლუტურად იდენტური სახით ვხვდებით რამდენიმე ბლოგში (სამი სკოლის შემთხვევაში):

> „რუსთავი, როგორც ქალაქი, განადგურდა 1265 წელს მონღოლების შემოსევის შედეგად. საუკუნის ორმოციან წლებამდე ოდესღაც აყვავებული ქალაქისგან მხოლოდ ქალაქის ციხის ნანგრევებმა მოაღწია. 1944 წელს ისტორიული ნაქალაქარის ტერიტორიაზე დაიწყო მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა. თითქმის მაშინვე ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე ქალაქის მშენებლობას. 1948 წლის 19 იანვარს რუსთავმა ქალაქის სტატუსი მიიღო. ამავე წელს დაარქვეს რუსთავის ქუჩებს სახელები. პირველ ქუჩას „ახალგაზრდა კომუნარების“ სახელი დაერქვა, მეორეს – „რუსთავის მშენებელთა“, მესამეს კი – „ბოსტან-ქალაქი“.

მოცემულ ტექსტში ვხვდებით ქალაქისათვის რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს: განადგურების, მშენებლობის დაწყებისა და მისთვის ქალაქის სტატუსის დაბრუნებისა. ასევე ინტერესს იწვევს ერთ-ერთი პირველი ქუჩის („ბოსტან-ქალაქი“) დასახელებაზე აქცენტის გაკეთება. ისტორიული წყაროების მიხედვით ამ ტერიტორიაზე არსებულ დასახლებას სწორედ ბ(ვ)ოსტან ქალაქი უნდა რქმეოდა. საგულისხმო დეტალია, რომ წარმოდგენილი სკოლების ბლოგებში, სადაც სოციალისტური ქალაქის მშენებლობაზეა საუბარი, საერთოდ არ არის მოხსენიებული სტალინი, რომლის სახელსა და ინიციატივას უკავშირებს რუსთავის

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქალაქის მშენებლობას.[1] ასევე საგულისხმო ფაქტია, რომ ქალაქის სოციალისტური წარსულის შესახებ ინფორმაცია მშრალი, ფორმალური და პრაქტიკულად იდენტურია, უფრო მეტიც, დაკოპირებულია. ქალაქის ისტორიულობის თემას რომ დავუბრუნდეთ, საგულისხმო დეტალია, რომ შოთა რუსთაველის რუსთავთან კავშირზე მხოლოდ ერთი სკოლის (მეორე) ბლოგშია საუბარი, სადაც ბლოგის ავტორები შოთა რუსთაველის წარმომავლობას მტკიცებითი ფორმით კი არ წარმოადგენენ, არამედ აკადემიკოს ზაზა ალექსიძის მოსაზრებას იმოწმებენ, რომლის მიხედვითაც, დიდი პოეტი, სწორედ ამ რუსთავიდან უნდა ყოფილიყო.[2] ასევე საინტერესოა, რომ ორი სკოლის შემთხვევაში ვხვდებით რუსთავის ისტორიული ციხის შესახებ მსჯელობას, რომელიც მეცნიერულ დავასთან ახლოსაა და სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში „შეცდომით“ დამკვიდრებულ არიშის ციხის სახელს უკავშირდება. ავტორთა მტკიცებით, მას უბრალოდ რუსთავის ციხე უნდა ეწოდოს.

ის, რაც ამ სკოლების რამდენიმე ბლოგს აერთიანებს არის ქალაქის პრობლემების შესახებ ცალკე რუბრიკის გამოყოფა. რუბრიკაში „პრობლემა“ სამ სკოლას გამოტანილი აქვს ეკოლოგიის თემატიკა. ამ შემთხვევაში ორ საგულისხმო დეტალს გამოვყოფდი. პირველი არის ის, რომ ქალაქის კონტექსტში პრობლემების წარმოჩენა ზოგადად

---

[1] *საველე ჩანაწერებიდან: მანჯავიძე, 2014; წერეთელი, 2014; ჯახუა, 2012; ჟუჟუნაშვილი, 2011.*

[2] *შუბლაძე შ., „რუსთავი დროის პრიზმაში“, დოკუმენტური ფილმი, 1999.*

მნიშვნელოვანი ფაქტია ქალაქის რეპრეზენტაციაზე მსჯელობისათვის. მეორე ის, რომ, ბლოგერების წარმოდგენით, ქალაქს ყველაზე მეტად ეკოლოგიური საკითხები აწუხებს. სხვა საკითხია, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად ეკოლოგიაში? იმის გათვალისწინებით, რომ რუსთავი მძლავრ ინდუსტრიულ კერას წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდში, გარემოს დაბინძურების კუთხით იგი უარყოფითად მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა. თუმცა, ბლოგერებმა აქცენტი არა ქარხნებსა და მათ მიერ დაბინძურებულ გარემოზე, არამედ პოლიეთილენის ფართო გამოყენებასა და ქალაქის გამწვანების ნაკლოვანებებზე გადაიტანეს. ინდუსტრიული ქალაქის პირობებში არსებული მოძველებული საწარმოების გარემოზე მავნე ზემოქმედების იგნორირება საგულისხმო დეტალია, ჩემი აზრით, რომელიც წარსულისადმი თავისებური დამოკიდებულების გამომხატველია. ქალაქის პრობლემების რუბრიკით ერთ-ერთი სკოლა დევნილების სირთულეებზე მოგვითხრობს და აღნიშნულ საკითხს, როგორც ქალაქის, ისევე ქვეყნის საერთო კონტექსტში განიხილავს. ერთ-ერთი სკოლის ბლოგში, რომელიც სამინისტროს მიერ შერჩეულ, გამარჯვებულთა შორისაც აღმოჩნდა, იმის გასარკვევად, თუ რა აწუხებს ქალაქს, ერთგვარი სოციოლოგიური გამოკითხვაც ჩაატარა. კვლევის შედეგების მიხედვით რუსთავის ახალგაზრდები პრობლემურად სამ საკითხს ასახელებენ:

1) ქალაქში კინოს არ არსებობა (ახალგაზრდული აქტივობის პრობლემები);

2) „მაწანწალა“ ძაღლების სიმრავლე;

3) სკვერებსა და პარკებში ვიდეოკონტროლის დაყენება და დაზიანებული ინვენტარის შეკეთება.

კვლევის ავტორები ამ სამიდან უფრო მნიშვნელოვანის გამოყოფას შეეცადნენ და დაკონკრეტებულ საკითხზე კომენტარი ქალაქის მაშინდელ მერს სთხოვეს.

> —„ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოებრივი და სოციალური გამოკითხვა. შედეგმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს აწუხებს სკვერებში ვიდეოკონტროლის არარსებობა და დაზიანებული ინვენტარი. როგორ აპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას?
> —სკვერებთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ ის, რომ წესრიგის დაცვის მიზნით იგეგმება საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით სკვერებში მცველების განაწილება. რაც შეეხება ვიდეოკონტროლს, ამ მიმართულებით სიახლეებს არ ვგეგმავთ. უკვე მიმდინარეობს ლეონიძის სკვერის რეაბილიტაცია, რასაც ესაჭიროება ნახევარი მილიონი ლარი; მიმდინარეობს რუსთავის ცენტრალური სკვერის განახლება, რომელიც ერთ მილიონამდე თანხას საჭიროებს“.

ვინაიდან ამ ბლოგში ქალაქის მთავარ პრობლემად, სკვერების საკითხია გამოტანილი, ყურადღებასა და ინტერესს ის გარემოება იმსახურებს, რომლის მიხედვითაც მეგობრობის ხეივანში ახალგახსნილი „ალიევის სკვერი“ ამ კონტექსტში საერთოდ არ იხსენიება. გაკვირვებას იწვევს, თუ რატომ აარიდეს მასზე საუბარს თავი ბლოგის ავტორებმა ან ქალაქის მერმა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს

სკვერი, ამ დროისათვის, რამდენიმე თვის გახსნილია. საგულისხმო ფაქტია, რომ ალიევის ქანდაკება და მისი სკვერი, რომელიც ძველი რუსთავის მეგობრობის ხეივანში განთავსდა, არც ერთი ბლოგერის ინტერესის სფეროში არ მოქცეულა, მათ შორის ამავე სკოლის მიერ გამოტანილ რუბრიკაში „ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილები". ამ სათაურის ქვეშ გამოტანილ ინფორმაციას მხოლოდ ერთი სკოლის ბლოგში ვხვდებით. ბუნებრივია, ინტერესს ის ჩამონათვალიც იწვევს, რომელიც ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვან მარკერებად ამ სკოლის ბლოგერებმა შემოგვთავაზეს.

„რუსთავში საზოგადოებრივი თავშეყრის უამრავი ადგილი არსებობს. მათ შორის არის სარწმუნოებრივი, ისტორიული, გასართობი თუ სპორტული ღირსშესანიშნაობები. ამ ჩამონათვალიდან ვეცადეთ თქვენთვის გაგვეცნო მათგან რამდენიმე მნიშვნელოვანი: ხარების ეკლესია, „რუსთავის ავტოდრომი" რუსთავი „არენა" (საცურაო აუზი), რაგბის სტადიონი, რუსთავის ტელევიზია, საფეხბურთო მოედანი „ფოლადი", სიონის (ღვთისმშობლის მიძინების) ეკლესია, იუსტიციის სახლი. ჩამონათვალს გააჩნია მოკლე ანოტაციები, საიდანაც ვგებულობთ თუ რატომ არის ესა თუ ის ადგილი ქალაქისათვის განსაკუთრებული. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილთაგან ვხვდებით რელიგიურ ადგილებს, რაც რუსთავისათვის საბჭოთა პერიოდთან მიმართებაში საგულისხმო სიახლეს წარმოადგენს. აქვე ვხვდებით სპორტული თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილებს, მედიისა და იუსტიციის სახლს, ეს უკანასკნელი ვარდების რევოლუციით მოსული მთავრობისათვის ერთგვარ ბრენდს

წარმოადგენდა. საგულისხმო ფაქტია, რომ ამ ჩამონათვალში არ მოხვდა არც ერთი სკვერი და არც ერთი ქარხანა ან მასთან დაკავშირებული ქალაქის „ადგილები“. კიდევ ერთი სიახლე, რაც კონკრეტული სკოლის მიერ წარმოდგენილ ბლოგში გვხვდება, არის ახალი დროის გმირების წარმოჩენის მცდელობა. მათ შესახებ ბლოგში ვკითხულობთ:

> „2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა შორის იყვნენ რუსთაველი ჯარისკაცებიც: ვახტანგ გზირიშვილი, ბესო კაპანაძე, ლევან იოსებიძე, კახაბერ თავგორაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად რუსთავის ქუჩებს ომში გმირულად დაღუპული მეომრების სახელები დაერქვა“.

ამავე ბლოგში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ქალაქის ერთგვარი შეფასება და მცდელობა მისი განსხვავებული კუთხით წარმოჩენისა:

> „რუსთაველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სამშობლოს სიყვარულით, რომლის უდიდესი მაგალითია ჟიული შარტავას გმირობა აფხაზეთში, რომელმაც არ დატოვა აფხაზეთი დაცემის დღეს და გმირულად შეაკვდა მტერს. იგი ეროვნული გმირია და არამარტო რუსთავისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის გმირობის ეტალონად იქცა. ჟიული შარტავასთან ერთად დაღუპულ გმირებს შორის იყვნენ რუსთაველი ჯარისკაცებიც“.

აქედან აშკარად ჩანს, რომ სახეზეა ქალაქისათვის მნიშვნელოვანი, ახალი თემატიკის შემოტანა, რამაც მის შესახებ საერთო წარმოდგენაზე გავლენა უნდა იქონიოს და რუსთავის მნიშვნელობა ერთიან ქართულ კონტექსტში წარმოაჩინოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ინფორმაცია ახლგახსნილი ალიევის სკვერის შესახებ არც ერთ ბლოგში არ გვხვდება, მხოლოდ ერთი სკოლის სურათების გალერეაში შეგვიძლია ვნახოთ ფოტო, რომელზედაც აღნიშნული სკვერია აღბეჭდილი, თუმცა ყოველგვარი წარწერისა და მინიშნების გარეშე. ვინაიდან ფოტოზე ჰეიდარ ალიევის ძეგლი არ ჩანს, შესაბამისად მისი იდენტიფიცირება აღნიშნულ სკვერთან უცხო თვალისათვის შეუძლებელი ხდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტებმა რუსთავის მშენებლობასთან ერთად, ქალაქის წაკითხვის ორი განსხვავებული დისკუსი შემოგვთავაზეს – ნაციონალური და ინტერნაციონალური. ქალაქის ამ ხედვების გასამყარებლად რეჟიმი სხვადასხვა ავტორსა და ფაქტს მოიხმობდა. ურბანული ნარატივების მეშვეობით კი ქალაქის ძლიერ მხარეებს წარმოაჩენდა და ქვეყნის მასშტაბით მის განსაკუთრებულ სტატუსს უზრუნველყოფდა. რუსთავი საქართველოს სიამაყედ გამოცხადდა. ამ ყველაფრის საპირისპიროდ ქალაქის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქარხნების ქალაქში მასიურმა უმუშევრობამ დაისადგურა. წარმოდგენები ბედნიერ მომავალზე მწარე რეალობით შეიცვალა. რამაც ავტომატურ რეჟიმში ღირებულებათა გადაფასების საკითხი დააყენა. მათ შორის კომუნისტების მიერ შემოთა-

ვაზებულმა ნაციონალურმა ნარატივებმა დაკარგა დამაჯერებლობა, ხოლო ქალაქის მულტიკულტურული იმიჯი აღარ იყო მიმზიდველი. რუსთავის ინტერნაციონალური ბუნების შესუსტება, ერთი მხრივ, ეთნიკური უმცირესობების აქტიურმა მიგრაციამ, მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის ზრდამ განაპირობა. აღნიშნულ საკითხებზე დაკვირვებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას რუსთავის სკოლების მიერ მომზადებული ბლოგები გვაძლევს.

წარმოდგენილ ბლოგებში რუსთავის ინტერნაციონალური ოჯახის კვალის მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის ყველაზე აშკარა ილუსტრაციად ალიევის სკვერის იგნორირება გამოდგება, მაშინ, როდესაც საუბარია ქალაქის დასასვენებელ ადგილებზე, გამწვანებასა თუ ეკოლოგიაზე. ქალაქის მულტიკულტურულობის წარმოდგენასთან ერთად იკარგება მასთან ასოცირებული ნაციონალური ნარატივებიც. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური და პატრიოტული პასაჟები არ აკლია ზოგადად ბლოგებს ქალაქის შესახებ, კონკრეტული ნარატივი შოთა რუსთაველის სადაურობის შესახებ მტკიცებითი ფორმითაც არ გვხვდება. ექვსი სკოლიდან ხუთი სკოლის მიერ მომზადებულ ბლოგში საერთოდ არ არის მოხსენიებული გენიალური პოეტი და მისი ფასდაუდებელი მემკვიდრეობა. მხოლოდ ერთი სკოლის ბლოგში გვხვდება კონკრეტული მეცნიერის მიერ გამოთქმული ვარაუდის სახით. ამის სანაცვლოდ პრაქტიკულად ყველა ბლოგში გვხვდება ისტორიული ქალაქის შესახებ დაწვრილებითი მსჯელობა. ეს ფაქტი შესაძლოა გამოწვეული იყოს ამ ნარატივის სისუსტით, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტებმა შესთავა-

ზეს საზოგადოებას. სავარაუდოდ, ამგვარი აქცენტირება ქალაქის ისტორიულობაზე მის არადამაჯერებლობაზე შეიძლება მიუთითებდეს. ბლოგებში მინიმალისტურადაა წარმოდგენილი ქალაქის ისტორიის სოციალისტური პერიოდი, რაც სიმპტომატურია და ქალაქის წარსულის რეპრეზენტაციის თავისებურებაზე მიუთითებს. ქალაქის მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპის იგნორირება კავშირში უნდა იყოს სისტემის ნგრევასთან, რომლის ინიციატივითაც აშენდა/აღდგა ქალაქი. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, მის მიერ შეთავაზებულმა ნარატივებმაც დაკარგა ძალა და გავლენა. ბლოგებში ვხვდებით გარკვეული სახით იდენტობის ძიებასთან ასოცირებულ ერთგვარ პროცესსაც, მაგალითად, ახალი გმირების წარმოჩენა, რომლებიც დაიღუპნენ ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. მათი სახელები ჩნდება რუსთავის ქუჩებში და მათ შესახებ ქალაქის კონტექსტში წერენ. ამ პროცესის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ ეკლესიების მოხსენიება ქალაქისათვის მნიშვნელოვან ადგილებში. ამგვარად, რუსთავის ერთ-ერთი სახელი, „ორმოცი ძმის ქალაქი“, ერთგვარ მეტაფორად იქცა და ისტორიას ჩაბარდა, იქამდე, სანამ ახალი ძალა ქალაქის იდენტობის ახალ მარკერებს არ მოხაზავს და ორმოცი ძმის ურთიეთობის ახალ კონტექსტს არ შესთავაზებს საზოგადოებას.

პოსტსაბჭოთა ურბანული ნარატივები

კომუნისტების მიერ აშენებული ქალაქ რუსთავის ურბანულ სივრცეში, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი მონუმენტები და ძეგლები. ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ქალაქის მთავარ მოედანზე აღმართული საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური ლიდერის, ლენინის ძეგლი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე რუსთავში პრაქტიკულად არ გვხვდება ქართველ მოღვაწეთა ძეგლები, გამონაკლისს რუსთაველის მცირე ზომის მონუმენტი წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ნებისმიერი მმართველისათვის ქალაქის ქუჩები და მოედნები შესაშური სივრცეა საკუთარი თავისა და იდეოლოგიის წარმოსაჩენად. ამგვარი დაცარიელებული სივრცის ათვისება რუსთავში 90-იანი წლების შემდგომ ხდება აქტუალური. საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე რუსთავში არაერთი ქანდაკება და ძეგლი გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა ძეგლების შინაარსსა და მათი გამოხატვის ფორმებზე პრაქტიკულად აღარ არსებობს, მათ ქალაქში დასამკვიდრებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. განსაკუთრებულ მოვლენად პოსტსაბჭოთა რუსთავში ეკლესიების მშენებლობა იქცა. რუსთავში ეკლესიის მშენებლობა თუ აღდგენა ლოკალურ კონტექსტს გასცდა და საერთო ქართულ თუ პოსტსაბჭოთა მოვლენად იქცა. მიიჩნევა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მასშტაბით, რუსთავი პირველი ქალაქი აღმოჩნდა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველი ეკლესია აშენდა. რელიგიური ნაგებობების და მათ შორის

პირველი მართლმადიდებლური ტაძრის შესახებ საუბარი იქნება წიგნის მეოთხე თავში.

რელიგიის თემასთან ერთად რუსთავის ურბანულ სივრცეში სათანადო ადგილი თავისუფლებისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხს უჭირავს. თავისუფლების გაგება შემოქმედი ადამიანების მხრიდან განსხვავებული და სადისკუსიოც შეიძლება იყოს. რუსთავში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ძეგლის -„თავისუფალი რაშების" დადგმა, აღება თუ ადგილის მონაცვლეობა, არაერთხელ გამხდარი რუსთავის საზოგადოების ფართო განხილვის საგანი. თავისუფლების იდეაზე შექმნილი ქანდაკების ქალაქში დადგმის იდეა რუსთავის ყოფილ მერს, პროფესიით არქიტექტორს, მერაბ ტყეშელაშვილს ეკუთვნის, რომელმაც 1998 წელს, მოქანდაკე ძმებს თამაზ და ჯუმბერ ჯიქიებს, საკუთარი ესკიზის მიხედვით ქანდაკების დამზადება დაუკვეთა. ცხენები ქალაქში 2003 წელს რუსთავქალაქობაზე გამოჩნდნენ. „თუმცა, – „თავისუფლების რაშების" რუსთავში გამოჩენამ რუსთაველები, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა. ხალხი სიბრაზეს ვერ მალავდა: – ეს რა არის, ცხენებს თავი თბილისისკენა აქვთ მიმართული, უკანალი კი – რუსთავისკენო."[1] რკინის ცხენებისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას არამხოლოდ მათთვის განკუთვნილი ადგილი, არამედ მათში გადახდილი ჰონორარიც იწვევდა, რომელიც არაერთი სასამართლო დავის საგანიც გამხდარა. ქალაქის ბიუჯეტიდან ამ ქანდაკების

---

[1] *ვარდოშვილი მ., რა დაუჯდა „ტყეშელაშვილის ცხენები" ბიუჯეტს? [ონლაინ ჟურნალი] ბიზნესი და მენეჯმენტი, №3(23), 2009. მის: www. http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=23&rubr=0&mas=379, წვდომა 30.05.2017.*

ავტორებს მთლიანობაში მილიონ ლარზე მეტი გადაუხადეს, მაშინ როცა ქალაქის ბიუჯეტი, იმ დროისათვის, 4 მილიონს არ აღემატებოდა. ქალაქის სიმბოლოდ ქცეულ ცხენებს საბოლოოდ ქალაქის დატოვება მოუხდათ. „ცხენები 2009 წლის ივნისში ავტობანის და ქალაქში ახალი შემოსასვლელის მშენებლობის მიზეზით მოხსნეს."[1] აქვე ვიგებთ, რომ ცხენები რესტავრაციის შემდგომ აუცილებლად დაუბრუნდებიან ქალაქს, ოღონდ განსხვავებულ ადგილას. ამავე გვერდზე სტატიის ავტორი მკითხველს სთავაზობს საკუთარი აზრი გამოხატოს თუ რომელ ადგილზე ისურვებდა „თავისუფალი რაშების" ხილვას რუსთავში. საკითხისადმი ინტერესს კომენტარების რაოდენობა მოწმობს, 186 ადამიანი თავის მოსაზრებას და 80 ინფორმაციას აზიარებდა. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ რუსთავში ცხენების გამოჩენას კვლავ მოჰყვება აზრთა სხვადასხვაობა, დისკუსია მათი ფორმისა და შინაარსის შესახებ. „გაქცეული" ცხენების უკან დაბრუნების შესაძლებლობაზე საუბრობს გაზეთი „რუსთავიც". სტატიის ავტორს „თავისუფლების რაშები" ქალაქის ნამდვილ სიმბოლოდ მიაჩნია და მათ გამოჩენას მოუთმენლად ელოდება.[2]

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მთავარი ადმინისტრაციული შენობა იყო და დღემდე რჩება ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად. იგი თავისი მასშტაბურობითა და დახვეწილი პროპორციებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. შენობა ხშირად გვხვდება

---

[1] *ინფო-რუსთავი 2016.*

[2] *მუმლაძე მ., „ჯუმბერ ჯიქიას „გაქცეული" რაშები რუსთავში ბრუნდებიან", გაზ. რუსთავი, 27-30 ივნისი, 2016, გვ. 7.*

რუსთაველების ფოტოალბომებში, რადგან ამ შენობასთან ფოტოს გადაღება მიღებულ ტრადიციად ჩამოყალიბდა. რუსთავის სკოლებიდან და არამხოლოდ რუსთავისა, ხშირად მიჰყავდათ მოსწავლეები ქარხნის, როგორც მუზეუმისა და შენობის დასათვალიერებლად. 75 წლის მამაკაცი, თბილისელი მთხრობელი იხსენებს, როგორ წაიყვანეს სკოლიდან ექსკურსიაზე რუსთავში მეტალურგიული ქარხნის დასათვალიერებელად. ასევე 65 წლის თბილისელი მამაკაცი იხსენებს, რომ მამამ მთელი ოჯახი საგანგებოდ წაიყვანა რუსთავში ქარხნის სანახავად, თუმცა მათ ვერ მოახერხეს დათვალიერება, რადგან იმ დღეს ექსკურსიის დღე არ ყოფილა. ქარხანა, სადაც განსაკუთრებით რთულ და მძიმე პირობებში მუშაობდნენ მუშები, ნამდვილ მუზეუმად იყო ქცეული, მას არც მნახველი აკლდა და არც საჯარო ღონისძიებების გამართვა. აქ საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრების გარდა სკოლის მასწავლებლები გასვლით გაკვეთილებსაც აწყობდნენ.[1] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ყველაზე მძიმე რღვევა ქარხანაში მოხდა, საამქროების დიდი ნაწილი ჯართად გაიყიდა. ნაწილი გაჩერდა. ყველაზე გავლენიანი დაწესებულება ქალაქში უფუნქციოდ დარჩა, თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი – სამსახურის გარეშე, რამაც მთლიანობაში ქალაქის მოსახლეობის ყოფაზე უმძიმესი გავლენა მოახდინა. ადმინისტრაციული შენობის მიღმა ქარხნის ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი განადგურდა. თუმცა, მთავარი შენობა ისევ ამაყად დგას და უფრო

---

[1] *დემეტრაძე ქ., „გაკვეთილი მეტალურგიულ ქარხანაში“. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი. 1, 1964.*

მეტის მოყოლას ცდილობს მნახველისათვის. საინტერესო ფაქტია, რომ მეტალურგკომბინატის მთავარი შენობა 90-იან წლებში მდიდრულად გაფორმდა ბარელიეფებით შიგნიდან და გარედან. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ადმინისტრაციული შენობა მოირთო და მოიკაზმა მაშინ, როცა ყველაფერი ნადგურდებოდა და მისი ისტორიული თემატიკით დატვირთული ბარელიეფების ავტორი, არც მეტი არ ნაკლები, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში აღიარებული, ზურაბ წერეთელია, რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მხატვარი და მოქანდაკე. ამ შემთხვევაში ძნელია გაერკვე მიზეზებსა და დეტალებში, რა და როგორ მოხდა, თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება, შენობა ისტორიული სიუჟეტის ბარელიეფებით მაშინ დაიტვირთა, როცა იგი რეალური შინაარსისგან იცლებოდა, როდესაც ქარხანა საკუთარ ფუნქციასა და მნიშვნელობას ვეღარ ასრულებდა.

ჟიული შარტავას სახელი ის გამონაკლისია საქართველოს მასშტაბით, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს წაკითხვის ორაზროვნებას. ამ ადამიანმა სახელი და ავტორიტეტი რუსთავში კომუნისტების ეპოქაშივე მოიპოვა, ხოლო, საკუთარი არჩევანით – ტრაგიკულად დაესრულებინა სიცოცხლე ოკუპირებულ სოხუმში, იგი ქვეყნისათვის თავდადებულთა რიგებში ჩაეწერა. ჟიული შარტავას ბიოგრაფიისათვის მისი რუსთავში გადაყვანა საბედისწერო შეიძლებოდა გამხდარიყო, რადგან ამ გადაწყვეტილებით იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულუარებს მოარიდეს. მისი რუსთავში გადაყვანა ცალსახად სასჯელის ფორმად უნდა აღქმულიყო პერსპექტიული ახალგაზრდა ენერგიული კომუნისტის მხრიდან. მაგრამ ასე არ მოხდა, მან შეი-

ყვარა რუსთავი და რუსთავმაც სიყვარულით მიიღო. რუსთავის „აზოტის“ პარტკომი ნოდარ კურტანიძე იხსენებს:

> „დღე-ღამის ნებისმიერ დროს ხალხზე, ქალაქზე ზრუნავდა. სულ სამუშაოდ იყო შემართული. შენც ვერ გაჩერდებოდი, რომ მუშაობაში არ აჰყოლოდი. ვინც არ აჰყვებოდა, თავისით წავიდოდა, ჟიულის არავინ „გაუფუჭებია“.
>
> „ხალხმა შეიყვარა ჟიული და გაჰყვა მას. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: რუსთავმა და რუსთაველებმა ჭრილობები მომიშუშესო.“[1]

ჟიული შარტავას პიროვნული ხასიათი, ერთი მხრივ, ხელს უშლიდა კარიერულ ზრდაში, მეორე მხრივ, შეუცვლელს ხდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი რუსთავის ქალაქკომის პირველი მდივნობა 16 თვეს ითვლის, იგი ყველაზე დასამახსოვრებელ ფიგურად იქცა მათ შორის, ვისაც კი ეს თანამდებობა მანამდე და შემდგომ ეჭირა. მის სახელთან არის დაკავშირებული რუსთავში საბავშვო რკინიგზის მშენებლობა[2], ქალაქისათვის წყალმომარაგების საკითხის მოგვარება და სხვა უამრავი სტრუქტურული ინიციატივა. ჟიული შარტავას წარმატებული მოღვაწეობა რუსთავში ასევე უსიამოვნოდ მოსჩანდა ზოგიერთისათვის ზემდგომ

---

[1] *ღარიბაშვილი რ., გმირობისათვის დაბადებული. თბილისი, გამომცემლობა „ტრიადა“, 2004.*

[2] *სამწუხაროდ, ამ საბავშვო მატარებლის ძველი ფოტოს მოძიება გაჭირდა, თუმცა როგორც იხსენებენ, მის ლოკომოტივზე ხალიბი ეწერა.*

პარტიულ აპარატში, რაც მისი ჯერ ქალაქის და შემდგომ რუსთავის დატოვების მიზეზი გახდა. რუსთაველებისათვის მის სახელთანაა დაკავშირებული ქალაქში ეკლესიის მშენებლობის იდეა, რაც მისი მხრიდან არქეოლოგთა მხარდაჭერაში გამოიხატა, მოეძიათ და დაედასტურებინათ რუსთავის მიწაზე ტაძრის არსებობა, რაც საბოლოოდ ამ იდეის განხორციელების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

1996 წლის, 27 სექტემბერს, რუსთავის ცენტრალურ გამზირს ჟიული შარტავას სახელი ეწოდა (სანამ ოფიციალურად დაერქმეოდა სახელი ამ ქუჩას, რუსთაველები მას შარტავას ქუჩას ეძახდნენ, რადგან ქუჩის კეთილმოწყობა ჟიული შარტავას ქალაქკომის მდივნობის პერიოდში მოხდა) და აქვე დაიდგა მემორიალი, რომელიც აფხაზეთში მის ტრაგიკულ გარდაცვალებას მიეძღვნა. ჟიული შარტავას სახელს ატარებს რუსთავის მე-4 საჯარო სკოლა. 2004 წელს ჟიული შარტავას საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორდენი, ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ამ ფაქტმა და ზოგადად ეროვნული გმირების თემის აქტუალიზებამ, ჟიული შარტავასადმი ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა და იგი სხვადასხვა სასკოლო თუ ახალგაზრდული ღონისძიების ცენტრში მოაქცია. ამგვარად, ჟიული შარტავა რუსთაველებისათვის ქალაქის რაობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

შოთა რუსთაველის ძეგლი რუსთავში ერთ-ერთ ყველაზე მოძრავ მონუმენტად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მასშტაბით. მისი ისტორია დედაქალაქიდან იწყება, თავდაპირველად, მან ბინა თბილისში, მეტრო რუსთაველთან დაიდო (1942). კოტე მერაბიშვილის ნამუშევარი

90-იანი წლების დასაწყისში ძველი რუსთავის შესასვლელთან განათავსეს. უფრო მოგვიანებით კი, 2008 წელს, რუსთავის მერიის ინიციატივით, რუსთაველის ძეგლს ადგილი უკვე მეორედ შეუცვალეს, ამჯერად იგი ახალ რუსთავში, ჟიული შარტავასა და მეგობრობის ქუჩების გადაკვეთაზე დადგეს. ამასთან დაკავშირებით, ქალაქის მერის კომენტარი ასეთი იყო, რომ ახლა ნამდვილად ყველა გაიგებს და დაიჯერებს, რომ დიდი ქართველი პოეტი, შოთა რუსთაველი წარმოშობით სწორედ ამ რუსთავიდანაა. ამ თემაზე მასთან ინტერვიუ ჯერ გაზეთ „რესპუბლიკაში“ და შემდგომ კი გაზეთ „სამშვილდეში“ დაიბეჭდა. გაზეთის სატიტულო გვერდზე რუსთაველის ძეგლის ფოტოსთან ერთად ვკითხულობთ ინტერვიუს, სათაურით, „დიდი შოთა რუსთავს დაუბრუნდა“.[1] ინტერვიუში ქალაქის მერი დეტალურად საუბრობს ქალაქისათვის ამ პიროვნებისა და მისი ძეგლის მნიშვნელობაზე. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ქალაქის ნაციონალური დისკურსის მორიგი გააქტიურების მცდელობა, იმავე ნარატივით, რითაც თავის დროზე კომუნისტური რეჟიმი თავს იწონებდა. რუსთაველის ძეგლის ყველაზე „გამოსაჩენ“ ადგილზე დადგმა, სიმპტომატური ნიშანია, რითაც ხელისუფლება „ცარიელ“ სივრცეს შინაარსსა და მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ჩანს რუსთაველის თემა ამოუწურავი რესურსია ქალაქის იდენტობის რეკონსტრუქციისათვის. რუსთაველის ძეგლი არამხოლოდ კონკრეტულ შინაარსს გამოხატავს, არამედ გარკვეულ

---

[1] *ჯახუა გ., დიდი შოთა რუსთავს დაუბრუნდა. გაზ. „სამშვილდე“, 16 მაისი 2010. გვ. 2.*

წესრიგსა და სუბორდინაციასაც ქმნის სხვა ძეგლებთან მიმართებაში. ქალაქში დადგმული ყოველი ახალი ძეგლი თუ მემორიალი, ნებსით თუ უნებლიეთ, მასთან დაიდება. ერთ ასეთ მაგალითს ჰეიდარ ალიევის ძეგლი წამოადგენს.

რუსთავში, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის, ძეგლის დადგმის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ 2008 წელს მიიღო. ძეგლის დადგმის მაუწყებელი წარწერა კოსტავას ქუჩის ხეივანში, 5 წელი ეკიდა, რაც 2013 წლის 9 მაისს სკვერისა და ძეგლის საზეიმო გახსნით დასრულდა. საზეიმო გახსნას საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი დაესწრო, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვითაც მიმართა, მან ორი ქვეყნის ურთიერთობის კონტექსტში მეზობელი ქვეყნის გარდაცვლილი პრეზიდენტის დამსახურებებზე ისაუბრა. პრემიერმა აღნიშნა, რომ:

> „დღეს, ჰეიდარ ალიევის ძეგლის გახსნით პატივს მივაგებთ არამარტო მას, არამედ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობას.“ [1]

ხოლო თვითმმართველი ქალაქის მერის მიერ გაკეთებული კომენტარი, სკვერის გახსნის თაობაზე ამგვარია:

> „რუსთავი, დაარსების დღიდან, არის ინტერნაციონალური ქალაქი და მას მეგობრობის ქალაქს უწოდებ-

[1] *ზურაშვილი ს., ქვემო ქართლის საინფორმაციო პორტალი, განთავსებულია 8 მაისი, 2013, წვდომა: 3 აგვისო 2016, მის.: http://www.kkpress.ge/index.php?do=fullmod/news&id=900.*

> დნენ. ჰეიდარ ალიევის სკვერისა და ძეგლის გახსნა კი სწორედ ამისი ნათელი მაგალითია. რამდენიმე წლის წინ, ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ თავისუფლების მოედნიდან მეტალურგიულ ქარხნამდე არსებული ხეივანი გამ-ხდარიყო მეგობრობის ხეივანი და დაიგეგმა რამდე-ნიმე მეგობარი ქვეყნის სახელობის სკვერის გახსნა. ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერიც, რომელიც კომპანია „სოკარის“ დაფინანსებით გაკეთდა, სწორედ ამ იდეას ატარებს, მომავალში ვფიქრობთ, კაჩინსკისა და რუსთავთან დაძმობილებული ერთ-ერთი ქალაქის სახელობის სკვერის გახსნასაც“ – განაცხადა ლაშა მინდელმა“.

რუსთავში მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის სახე-ლობის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით რამდენიმე დეტალი იქცევს ყურადღებას, კერძოდ ის, რომ სკვერის კეთილმოწყობაზე, ძეგლის შექმნასა და ჩამოსხმაზე საქა-რთველოში წარმოდგენილმა აზერბაიჯანულმა ნავთობის კომპანია „სოკარმა“ იზრუნა, რომელმაც მისი მოვლის ვა-ლდებულებაც საკუთარ თავზე აიღო. ამგვარად, სკვერში მუდმივად შეხვდებით დაცვის თანამშრომელს. 2013-2014 წლებში რამდენჯერმე ვეწვიე სკვერს დაკვირვების მიზ-ნით, კითხვებით მივმართე დაცვის თანამშრომელსა და მებაღეს. აღმოჩნდა, რომ ისინი ქართულ ენაზე თითქმის ვერ საუბრობდნენ. სკვერი, რომელიც საუცხოო ჯიშის მცენარეებითაა მორთული, მთლიანად კეთილმოწყობილია მოსასვენებელი სკამებითა და საყვავილეებით, მაკაგონის

ძვირფასი ხის სანაგვე ურნებით, ბუნგალოებით, შადრევნებითა და სათამაშო მოედნებით. პარკი მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მოვლილი, გამწვანებული სკვერი საოცარ კონტრასტს ქმნის ქალაქის ხეივნის დანარჩენ მოუვლელ ნაწილთან.

ადგილობრივი თუ ცენტრალური მედიის მხრიდან ძეგლისა და სკვერის გახსნას განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუწვევია. თუმცა, სოციალურ ქსელებში ამ ფაქტს ფართო გამოხმაურება მაინც მოჰყვა, ძირითადად ნეგატიური. კომენტარების ავტორებს ვერ გაერკვიათ, რა დამსახურებისათვის დაუდგეს ძეგლი მეზობელი ქვეყნის გარდაცვლილ პრეზიდენტს რუსთავში და რომ ხალხს არავინ ეკითხება რამეს. განსაკუთრებულ გაღიზიანებას ის ფაქტი იწვევდა, რომ ქვეყნის ეროვნული გმირებისა და მოღვაწეების ძეგლები უყურადღებოდაა დარჩენილი (უთითებდნენ ილია ჭავჭავაძის ძეგლზე წიწამურთან) და ამის ფონზე „სხვებს“ ძეგლებს უდგამენ. აღსანიშნავია ერთი, ლოკალური კონტექსტი, სადაც რუსთაველის ძეგლთან თავისებურ შედარებას ვხვდებით:

> „რუსთავში რუსთაველის ძეგლთან თუ მოგინდა მიახლოვება, მანქანა გაგიტანს“.

ამ ფრაზაში უნებურად ორი ნარატივი ეჯახება ერთმანეთს და ერთმანეთისათვის ადგილს არ ტოვებს. კომენტარებში ხალხთა მეგობრობასა და რუსთავის ინტერნაციონალურ ბუნებაზე, ორმოცი ძმის ქალაქზე ადგილი არ მოიძებნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრემიერმინისტრისა და

ქალაქის მერის სიტყვებმა ადრესატამდე ვერ მიაღწია და რომ ხალხთა მეგობრობაზე საუბარი მაინცდამაინც პოპულარული და რელევანტური არ უნდა იყოს დღეს.

ხალხთა მეგობრობის ნარატივის „კვალი“ თავისებურ წინააღმდეგობად და უცნაურობად ჩნდება რუსთავის ურბანულ სივრცეში. ასე მაგალითად ქალაქის მთავარი გამზირის სახლების უმრავლესობაზე ერთის ნაცვლად, ორ აბრას ვხვდებით. ერთი გვაუწყებს, რომ ხალხთა მეგობრობის გამზირზე ვიმყოფებით, მეორე კი – რომ მხოლოდ მეგობრობის. ქუჩის დასახელებაში „გამოტოვებული“ ერთი სიტყვა და ორი სათაური სიმბოლურად გამოხატავს ვითარებას, როცა გაუქმებული ძველი და გაუგებარი ახალი ეკლექტურად თანაარსებობენ[1].

აქვე აღვნიშნავ, რომ ოფიციალური პირების გარდა, რუსთავის მოხსენიება მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ კონტექსტში უცხო არ არის ქართული არასამთავრობოთა საზოგადოებებისთვისაც, რომლებიც განათლების საკითხებზე მუშაობენ. ამის მაგალითად სკოლებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო – „როგორ ვცხოვრობდით ერთად XX საუკუნეში საქართველოში“, გამოდგება. წიგნი ავტორთა კოლექტივის მიერ – „ტოლერანტობის მშენებლობა საქართველოში ისტორიის სწავლების გზით“ – პროექტის ფარგლებში მომზადდა. წიგნში რუსთავი წარმოდგენილია, როგორც ინტერნაციონალური საზოგადოების გამორჩეულად პოზიტიური მაგალითი. წიგნის ქვეთავი, „რუსთავი – „ორმოცი ძმის“ ქალაქი“ სხვადასხვა ერის მშვი-

---

[1] *2020 წლიდან უკვე აღარ გვხვდება ქალაქის ამ ქუჩაზე ორი დასახელება. ფოტოები გადაღებულია 2015 წელს.*

დობიანი თანაცხოვრების შესახებ მოგვითხრობს კონკრეტული მაგალითებით. ეს შემთხვევა, რა თქმა უნდა, იმის საილუსტაციოდ გამოდგება, თუ როგორ არის შესაძლებელი ისტორიის ინსტრუმენტალიზება და წარსულის ფაქტებიდან არჩევანის გაკეთება, როცა რაიმეზე „მოთხოვნა“ ჩნდება. თუმცა, როგორც ეთნოგრაფიული დაკვირვებითა და ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან ირკვევა, ეს მოთხოვნა მოდის არა ქვემოდან, საზოგადოების საჭიროებიდან, არამედ ზემოდან. აღსანიშნავია, ისიც, რომ ხელისუფლების ინტერესი ამ თემებისა და მათი აქტუალიზებით, ასევე, გარკვეულწილად, საერთაშორისო პარტნიორების მიერაა ნაკარნახევი. ევროპელ პარტნიორებს, როგორც წესი, არამკაფიო წარმოდგენა აქვთ ლოკალურ კონტექსტებზე და ქვეყანასა და მის ხელისუფლებას მათთან მეგობრობის სანაცვლოდ საკუთარ, „თანამედროვე“ შეხედულებების გაზიარებას სთხოვენ, რაც მრავალფეროვნების, მულტიკულტურულობისა და ტოლერანტობის, როგორც განსაკუთრებული ღირებულებების გამოყოფას გულისხმობს. ფაქტს, რომ მრავალფეროვნება მაღალ ღირებულებად კი არა, გარკვეულ საფრთხედ აღიქმება რუსთავის კონტექსტში, ერთი კონკრეტული გახმაურებული დავა ადასტურებს, რომელმაც საჯარო დისკურსიდან მოგვიანებით სასამართლოში გადაინაცვლა. სარჩელი რუსთავის სასამართლოში ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ შეიტანა რუსთავის მერიის წინააღმდეგ, რომელმაც მას ქალაქში ეკლესიის მშენებლობის ნება არ მისცა. ამის შესახებ მეოთხე თავში იქნება საუბარი.

„ორმოცი ძმის ქალაქის“, როგორც ტოლერანტულობისა და მრავალფეროვნების მიმართ „ღია“ ქალაქის ბრენდირება, საინტერესოდ ტრანსფორმირდება ახალ ტერმინში, რომლის გამოყენებაც ქალაქის ყოფილმა მერმა, მერაბ ჩიქოვანმა, აქტიურად დაიწყო. იგი საუბრობს რუსთავზე, როგორც მომავალ „ევროპულ“ ქალაქზე. ქალაქისათვის სასურველი კონდიცია ამჯერად მისი ევროპული იერსახის შექმნა, შენარჩუნება და მისი აღდგენა შეიძლება იყოს. ტერმინ ევროპულში, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა სოციალური ჯგუფისა და მათ შორის საერთაშორისო პარტნიორებისათვისაც მისაღებია, ძირითადად ქალაქის ინფრასტრუქტურის გამართვა იგულისხმება. 2010 წლის 29 ივნისის „დრონი.ჯი“-ს ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ქალაქის მაშინელ მერ, მამუკა ჩიქოვანთან სათაურით: „გაორმაგებული ძალებით ვაპირებთ მუშაობას, რომ რუსთავი, რაც შეიძლება მალე გახდეს ევროპული ტიპის ქალაქი.“[1] შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სათაური მთლიანად გამოხატავს ქალაქის მერის საუბრის პათოსს, რაც ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას გულისხმობს. იგივე პიროვნება, ერთი წლის შემდეგ, შეკითხვაზე თუ როგორი იქნება რუსთავი 2011 წელს და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ, პასუხობს:

> „ის რაც ვერ მოესწრო გასულ წელს, მიმდინარე წელს დასრულდება და როგორც ვთქვით, რუსთავი თანამე-

[1] *გოგოლაძე შ., გაორმაგებული ძალებით ვაპირებთ მუშაობას რომ რუსთავი რაც შეიძლება მალე გახდეს ევროპული ტიპის ქალაქი. [ონლაინგამოცემა] განთავსებული 29 ივნისი, 2010. მის.: http://droni.ge/?m=1&AID=585.*

> დროვე ევროპული ტიპის ქალაქად იქცევა“ (რუსთავი უფრო კეთილ მოწყობილი და მიმზიდველი გახდება, 2011).

ამგვარად, მერის გაგებით, ევროპული ქალაქი, როგორიც რუსთავი უნდა გახდეს, არის კეთილმოწყობილი ქუჩები, შეკეთებული ლიფტები, მოწესრიგებული სანიაღვრე სისტემები, შეღებილი ფასადები და სხვა სახის პროექტები, რაც ქალაქს გაალამაზებს და მიმზიდველს გახდის. მსგავსი ტენდენცია გაგრძელდა ხელისუფლების ცვლილების შემდგომაც. 2016 წლის ელექტრონულ გაზეთ „ობზერვერში“ გამოქვეყნებული სტატია ქალაქში მასშტაბური პროექტის დაწყებას გვამცნობს, რომელიც ძველი რუსთავისათვის ევროპული იერსახის დაბრუნებას გულისხმობს.

> „კოსტავას გამზირისა და ფიროსმანის ქუჩაზე არქიტექტურულად ღირებული შენობების განახლების ინიციატივა ქალაქის მერს, დავით ჯიქიას, ეკუთვნის, რომელმაც „ობზერვერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ისტორიული ქუჩები და იშვიათი შენობების კომპლექსი დაახლოებით ერთ წელიწადში პირვანდელ სახეს დაიბრუნებს, სამუშაოები კი მიმდინარე კვირაში დაიწყება“.[1]

---

[1] *მაჭავარიანი ნ., მასშტაბური პროექტი – ძველი რუსთავის ევროპული იერსახე [ონლაინგამოცემა] განთავსებულია 19 აპრილი, 2016. მის.: www.:https://observer.com.ge/2016/04/მასშტაბური-პროექტი-ძველ/.*

ამგვარად, ქალაქისათვის ევროპული იერსახის დაბრუნება „შეუქცევადი“ პროცესი ხდება. თუმცა ის, თუ რას ნიშნავს „ევროპული“, ცოტა რთული გასაგებია, როცა საუბარი XX საუკუნის 50-იანი წლების ე.წ. სტალინური სახლების ფასადების რესტავრაციაზეა. ევროპული ქალაქი არ გამორიცხავს ქალაქის სხვა შინაარსით გამდიდრებასაც, მაგალითად სპორტული ცხოვრებით. ქალაქ რუსთავის ადგილობრივ გაზეთში არაერთი სპორტული წარმატების შესახებ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, მათ შორის ამ სათურით:

„რუსთავი სპორტული ქალაქის სახელს ინარჩუნებს“[1]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქმე ისევ ქალაქისათვის ახალი იმიჯის მორგების მცდელობასთან გვაქვს, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამყარებენ. მათი გაგებით, „ინდუსტრიული“, „მუშათა“, „ინტერნაციონალური“, თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს „ევროპულში“, რომელიც იდეოლოგიაზე მეტად მის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე აისახება. ასევე საგულისხმო, ერთგვარი რეაქცია თუ გამოხმაურება ქალაქის მესაკუთრეთა მხრიდან რუსთავის ევროპულ ქალაქად გამოცხადების თაობაზე არის სოციალურ ქსელში დარეგისტრირებული გვერდი სახელად „რუსთავი – „ევროპული“ ქალაქი“. ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა – ევროპული, ერთგვარად მიგვითითებს ირონიაზე, რომელიც ამ სახელის გამოყენებას უკავშირდება. გვერდის შესახებ კი ვკითხულობთ,

[1] *ჯიოშვილი ნ., რუსთავი სპორტული ქალაქის სახელს ინარჩუნებს. გაზ. „რუსთავი“, 11-18 იანვარი, 2011, გვ. 8.*

რომ მათი მიზანი ქალაქის ღირსშესანიშნაობების წარმოჩენაა. გვერდზე უხვადაა განთავსებული ფოტოები შეასაბამისი კომენტარებით, სადაც ვიგებთ რამდენად ევროპულად ან არაევროპულად გამოიყურება ქალაქის ცალკეული ადგილი. ამდენად, ისევ ცალკეულ მცდელობებთან გვაქვს საქმე ქალაქს ახალი საიმიჯო ნარატივი შეუქმნას, მათგან ძველს ძალა, ახალს კი დამაჯერებლობა საგრძნობლად აკლია.

ქალაქის შექმნისა და მისი მნიშვნელობის პოსტსაბჭოთა ინტერპრეტაციები

ქალაქის დრამატული პოსტსაბჭოთა რეალობა ყველაზე მძაფრად მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ აღიქვა და განიცადა. მათი მეხსიერება ქალაქის განსხვავებულ ხატებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოიცავს. გამოცდილებას, რომელსაც ქალაქის დღევანდელი ხედვა ეფუძნება. წიგნის ამ ნაწილში, მსურს რუსთავის მოქალაქეების ხედვა წარმოგიდგინოთ, რომელიც ქალაქის წარსულს, აწმყოსა და მომავლის თავისებურ გაგებას ეფუძნება. ეს ადამიანები განსხვავებულ ასაკობრივ, პროფესიულ და სოციალურ ჯგუფს განეკუთვნებიან, თუმცა, ცხოვრებისეული გამოცდილებით უშუალოდ უკავშირდებიან ქალაქს და მისდამი პერსონალურ დამოკიდებულებას საკუთარი საქმიანობით გამოხატავენ. ამ ადამიანების იდენტიფიცირებისაგან თავს შევიკავებ, მხოლოდ მოვიხსენიებ მათ ასაკს, სქესსა და საქმიანობას. შევეცდები მათი ნააზრევი ქალაქის რაობის შესახებ მაქსიმალური სიზუსტითა და ობიექტურობით გადმოვცე.

82 წლის მამაკაცი, რომელიც რუსთავში 1952 წელს ჩამოდის და მკვიდრდება, ქალაქის ერთგვარი მემატიანეა. საკუთარი საქმიანობით იგი მეტალურგიულ ქარხანას, მის გაზეთსა და რუსთავის მუშა პოეტებს უკავშირდება. ასაკიდან გამომდინარე, მისი მეხსიერება ქალაქის ცხოვრების ვრცელ სურათს მოიცავს. მას არ უძნელდება ქალაქის საწყისებზე საუბარი, იგი დარწმუნებითა და დასაბუთებით ლაპარაკობს ქალაქის აშენების პირობებსა და მიზნებზე.

მისი თქმით, ქალაქის მშენებლობის ინიციატორი თავად სტალინი იყო, რასაც რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრძანება ადასტურებს.

> „სტალინმა როცა ეს დაავალა, ჯერ კიდევ 1943 წელი იყო, რა მიზნით და რატომ აკეთებდა ამას სტალინი, მაშინ ეს გაურკვეველი იყო“... (მამაკაცი 82 წლის, 2011).

ამ ფრაზის შემდგომ მისი მსჯელობა ვითარდება იმ მიმართულებით, რომ ახსნას მიზეზები და მიზნები, რის გამოც გადაწყდა ქალაქის მშენებლობა. მისივე თქმით, სტალინმა „მოუძებნა თავისებური გამართლება“ მეტალურგიის ქალაქის მშენებლობას მაშინ, როცა ქარხანას ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი ეწოდა, ამდენად ეს ლოკალური პროექტი კი არა ფართომასშტაბიანი ღონისძიება იყო, რაც სტალინმა ჩაიფიქრა. ამის გარდა სტალინმა რუსთავის მშენებლობის გადაწყვეტილების საფუძველზე 5000 ახალწვეული ფრონტის ნაცვლად მეტალურგიულ ქარხნებში გაგზავნა, რათა მათ ფოლადის დნობის რთული ხელობა შეეთვისებინათ. ამ გადაწყვეტილებით ფიზიკურად გადარჩა 5000 ქართველი ახალგაზრდა.

26-იანელთა თაობა, რუსთავის რეპრეზენტაციული ნარატივის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც არამხოლოდ ქალაქის აშენებას ამართლებს, არამედ მისი ღირსების საკითხადაც განიხილება. 82 წლის მამაკაცი ფართოდ საუბრობს ქალაქისათვის ადგილის შერჩევის ისტორიაზეც. აქაც მისი აზრით ინიციატივასა და

გადაწყვეტილებას სტალინი იღებს, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს, მის ისტორიასა და გეოგრაფიას იმდენად, რომ პირდაპირ ავალებს შესაბამის პირებს რუსთავის ველის შესწავლასა და საკითხის მომზადებას. ამის საპირისპიროდ მას გაუგია, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ამ ტერიტორიის არსებობა და მისი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის შესახებაც არ იცოდა, ვინაიდან ამ ტერიტორიით ძირითადად აზერბაიჯანელი მწყემსები სარგებლობდნენ. იგი თამამად საუბრობს იმ მიზანზე, რაც გახსნილად არსად თქმულა თბილისის აღმოსავლეთით შეიქმნა მძლავრი ქართული კერა.

> „ეს რომ არ ყოფილიყო, აქ იქნებოდა მეცხვარეობა, მებოსტნეობა“ (მამაკაცი 82 წლის, 2011).

რეგიონში ქართული ელემენტის წილობრივად გაზრდის გარდა, სტალინის მიზანს წარმოადგენდა ქართული ტექნიკური ელიტის ადგილზე დასაქმება, ვინაიდან ქართული პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში „იკარგებოდნენ“, ქარხნის მშენებლობით კი ტექნიკური ინტელიგენცია რუსთავში დაკავდებოდა. იგი ქალაქის მშენებლობის მასშტაბებზეც საუბრობს, თუ საიდან დაიწყო და სადამდე განვითარდა.

> „თავისით მოდიოდა ხალხი. მოდიოდა იმიტომ, რომ სამუშაო ადგილი გაჩნდა, იმ პერიოდში მარტო მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა 12000 კაცი. ამის

> შემდეგ აშენდა აზოტის მძლავრი წარმოება, სადაც ტრესტში 6000 კაცი მუშაობდა. რუსთავი თავიდან ახალგაზრდობის ქალაქი იყო. აქ მოხუცს ვერ ნახავდით. სიჭაბუკის ქალაქს ვეძახდით. გაზეთებშიც ასე ვწერდით: „სიჭაბუკის ქალაქი“... თავისით მოდიოდნენ“ (მამაკაცი 82 წლის, 2011).

იგი ნოსტალგიით საუბრობს რუსთავის აზოტისა და მეტალურგიის შესაძლებლობებზე, რომ პროდუქცია, რომელიც ქვეყანაში დღეს შემოდის, უწინ აქვე მზადდებოდა. ჩვენი მეტალურგები სხვებს ეხმარებოდნენ და ასწავლიდნენ, ახლა კი ვითარება შეიცვალა. რაც რუსთავში საბჭოთა სისტემის დამხობით დაწყებული ცვლილებები ცალსახად ნეგატიური და ჩიხურია. არსებული რეალობის ამგვარი განცდა კი, წარსული დიდების გაზვიადებულ წარმოდგენას უწყობს ხელს. ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობის უკიდურეს შეფასებას წამოადგენს მისი ფრაზა, რომ მონებად გახადეს ქართველები. რაციონალურად მიაჩნია მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება მეტალურგიის ქალაქში, სადაც ძირითადად მამაკაცები იყვნენ დასაქმებულნი, ისეთი საწარმოც აეშენებინათ, სადაც ქალები იმუშავებდნენ. ასეთი იყო ქიმიური ბოჭკოს ქარხანა. რუსთავის მნიშვნელობის გასამყარებლად ჩემი მთხრობელი კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს იშველიებს, რომელმაც მას უთხრა:

> „რუსთავი ეს არის მე-20 საუკუნეში ქართველი ერის უდიდესი მონაპოვარიო. მართლაც. ასეთი ქალაქის აშენება უდაბნოში, სადაც არაფერი არ იყო... ქართვე-

ლი ხალხი ამას მარტო ვერ მოახერხებდა, რაც არ უნდა ძლიერი სახელმწიფო ყოფილიყო. აგერ, დამოუკიდებლობის დროს უკვე 20 წელია ანგრევენ ამ ქალაქს და ვერ დაანგრიეს“ (მამაკაცი 82 წლის, 2011).

დასანგრევად გამეტებული ქალაქი მისთვის, ერთგვარ ოპოზიციაშია დედაქალაქთან. მისივე თქმით, თბილისთან სიახლოვე რუსთავისათვის კარგიცაა და ცუდიც. მისი აზრით, სამწუხაროდ, რუსთავი თბილისელებისათვის ერთგვარი „საშოვარი ქალაქი“ იყო. აქ ჩამოდიოდნენ, დაწინაურდებოდნენ და კვლავ თბილისში ბრუნდებოდნენ. ამ მოსაზრებას იგი ასე გამოხატავს:

„თბილისისათვის რუსთავი იქცა ჯიბის ქალაქად“ (მამაკაცი 82 წლის, 2011).

მან ქალაქისა და საკუთარი იდენტობის ნაწილად განიხილა 1956 წლის 9 მარტის ამბები. დეტალურად მომითხრო თუ როგორ გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას რუსთავიდან ჩასული ის და მისი მეგობრები.

82 წლის მამაკაცის ნარატივში ქალაქის შესახებ ორ ადგილას გვხვდება განსხვავებული ფრაზა, ერთი, რომ ქალაქი ინტერნაციონალური იყო და მეორე, ის, რომ ქალაქის მშენებლობის საქმე ბერიას ჰქონდა ჩაბარებული, რომლის შესახებაც, ნახევრად ლეგენდარულ ამბავს გადმოგვცემს, ერთხელ, ბერია მოსულა ქალაქის მშენებლობის სანახავად. უნახავს, რომ ქართველი გერმანელს ნარდს ეთამაშება, ქა-

რთველი აგებდა თურმე, მაშინ ბერიას უთქვამს, დამსვი გავაგრძელებო და წასაგებად განწირული თამაში მოუგია.

50 წლის რუსთაველი მამაკაცის ამ ქალაქთან დაკავშირებული ისტორია ბაბუით იწყება, რომელიც რუსთავში სამუშაოდ ჩამოდის. მიუხედავად იმისა, რომ მისი კონკრეტული საქმიანობით დედაქალაქთან არის დაკავშირებული და აკადემიურ წრეებში მოღვაწეობს, მისთვის რუსთავი იდენტობის მნიშვნელოვანი წყაროა. მას ქალაქის წარსულზე შეუძლია საუბარი კონკრეტული ფაქტების მითითებით, რაშიც პროფესიული ცოდნაც ეხმარება. იგი თამამად მსჯელობს ქალაქის მნიშვნელობასა და მის შინაარსზე. დავობს ქალაქის ყოფის ცალკეულ დეტალებზე, რითაც მისთვის გასაგები ქალაქის მოდელს აყალიბებს. ქალაქის რაობის გასაგებად, იგი კონკრეტულ კინოფილმზე უთითებს და იქიდან ერთ ფრაზაში გამოხატავს სათქმელს, ესაა:

> „ჩახედე მეგობარს თვალებში!“ ჩემთვის ეს არის რუსთავი“. მისი აზრით ფილმ „კეთილ ადამიანებში“ გაჟღერებული რევაზ ლაღიძის სიმღერა ქალაქის საუკეთესო ჰიმნია“ (მამაკაცი 50 წლის, 2010).

კითხვაზე, თუ როგორი ქალაქია რუსთავი, მპასუხობს, რომ არის სამრეწველო, რაც გარკვეულ წინააღმდეგობებს უკავშირდება. მისი აზრით, იმის მიუხედავად, იყო თუ რა რენტაბელური მეტალურგია ქალაქისათვის, ნაკლებ საინტერესოა, რადგან ამ საკითხს ლოკალური და უფრო ფართო კონტექსტი გააჩნია.

„შეიძლება არარენტაბელური იყო იმიტომ, რომ ქარხანა ვერასოდეს ვერ ასრულებდა გეგმას. მაგრამ ის რენტაბელური იყო სხვა თვალსაზრისით. ჯერ ერთი, ის, მე რამდენადაც ვიცი, საქართველოს ბიუჯეტზე არ იყო დამოკიდებული. დაქვემდებარებული იყო შავი მეტალურგიის საკავშირო სამინისტროს. შესაბამისად, ბიუჯეტსაც იღებდა იქიდან“.

ამის გათვალისწინებით, საქართველო, კონკრეტულად კი რუსთავი, მოგებული რჩებოდა, რადგან მოსახლეობას მაღალი ხელფასები ჰქონდა. მაშინ, როცა მთაში ჭარბი მოსახლეობა ჩნდებოდა ამ ტიპის ქალაქი კარგი საშუალება იყო განტვირთვისათვის. კითხვაზე ნებაყოფლობით მოდიოდნენ თუ არა რუსთავში, პასუხად ფილმი სახელდება, როგორც დოკუმენტური ფაქტების ამსახველი საშუალება, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. მისი თქმით, ფილმში კარგად ჩანს, ისინი, ვისაც სოფელში პერსპექტივა არ აქვს და შესაბამისად ნებაყოფლობით მოდის. აქვე იხსენებს ე.წ. კადრის მუშებს, რომლებიც როგორც ახალწვეულები, ომის ნაცვლად ქარხნებში გაისტუმრეს.

„42-ში თუ 43-ში ერთადერთი რაც განსაკუთრებულად კარგი გააკეთა ბერიამ, იყო ის, რომ 100 000 – მდე ქართველი ახალგაზრდა მოხსნა ფრონტის ხაზიდან და გაუშვა სასწავლებლად რუსეთში, რომ მშენებარე ქარხნისათვის, კონკრეტულად მეტალურგიას ვგულისხმობ, მიეღოთ კვალიფიკაცია და ჩამოსულიყვნენ აქ, როგორც მუშები. ეს 43-ში თუ 44-ში არ მახსოვს.

ეს ერთი დიდი ეშელონი ქართველებისა, ჯერ ერთი მათ განათლება მისცა, ტექნიკური განათლება, რომელიც საქართველოში იმ მომენტში ძალიან ჭირდა. მეორეც, დააკომპლექტა ადგილობრივი კადრით და არა ჩამოყვანილი რუსული კადრით მეტალურგიული ქარხანა“ (მამაკაცი 50 წლის, 2010).

ეს ისტორია, როგორც ჩანს, ყველაზე კარგი არგუმენტია ქალაქის მშენებლობის, როგორც გამორჩეულად პატრიოტული აქტის, გასაგებად. კონტრასტის შესაქმნელად თუ რა მოლოდინი არსებობდა და რა გამოვიდა რუსთავის მშენებლობასთან დაკავშირებით მეზობლის მოყოლილ ამბავს იხსენებს: როცა აქ გადმოდიოდნენ კახეთიდან ბაბუას უთქვამს, სად მიდიხართ მაგ დაწყევლილ ადგილასო. კითხვაზე, თუ რატომ იყო დაწყევლილი ადგილი, პასუხი ასეთი ყოფილა:

„სადაც ხე არ ამოდის თავისით და წყალი ვედრით უნდა ზიდო, იქ რა უნდა აშენდეს და რა უნდა გაკეთდესო.“

პირადი მოსაზრებით აბსოლუტურად გამართლებულია მიწათმოქმედებისათვის ნაკლებად კარგ მიწაზე ინდუსტრიის მშენებლობა, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით ისე დემოგრაფიულად. რეგიონში, რომლის ცენტრსაც რუსთავი წარმოადგენს ეთნიკურად ქართველები უმცირესობას წარმოადგენენ, შესაბამისად 50000-60000 ქართველის ჩამოსახლებამ პოლიტიკური მნიშვნელობა შე-

იძინა. მისი აზრით, რუსთავში ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპი ადამიანებისა, რომლებიც სხვებისაგან გამოირჩევიან, ესაა ხასიათი, თვისებები, რაც მათ სხვებისგან გამოარჩევს, თავმდაბლობა, სისადავე და ამტანობა. ამ თვისებების გამოყოფისას იგი გარკვეულ მიმართებებსაც გამოყოფდა მაგალითად თბილისელისა და ქუთაისელისაგნ განსხვავებით. მისი აზრით, რუსთავის იდენტობის გარკვეულ ნაწილს ქურდული სამყაროც შეადგენდა:

> „ძალიან რომ გდომოდა, გინდოდა არ გინდოდა, ძველბიჭური მანერები ცოტა უნდა გქონოდა: გატანა, არდაბეზღება. გონებაშიც ვერ გაივლებდი მსგავს რამეს. რომ გამომჟღავნებულიყო, კი არ მოგკლავდნენ, მაგრამ მოგკვეთდა საზოგადოება. საერთოდ, ზოგადად, ხმას არავინ არ გაგცემდა, იმიტომ, რომ შენი დანდობა არ შეიძლება, ვერ მოგენდობიან“.

ჩემი მოსაუბრე სხვადასხვა ცხოვრებისეულ მაგალითზე დაყრდნობით აყალიბებს რუსთაველის ხასიათს, მაგალითად ამგვარი ფრაზით: „რუსთაველის ღირსება არის უამპარტავნო სიამაყე“, „ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის განსაკუთრებული გრძნობა“, ამის საპირისპიროდ თბილისელი რუსთაველისთვის ამპარტავანი და ზემოდან მაყურებელია. მისი აზრით, ეს ასე იყო საბჭოთა პერიოდშიც, მაშინ, როცა რუსთავი ტექნიკური ელიტის სამჭედლო იყო. ამის მიუხედავად, რუსთავისა და თბილისის მიმართება არასდროს ყოფილა თანასწორობის პრინციპზე აგებული.

მისი აზრით, ყველაზე მეტად რაც რუსთავის არსს გამოყოფს და გამოხატავს, არის სიტყვა „ქალაქი“.

> „ქალაქი და მორჩა. ეს სიტყვა ზუსტად განმარტავს იმ საზოგადოებას. იმას აღარ უნდა აღარაფერი. ინტერნაციონალური იყო 44 წელს, როცა დაიწყო 70 და 72 სხვადასხვა ეროვნების ჩამოსახლება. ერთი თაობის მერე, ის ინტერნაციონალური გადავიდა...“ (მამაკაცი 50 წლის, 2010).

ამგვარი რუსთავი, მისთვის, საქართველოს ქალაქად რჩება, სადაც სხვა ეროვნების წარმომადგენლები ქართული საზოგადოების ნაწილად განიხილებოდნენ (მაგ. კალათბურთელი ბოისა) და არ არსებობს საჭიროება მის ინტერნაციონალურ ბუნებას ხაზი გაესვას. მისი აზრით, დიდი ქართველი პოეტი სწორედ ამ რუსთავიდან იყო და ამ მოსაზრებას აკადემიკოს, ზაზა ალექსიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით ავითარებს. სამწუხაროდ, უჭირს საუბარი ქალაქის ახალ ფუნქციაზე და მიაჩნია, რომ რუსთავის დასაქმების რესურსი საჯარო სკოლებით, პოლიციითა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოებით შემოიფარგლებოდნენ. ერთადერთი მიზეზი, რაც მას ქალაქის სიმყუდროვეს დაათმობინებდა, არის რუსთავის ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც ავადობის მაღალი რისკ-ფაქტორია.

80 წლის ქალბატონი, რუსთავის ფეხის ადგმის მომსწრეა, იგი ქალაქის ცხოვრებაში აქტიურად ჩაება მისი საწყისებიდანვე. ქალბატონმა მუშაობა მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში დაიწყო რიგითის პოზი-

ციიდან და საპასუხისმგებლო პოზიციაც დაიკავა მოგვიანებით. ქალბატონი გამონაკლისს წარმოადგენს, როგორც მთხრობელი, რომელიც ქალაქის ისეთ მხარეებზე მიუთითებს, რომელთა ამოკითხვაც შეუძლებელია ქალაქის ოფიციალური ნარატივებიდან. იგი აღნიშნავს, რომ რუსთავში საკუთარი სურვილით არ მოხვედრილა, მეტიც სასტიკი წინააღმდეგი იყო აქ გადმოსვლისა. თუმცა მისმა ძმამ ოჯახი რთული დილემის წინაშე დააყენა ან ჩემი მთხრობელი უნდა გაჰყოლოდა რუსთავში მას, ან მისი სახელი უნდა დაევიწყებინათ. რადგან მის საცხოვრებელში, ცუდი გარემოცვა აიძულებდა „არასწორად" გაეგრძელებინა ცხოვრება. თუ მისი და გაჰყვებოდა რუსთავში, იგი ბინას იქირავებდა და ცალკე გადავიდოდა, დასაც უბატონოდ ხმას არავინ გასცემდა.

> „რუსთავს ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა მაშინ. ძალიან ცუდი იმიტომ, რომ სულ ქურდობა იყო, თამაში იყო ზარის. არ იყო კვირა რომ ვიღაცა ხეზე ჩამოკიდებული არ ენახათ. ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო. დედა გადარეული იყო, არავითარ შემთხვევაში არ წამოვაო. არც მე არ მინდოდა წამოსვლა". (ქალბატონი 80 წლის, 2010).

ოჯახი იძულებული გახდა, თანხმობა ეთქვათ ვაჟისათვის, რომელსაც რუსთავში დამკვიდრება სურდა. ახალგაზრდა და-ძმისათვის ადვილი არ იყო ახალ მშენებარე ქალაქში გზის გაკვლევა. მისი თქმით, რუსთავში საკუთარი ნებითა და სიხარულით მხოლოდ საეჭვო ელემენტი მოდი-

ოდა. ეჭვი ყველას მიმართ არსებობდა. ძმამ სამსახურში უფროსობას ერთი ოთახი სთხოვა მისთვის და დისათვის. „ცეხის“ უფროსმა დის მიყვანა სთხოვა, პირადად რომ დარწმუნებულიყო მისი ნათქვამის სიმართლეში. მთხრობელი მხიარულად იხსენებს ამ შეხვედრას, როდესაც მას ეჭვის თვალით შეხედეს და ჯერ ფაქტის დადასტურება სთხოვეს, შემდგომ კი დოკუმენტის წარმოდგენა.

> „მე და ჩემი ძმა არ ვგავართ ერთმანეთს. სულ ყველა ეუბნებოდა, სად გამოიჭირე ეს გოგოო. ის იყო შავგრემანი, გამხდარი. მე უფრო გასუქებული ვიყავი და ... მე მამას ვგავდი. რამდენჯერმე გაგვაჩერეს, მე განზე გავდექი ბუნებრივია, ბიჭებს რომ ელაპარაკებოდა. მოვიდა ერთი რამდენიმე ბიჭი და მკითხა: ლევანი შენი რა არისო? რომ არ უჯერებდნენ. ასე წავიდა ცხოვრება. მოგვცეს მაშინ ერთი ოთახი“ (ქალბატონი 80 წლის, 2010).

იგი იხსენებს შიშს, რომელიც ოჯახიდან გამოჰყვა, რადგან, ძალიან არ უნდოდა რუსთავში წამოსვლა, ეს გრძნობა მას შინაგანად თრგუნავდა და გარეთ გასვლის სურვილს უკარგავდა. ამის მიუხედავად, უწევდა ქუჩაში გასვლა, რადგან, როგორც თავად იხსენებს, ცარიელ ოთახში ჩანგალი და კოვზიც კი არ ჰქონდათ. ქალაქში მის პირველ გამოჩენას ექსესების გარეშე არ ჩაუვლია. „გარეთ“ გასვლის შემთხვევებისთვის ძმის დარიგებებს იღებდა. მან ასწავლა მაღაზიის ადგილი და დაარიგა ვინც გინდა, რაც გინდა გითხრას, არ მიაქციო ყურადღება, შენ დაუდე თავი და წამოდიო.

„გავედი. დავათვალიერე. მგონია, რაღაც სასწაული ეს რუსთავი, არადა ერთი ცენტრალური ქუჩა იყო და მეორე ეს ბოსტან ქალაქის ქუჩა. წავედი, ვნახე ეს მაღაზია, ვიყიდე რაღაცეები და შემოვტრიალდი. ერთი არკა არის, იმ არკასთან რომ გამოვიარე, ბირჟა იყო ყოველთვის იქაც. ერთი სამგან იყო ბირჟა იმ ქუჩაზე“.

სწორედ ეს ბირჟა იყო ქალაქის ის საშიში ელემენტი, რის გამოც მას სთხოვა ძმამ გვერდში ყოფნა. ბუნებრივია, ქალაქში ახალგაზრდა გოგოს გამოჩენა უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ „ბირჟავიკებს“. მასთან დაკავშირებით გაიმართა დიალოგი ორ ბიჭს შორის, როდესაც ერთმა მათგანმა ფრაზა ისროლა, ახალი „მერცხალი მოფრენილაო“. მეორემ უპასუხა რა ახალი გუშინ მასთან ვიყავიო. გოგონა ისე მოიქცა, როგორც ძმამ დაარიგა, მაგრამ ამ ამბავს ჩხუბი მაინც მოჰყვა, რადგან მისი ძმის მეგობარი შესწრებია ბიჭების ამ ლაპარაკს. რომელიც გოგოს შეურაცხყოფდა და გარკვეული დაპირისპირება მომხდარა. უსიამოვნებების გარდა, მთხრობელს რუსთავის მილსაგლინავ საამქროში მუშაობის უამრავი სასიამოვნო მოგონება მოჰყვება, როდესაც სამუშაო კოლექტივი ერთად მიდიოდა ჭირისა თუ ლხინის სუფრებზე. ერთიმეორის მიმართ როგორი მეგობრული და სოლიდარული დამოკიდებულება გააჩნდათ. იხსენებს, როგორი ახალგაზრდა კოლექტივი ებარა და რომ ყველას ეხმარებოდნენ საჭიროებების მიხედვით.

62 წლის მამაკაცს რუსთავიდან, დღეისათვის მეტალურგიულ კომბინატში ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობა უკავია, ცხოვრობს რუსთავში მეუღლესა და სამ შვილთან

ერთად. იგი რუსთავში 1979 წელს ჩამოვიდა განაწილებით, როდესაც პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. მისი მეუღლეც რუსთავში გაანაწილეს, ერთმანეთი კი საერთო საცხოვრებელში გაიცნეს. მთხრობელი მეტალურგიისა და ქალაქის მაგალითზე საუბრობს საქართველოს ეკონომიკაზე. მისი თქმით, საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ნგრევა მიმდინარეობს და ქვეყანას ეკონომიკა არ გააჩნია. არც მძიმე და არც მსუბუქი მრეწველობა სახელმწიფოსათვის არაა პრიორიტეტული. მეტალურგიის ნგრევა კი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა, ნედლეულის მოწოდების აწყობილი ციკლი დაირღვა:

> „როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ნედლეული ყველაფერი გააძვირეს, ხომ? მივიღებდით მაზუთს სადგურამდე და სადგურიდან ქარხნამდე ვერ მივიტანდით. სანამ განაბაჟებდი, სანამ იმას დაარიცხავდნენ. მეტალურგიაში წყვეტილობა იწვევს ძალიან დიდ უკუგებას“ (მამაკაცი 62 წლის, 2012).

მისი თქმით, 20% დღგ ასევე უარყოფითად აისახა ქარხნის საქმიანობაზე. არსებული ეკონომიკური მოდელის კრიტიკისას მაგალითად მოჰყავს ძველი შრომის კანონმდებლობა. მისი აზრით, შრომის იმდროინდელ კანონმდებლობასთან ახლოსაც ვერ მოვა ახლანდელი, რომელიც მონის მდგომარეობაში აყენებს ადამიანებს. დღეისათვის რამდენად გაუმართავია სისტემა, ისიც ადასტურებს, რომ დღეს მეტალურგიაში 1600-1700 ადამიანია დასაქმებული, აქედან 400 დაცვის თანამშრომელია. გაუგებარია, რა საჭი-

როა ამხელა დაცვა. იგი ამ მოცულობის წარმოებისათვის 1600 ადამიანს გადაჭარბებულად მიიჩნევს, მისი ნება რომ იყოს, ამ ციფრს გაანახევრებდა.

რაც შეეხება მის თავდაპირველ მოლოდინს, ქალაქთან დაკავშირებით, გაამართლა – მას ბინა მისცეს და კარგი სამუშაო კოლექტივი დახვდა, სადაც კარიერული ზრდის საშუალება ჰქონდა.

> „ვიცოდი, რომ მუშათა ქალაქი იყო. ნამყოფი არ ვიყავი. ძალიან კარგი კოლექტივი დამხვდა საგლინავ საამქროში. საამქროს უფროსი იყო ებრაელი, ძალიან კარგი კაცი იყო, კარგი ორგანიზატორი. მერე სულ ვწინაურდებოდი ხოლმე. ჩამაბარეს ერთ-ერთი რთული უბანი. რომ ჩაებმები მეტალურგიაში, ისეთია ეს მეტალურგია, რომ ვერ გამოხვალ ქარხნიდან, ვერ უღალატებ. არ შეიძლება რომ უღალატო. სულ იქ უნდა იყო ჩართული“ (მამაკაცი 62 წლის, 2012).

მეტალურგიის როგორც ადამიანის ღირსების საზომზე მის მიერ მოთხრობილი ერთი ამბავიც მიუთითებს, მას ახსოვს ერთხელ მცხეთა-თიანეთის მოსამართლემ, როგორ მიუყვანა შვილი, ახალგაზრდა ბიჭი, მასთან რომ ემუშავა. მამამის სურდა, რომ მას მუშათა კლასი სცოდნოდა. ეს დამოკიდებულება უცხო არაა რუსთავის სოცრეალისტური რეპრეზენტაციისათვის, რომლის კვალიც პოსტსაბჭოთა რუსთავის მოქალაქეებშიც გვხვდება. შესაბამისად, ამავე მთხრობელის რუსთავის საწყისების ხედვაც სტალინის პიროვნებასა და მის არჩევანს უკავშირდება ქართულ მიწაზე

ქართული ქალაქი ააღორძინოს. იგი ქალაქის შესახებ თხობას იმით იწყებს, რომ სხვა ადგილი იყო შერჩეული მშენებლობისათვის.

> „მერე სტალინმა გადმოატანინა აქეთ, ამ ადგილას, სადაც ახლა არის. ფაქტიურად, აქეთ მხარეს ქართული მოსახლეობა არ იყო. ამას ვერ გაამხელდნენ, პირდაპირ ვერ იტყოდნენ, მაგრამ ეს იყო ჩადებული, რომ აქ ყოფილიყო ქალაქი აშენებული, რომ ძირითადად შემაკავებელი ფუნქცია ქონოდა“ (მამაკაცი 62 წლის, 2012).

ქალაქის მდებარეობა კი, მისი აზრით, მას სტრატეგიულ როლს ანიჭებდა, ყოფილიყო ამიერკავკასიის შემაკავშირებელი ნედლეულის მიწოდებისა და პროდუქციის გასაღების თვალსაზრისით. გარდა ამისა, აქ დასაქმდა საქართველოს მცირემიწიანი რეგიონიდან ახალგაზრდები. აქვე იხსენებს იმ ფაქტს, რომ 26-იანელთა თაობა გადაურჩა მეორე მსოფლიო ომის ხოცვა-ჟლეტას და საქართველოს სპეციალისტების სახით დაუბრუნდა. ამ ყველაფრის საპირისპიროდ, იგი დღეისათვის, გარკვეულ საფრთხეებს ხედავს იმაში, რომ შეიძლება მეტალურგიული ქარხანა გასხვისდეს უცხო ინვესტორზე და ვითარება კიდევ უფრო დამძიმდეს.

ქალაქის რაობაზე საუბრისას მას შეუძლია გაიხსენოს რუსთავზე გადაღებული ფილმები, რომლებიც ასახავენ იმ სასურველ რეალობას, რომელიც წარსულის ნაწილი გახდა. მიუხედავად გადატვირთული სამუშაო რეჟიმისა, იხსნებს მეუღლესთან ერთად როგორ დადიოდა რესტორან „მეტა-

ლურგში“, კინოსა და თეატრში. ასევე სასიამოვნოდ ახსენდებათ ექსკურსიები ხალიბაურში. როგორ აღნიშნავდნენ მეტალურგის დღეს. შეკითხვაზე თუ რა იყო ხალიბაური, მისი მეუღლე გვპასუხობს:

> „ზემოთ არის, თეთრიწყაროსკენ. ავტობუსით მივდიოდით. ადრე, ვინც ხალიბები იყვნენ და ფოლადის მდნობელები, სამჭედლო ჰქონდათ იქ. მერე ზოგი იმათი შთამომავალი წამოვიდა და ნამდვილი მეტალურგი გახდა. ჩვენმა ქარხანამ მერე აიღო ეს ადგილები და გააკეთა დასასვენებელი ადგილები“ (ქალბატონი 55 წლის, 2012).

სისტემის ნაკლოვან მხარეებზე დასმულ შეკითხვაზე, მან ერთი კურიოზი გაიხსენა, როცა მას ფოლადის დნობის შეფერხების გამო პარტიიდან რიცხავდნენ, მაშინ, როდესაც იგი არ იყო პარტიის წევრი.

50 წლის ქალბატონი რუსთავიდან, რომელიც საკუთარი საქმიანობით აკადემიის სფეროს ეკუთვნის და დედაქალაქთან არის დაკავშირებული. იგი რუსთავში დაიბადა, სადაც მისი მშობლები ჩავიდნენ საცხოვრებლად, რისი წინაპირობაც სამუშაოს ხელმისაწვდომობა იყო. იგი ქალაქზე საუბრობს აკადემიური სტილით და დაწვრილებით მიმოიხილავს ქალაქის შორეულ ისტორიას. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტების საშუალებით მას შეუძლია ისაუბროს იმაზე, თუ როგორი იყო ქალაქი განადგურებამდე.

„აღმოჩნდა ქვევრები, დასახლება საერთოდ. აღმოჩნდა თონე. ჩანს, რომ აქედან ხალხი წავიდა, კი არ წავიდა, ეს ხალხი გაჟლიტეს, მტრის შემოსევის დროს. პირდაპირ ჩანს, რომ მშვიდი, ყოველდღიური ცხოვრება მიდიოდა, როდესაც მტერი თავს დაესხათ. ჩანს ჩატეხილი კრამიტი, დანგრეული სახლები, თონეები. მშვიდი იყო ცხოვრება ჩანს, იმიტომ, რომ ბეღელი სავსეა, მაგალითად ხორბლით, გამტკიცული პურია სადღაც შემონახული, ქვევრში ღვინოა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცხოვრება ჩვეულებრივად მიდიოდა“ (ქალბატონი 50 წლის, 2010).

რაც შეეხება სოციალისტურ რუსთავს, ის სტალინმა ჩაიფიქრა, როგორც ინდუსტრიული ქალაქი, რომელსაც, მისივე თქმით, დადებითიც ჰქონდა და უარყოფითიც. მთხრობელი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამ ჩანაფიქრის უარყოფით მხარეებზე ამახვილებს, რაც ძალიან მძაფრად სწორედ პოსტსაბჭოთა პერიოდში გამომჟღავნდა. კერძოდ, მისი თქმით, ქალაქის მშენებლობისათვის დაუსახლებელ ტერიტორიაზე არამხოლოდ ქალაქსა და მის შემოგარენში მასიურად ჩამოასახლეს მეზობელი ქვეყნიდან აზერბაიჯანელები. რამაც დემოგრაფიული ვითარება რეგიონში ქართველების საწინააღმდეგოდ შეცვალა. იგი საუბრობს იმაზე, რომ ქალაქი გერმანელმა ტყვეებმა ააშენეს, ისინი არამხოლოდ მუშახელს წარმოადგენდნენ. ისინი იყვნენ დამგეგმავები და ინჟინრებიც. იგი ყურადღებას ამახვილებს ორად გაყოფილი ქალაქის არქიტექტურაზე. მის განსაკუთრებულ ინტერესს ე.წ. ძველი რუსთავი წარმოადგენს,

სადაც ვერ შეხვდებით ხუთსართულიანზე მაღალ შენობას. შინაარსით სოციალისტური არქიტექტურა ფორმით ნაციონალურია, ორნამენტები ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან არის აღებული. მას ახსოვს საჯარო მსჯელობები ქალაქის გამწვანების თაობაზე, თუ რისთვის უნდა მიენიჭებინათ უპირატესობა, ფოთლოვანისა თუ წიწვოვანისათვის. ეს საკითხი საინტერესოდ ებმის ეკოლოგიის თემას, რომლის სიმწვავეც მძიმე მრეწველობამ გამოიწვია. ამის გამო, როგორც მთხრობელი იხსენებს, ე.წ. ახალი რუსთავის მშენებლობისას, ხალხი მასიურად ცდილობდა ქალაქის ახლად განაშენიანებულ ადგილას გადასვლას.

რაც შეეხება რუსთავის თბილისთან მიმართებას, ეს საკითხი მისთვისაც აქტუალურია, რადგან ორივე ქალაქთან მჭიდროდაა დაკავშირებული. იგი იხსენებს, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევა ამ ურთიერთობაზეც აისახა. მისი თქმით, ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა რუსთავში თბილისელს ეკავა და პირიქით, ბევრი რუსთაველი თბილისში მუშაობდა. ამასთან დაკავშირებით რუსთავში გაჩნდა ასეთი ლოზუნგი:

> „რუსთავი რუსთაველებისათვის! ეს იყო ძალიან დიდი სისულელე, მაგრამ მოხდა ასეთ რამ, რომ თბილისელებმა კეთილი ინებონ და თბილისში დაიკავონ ეს თანამდებობები და რუსთაველებს მისცენ საშუალება, რომ თავისი პოტენცია და შესაძლებლობები მოახმარონ თავის ქალაქსო“ (ქალბატონი 50 წლის, 2010).

ეს საკითხი მისი აზრი, ე.წ. ჩაწერის ინსტიტუტს უკავშირდებოდა, რომელიც დედაქალაქში მოქმედებდა. საინტერესო ნიუანსი, რაც 50 წლის ქალბატონის საუბრიდან გამოიკვეთა, არის ის, რომ რუსთავში ანტისაბჭოთა საპროტესტო მუხტის სიმძლავრემ მოლოდინს გადააჭარბა, მათი ჩართულობა და მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში განსაკუთრებული აღმოჩნდა. მისი თქმით:

> „ყველა რუსთაველს ჰქონდა ანტისაბჭოთა განწყობილება, რაც მოულოდნელი იყო. ისეთი მიტინგები იმართებოდა საბჭოეთის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ის იყო სოციალისტური ქალაქი და მან ყველაზე კარგად იცოდა, რას ნიშნავდა საბჭოეთი“ (ქალბატონი 50 წლის, 2010).

ამავე კონტექსტში მან გაიხსენა ერთი უსიამოვნო ფაქტი, რომელიც არეულობის წლებში მოხდა, მაგრამ აღარ განმეორებულა. რუსთავში მოეწყო აზერბაიჯანელთა მიტინგი, სადაც გამოითქვა აზრი, რომ რუსთავი გამხდარიყო ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა პოლიტიკური ცენტრი. ამ ფაქტის იგნორირებამ ქართველების მხრიდან დადებითი შედეგი გამოიღო და აღნიშნული შემთხვევა აღარ განმეორებულა.

მას ქალაქის სიმბოლოდ რუსთაველის ძეგლი მიაჩნია, რომელმაც ადგილი მარქსის ყოფილ მოედანზე დაიკავა. მან აღნიშნა, რომ ლენინის ძეგლის დემონტაჟი რუსთავში უსწრებდა თბილისში ლენინის ძეგლის ჩამოგდებას. აღნიშნული, მისი აზრით, ასევე გარკვეული სიმბოლური და-

ტვირთვის მატარებელია. ერთ-ერთი საგულისხმო ფაქტი, რაზეც მთხრობელმა გაამახვილა ყურადღება, იყო ქალაქის ისტორიის მნიშვნელობა, რომელიც სათავეს უძველესი პერიოდიდან იღებს. სწორედ ეს ხდის მას განსაკუთრებულსა და მნიშვნელოვანს და არა ინდუსტრიული დიდება.

> „რუსთაველმა იცის, რომ მაინცდამაინც 50 წლის წარსულით არ უნდა იამაყოს. საქართველოში სიძველე ნიშნავს, მეხუთე საუკუნეს. საქართველოში მე-17 საუკუნე თუ არ არის ძველი, 1950 წელი როგორ არის ძველი. მაშინვე ჩაისახა ეს და ახლა 50 წლის იუბილეს რომ აღნიშნავენ რუსთაველები ძალიან უკმაყოფილონი არიან, როცა შეიძლება 1500 წლის ისტორია აღნიშნონ“ (ქალბატონი 50 წლის, 2010).

86 წლის მამაკაცი, დღემდე მუშაობს მეტალურგიულ ქარხანაში და წამყვანი პოზიცია უკავია. იგი თავისი პროფესიული საქმიანობით დაუკავშირდა ქალაქს და მისი განუყოფელი ნაწილი გახდა. როდესაც ქალაქის დაარსებას ეხება საქმე, მისთვის მთავარი მოქმედი პირი სტალინია, რომელზეც საუბარი ძალიან უადვილდება. სწორედ სტალინის გადაწყვეტილება იყო, მეტალურგიული ქალაქი საქართველოში აეშენებინათ და არა სხვა, რომელიმე ქვეყანაში. ადგილის ცვლილებაც სტალინს უკავშირდება, რადგან მას ყველაზე კარგად ესმოდა მისი ისტორიული და გეოგრაფიული მნიშვნელობა. იგი ირიბად ქალაქის კონტექსტში სტალინის პიროვნულ თვისებებზეც საუბრობს, კერძოდ, იმაზე,

რომ ბელადი თავიდან თავსაც იკავებდა, რადგან ომის მიმდინარეობის პროცესში, ეშინია არ შერცხვენილიყვნენ.

> „სტალინმა თქვა, რომ ვაი თუ ვერ შევძლოთ მაგის გაკეთება და სირცხვილი იქნებაო“ (მამაკაცი 86 წლის, 2012).

მთხრობელი საუბრობს ამ ტერიტორიის ათვისების მნიშვნელობაზე, რასაც თავისი დემოგრაფიული კონტექსტი გააჩნია. მისი აზრით, ქალაქის მშენებლობით ორი დიდი საქმე გაკეთდა, ერთი, რაც ცხადია და სახეზე გვაქვს და მეორე, 5000 წვევამდელის ფიზიკური გადარჩენა. მეტალურგიული ქალაქის სიდიადის წარმოსაჩენად მან საკუთარი ოჯახის მაგალითი მოიყვანა. მამას თურმე სტალინი არ ჰყვარებია, თუმცა როცა იგი 1952 წელს შვილს რუსთავში ესტუმრა, უთქვამს:

> „ამას საქართველო ვერასდროს გააკეთებდაო“ (მამაკაცი 86 წლის, 2012).

იგი იხსენებს, რომ მიუხედავად მეფოლადის საქმის პოპულარობისა, მაინც უჭირდათ კადრების მოზიდვა და პირდაპირ ავალებდნენ რეგიონული რაიკომის მდივნებს. იგი დეტალურად იხსენებს როგორ იღებდნენ ქარხანაში მხატვრულ ფილმებს „კეთილი ადამიანები“ და „თუჯი“. მას ძალიან უსიამოვნოდ ახსენდება 90-იანი წლები და მიტინგები, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, მეტალურგიული ქარხნის წინააღმდეგაც იყო მიმართული. მიტინგები პირდაპირ

ქარხნის შესასვლელში იმართებოდა გაურკვეველი მოთხოვნებით. ამ პროცესში ზვიად გამსახურდიაც აღმოჩნდა ჩართული. შემდეგ როგორც მთხრობელი იხსენებს, თავადაც შეხვდა მაშინდელ პრეზიდენტს და სთხოვა ამ ვითარების რეგულირებაში მონაწილეობა, თუმცა პროცესი, სამწუხაროდ, უმართავი გახდა, რასაც გარდაუვალი ნგრევა მოჰყვა. მისი აზრით, ახლაც ერთგვარი ჩიხური მდგომარეობაა, ქარხანაში განვითარებული მოვლენები ბოლო 20 წლის მანძილზე სცილდება კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ფართო პოლიტიკის ნაწილად იქცევა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდი, ქალაქ რუსთავისათვის ახალი გამოწვევის ეტაპად იქცა, სადაც სხვადასხვა სახის ნარატივები ქალაქის რაობის შესახებ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ვხვდებით პირობითად ნაციონალური და ინტერნაციონალური ნარატივების ინტერპრეტაციას, რომელიც კონკრეტული კონტექსტებით აქტუალიზდება. უნდა აღინიშნოს, რომ შეგნებულად, ჩაღრმავებული ინტერვიუების დიდი ნაწილი შედარებით უფროსი თაობის რუსთავის მოქალაქეებისგან ავიღე, ვინაიდან, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება უშუალოდ უკავშირდება ქალაქის განვითარების ეტაპებს და შესაბამისად ისინი მეტად და უკეთ გამოხატავს პოსტსაბჭოთა რეალობის სიმძაფრეს. ამასთან ახალი თაობა დიდწილად სწორედ ოჯახებიდან იღებს და მიიღებს ინტერპრეტაციას იმაზე, თუ საიდან მოდიან და როგორ შეიძლება ავხსნათ მიმდინარე მოვლენები. არ ვფიქრობ, რომ ჩემი მთხრობელების ნარატივები სრულად და ამომწურავად ასახავს რუსთავის პოსტსაბჭოთა ინტერპრეტაციას,

თუმცა ვფიქრობ, ძირითადი ტენდენციების გამომხატველი ნამდვილად არის. საბჭოთა სისტემის მიმართ დარჩენილი სენტიმენტები და თანამედროვე ეკონომიკის პოლიტიკის უსუსურობა, ბუნებრივად შექმნის შიშებს წარსულის გაიდეალების შესახებ, რაც იდეოლოგიურ და იდენტობის ვაკუუმს ქმნის. რუსთავის პოსტსაბჭოთა იდენტობისათვის ბრძოლაში მთავარ აქტორებად რელიგიური ჯგუფები გამოვიდნენ საჯარო სივრცეში, რომლებსაც ეს შესაძლებლობა საბჭოთა სისტემის რღვევის შემდგომ მიეცათ. საინტერესოა, რამდენად და როგორ მოახერხებენ კომუნისტების მიერ შემოთავაზებული ურბანული ნარატივების ადაპტირებას და როგორ გადათარგმნიან მას ეროვნულ/სამოქალაქო დონეზე.

თავი მეოთხე

რელიგიურობის ადგილი პოსტსოციალისტურ რუსთავში

სოციალისტური რუსთავი დაპროექტდა, როგორც სამაგალითო მუშათა ქალაქი, სადაც ეკლესიისა და რელიგიისათვის ადგილი აღარ უნდა დარჩენილიყო. კომუნისტებმა ცარიელ ადგილზე გაშენებულ ქალაქს საგულისხმო ადგილი საქართველოს ისტორიაში მოუძებნეს. საბჭოთა ურბანულმა ნარატივებმა რუსთავი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების ცენტრში მოაქცია და ქართული საბჭოთა ნაციონალიზმის წყაროდაც აქცია. ერთი მხრივ, ქალაქის ნაციონალური სახელი და მეორე მხრივ მისი ინტერნაციონალური პროფილი, თავისებურად გულისხმობდა ლატენტურ ბრძოლას რელიგიურობასა და საბჭოთა ათეიზმს შორის. შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტების მიერ შემოთავაზებული ქალაქის ნაციონალური ნარატივები, გახდა საფუძველი და შესაძლებლობა რუსთაველებს ეფიქრათ ქალაქში პირველი ეკლესიის მშენებლობაზე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე[1]. თანამედროვე რუსთავის ქალაქგეგმარებაში ეკლესიებისა

[1] *მუმლაძე კ., „ჩვენთან არს ღმერთი“ (როგორ გაანათლა კათოლიკოს-პატრიარქმა რუსთავი, თბილისი: გამცემლობა „მერანი“ „პერგამენტი“, 1991; ინტერვიუ ლაშა ხეცურიანთან, 2020.*

და ჯვრებისათვის ადგილის მოძიება არ გამხდარა რთული საქმე. მართლმადიდებლური სიმბოლოების გამოჩენა ქუჩებში და მათი აღქმა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ქალაქის საბჭოთა ნაციონალურ ნარატივების ინტერპრეტაციასთან. აქვე, საინტერესოა როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ქალაქის ინტერნაციონალური გამოცდილება და მისი აღქმა რელიგიური მრავალფეროვნების საკითხს პოსტსოციალისტურ ქალაქში.

მოცემულ თავში საუბარი იქნება ზოგადად ქალაქში რელიგიურობის გამოვლინებებზე, რომელიც თვისობრივად ახალი მოვლენაა და რელიგიის მრავლობითი ფორმით არსებობის შესაძლებლობებს გამოცდილება ქმნის, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე საკანონმდებლო დონეზე. რელიგიურობის გამოვლინება რუსთავის საჯარო სივრცეში, რამდენადმე განსხვავებული მოვლენაა და ახალ რეალობას ქმნის, როგორიცაა კონკურენცია და განსხვავებულთა თანაარსებობის ფორმების ძიება. ამ საკითხებზე მსჯელობისათვის ქალაქ რუსთავში რელიგიური ჯგუფების საჯარო სივრცეში დამკვიდრების შესაძლებლობებს განვიხილავ, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობებისათვის. მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენისა და საჯაროს სივრცეში მისი ხილვადობის შესახებ მსჯელობისათვის, ქალაქში პირველი ეკლესიის მშენებლობის საკითხს განვიხილავ, რომელსაც საფუძველი გვიან სოციალისტურ პერიოდში ჩაეყარა. საინტერესოა თუ როგორ გახდა შესაძლებელი საბჭოთა კავშირის დაშლამდე გადაწყვეტილების მიღება რუსთავში აშენებულიყო პირველი ქრისტიანული ეკლესია; ასევე განხილვის საგანი იქნება პოსტსაბჭოთა

პერიოდის რუსთავში მზარდი ინტერესი მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობაზე; საუბარი იქნება მართლმადიდებლური ეკლესიების მნიშვნელობასა და მათ როლზე რუსთავის ურბანულ სივრცეში, აშენებული და მშენებარე ეკლესიების სახელდებასა და ისტორიაზე, რომლებიც თავისებურად ეწერებიან რუსთავის ურბანული ნარატივების ტექსტურაში. აქვე, ვეცდები გავარკვიო თუ როგორ აისახა ქალაქის მულტიკულტურული სახე, რუსთავში რელიგიური მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულებაზე? ამ კონტექსტის გასაანალიზებლად განვიხილავ რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის საკითხის გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობას. დაპირისპირებამ საბოლოოდ სასამართლო დავის სახე მიიღო. საინტერესოა, რას ეფუძნებოდა წინააღმდეგობა და რატომ არ ეძლეოდა საშუალება რუსთავის კათოლიკურ თემს ჰქონოდა ტაძარი საკუთარ ქალაქში? რელიგიური მრავალფეროვნების აღქმაზე და მისი ინტერპრეტაციისათვის ასევე ვისაუბრებ ისლამური თემის ხილვადობის საკითხზე ქალაქის სივრცეში და მათი სურვილის სუსტ არტიკულაციაზე, ჰქონდეთ სალოცავი ადგილი რუსთავში. აზერბაიჯანული თემი რუსთავის მოსახლეობის ყველაზე დიდი ეთნოკომფესიური ჯგუფია. ამ ჯგუფისათვის რელიგიურ სხვაობას ეთნიკური სხვაობაც ემატება, რომელიც მრავალფეროვნების გაგების დამატებით ელემენტს ქმნის. საინტერესოა, რამდენად ერთიანია მუსლიმური თემი რუსთავში და ვისთან მიმართებაში აყალიბებს იგი საკუთარ იდენტობას. დაბოლოს, მსჯელობის საგანი იქნება, რომელი რელიგიური ჯგუფები გვხვდება რუსთავის ურბანულ სივრცეში, როგორია მათი სტრატე-

გია თვითდამკვიდრებისათვის. ვინ და როგორ შემოდის პოსტსოციალისტური ქალაქის რელიგიურ ბაზარზე და როგორია ამ ჯგუფების აღქმა უმრავლესობის და უმცირესობების მხრიდან, გამოხატული განწყობები როგორ ახდენს გავლენას ცალკეული მათგანის თვითაღქმაზე.

რუსთავის ურბანული გარემო და ქალაქში რელიგიური ნაგებობების ტოპოგრაფია საინტერესოდ ასახავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც საბჭოთა ათეისტურ/სეკულარული წყობის მოშლის შემდგომ გაღრმავდა და შეიძლება ითქვას, რომ დღემდე გრძელდება. ბრძოლა რელიგიური სივრცეებისათვის საინტერესოდ ერწყმის ქალაქის საბჭოთა გენეზისის გააზრებას, რომელიც წარმოადგენს ისტორიული ქალაქის აღორძინების ნარატივს, ინტერნაციონალური პროფილით. კომუნისტების მიერ შექმნილი ქალაქის ეს ორი წინააღმდეგობრივი სახე, დღეს რელიგიურ ფორმებში თავისებურად ვლინდება და ახალი იდენტობებისათვის ძიების განსხვავებულ სახეს იღებს. ყველაფერთან ერთად, რელიგიური ნაგებობების მშენებლობა, ბრძოლა ურბანულ სივრცეში დამკვიდრებისათვის, ახლო წარსულზე რეფლექსიისა და მისი გააზრების განსხვავებულ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

ქალაქი და რელიგია

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, რელიგიების წარმოშობა და გავრცელება დიდწილად სწორედ ქალაქებთან იყო დაკავშირებული, ამის აღიარებასა და გააზრებას მაინც დიდი დრო დასჭირდა.[1] ამ პროცესის ნაწილს წარმოადგენს სეკულარიზმთან დაკავშირებული კონცეპტების რევიზიაც. სეკულარიზაციის თეორიის მიხედვით მოდერნულობის ზრდის პარალელურად უნდა მომხდარიყო რელიგიის მნიშვნელობის შემცირება. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მსოფლიოში, მათ შორის ქალაქებში, განვითარებულმა მოვლენებმა, განსხვავებული რეალობა წარმოაჩინა, რამაც თეორიული მოდელების ინტერპრეტაციებისა და რეფორმულირების საჭიროება დააყენა დღის წესრიგში. მოდერნულობის „მრავლობითობის" აღიარებიდან გამომდინარე პიტერ ბერგერმა შემოგვთავაზა არსებული ვითარების მისეული ხედვა, რაც რელიგიური პლურალიზმისა და მის ორგვარ გაგებაში გამოიხატა. ერთ შემთხვევაში ესაა რელიგიური და სეკულარული ინსტიტუტების თანაარსებობის დაშვება, ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, საერთო, საზიარო სივრცის შესაძლებლობის აღიარება განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობებისათვის.[2] რელიგიური პლურალიზმის ბერგერისეული გაგება საინტერესოდ

---

[1] *Casanova J., Religious Associations, Religious Innovations and Denominational Identities in Contemporary Global Cities, Topographis of Faih: Religion in Urban Space, BRILL, Leiden – Boston, 2013.*

[2] *Berger L. Peter., The Many Altars of Modernity: Toward a Paradigm for Religion in a Pluralist Age, publisher: De Gruyter, 2014.*

წარმოაჩენს საქართველოსა და კერძოდ რუსთავში არსებულ რეალობას.

რელიგიური პლურალიზმის დაშვება ქმნის ურბანულ სივრცეში კონფლიქტის შესაძლებლობასა და შემდგომი რეაგირების მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში სიტყვა „პლურალიზმი" ორგვარი კონტექსტით გვხვდება. ერთ შემთხვევაში საუბარია რელიგიურ კონფლიქტზე, როგორც პლურალიზმის დამაზიანებელზე და რომ საჭიროა არსებობდეს მისი პრევენციის გზები. ხოლო მეორე შემთხვევაში საუბარია რელიგიურ უმცირესობებზე, როგორც პლურალისტური საზოგადოების საფუძველზე. ოფიციალურ დოკუმენტში ორჯერ ნახსენები რელიგიური პლურალიზმი, განიხილება არსებით ღირებულებად, რომელსაც გაფრთხილება და დაცვა სჭირდება.[1] როგორც აღინიშნა, ქალაქებში არსებული რელიგიური მრავალფეროვნება ქმნის კონფლიქტის შესაძლებლობას. ვინაიდან საზოგადოება კონფლიქტის მდგომარეობაში მუდმივად ვერ იცხოვრებს, შესაბამისად, უნდა შემუშავდეს მისი თავიდან არიდების, მისი მართვისა და მოგვარების მექანიზმებიც,[2] რუსთავში

---

[1] *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. კათოლიკური ეკლესია, მთელი მსოფლიო მასშტაბით „გულმოწყალების კარს" ხსნის. (განთავსებულია 8 დეკემბერი 2015. მის.: http://religion.geo.gov.ge/geo/news/katolikuri-eklesia-mteli-msoflios-masshtabit.*

[2] *Helmuth, Schwenk, Steets 2018 – Helmuth B., Schwenk J., Steets S., „Introduction: Filling the Void? – Religious Pluralism and the City. „Religious Pluralism and the City: Inquires into Postsecular Urbanism. Ed Helmuth B., Schwenk J., Steets S. London: Bloomsbury Academic, გვ. 7.*

არსებული ვითარება თავისებურად გამოხატავს მიმართებებს რელიგიურ ჯგუფებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, რომელთა თანაარსებობისა და ბალანსის დაცვის გზების ძიებაშია. აღსანიშნავია, რომ არსებული ბალანსი, ამ დრომდე რელიგიური უმცირესობების ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე ხდება ძირითადად, რაც რელიგიური პლურალიზმის გაგების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს როგორც ფორმალურ-პოლიტიკურ, ისე, მისი პრაქტიკის რეალიზების დონეებზე.

რუსთავში რელიგიური კონკურენციისა და კონფესიური პლურალიზმის თავისებურებაზე მსჯელობისათვის ყურადღებას გავამახვილებ ქალაქის ურბანულ სივრცეზე და რელიგიურობის მატერიალურ გამოვლინებებზე. ვინაიდან რელიგიური ნაგებობები, რომლებიც ვიზუალური მახასიათებლებით სიმბოლური ძალაუფლების მატარებლები არიან, ქმნიან და ებმებიან კონკურენციაში, რომელიც ახალ წესრიგს ქმნის.

> „ობიექტები გარდაიქმნებიან ხატებად, როცა ფიზიკური ძალა კი არა, სიმბოლური ძალაუფლება გააჩნიათ. აქტორების მიერ ხატების მნიშვნელობის გაცნობიერება ხდება არამხოლოდ მისი გაგებითა და შეფასებით, არამედ მისი ემოციური და ესთეტიკური აღქმითაც“.[1]

---

[1] *Kim K., Volkhard & Brigit M., Iconic Religion in Urban Space, Material Religion, 12:2, 123-136, DOI: 10.1080/17432200.2016.1172759.*

რელიგიური ნაგებობებისადმი ინტერესს ქმნის არა მხოლოდ მათი საგულისხმო ფორმა და შინაარსი, არამედ მათი აღქმის თავისებურებაც. ქალაქის სივრცეში არსებული რელიგიური ობიექტები ახალ პრაქტიკებთან ერთად, იდენტობების ფორმირებასა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ინსტრუმენტებსაც აყალიბებენ. ამდენად რელიგიური ობიექტები იქცევიან „ხატებად", რომლებიც ქალაქში ახალ წესრიგსა და შესაბამის იერარქიას ემსახურებიან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რელიგიურობისკენ მკვეთრი შემობრუნება საგრძნობია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ძირითადად ახალი რელიგიური ობიექტების მშენებლობაში, ძველის აღდგენასა თუ სხვადასხვა შენობის გადაკეთებაში გამოიხატება. ქალაქის ურბანული გარემო გახდა რელიგიურობის დემონსტრირების აქტუალური სივრცე. კიდევ ერთი რეალობა რაც საბჭოთა სისტემის რღვევის შემდგომ გამოჩნდა იყო ახალი, განსხვავებული რელიგიური ჯგუფები, რომლებიც რთულ კონკურენციაში ჩაებნენ და აქტიურად დაიწყეს საკუთარი ადგილის ძიება პოსტათეისტურ/სეკულარულ სივრცეში.

დღეისათვის რუსთავში გვხვდება მუსლიმური თემი, ლათინ კათოლიკე მორწმუნეთა ჯგუფი, ლუთერანული ეკლესია, სახარების რწმენის სამლოცველო სახლი, ბაპტისტურ-ევანგელისტური თემი და იაჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზი და სხვა რელიგიური მრწამსის ადამიანები, რომლებსაც ჯგუფის დონეზე არ განუცხადებიათ ქალაქის მასშტაბით რაიმე სახის სივრცეზე პრეტენზია. რელიგიური კონკურენციის სიმწვავე, დაპირისპირება და თანაარსებობის ფორმების ძიება საინტერესოდ ვლინდება ურბანულ

გარემოში, სადაც რელიგიურ სიმბოლოებს საკრალური დატვირთვის გარდა ნაციონალური და პოლიტიკური მნიშვნელობებიც გააჩნიათ. ასეთად შეიძლება განვიხილოთ რუსთავის რელიგიური არქიტექტურა.

> „არქიტექტურის ხარისხი, არაუბრალოდ გამოხატავს იმას, რაც ისედაც არსებობს, არამედ ქმნის და გარდაქმნის იდენტობებს, შესაძლებელს ხდის და არღვევს გამოცდილებას, ქმნის, გარდაქმნის ან ანაწილებს საზოგადოებას – მოკლედ რომ ვთქვათ, ცვლის მას“.[1]

მოცემულ თავში განვიხილავ მხოლოდ იმ რელიგიურ ჯგუფებს, რომლებმაც ღიად გამოხატეს სურვილი ქალაქის საჯარო სივრცეში დამკვიდრებულიყვნენ და ხილული ყოფილიყო მათი ფიზიკური არსებობა. მათ შორის ლათინ კათოლიკეთა ქალაქში დამკვიდრების შემთხვევას შევეხები. მათი მცდელობა, ხანგრძლივი წინააღმდეგობის მიუხედავად წარმატებით დასრულდა, მიიღეს რა რუსთავში ეკლესიის მშენებლობის ნებართვა[2]. საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია საქართველოსთვის ტრადიციულად აღიარებულ რელიგიურ ჯგუფზე[3], თუმცა

---

[1] *Verkaaik O., ed., Religious Architecture: Anthropological Perspectives. Amsterdam: Amsterdam University Press, 2013.*

[2] *ლოლაძე რ., რუსთავში კათოლიკური ეკლესია საზეიმოდ გაიხსნა, საზოგადოებრივი მაუწუებელი, 12:13, 06.10.2018.*

[3] *ხუციშვილი, ქ., რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, გამომცემლობა მემატიანე, თბილისი, 2004.*

ამის მიუხედავად, მისთვის რუსთავის ურბანულ გარემოში დამკვიდრება რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. სუსტად მაგრამ მაინც გამოხატა მუსლიმურმა თემმა სურვილი გამოჩენილიყო ქალაქში და ჰქონოდა სალოცავი. მათი რეაქცია წინააღმდეგობაზე, ლათინ კათოლიკეთა თემისგან განსხვავებით, ამ საკითხის „დავიწყებით“ დასრულდა. საინტერესოა, რა ფაქტები განაპირობებს, ამ თემის პოზიციონირებას ჰქონდეს პრეტენზია, ჩანდეს ქალაქში და არ შევიდეს კონფრონტაციაში ქალაქის მოსახელობის უმრავლესობასთან.

მართლმადიდებლური ეკლესია რუსთავში

რუსთავში ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობა თუ აღდგენა ლოკალურ კონტექსტს გასცდა და საერთო ქართულ თუ პოსტსაბჭოთა მოვლენად იქცა. მიიჩნევა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მასშტაბით, რუსთავი აღმოჩნდა ის ქალაქი, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე და შემდგომ პირველი ეკლესია აშენდა. დღეისათვის რუსთავში 23 მოქმედი და 10 მშენებარე მართლმადიდებლური ეკლესიაა წარმოდგენილი[1]. მართლმადიდებლურ ტაძრებს ქალაქის ურბანულ სივრცეში გამორჩეული ადგილი უჭირავთ, მათ ვხვდებით ქალაქის ნებისმიერ საიმიჯო რგოლსა თუ პუბლიკაციაში[2]. ასევე აღსანიშნავია ჯვრების დადგმა, რომლებსაც ბიძგი ქალაქის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა მისცა, როდესაც იალღუჯის მთაზე უზარმაზარი რკინის ჯვრის კონსტრუქცია დადგა. ამას მოჰყვა რკინის ჯვრების ეზოებში მასიურად დადგმა.[3] რუსთავში რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარი შეიძლება გამოვარჩიოთ, ესენია: რუსთავის სიონი, ხარების ეკლესია და ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარი. რუსთავის საკათედრო ტაძარი გამოირჩევა მასშტაბებითა და გმირი მეფის, ვახტანგ გორგასლის (Vს.) სახელდებით, რომელიც ტიპური არაა ზოგად ქართული საეკლესიო ტრადიციისათვის. მებრძოლი

---

[1] *საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://patriarchate.ge/news/1608.*

[2] *https://www.youtube.com/watch?v=yrLRGo9am-M&ab-channel=TRAVELWithUs*

[3] *მერაბ ტყეშელაშვილი, ქალაქ რუსთავის მერი 1996-2005 წლებში.*

მეფის სახელი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს რუსთავისათვის, როგორც ქალაქის წარსულის ნაციონალური ინტერპრეტაციის მორიგი შესაძლებლობა[1]. სიმბოლურობით გამოირჩევა რუსთავის პირველი მართლმადიდებლური ტაძარი, რომლის მშენებლობაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე დაიწყო და ხარების სახელს ატარებს. სახელდებად ხარების არჩევა, ასევე სიმბოლურ ხასიათს უნდა ატარებს, რომელიც ახალი ეპოქის მახარაბელი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი მშენებლობა სწორედ ნაეკლესიარზე გადაწყდა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ფორმა. ტაძრის ისტორია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რუსთავის რელიგიურობის ნარატივებში. სწორედ ის ქმნის კავშირებს, თანამედროვეობას, საბჭოთა წარსულსა და ისტორიულ გამოცდილებას შორის. ნაეკლესიარის V საუკუნით დათარიღება და ვახტანგ გორგასლის სახელი, ხარების ეკლესიას კომუნისტების მიერ ისტორიული ქალაქის აღორძინების ნარატივთან აახლოვებს და მის გაგრძელებად წარმოგვიდგენს. რუსთავში პირველი ტაძრის მშენებლობის მნიშვნელობის წარმოჩენა რუსთავის კულტურული საზოგადოებისათვის საპასუხისმგებლო საქმედ იქცა. ამ ფაქტის განსაკუთრებულობაზე ხაზგასმას ვხვდებით რუსთავის, როგორც სამღვდელო პირებისგან, ისე ფართო დაინტერესებული საზოგადოების მხრიდანაც.[2]

---

[1] *ქამუშაძე თ., რუსთავის სოციალისტური რეპრეზენტაცია და ნაციონალური ნარატივები, კრებულში, „ისტორიული რეპრეანტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“ მასალები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2014.*

[2] *მოსიაშვილი გ., სანაია. გ. 29 წელი დაარსებიდან – პირველი, 13 ნოემბერი, 2018.*

როგორც უკვე ითქვა, რუსთავში პირველი მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის ფაქტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ლოკალურ დონეზე, ისე ქვეყნის მასშტაბით. რუსთავს, როგორც სამაგალითო მუშათა ქალაქს, უნდა მოეზიდა მოსახლეობა, მათ შორის საკუთარი ისტორიულობითა და წარსულის სიდიადით, რომლის აღმოჩენა და გახსნა ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა და მისი ავტორები კომუნისტები იყვნენ. კომუნისტებმა იზრუნეს, როგორც ქალაქის ინტერნაციონალურ სახეზე, ისე მისი ადგილის მოძიებაზე საქართველოს ისტორიაში. შესაბამისად რუსთაველებს შეეძლოთ თავი მოეწონებინათ, როგორც ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტით, ისე ხალიბური მემკვიდრეობით, შოთა რუსთაველის წარმომავლობითა და ქალაქის საუფლისწულო სტატუსით.[1] რუსთავისათვის ისტორიის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ დაუსახლებელ ქალაქში ისტორიული მუზეუმის გახსნაც მიუთითებს. თუმცა როგორც ჩანს, სამაგალითო ქალაქს ნაკლი მაინც ჰქონდა, ეს იყო ეკლესიის არქონა. ამ საკითხებზე საუბარი რამდენადმე ღიად, მხოლოდ „პერესტროიკის“ პერიოდში დაიწყო და პოსტსოციალისტურ პერიოდში გაფორმდა ნარატივის სა-

---

[1] *ასლანიშვილი ა., „ხალიბური ფოლადივით უტყუარი“. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1978;*
მუმლაძე კ., „უმტკიცესი რვალისა“ (მეათე ხუთწლედის რიტმი), თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1962;
ლომთათიძე გ., „ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან“, („ვახტანგ გორგასალი უჯარმაში“ და „რუსთავის შავი ორშაბათი“), ჟ. „მნათობი“, №1, 1975.

ხით. ვინ და როგორ საუბრობს ეკლესიის საჭიროებაზე ქალაქის კონტექსტში ჯერ კიდევ სოციალისტური პერიოდიდან ამის გარკვევას პოსტსოციალისტურ ურბანულ ნარატივებზე დაკვირვებით შევეცდებით. საინტერესოა როგორ მოხდა ეკლესიის მშენებლობის გადაწყვეტილების მიღება საბჭოთა სისტემის დანგრევამდე? როგორ ჩამოყალიბდა შესაბამისი კონტექსტი და ვინ და როგორ ჰყვება პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსთავში პირველი მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის შესახებ? იყო თუ არა ამისათვის საკმარისი საფუძველი ის რომ ქალაქი ნაქალაქარზე გაშენდა? ქალაქის ნაციონალური ნარატივი რამდენად იძლეოდა ტაძრის მშენებლობისა თუ მისი აღდგენის შესაძლებლობას? ვის უკავშირდება რუსთავში პირველი ტაძრის მშენებლობის დაწყება? ვისი ინიციატივის გაზიარება გახდა შესაძლებელი? იქცა თუ არა კომუნისტებისათვის ეკლესიების მშენებლობა და მართლმადიდებლობა სოციალური კაპიტალის ტრანსფერის შესაძლებლობა პოსტსაბჭოთა რეალობაში?

ამ საკითხის წარმოსაჩენად, მოვიხმობ ერთი მხრივ საბჭოთა, 1991 წელს გამოცემულ წიგნს, რომელიც ამ მოვლენას უკავშირდება. მეორე მხრივ რუსთავის მკვიდრთა მონათხრობს, მათი მცდელობის შესახებ საკუთარი წვლილი შეეტანათ ქალაქში ეკლესიის მშენებლობის გადაწყვეტის საკითხში. ვეცდები გავარკვიო, სად ემთხვევა და სად სცდება ერთმანეთს, ისტორიის ეს ორი ვერსია და როგორია მათი შესაძლებლობები მოგვითხრონ ქალაქისათვის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. ასევე საინტერსოა, იმის გარკვევა თუ რა იციან დღეს, რუსთავის მაცხოვრებლებმა,

ქალაქის ამ ორი ნარატივის შესახებ, რომელებიც ერთი მოვლენის შესახებ რამდენადმე განსხვავებულად მოგვითხრობენ. ბოლოს ვეცდები კონცეპტუალიზება მოვახდინო ფაქტის, თუ როგორ ახდენს გავლენას კომუნისტური წარსული უკვე პოსტსაბჭოთა რეალობის კონსტრუირებაზე და როგორია ნარატივების ბედი იმის მიხედვით თუ ვინ და როგორ გვიყვება მას.

რუსთავში პირველი ეკლესიის მშენებლობას მემორიალური წიგნი „ჩვენთან არს ღმერთი", რუსთავის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, კარპე მუმლაძემ უძღვნა. წიგნის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

> „წიგნი მოგვითხრობს ღვთისმოსავი ადამიანისა და 724- წლოვანი წყვეტილობის შემდეგ რუსთავში მღვდელმსახურების აღდგენის შესახებ".[1]

საგულისხმო დეტალი ისაა, რომ ზოგადად რუსთავის კონტექსტში ძირითადი ფორმა ახალი მოვლენის საპრეზენტაციოდ „აღდგენა" გვევლინება. ავტორის ხარჯებით დასტამბული წიგნი, ემოციური ელემენტებითაა დატვირთული, წიგნის სათაურიდან დაწყებული, გარდაცვლილი მეუღლისადმი მიძღვნით დამთავრებული. ავტორის მიერ შემოთავაზებული განსხვავებული ტექსტი, მისი მხრიდან, კომუნისტის, ერთგვარ აღსარებას მოგვაგონებს,

---

[1] *მუმლაძე კ., „ჩვენთან არს ღმერთი" (როგორ გაანათლა კათოლიკოს-პატრიარქმა რუსთავი, თბილისი: გამცემლობა „მერანი" „პერგამენტი", 1991.*

რომელმაც კათარზისი განიცადა. იგი შესავალ ნაწილშივე ებოდიშება მკითხველს, „ღმერთსა და ღვთისმშობელზე“ საუბრისას თუ რაიმე ისე ვერ თქვა ან გაიაზრა, შესაბამისად, თუ რაიმე მისდაუნებურად შესცოდა, იმედს იტოვებს, რომ მიეტევება. დასმული თემატიკისადმი ავტორის ავტორეფლექსია საინტერესოდ ვითარდება. იგი საკუთარ თავზე საუბრობს, როგორც ყოფილ კომუნისტზე, რომელიც სხვა კომუნისტების მსგავსად ეკლესიაზე ვერც იოცნებებდა, რომ მათი რელიგიურობა საჯარო სივრციდან კერძოში იყო გადატანილი და ჩამალული. თუმცა, მისივე თქმით, დადგა დრო, შეიცვალა ჟამი და დაიწყო რაღაც ახალი, რამაც საბოლოო ჯამში ქრისტეს ტაძრის აღდგენამდე მიგვიყვანა. მისივე თქმით, ყველაფერი დაიწყო საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დაარსებით. ბუნებრივია, რუსთაველის საზოგადოების ხსენება ახალი დროის კონტექსტში შემთხვევითი არ უნდა იყოს.

> „და აი ახალმა დრომ, ახალმა ვითარებამ, გარდაქმნის ეპოქამ ისევ მოითხოვა რუსთაველის საზოგადოება, მაგრამ ახალი წესდება-პროგრამით“.[1]

მისი აზრით, რუსთაველის საზოგადოების შექმნა, საბჭოთა კავშირის ბოლოს წლებში, იმ არგუმენტით საბუთდება, რომ პარტია ვიწროკლასობრივი თვალსაწიერის გამო ვერ პასუხობდა საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ამის

---

[1] *მუმლაძე კ., „ჩვენთან არს ღმერთი“ (როგორ გაანათლა კათოლიკოს-პატრიარქმა რუსთავი, თბილისი: გამცემლობა „მერანი“ „პერგამენტი“, 1991.*

შემდგომ წიგნის ავტორი საუბრობს ქართველობისა და ქრისტეს ჯვარცმის იგივეობაზე, რომ სწორედ ჯვარმა გადაარჩინა საქართველო და მისივე იმედი უნდა გვქონდეს მომავალშიც. მისი თქმით, მართალია რუსთავში ეკლესია არ ჰქონიათ, მაგრამ იგი ყოველთვის ახსენებდათ თავს, განსაკუთრებით ახალი რუსთავის მშენებლობის დროს, როდესაც სამშენებლო სამუშაოებისას მიწაში წარსულის ნაშთებს პოულობდნენ. როგორც ამბობენ მიწის სამუშაოების დროს, არაერთი ეკლესიის ნანგრევები უნახავთ და აღმოუჩენიათ ამ მიწაზე. ამის შესახებ იცოდნენ და დუმდნენ. იგი იხსენებს რუსთავის დრამატული თეატრის დამაარსებლის გიგა ლორთქიფანიძის სიტყვებს:

> – „თეატრი კი დავაარსეთ, ის რა ქალაქია, სადაც თეატრი არაა! მაგრამ არც ისაა ნამდვილი ქალაქი, სადაც ეკლესია არაა!.. დიახ, ჩვენ ყველა ვგრძნობდით ამას, გაჩუმებულები ვიყავით“.[1]

სიჩუმე აღნიშნულ თემაზე რუსთაველის საზოგადოების რუსთავის ორგანიზაციის აქტიური მოქმედებით დაირღვა. რუსთავში ეკლესიის მშენებლობისათვის საფუძვლად ქალაქის ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენა უნდა დასდებოდა, ამასთანავე ინიციატივა ქარხნის მუშებიდან უნდა წამოსულიყო. ამ პროცესის აქტიური მონაწილე წიგნის ავტორი, დეტალურად მოგვითხრობს ამ საქ-

---

[1] *მუმლაძე კ., „ჩვენთან არს ღმერთი“ (როგორ გაანათლა კათოლიკოს-პატრიარქმა რუსთავი, თბილისი: გამცემლობა „მერანი“ „პერგამენტი“, 1991, გვ. 5.*

მის სასურველი სასრულისაკენ გადადგმული ნაბიჯის შესახებ. ეს პროცესები ძირითადად 1988-1989 წლებში მიმდინარეობს და მასში ჩართული იყო უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საბოლოოდ რუსთავში პირველი ეკლესიის ასაგებად არქეოლოგიური დასაბუთება მომზადდა, რაც ტაძრის უბრალო მშენებლობის ნაცვლად მის აღდგენას ნიშნავდა. აქ მუზეუმს თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქალაქში ეკლესიის მშენებლობისათვის დაწყებული ბრძოლა ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული ტაძრის აღდგენას გულისხმობდა. ამგვარად, სოციალისტურ მუშათა ქალაქში ეკლესიის მშენებლობის ისტორია ასევე საინტერსოდ ერთვის კომუნისტების ნარატივს ისტორიული ქალაქის აღდგენის შესახებ და ისიც საგულისხმოა, რომ ამ პროექტის რეალიზებას კარპე მუმლაძე რუსთაველის საზოგადოების მოღვაწეობას უკავშირდება, რომლის თავმჯომარედაც თავად აირჩიეს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ჟიული შარტავას მოხსენიებაც ამ კონტექსტში, რომელიც იმ დროისათვის ქალაქკომის თავმჯდომარე იყო. ამგვარად, მოცემული ნარატივის მიხედვით, რუსთავის პირველი მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობა ქართველი კომუნისტების მცდელობისა და მონდომების შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც მუზეუმი და მწერალთა კავშირი თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. თუმცა ოფიციალური ნარატივის მიღმა, დღესაც შეიძლება ნახოთ რუსთავში ადამიანები, რომლებიც ქალაქში მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობაზე ოცნებობდნენ და მათი

მხრიდან ამ მიმართულებით გარკვეულ მცდელობებსაც ჰქონდა ადგილი.

1965 წელს, შოთა ხეცურიანის ოჯახი, მეუღლე და სამი მცირეწლოვანი ბავშვი საცხოვრებლად ქუთაისიდან რუსთავში გადავიდა. მაშინ ლაშა, მხოლოდ ერთი წლის იყო და როგორც თავად ამბობს, სიჭაბუკე და ახალგაზრდობა სწორედ ამ ქალაქში, რუსთავში გაატარა. მისი ბავშვობის დროინდელი ქალაქი განსხვავებული და რამდენადმე წინააღმდეგობრივიც იყო. ის თუ როგორი იყო, მისი დანახული იმ დროის რუსთავი, მის მიერ მოთხრობილი ორი ეპიზოდით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ერთი, როდესაც უფროსი დის კლასელებმა სკოლიდან შატალოზე წაიყვანეს ლაშა და გზაში მილიციელებმა შეაჩერეს. ახლომდებარე მაღაზიიდან მილიციელებმა სკამი და მაკრატელი გამოიტანეს. სკამზე სკოლის მოსწავლეები დასვეს და გრძელი თმა საჯაროდ, შუა ქუჩაში შეაჭრეს. მთხრობელს ყველაზე მძაფრად გამვლელთა კმაყოფილის გამომხატველი რეაქცია დაამახსოვრდა, რითაც ისინი მხარს უჭერდნენ პოლიციელთა გადაწყვეტილებას ვაჟებისათვის შესაფერი გარეგნობა დაებრუნებინათ.[1] მეორე ეპიზოდიც ასევე საჯარო სივრცეში ადამიანთა ქცევას უკავშირდება. როგორც ლაშა იხსენებს, დედასთან ერთად ბავშვთა სამყაროს მაღაზიასთან რიგში იდგა. დედამისი, რომელიც ცნობილი ექიმი იყო რუსთავში და ბევრი მადლიერი პაციენტი ჰყავდა, მას იოლად სცნობდნენ ქუჩებში. დალი ექიმის დანახვაზე, ზოგი რიგს უთმობდა, ზოგი წინ გადმოსვლას სთავაზობდა, რამაც მცი-

[1] *საველე დღიური 2020: 4.*

რედი ხმაური გამოიწვია რიგში, რაზეც ერთმა, „დავარცხნილმა“ ქალბატონმა რუსულ ენაზე უკმაყოფილება გამოხატა, მეტიც დატუქსა რიგში მდგომი ხალხი, როგორ ბედავთ და ამდენ ხალხში ქართულად საუბრობთო. ქალის ტონმა და საყვედურმა ხალხი დააბნია და ხმა ვერავინ ამოიღო, გარდა დალი ექიმისა, რომელმაც ძალიან მკაცრად უპასუხა რუსულენოვან ქალბატონს და ტონის შეცვლაც მოსთხოვა.[1]

ლაშა იხსენებს, რომ ოჯახში ეროვნული სულისკვეთებით იზრდებოდნენ და არალეგალურ ლიტერატურასაც კითხულობდნენ, მაგალითად „ოქროს საწმისს“. იგი იხსენებს, რომ მერვე კლასში იყო როცა ამხანაგებთან ერთად საშობაო ლიტანიობაზე წავიდა თბილისში. სიონის შესასვლელთან შესაბამისი უწყების თანამშრომლებმა, წირვაზე დასწრებამდე ფოტოები გადაუღეს ბავშვებს და ცოტა შეაყოვნეს. უწყება, რომელიც რელიგიურ თუ სხვა საეჭვო პირებს აკვირდებოდა და აკონტროლებდა, ქალაქკომის საბჭოს ნაწილი იყო. დასჯისა და კონტროლის სხვადასხვა მექანიზმი მოქმედებდა მოქალაქეებისათვის. ლაშას, როცა 16 წლის ასაკში, პასპორტი მისცეს, რამდენიმე კვირის შემდგომ დაიბარეს და ჩამოართვეს, რის გამოც მას არათუ რესპუბლიკის დატოვება სამხრეთ საქართველოშიც კი არ შეეძლო წასვლა. კაგებემ რამდენჯერმე უკან დააბრუნა აწყურის ციხის სარესტავრაციო ექსპედიციიდან. იგი სოციალისტურ რუსთავს იხსენიებს, როგორც დასჯილთა ქალაქს. ამის ერთ-ერთ მაგალითად კოსტავა მოჰყავს, რომელიც სამუშაოდ იქ გაამწესეს, რომ არაფერი ვთქვათ ჟიული შარტა-

[1] *საველე დღიური 2020: 5.*

ვაზე, რომელიც ხელს უშლიდა მაშინდელი ცენტრალური რაიკომის ბიუროკრატიას. იგივე ვრცელდებოდა ხელოვან ადამიანებზეც, რომლებიც სისტემისათვის სანდოდ არ მიიჩნეოდნენ. ერთი მხრივ დასჯილები, მეორე მხრივ ტყვეები კიდევ უფრო ამძაფრებდა ქალაქის აღქმას და თავისებურ კონტრასტს ქმნიდა.

ლაშასთვის რუსთაველობის სიამაყეს თან სდევდა სარკაზმი, რომელიც რუსთავის სრულფასოვნების გაგებას უკავშირდებოდა.

> „იყო დაცინვის მთელი კასკადი რუსთაველობის გამო. რუსთავი რა ქალაქია ერთი ეკლესია არ არისო! ქუთაისში რომ ჩავდიოდი, ქუთაისლები დამცინოდნენ. თბილისშიც დამცინოდნენ“. (ლაშა 2020)

ეს ბუნებრივია მოქმედებდა მის წარმოდგენაზე თუ როგორ ქალაქსა და ქვეყანაში უნდოდა ცხოვრება. იგი 1987 წლიდან უკვე აქტიურად ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში ჯერ გაწევრიანდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში, შემდეგ ილია მართალის საზოგადოების ნაწილი გახდა. ამასობაში „გარეჯის ამბებთან“ დაკავშირებით ვითარება იძაბება და იქაც აქტიურად იყო ჩართული. სწორედ გარეჯში ყოფნის დროს მისი სურვილი და იდეა რუსთავში ჰქონოდათ ტაძარი, პროექტის სახით ჩამოყალიბდა. ლაშა, თანამოაზრეებთან ერთად, ირაკლი მახარაძესთან და ალეკო გაფრინდაშვილთან ერთად ჩადის თბილისში, პატრიარქთან

შესახვედრად. ირაკლი მახარაძე, რომელიც დღეს მეუფე დავით ალავერდელის სახელს ატარებს, აკვალიანებდა მას თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ საპატრიარქოში. ის გაფრთხილებული იყო, რომ პატრიარქთან საუბარი სასურველი იქნებოდა რეზიდენციის გარეთ. ამისათვის ისინი ილია მეორეს სიონის შესასვლელში ელოდებოდნენ და თავიანთი გულისნადები გაუზიარეს, უთხრეს, რომ რუსთაველი მორწმუნეები იყვნენ და ტაძრის მშენებლობაზე ფიქრობენ. პატრიარქმა უთხრა, რომ სასწრაფოდ წასულიყვნენ რუსთავში და 20 რუსთაველი მორწმუნის ხელმოწერა ჩამოეტანათ.

> „თურმე კანონით საბჭოთა კავშირში 20 მორწმუნის ხელმოწერა თუ იყო, კონსტიტუციური უფლება ჰქონდათ, რომ სამლოცველოს აშენება მოეთხოვათ. ოღონდ ხვალაც აი ასე შემოდითო. მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ჩამოვიტანეთ ეს ხელმოწერები და გადავეცით. (ლაშა 2020).

დაახლოებით სამი თვის შემდეგ ლაშა ხვდება რუსთავის მუზეუმის თანამშრომელს, მანანას, რომელიც უზიარებს აღფრთოვანებას, რომ ეკლესიის მშენებლობა იწყება რუსთავში, რომ ამისათვის მუზეუმს დაევალა ხელმოწერების მოგროვება. როცა ლაშა ჩაეკითხა, როდის და როგორ მოხდა ყველაფერი აღმოჩნდა, რომ მუზეუმის დირექტორს, ქალაქკომმა დაავალა ხელმოწერების მოგროვება, რომლის ეგიდითაც უნდა მომხდარიყო „ისტორიულ ნანგრევებზე“ ახალი ტაძრის მშენებლობა.

„უნდა გენახათ, რა ხალხი აწერდა ხელს. მთელი კომ-
კავშირი აშენებდა იმ ეკლესიას და ძალიანაც გვიხა-
როდა, რომ პავლე სავლედ გადაიქცა. რას იზამთ.
ეგრეა“. (ლაშა 2020).

აქ შეიძლება ითქვას, რომ, ის თუ როგორ გვიყვებიან აღნიშნულ ისტორიას კარპე მუმლაძე და ლაშა ხეცურიანი არსობრივად განსხვავებულ მოცემულობას ქმნის, როგორც ფორმით, ისე აზრობრივად, თუმცა ტაძრის მნიშვნელობასა და შეფასებაში ქალაქისათვის მათი დამოკიდებულება რამდენადმე ემთხვევა, რაც თანამედროვე მოცემულობას პასუხობს. ორივე ამბის გადაკვეთის წერტილი მუზეუმია. მუზეუმი აღმოჩნდა მთავარი ინსტრუმენტი, რომელსაც უნდა ენახა დასაბუთება და ტაძრის მშენებლობა ისტორიული ქალაქისათვის დაეკავშირებინა. ამგვარად კომუნისტურმა სისტემამ ერთგვარად გააგრძელა ქალაქის ისტორიული ნარატივების წერა და მათი ინტერპრეტაცია, რითაც მოახდინა საკუთარი სოციალური კაპიტალის ტრანსფერი პოსტსოციალისტურ პერიოდში. შესაბამისად ლოგიკურია, რომ ამ ისტორიის თხრობას საბჭოთა მწერალი იღებს საკუთარ თავზე. ხოლო რუსთავის ანტისაბჭოთა საზოგადოების ნაწილის ინიციატივა და მცდელობა აშენებულ ქალაქში ქრისტიანული ეკლესია ოფიციალური ისტორიის მიღმა უნდა დარჩენილიყო.

რაც შეეხება რუსთავის სიონს, მას კიდევ უფრო, გამორჩეული ადგილი უჭირავს ქალაქის ურბანულ სივრცეში,

როგორც ვიზუალური თვალსაზრისით, ისე შინაარსითა და ფორმებით. რუსთავის სიონი ახალი რუსთავის ცენტრალურ ადგილას მდებარეობს და მრევლის სიმრავლით გამოირჩევა. დღესასწაულებზე, ტაძარი მლოცველებს ვერ იტევს და მათი დიდი ნაწილი ეზოდან უერთდება საზეიმო წირვა-ლოცვას.

ჟურნალ „ამბიონში“ ვკითხულობთ:

> „როდესაც უწმიდესმა ილია II-მ რუსთავის სიონი მოიხილა, ქადაგებაში 4-ჯერ წარმოთქვა: „მე ვნახე საოცრება“.[1]

აღნიშნული დამოკიდებულება, რუსთავის სიონის მშენებლობის ტექნოლოგიასა და მისი ისტორიულობის სიმბოლურობის წარმოჩენას უკავშირდება. ტაძარი აშენდა ტრადიციული საშუალებების, მხოლოდ ქვისა და კირის გამოყენებით, ბეტონისა და არმატურის გარეშე. მშენებლობისათვის სპეციალურად აღადგინეს ტაძრების მშენებლობის ისტორიული გამოცდილება. სამშენებლო მასალად იყენებდნენ კვერცხსაც, რომელის ნაწილს ქალაქის მოსახლეობა სწირავდა.[2] რუსთავის სიონის მშენებლობასთან მთავარი არქიტექტორის, მამა ბესარიონის თქმით:

---

[1] *რუსთავის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი „ამბიონი“ 22.04.2013 http://www.ambioni.ge/rustavis-yovladwmida-rvtismsoblis-mizinebis-saxelobis-tazari.*

[2] *საველე დღიური 2020: 12.*

„ძალზე საშური საქმე გახლდათ, რომ დროში არ დაკარგულიყო და აღდგენილიყო ტაძართმშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია“.[1]

სიონის ტაძრის მშენებლობა თითქმის 10 წელი გრძელდებოდა, რადგან არქიტექტორებსა და მშენებლებს უხდებოდათ ძველი სამშენებლო მასალისა და მათი მომზადების წესების შესწავლა. გარდა სამშენებლო მასალისა და ტექნოლოგიისა ტაძრის მშენებლობაში გამოყენებულია ყველა ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის ორნამენტული ფრაგმენტი და რელიეფები. შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის სიონი ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრების ეკლექტურ ერთიანობას წარმოადგენს, მასში გაერთიანებულია ყველა ცნობილი საეკლესიო ძეგლის ორნამენტული სტილი თუ სივრცის განაწილების ფორმა.[2] ამგვარად რუსთავის სიონმა გააერთიანა ტრადიციული საეკლესიო არქიტექტურის ყველა გამორჩეული მიგნება და ისტორიის განხორციელების მაგალითად იქცა ისტორიის მაძიებელ ქალაქში.

ამდენად მართლმადიდებლური ტაძრები რუსთავში ერთი მხრივ აგრძელებს კომუნისტების ნარატივს ისტო-

---

[1] *რუსთავის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი „ამბიონი“ 22.04.2013 http://www.ambioni.ge/rustavis-yovladwmida-rvtismsoblis-mizinebis-saxelobis-tazari.*

[2] *სიონის ტაძრის მშენებლობამ 2012 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიო არქიტექტურის გამოფენაზე გრან-პრი დაიმსახურა.*

რიული ქალაქის აღორძინების შესახებ, მეორე მხრივ ქმნის ახალ რეალობას, სადაც რეალობის მთავარ ინტერპრეტატორად გვევლინება. ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც პოსტსაბჭოთა რუსთავის ურბანული სივრცის მნიშვნელოვან ნაწილად იქცევა ესაა მართლმადიდებლური ეკლესია.

რუსთავის ეზოს სამლოცველოების სამოქალაქო განზომილება

ყოფილ სოციალისტურ ქალაქში, ეზოს სამლოცველოების მოწყობა შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობის პარალელური პროცესია, რომელიც სამეზობლოს ინიციატივითა და ფინანსებით ხორციელდება. ეზოს სამლოცველოების მოწყობამ 2000-იანი წლებიდან მასიური ხასიათი მიიღო და დღემდე გრძელდება. ისინი ერთი მეორესაგან განსხვავდებიან, როგორც ფორმითა და სახელწოდებით, ისე, დანიშნულებითაც, რომელსაც მათ მიაწერენ. მთავარი კითხვა ამ სამლოცველოებთან დაკავშირებით სწორედ, მათ დანიშნულებასა და მიზნობრიობის ახსნას უკავშირდება, რატომ აწყობს სამეზობლო სამლოცველოს ეზოების ტერიტორიაზე? რატომ და როგორ ახდენს სამეზობლო ფინანსური რესურსების მობილიზებას მათ მოსაწყობად? ეზოს სამლოცველოების მოწყობით ხდება თუ არა საჯარო სივრცეების საკრალიზაცია თუ ამ ფორმით ვხვდებით სამლოცველო ადგილების ერთგვარ დესაკრალიზაცია/პროფანაციას? სივრცის განაწილებაზე მსჯელობისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ემილ დიურკჰეიმის კლასიკად ქცეული ოპოზიცია საკრალური და პროფანული, რომელიც თამარ დრაგაძემ საბჭოთა ეპოქაში რელიგიის დომესტიკაციის კონტექსტში განაზოგადა, როგორც რელიგიის საჯარო სივრციდან გასვლის ფორმა. მებრძოლი ათეიზმის პირობებში რელიგიამ გარე სივრციდან პირად, საშინაო სივრცეში გადაინაცვლა. ამას მოჰყვა საკრალური ველის გაფართოება, რაც საბჭოთა რეალობის თავისებურ

პარადოქსადაც შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება, პოსტ-სოციალისტურ პერიოდში რელიგიურობით გატაცებას თ. დრაგაძე მას კომუნისტური კოლონიალური სტრუქტურე-ბისგან განთავისუფლების მცდელობას უკავშირებს, ხოლო რელიგიურ პრაქტიკაზე არსებით გავლენას, მისი აზრით, ეროვნულობის გაგება ახდენს.[1]

წიგნის ამ თავში წარმოდგენილი მოსაზრებები საველე ეთნოგრაფიულ კვლევას ეფუძნება, რომელიც 2020 წლის შემოდგომაზე ქალაქ რუსთავში ჩატარდა. ასევე დასკვნები ეფუძნება ჩემს მიერ ქალაქში, წლების მანძილზე მოგროვილ სხვადასხვა სახის მასალას. მოცემული კვლევისათვის ჩაღ-რმავებული ინტერვიუ ჩაიწერა 12 მთხრობელთან. შერჩევის კრიტერიუმი კონკრეტულ სამლოცველოსთან მათი კავშირი იყო, იქნებოდა ეს უშუალო მონაწილეობის მიღება სამლო-ცველოს მოწყობაში თუ მასთან ახლოს ცხოვრების შესაბა-მისი გამოცდილება. ინტერვიუებში გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები რაც პოსტსოციალისტური სივრცის მოწყობის გაგებაში გვეხმარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ასევე ეზოს სამლოცველოებზე დაკვირვების მეთოდით, შემექმნა შთაბეჭდილებები, რომ-ლებიც არსებითად პასუხობენ სამეზობლო თემებში სამლო-ცველოების ირგვლივ ჩამოყალიბებულ ნარატივებს. ეზოს სამლოცველოების მოწყობის ამბები, რომლებიც ნარატივე-ბის სახით ყალიბდება, პირად საუბრებში, საზოგადოებრივი აზრის სახით არტიკულირდა. რაც შეეხება ქალაქის მერიასა

---

[1] *Dragadze T., „Domestication of Religion under Soviet Communism“ in Hann, C.M. (ed) Socialism: Ideals, Ideologies, and Local Practice London, Routledge, p.189-198,1993.*

და კონკრეტულად კი არქიტექტურის სამსახურს, რომელიც ქალაქის იერსახესა და საჯარო სივრცის ორგანიზებაზეა პასუხისმგებელი, აღნიშნული პროცესი მათ მიღმა და რიგ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მათ წინააღმდეგაც იყო მიმართული. ამ საკითხებზე საუბრისას ბუნებრივია მათი აზრიც იქნება წარმოდგენილი, რაც ამ ფენომენის მთლიანობითად გააზრებაში დაგვეხმარება.

უნდა აღინიშნოს რომ ეზოს სამლოცველოების შესახებ თითქმის არ გვხვდება ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში. წარმოდგენილი კვლევა იქნება მოკრძალებული მცდელობა, აღნიშნული საკითხი, პოსტსაბჭოთა სივრცეების რელიგიური თვალსაზრისით ორგანიზების კუთხით იქნას განხილული. ვფიქრობ, ეზოს სამლოცველოების კვლევამ გარკვეული წვლილი შეიძლება შეიტანოს, პოსტსოციალისტურ საჯარო სივრცეებზე არსებულ დისკუსიაში. ამ საკითხებზე საგულისხმო სამეცნიერო მოსაზრებებს ავითარებენ, სილვია სერანო, თამარა დრაგაძე და სხვა უცხოელი ავტორები, ასევე ქართველი მკვლევრები: ქეთევან ხუციშვილი, სოფიო ზვიადაძე, ქეთევან გურჩიანი და სხვები. მოცემულ თავში საუბარი იქნება სამეზობლოს ორგანიზების ფორმებზე, რომელიც ეზოს სამლოცველოების მოწყობას გულისხმობს და შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო მონაწილეობისა და აქტივიზმის ფორმებთან თავისებურ მსგავსებას ამჟღავნებს, რაც თვისებრივად ახალი და განსაკუთრებული მოვლენა შეიძლება იყოს რელიგიურობის კონტექსტში. ეზოს სამლოცველო, მისი გახსნის შემდგომ, როდესაც მას მართლმადიდებელი მოძღვარი აკურთხებს, რელიგიური პრაქტიკისგან თითქმის დაცლი-

ლია. ამდენად საინტერესოა თუ შეიძლება ვისაუბროთ მის დესაკრალიზაცია/პროფანაციაზე? აქვე, საუბარი იქნება ეზოს სამლოცველოს ვიზუალურ მხარეზე, რაც სივრცის მარკირების ფორმასთან ერთად საზოგადოებისათვის განსხვავებული მნიშვნელობების ჩამოყალიბებას შეიძლება უკავშირდებოდეს. უმრავლესობის რელიგიის საჯარო სივრცეში ამგვარი სახით გამოჩენით იკვეთება ერთგვარი იერარქია სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის, რაც ნაგებობების ფორმითა და მათი მდებარეობით განისაზღვრება.[1] ამავე დროს, ეზოს სამლოცველოების მოწყობის თავისებურებები და ერთგვარი ავტონომიურობა ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიისგან მას კიდევ ახალ და განსხვავებულ ფუნქციებს ანიჭებს. ეს ფუნქციები შეიძლება იყოს: ეზოს მეტად გამწვანება, რეკრეაცია, სისუფთავის დაცვა, ეზოს უსაფრთხო ტერიტორიად გადაქცევა, კრიმინალის განეიტრალება, ბავშვებისათვის დაცული ადგილის შექმნა, მოხუცებისათვის თავშესაქცევის გაჩენა და რაც მთავარია, საერთო ზრუნვის ობიექტის ქონა მეზობლებისათვის. ასევე, ეზოს სამლოცველოები, ცალკეული ადამიანისათვის თავის გამოჩენის, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებადაც იქცევა. ამის მაგალითად, შეიძლება გამოდგეს შემთხვევები, როცა სამლოცველოს მადლიერების ნიშნად, გარდაცვლილის პატივსაცემად ან განსაკუთრებული მოლოდინისათვის აწყობენ. ამ უკანასკნელ

---

[1] *Verkaaik O., ed., Religious Architecture: Anthropological Perspectives. Amsterdam: Amsterdam University Press; Kim Knott, Volkhard & Brigit Meyer, Iconic Religion in Urban Space, Material Religion, 12:2, 123-136, DOI: 10.1080/17432200.2016.1172759. 2013.*

შემთხვევასთან საქმე გვაქვს, ძველი რუსთავის ერთ-ერთი ქუჩის გადაკვეთაზე, სადაც პაპამ სამლოცველოს მოწყობა შვილიშვილის გამოჯანმრთელების იმედად გადაწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სამლოცველოს მოწყობის კონტექსტი და პრეისტორია განსხვავებულია, მათი ფუნქციონირება და მათ მიმართ მოლოდინები მეტნაკლებად მსგავსია. ამდენად რუსთავში ეზოს სამლოცველოებისათვის მიწერილი მახასიათებლების განხილვა ქალაქის ურბანულ კონტექსტში მოხდება, სადაც ცალკეული სამეზობლო მოქალაქეობრივი მონაწილეობითა და აქტიურობით თავისებურად პასუხობს „ახალი დროის" გამოწვევებსა თუ მოთხოვნებს. აღნიშნული დაკავშირებული უნდა იყოს ქალაქის რაობასა და იდენტობის პოსტსოციალისტურ გააზრებასთანაც. აქ იგულისხმება ქალაქის სოციალისტური გამოცდილება და მისი ინტერნაციონალური სახის ფორმირება.[1] მიუხედავად იმის, რომ რუსთავის ისტორიული მნიშვნელობა ეჭვს არასდროს იწვევდა საზოგადოებაში, პოსტსოციალისტურ პერიოდში ამ თვალსაზრისითაც გაჩნდა გარკვეული ვაკუუმი.[2] იქიდან გამომდინარე, რომ რუსთავი,

---

[1] *ქამუშაძე თ., რუსთავის სოციალისტური რეპრეზენტაცია და ნაციონალური ნარატივები, კრებულში, „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები" მასალები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2014;*
ქამუშაძე, თ., ორმოცი ძმის ქალაქი იდენტობის ძიებაში, ანთროპოლოგიური კვლევანი, თბილისი, 2017.

[2] *ჭილაშვილი ლ., ქალაქი რუსთავი. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია / თბილისის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი: 1958. ლომთათიძე გ., ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, („ვახტანგ გორგასალი უჯარმაში" და „რუსთავის შავი ორშაბათი"), ჟ. „მნათობი", №1, 1975. გვ. 152-155.*

საქართველოში საბჭოთა სისტემის პროპაგანდის მთავარ წყაროს წარმოადგენდა, ბუნებრივია რელიგიურობისათვის საჯარო სივრცეში ადგილი პრაქტიკულად არ რჩებოდა. რუსთავის მთავარ ნაკლად, სწორედ ეკლესიის არქონა მიიჩნეოდა, რაც გვიან საბჭოთა პერიოდში ეროვნული მოძრაობების ერთგვარ მაორგანიზებლად იქცა.

საგულისხმო საკითხია თუ როგორ ხდება მსგავსი ადგილების სახელდება თავად მოსახლეობის მხრიდან. როდესაც ისინი ზოგადად საუბრობენ სხვა, იმავე ტიპის სალოცავებზე, მთხრობლები მათ ძირითადად იხსენიებენ, როგორც ეზოს სამლოცველოებს. შესაბამისად, სწორედ ამ სახელწოდებით მოვიხსენიებ ადგილს, რომელიც შემკულია ისეთი რელიგიური ნიშნებით, როგორიცაა, ჯვარი, ხატი, სასანთლე და ტაძრის მაკეტი. სამლოცველო წარმოადგენს მარკირებულ ადგილს ეზოში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გამოყოფილია სხვადასხვა ფორმის ღობით. რუსთაველები, კონკრეტულად მათი ეზოს სამლოცველოზე საუბრისას, სახელწოდებას რამდენადმე აზუსტებენ, მაგალითად, „უფლის სამლოცველო“, „ღვთისმშობლის წმინდა კედელი“, „უბნის სამლოცველი“, „ეკლესია“, „სამლოცველო კუთხე“, „ეზოს სამლოცველო“, „წმინდა გიორგის ეკლესია“, „წმინდა კუთხე“, „წმინდა ნიში“ და ა.შ. ცალკეული მათგანი ეზოს სამლოცველოს რომელიმე მახასიათებელ ნიშანს ეყრდნობა, იქნება ეს ფორმა, თუ რომელიმე წმინდანისადმი მიკუთვნება, რაც შეიძლება კონკრეტულ ადგილას რომელიმე ხატს ან მთლიანობაში სამლოცველოს შექმნის ისტორიას უკავშირდებოდეს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანი ეკლესიის სახელითაც მოიხსენიება, რაც იმეორებს ოფიცი-

ალური მართლმადიდებლური ტაძრის დასახელებას. ასევე საგულისხმო ფაქტია, რომ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, როცა ეზოს სამლოცველო, სრულფასოვან ტაძრად გადაკეთდა, სადაც მართლმადიდებლური წესით წირვა-ლოცვა აღევლინება. თუმცა, მსგავსი შემთხვევა უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. ამგვარად ეზოს სამლოცველოების მაგალითზე შევეცდები ვაჩვენო, ერთი მხრივ, მათი კავშირი მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მეორე მხრივ მათი ავტონომიური ბუნება, რასაც სამეზობლოს მონაწილეობა და საერთო სარგებლობის სივრცის გამოყენება განაპირობებს.

ეზოს სამლოცველოების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი კონსესუსია, იდეის უპირობო მხარდაჭერა და მის განხორციელებაში სამეზობლოს მაქსიმალური ჩართულობა. ყველა მთხრობელი, გამონაკლისის გარეშე, აღნიშნავს, რომ სამეზობლოში ყველა თანახმა იყო მხარი დაეჭირა ინიციატივისათვის მოეწყოთ სამლოცველო და მეტიც, ყველა მათგანი იღებდა გარკვეული ფორმით მონაწილეობას. თორმეტი შემთხვევიდან არ ყოფილა, ფაქტი, რომ ვინმეს გაეპროტესტებინოს გადაწყვეტილება. მთხრობლების მხრიდან განსაკუთრებულად ესმევა ხაზი, მეზობლების სურვილსა და მცდელობას მონაწილეობა მიეღოთ სამლოცველოს მოწყობაში. კითხვაზე ვინ იღებდა მონაწილეობას, პასუხს ვიღებთ:

> „აშენებაში ყველა მონაწილეობდა, ძირითადად ახალგაზრდები, ყველა იყო ჩართული. ზაზა დაუძახებდა ყოველ დილით, არავინ უარს არ ამბობდა. თანხები

ეზომ შეკრიბა მაცხოვრებლებმა და ძველგაზრდები, ვისაც შეეძლო ყველა მონაწილეობდა“ (მზია 2020)

„...ზოგი მშენებელი, ზოგი არქიტექტორი. ზოგს ცემენტის მოზელა შეეძლო, ზოგი ხატმწერი იყო და ხატები დაწერა და შეწირა იქ. ზოგს მასალა ქონდა, რომელსაც უანგაროდ გაიღებდა და ასე რა... ერთობლივი ძალებით აშენდა სამლოცველო“ (ანზორი 2020).

მიუხედავად, იმისა, რომ ცალკეულ სამლოცველოს მოწყობაში, ხშირად კონკრეტული ადამიანები იღებენ მეტწილად ფინანსურ პასუხისმგებლობას, ჩართულობა სამეზობლოს მხრიდან მაინც განუხრელად მაღალი იყო. ყველა ცდილობდა საკუთარი წვლილი შეეტანა და მონაწილეობა მიეღო საერთო საქმეში. როგორც ქ-ნ მზია აღნიშნავს, ზაზამ, რომელიც გამოვიდა ინიციატივით ეზოს პატარა სამლოცველო აეშენებინათ, „აიყოლია“ ახალგაზრდები და როგორც თავად აღნიშნავს, ყველა, მნიშვნელობა არ ჰქონდა ეროვნებას, ერთად მუშაობდნენ, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ როდესაც განსხვავებულ ეთნიკურ წარმომავლობას ესმევა ხაზი, უცილობლად იგულისხმება კონფესიური სხვაობაც. ამის მიუხედავად ეს ფაქტორი არ აღმოჩნდა ბარიერი.

თიკო იხსენებს სამლოცველოს მშენებლობის მომენტს, როცა იგი ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა. რაც მას ყველაზე კარგად დაამახსოვრდა სამლოცველოსთან დაკავშირებით, იყო ის, რომ ყველას უნდოდა რაღაცის გაკეთება,

„ძალიან ბევრი ადამიანი იღებდა მონაწილეობას ყოველგვარი დავალების გარეშე. თავისი ინიციატივით, თითქოს ვალდებულები იყვნენ“ (თიკო 2020).

სამეზობლოს წევრთა მონაწილეობა და ჩართულობა ეზოების სამლოცველოების მოწყობის საქმეში ქმნის პოსტსაბჭოთა რუსთავისათვის თვისებრივად განსხვავებულ რეალობას, რომლის გააზრებაც მხოლოდ კონტექსტუალიზებით არის შესაძლებელი. თვითორგანიზება, რესურსების მობილიზება, შეთანხმებულად მოქმედება საჯარო, საერთო სივრცის მოწყობაზე ზრუნვა საეკლესიო პირებისა და სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობის გარეშე, ახალი მოვლენაა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში საკრალურის განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს კერძო ინიციატივებთან, რომლებიც თემში მსჯელობის საგნად იქცევა და შეთანხმებულად მოქმედების დაგეგმვას უწყობს ხელს, მათ შორის რესურსების მობილიზების კუთხით. ღვთისმშობლის წმინდა კედლის მოწყობასთან დაკავშირებით, ლიკა საუბრობს, რომ იდეა მოსახლეობიდან წამოვიდა, თავი კი უჩამ მოაბა. ამ საქმეში, როგორც იგი აღნიშნავს ყველა მეზობელი მხარში ამოუდგა უჩას, ვისაც როგორ შეეძლო, იმით ცდილობდა მონაწილეობას. ამდენად ეზოს სამლოცველოები თანხმობისა და თანამშრომლობის შედეგია სამეზობლო თემის წევრებს შორის. მაკას თქმით კი, აბსოლუტურად ყველა მეზობელი თანახმა იყო, რომ არა სრული თანხმობა, ამას ისინი ვერ შეძლებდნენ.

ყველა სამლოცველოსთვის საერთოა თანხმობა და ერთობლივი მოქმედება საზიარო სივრცის მოსაწყობად. ქ-ნ მზია კითხვაზე თუ რისთვისაა ეს სამლოცველო პასუხობს, რომ ჩვენი ერის სულიერი ამაღლებისთვის, იქვე დასძენს, რომ ეს ადრე ნაკლებად იყო. ამ აზრს აგრძელებს იმის გახსენებით, რომ აზერბაიჯანელი ბავშვებიც ანთებდნენ სანთლებს თავიდან და მერე „მიხვდნენ“ და აღარ იქცეოდნენ ასე. ეს კონკრეტული მომენტი საინტერესოდ პასუხობს ერთიანობის სულისკვეთებას, რომელიც საერთო სამლოცველოს მოწყობას უკავშირდება, სადაც რელიგიური ზღვარი თითქოს წაიშალა თუნდაც დროებით მაინც. ეზოს სამლოცველოების ეროვნულობასთან კავშირს პრაქტიკულად ყველა მთხრობელი პირდაპირი თუ ირიბი ფორმით ადასტურებს.

სამოქალაქო მოძრაობისა და მონაწილეობის უფრო მკაფიო გამოვლინებებს სამი მთხრობლის ნარატივში ვხვდებით, სადაც ადგილი აქვს, ფიზიკური სივრცისათვის ბრძოლის მაგალითებს. მაკა გვიყვება, რომ ადგილი, სადაც სამლოცველო მოაწყვეს, შეიძლებოდა სახელმწიფოს გაესხვისებინა და უცხო ინვესტორი მოსულიყო, რაც მათ ფიზიკურად საგრძნობლად შეავიწროებდა.

> „იდეა იყო ის, რომ კერძო მესაკუთრე უნდა მოსულიყო ტერიტორიაზე, და რომ რაიმე უსახური შენობა არ ჩაედგათ, პატარა მიწის ნაკვეთი, სადაც საყვავილე მქონდა, უბრალოდ არ მინდოდა, რომ ასე დაკარგულიყო და ეს გზისპირა ადგილი, სადაც გამწვანების ზოლი იყო, მინდოდა რაღაცა თავშეყრის ადგილად ქცეულიყო. არ გამხდარიყო ვიღაცის საჯიჯგნი მიწა

> და ასე ვთქვათ ოფიციალურად დაკანონებული, წმინდა ადგილად დარჩენილიყო" (მაკა 2020).

ნათია გვიყვება ისტორიას, თუ როგორ მოხერხდა სამლოცველოს აშენება მათ ეზოში, სადაც კონკრეტული ადგილი უბრალოდ ნაგვით იყო დაფარული და ერთ-ერთ მაცხოვრებელს არაოფიციალურად ჰქონდა მითვისებული. იგი დაწვრილებით ჰყვება მეზობლების ერთობლივი ძალისხმევის შესახებ, რომლებმაც არასამთარობო ორგანიზაციების ჩართვით, ადგილი ნაგვისგან გაათავისუფლეს და შემდგომ მეზობელი დაარწმუნეს, რომ ამ ადგილს კერძო საკუთრებაში ვერ დაიმტკიცებდა და ჯობდა ამაში თავადაც ჩართულიყო. ამის შემდგომ მოხდა სამლოცველოს მოწყობა ეზოს ტერიტორიაზე. მოწყობაში ყველა ასაკისა და ინტერესის მქონე პირებმა მიიღეს მონაწილეობა. აქვე, ნათია გვიყვება მეზობლის შესახებ, რომელიც 70 წელს გადასცილდა და რომ მის ძირითად საქმიანობად სამლოცველოს მცენარეებზე ზრუნვა და ტერიტორიის გალამაზება იქცა, მაგალითად მან, თეთრი ქვებით გააფორმა სამლოცველოს ეზო, სადაც ახალ ნერგებს რგავს პერიოდულად.

გაგა საუბრობს იმაზე, რომ რუსთავში უბნის სამლოცველოების ძირითადი დატვირთვა ადგილის დაკავებაა, რადგან კორპუსების მიმდებარე ტერიტორიები იყიდება და რომ კორპუსის გვერდით კიდევ კორპუსი არ ააშენონ მოსახლეობა ასეთ გზას ირჩევს, აშენებს სამლოცველოს ან ეკლესიას, შეიძლება ჯვარიც დადგას. ამ შემთხვევაში ეს ადგილი ხელშეუხებელი ხდება, ვერავინ გაბედავს მათ დანგრევას.

ნოდარი ბავშვობის მოგონებიდან, რომელიც 2000-იან წლებს ემთხვევა, იხსენებს როგორი რუხი ფერის იყო რუსთავი და ერთადერთი ნათელი წერტილი, გამწვანებული სამლოცველო იყო მისთვის:

> „ყოველთვის ინტერესს იწვევდა ის გამწვანება და იმ გამწვანებაში ჩადგმული პატარა სალოცავი, რომელიც არის კორპუსის გვერდით მიდგმული. იქვე იყო ხოლმე წყლის ორი შადრევანი, ერთი ბავშვებისთვის და ერთი მოზრდილებისთვის. ხშირად მივდიოდი, რომ იქ წყალი დამელია“ (ნოდარი 2020).

ნოდარის მიერ ნახსენები მწვანე სამლოცველო ერთ-ერთი პირველი იყო ქალაქში და თავისებურ ნიმუშადაც იქცა სხვებისათვის. ლალი იხსენებს, თუ როგორ მოდიოდნენ მათთან და სთხოვდნენ გამოცდილება გაეზიარებინათ, მისთვის საამაყოა, რომ სწორედ მათი სამლოცველო იყო ერთ-ერთი პირველი რუსთავში და ეზოს მოწყობის თავისებურ მოდელად იქცა, მით უფრო, რომ მათი სამლოცველო განსაკუთრებით გამოირჩევა სიმწვანითა და მცენარეთა მრავალფეროვნებით.

ფაქტია, რომ სამლოცველოების მოწყობის საქმეში საგულისხმო ადგილი უჭირავს მიბაძვას. მიბაძვა ხდება საფუძველი იმის, რომ სამლოცველოები ერთმანეთთან ბმაში განვიხილოთ. რეალურად ესაა საზოგადოებაში გაზიარებული გამოცდილება და თავისებურ მარკირების ფორმას წარმოადგენს. რუსთავის მოქალაქეთა თხრობაში, დიდი ადგილი უჭირავს ფაქტს, რომ სხვებმა მათ მსგავსად ან მათ

სხვების მსგავსად მოაწყვეს ეზოს სამლოცველო. მიბაძვა, არის ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამოკვეთილი მომენტი, რომელიც პრაქტიკულად ყველა მთხრობელის ნარატივში სხვადასხვა ფორმით ჩნდება.

> „პოპულარული იყო რა... ერთმა გააკეთა და მერე ყველა ეზომ გააკეთა“ (თიკო 2020).

რუსთავში ეზოს სამლოცველოები, რომ სამოქალაქო მოძრაობისა და თვითორგანიზების თავისებური პროცესია, ის ფაქტიც მიუთითებს თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საჯარო სივრცის განკარგვასთან. კითხვაზე აიღეს თუ არა ნებართვა ეზოს სამლოცველოს მოსაწყობად, სხვადასხვა პასუხი მივიღეთ, ზოგს არ ახსოვდა ან არ იცოდა, ზოგმა მოძღვარი და მართლმადიდებელი ეკლესია იგულისხმა, ვისგანაც უნდა მიეღოთ თანხმობა, ზოგს კი ზუსტად არ ახსოვდა ვისგან, მაგრამ იცოდა, რომ ჰქონდათ მსგავსი თანხმობა. ბუნებრივია, იგივე კითხვით ქალაქის არქიტექტურის სამსახურსაც მივმართეთ, სადაც გაირკვა, რომ არც ერთი სამლოცველოს მოწყობაზე არ არის შესაბამისი ნებართვა მათი სამსახურიდან გაცემული. ასევე გაირკვა, რომ მათ სამსახურს არც საკანონმდებლო და არც სხვა სახის ბერკეტი არ გააჩნია დაარეგულიროს ქალაქში მსგავსი სამშენებლო პროცესები. ასევე არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მათთვის ვინმეს ამ საკითხში გასარკვევად მიემართოს. ბუნებრივია მათაც დავუსვით კითხვა, რას ფიქრობენ ამ ტიპის სამლოცველოების მოწყობასა და მათ ფუნქციაზე. პირად საუბარში მათ ორი მომენტი გამოყვეს:

ესაა რელიგიურობის დემონსტრირება და მეორე, ადგილის მოკავება, რაც მიწის დაპატრონებისა და საერთო საკუთრებაში ქონის ყველაზე ეფექტურ და ხელშეუხებელ ფორმად იქცა.

ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რაც სამლოცველოს მიეწერება ესაა ბავშვების სოციალიზაცია და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ნარატივებში, რომელიც ყალიბდება ეზოს სამლოცველოების გარშემო, განსაკუთრებული ადგილი მომავალ თაობას და მასზე ზრუნვას ეთმობა. მაკასთვის ეზოს ნაწილის დათმობა სამლოცველოსათვის გულისხმობს უსაფრთხო და დაცული ადგილის შექმნას. ის ბედნიერია, რომ მისი პატარა გოგონა, რომელიც ვერ დაჰყავს ტაძარში, აქ ეჩვევა მსგავს გარემოს, პირჯვარს იწერს. ასევე აღნიშნავს, რომ ხშირად ბავშვები, თავისი სურვილით, სარეველა ბალახისგან, ასუფთავებენ სამლოცველოს. ბავშვებზე ზრუნვისა და მათთვის კარგი მაგალითის მიცემის მოტივით მოაწყო ლაშამ სამლოცველო ძველი რუსთავის ერთ-ერთ ეზოში. მან მეზობლებთან ერთად დიდი რკინის ჯვარი დაამონტაჟა ეზოს ცენტრალურ ნაწილში. მეორე მეზობელმა კი სასანთლე დადგა. ახლა კი მის შემოღობვას განიხილავენ სამეზობლოში, რაც ფინანსურ საკითხს უკავშირდება. მათთან საუბრისას რამდენჯერმე მიმითითეს იქ მოთამაშე ბავშვებზე, რომელთათვისაც მოეწყო ეს სამლოცველო. თუმცა, ბავშვები, ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში საერთოდ არ იმჩნევდნენ სამლოცველოს, ჩვეულებისამებრ თამაშობდნენ ზოგი ბურთით, ზოგი ბადმინტონით და ზოგიც მეზობლის მკვახე ალუჩას შეექცეოდა. ლაშამ და მისმა მეგობრებმა აღნიშნეს, რომ ძალიან

ადარდებთ, მომავალი თაობა და მათი უსაფრთხოება. მათი თქმით, ეს ჯვარი ამ ადგილს უფრო დაცულს ხდის და უფროსების ქცევა ჯვართან მიმართებით, ბავშვებისთვის თავისებური მაგალითი და ერთგვარი სოციალიზაციის ფორმად იქცევა (ლაშა 2020).

ანზორი სალოცავების მოწყობასთან დაკავშირებით იხსენებს, ერთი მისი მეგობრის ისტორიას, რომელიც ისეთ უბანში ცხოვრობდა, სადაც კრიმინალის დონე ძალიან მაღალი იყო და სწორედ მის წინააღმდეგ გადაწყვიტა სალოცავის მოწყობა, რომელიც ერთი მხრივ მორალურ პასუხისმგებლობას გაზრდიდა მოქალაქეებში მისი მაღალი ხილვადობის გამო და მეორე მხრივ, განათებული სამლოცველო თავისებურ ფიზიკურ დაბრკოლებას შექმნიდა ქუჩაში კრიმინალური ელემენტისათვის. მას მიაჩნია, რომ სალოცავის/სიწმინდის ვიზუალური გამომსახველობა თავისებურ გავლენას ახდენს კრიმინალის პრევენციაზე (ანზორი 2020).

სილვია სერანოს შეფასებით, ეროვნული სივრცის დესეკულარიზაციის პროცესის ნაწილია პოსტსაბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული მცდელობა მართლმადიდებელი ეკლესიისა მოახდინოს საჯარო სივრცეების მონოპოლიზება. მისი აზრით, ამ მოცემულობას სუსტად მაგრამ გარკვეული ფორმით წინააღმდეგობას უწევს სახელმწიფო აქტორები, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს რელიგიურ შინაარს აცლის და მას საერთო მოხმარების სივრცეებად აყალიბებს. ამის მაგალითად ს. სერანო განიხილავს რაბათის კომპლექსის მშენებლობას ახალციხეში, სადაც წარმოდგენილია, როგორც მეჩეთი, ისე წმინდა მარინეს ეკლესია, თუმცა არც ერთი არ ფუნქციონირებს, როგორც რე-

ლიგიური დაწესებულება. ისინი მხოლოდ გარეგნული ნიშნებითა და მახასიათებლებით გვიყვებიან წარსული გამოცდილების შესახებ.[1] მისი აზრით, ამ პროექტით სააკაშვილის მთავრობის მიზანი ნაციონალური სივრცის დესაკრალიზებით მრავალფეროვნების წახალისება და მისი როგორც ღირებულების წარმოჩენა უნდა ყოფილიყო.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ეზოს სამლოცველოების საკრალურ ბუნებაზე, აუცილებელია მისი განხილვა მართლმადიდებელი ეკლესიის კონტექსტში. ყველაზე საგულისხმო მომენტი ეზოს სამლოცველოებისათვის, სწორედ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართების განსაზღვრაა. მიუხედავად იმის, რომ ეზოს სამლოცველოს მოწყობაში აქცენტირებული და ხაზგასმულია რელიგიური მიკუთვნებულობა და თავისი არსით ეკლესიის მსგავსად, შეკრების ადგილს წარმოადგენს, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური პრაქტიკა მაინც მნიშვნელოვნად შეზღუდულია. აქ არ აღესრულება რელიგიური კულტმსახურება არც ტრადიციული და არც არატრადიციული ფორმით. ძირითადად ამ ადგილებში სანთლებს ანთებენ და გავლისას პირჯვარს იწერენ, რაც ინდივიდუალურია და სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია. ასევე საინტერესო საკითხია რამდენად ერევა მართლმადიდებელი სამღვდელოება სალოცავების მოწყობასა და მათ შემდგომ ფუნქციონირებაში. მაკა იხსენებს, რომ მათ ჯერ ჯვარი დადგეს და შემდგომ რჩევები ჰკითხეს მამაოს თუ როგორ სჯობდა სალოცავის მოწყობა. მათმა

[1] *Serrano S., Sharing the Not-SacredRabati and Displays of Multiculturalism in Tsypylma Darieva, Florian Mühlfried & Kevin Tuite (ed) Sacred Places, Emerging Spaces Religious Pluralism in the Post-Soviet Caucasus (berghahn New York Oxford, 2018.*

მოძღვარმა რჩევები მისცა და გააფრთხილა კიდევ, რომ შესაწირი ყუთი, არავითარ შემთხვევაში არ დაედგათ, რადგან ადამიანები, რომლებიც აქ შესაწირს ჩაყრიდნენ, ჩათვლიდნენ, რომ ეკლესიაში წასვლა აღარ იქნებოდა საჭირო და ეკლესია ერთგვარად დაკარგავდა ფუნქციას.

> „ადამიანმა არ ჩათვალოს, რომ მე იქ შესაწირი გადავიხადე, პირჯვარი გადავიწერე და წირვაზე რომ აღარ მოვიდეს ამას ნუ გავაკეთებთო და, რა თქმა უნდა, ჩვენ ეს გამზადებული ყუთი აღარ დავამონტაჟეთ“ (მაკა 2020).

ამ შემთხვევაში საინტერესოდ ვლინდება ის პოტენციალი, რომელიც შეიძლება ეზოს სამლოცველოებს გააჩნდეს, ესაა ოფიციალური ეკლესიისათვის „კონკურენციის“ გაწევა, რომლის პრევენციასაც თავად სამღვდელო პირები ცდილობენ. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ფაქტორია შესაწირავი.

ყველა მთხრობელს კარგად ახსოვს სალოცავის გახსნის დღე, როდესაც მღვდელმა აკურთხა სალოცავი, თუმცა მათი ჩართულობა სალოცავის ფუნქციონირებაში რეალურად ამით ამოიწურა. სალოცავი თავისებურ საზიარო სივრცედ ყალიბდება, სადაც თავს იყრის სამეზობლო თემი და მათთვის აქტუალურ საკითხებს განიხილავს. მიაჩნიათ, რომ სალოცავი ქმნის უსაფრთხო საჯარო სივრცეს, რომელიც პასუხობს თემის ესთეტიკურ თუ სოციალურ მოთხოვნებს.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საგულისხმო ინტერპრეტაციას ვხვდებით მთხრობელთან, რომელიც ბავშვობიდან აკვირდება პროცესს, რომელსაც იგი „რელიგიურობის ბუმს“ უწოდებს. ნოდარი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი ისტორიული ქალაქია, რეალურად ახალია და სულ რაღაც 70-80 წელს ითვლის.

> „ეს ხალხი შეკრიბეს, მთიდან ჩამოიყვანეს. დაასახლეს აქ და მთა დაცალეს იმისთვის, რომ რუსთავი და ინდუსტრია განევითარებინათ. მთაში იმ ხალხს ჰქონდა თავისი ტრადიციები, რომელიც შერწყმული იყო ქრისტიანობასთან.“

როგორც მისი მონათხობიდან ჩანს, ნოდარი ეზოს სამლოცველოების მოწყობას საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ჯვარ-ხატთა სამლოცველოების ტრადიციას არაპირდაპირი ფორმით უკავშირებს, რაც უდაოდ ყურადსაღები ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება ამ ეტაპისათვის განზოგადების შესაძლებლობას მოკლებულია, შესაძლოა მომავალში ამ ფენომენის გააზრების ნაწილადაც იქცეს. ეზოს სალოცავების მრავალმხრივი ინტერპრეტაციისათვის მთის საკულტო ტრადიციების ქალაქის ურბანულ გარემოში გადმოტანის მცდელობა, ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანი და საგულისხმო საკითხი შეიძლება გახდეს, ვინაიდან რუსთავის ეზოს სალოცავები ფორმის თვალსაზრისით, უდაოდ პოულობენ საერთოს მთაში წარმოდგენილ საკულტო ნიშებთან. თუმცა ამ საკითხს დამოუკიდებელი კვლევა და ანალიზი სჭირდება,

რომლის ამბიციაც მოცემულ ქვეთავს არ გააჩნია. რუსთავის მცხოვრებთა ნაწილისათვის ეზოს სამლოცველოები, ერთი მხრივ, საბჭოთა ეპოქის შეზღუდვებსა და მეორე მხრივ მთის სალოცავების სპეციფიკურ ფორმებს უკავშირდება. ეზოს სამლოცველოს მსგავსად მთის ჯვარ-ხატები კონკრეტული თემის მთავარ მაინტეგრირებელად გვევლინებოდა, სადაც სოციალური და რელიგიური ერთობა სწორედ მის გარშემო კრისტალიზდება.[1]

მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის ურბანულ სივრცეში მოწყობილი სამლოცველოები გარკვეულ ლეგიტიმაციასა და მხარდაჭერას იღებენ მართლმადიდებელი ეკლესიისგან, მათი ცხოვრება განსხვავებულად და თავისებურად გრძელდება, მათი სოციალური გარემო ერთიანი სივრცის ნაწილია, რომელზედაც გავლენას ახდენს სიწმინდე. რომელიც წარმოდგენილია სალოცავის სახით, თუმცა საერთო სეკულარული სივრცეც თავისებურად მონაწილეობს ამ ადგილის აღქმასა და მისი დანიშნულების გააზრებაზე. ამგვარად, ვინაიდან ეზოს სამლოცველოები მთლიანობაში საერთო სივრცის ნაწილია, რომლითაც ყველა რელიგიისა და აღმსარებლობის ადამიანი სარგებლობს, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თვისობრივად ახალი გაგება საკრალურობის, რომელიც ერთგვარი პროფანაციის გზით მიიღწევა.

---

[1] *ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები ტ. I ფშავი, მეცნიერება, თბილისი, 1974.*

კიკნაძე ზ., (შემდგ.) ჯვარ-ხატთა სადიდებლები / ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა და ტრისტან მახაურმა; თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები 2, თბილისი, 1998.

ამ გზით სამეზობლო თემები, ერთი მხრივ, საბჭოთა ეპოქაში საჯარო სივრციდან განდევნილ რელიგიას „აბრუნებენ“ და მეორე მხრივ, კი ესაა რელიგიური ნიშნით სივრცის გარდაქმნა, საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუციებისაგან დამოუკიდებლად და რიგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგაც. ვინაიდან რელიგიასა და რელიგიურობას გააჩნია ლეგიტიმაციის ძალა, ეს ძალა შეიძლება გამოიყენოს არამხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ ხალხმაც, ამ შემთხვევაში ესაა სამეზობლო თემი. ხალხი, იკავებს ადგილს, რომელიც, შეიძლება გაასხვისოს მთავრობამ და მას საერთო მიზნებისათვის იყენებს, ხშირ შემთხვევაში რეკრეაციულ სივრცედ გარდაქმნის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის ეზოს სამლოცველოები, რომლებიც მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციაში თავსდება და შესაბამისი რელიგიური სიმბოლოებითაა წარმოდგენილი, ფართო საზოგადოებრივ ინტერესს პასუხობს და სცდება მხოლოდ რელიგიურ, საკრალურ დანიშნულებას. განსაკუთრებით საგულისხმო ფაქტია, რომ მის მოწყობაში მონაწილეობას მთელი სამეზობლო იღებს და ეს ფაქტი არ გამხდარა განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე პირების მხრიდან პროტესტის საგანი. აღსანიშნავია, რომ სამლოცველოები, როგორც მთხრობელებისგან გამოიკვეთა, ძირითადად ადგილის მოკავების მიზნით ეწყობა, რათა სახელმწიფომ არ გაასხვისოს მათი ეზოს ნაწილი და იქ არ ჩაიდგას რაიმე „უსახური“ შენობა. ასევე მიაჩნიათ, რომ აღნიშნული სამლოცველოები მოემსახურება მათი ეზოების უსაფრთხოებასა და კრიმინალისგან დაცვას. გარდა ამისა, ეზოს სამლოცველოები

გამწვანებული და მოვლილი ადგილებია, სადაც ბავშვები და ასაკოვანი ადამიანები დღის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ დაცულად. მთხრობელთა ნაწილის აზრით, სამლოცველოების მოვლით უამრავმა მოხუცმა იპოვა საქმე და ამ ფორმით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაც მოახდინა. აღსანიშნავია, რომ ადგილი დაცლილია გაწერილი, კონკრეტული რელიგიური პრაქტიკისგან. ამგვარად ეზოს სამლოცველოები მრავალფუნქციური ხასიათისაა და ისინი პასუხობენ საზოგადოების არამხოლოდ რელიგიურ მოთხოვნებს, არამედ მათ სოციალურ საჭიროებებსაც და რაც ყველაზე მთავარია სამეზობლოს თვითორგანიზების შესაძლებლობად იქცა. ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეზოს სამლოცველო ამ ფორმით, ერთი მხრივ აფართოებს საკრალური სივრცის გაგებას, თუმცა, მეორე მხრივ, ხდება თავად სალოცავის თავისებური დესაკრალიზაცია/პროფანიზაცია. ვინაიდან იგი გარკვეულ ავტონომიას ინარჩუნებს ოფიციალური ეკლესიისგან და კულტმსახურება არ აღესრულება. ამდენად ეზოს სამლოცველოები ზიარდება სამეზობლოებსა და ქალაქში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ერთად ცხოვრობენ და ქმნიან საერთო საარსებო სივრცეს.

რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა

რომის კათოლიკურ ეკლესიასთან საქართველოს კავშირზე საუბარი, მისი გავრცელების დღიდანვე არის შესაძლებელი. ქართული ეკლესიის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ვხვდებით რომის კათოლიკურ ცენტრთან ურთიერთობის ფაქტებს. საქართველოს მეფეთა უმრავლესობა უშუალო კონტაქტს ამყარებდა რომის პაპთან. ამ ურთიერთობისა და კავშირის ამსახველი წერილები შემორჩენილია XIII საუკუნიდან. სწორედ ამ პერიოდიდან შეიძლება საუბარი საქართველოში კათოლიკური ეკლესიის არსებობის შესახებაც (ღაღანიძე 2008). ამავე ხანში ჩამოდიან საქართველოში ფრანგი კათოლიკე მისიონერები, რომელთა გავლენაზეც მიუთითებს, ახალციხის რაიონში ქართველი კათოლიკების „ფრანგებად“ მოხსენიება. ქართველი კათოლიკების საქმიანობაში გამორჩეული ადგილი ეკავა საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. ასევე აღსანიშნავია მათი მისწრაფება და წვლილი საქართველოს ევროპასთან დაახლოების საქმეში.

ლათინ კათოლიკეთა რელიგიური თემი საგრძნობლად დაზარალდა საბჭოთა ეპოქაში. საქართველოში არსებული 60 კათოლიკური ტაძრიდან საბჭოთა ეპოქაში მხოლოდ ერთი ტაძარი იყო მოქმედი, ისიც თბილისში. დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 50000 კათოლიკე მორწმუნე ფიქსირდება. საქართველოში, თბილისის გარდა, კათოლიკეები, ძირითადად სამხრეთ საქართველოში არიან წარმოდგენილი, სწორედ აქედან მოხდა მათი ქალაქ რუსთავში

ჩასახლება, მისი აღმშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. რუსთავში კათოლიკე მესხების საგრძნობ რაოდენობაზე უნდა მიუთითებდეს ე.წ. კათოლიკეთა უბნის შესაძლო არსებობა რუსთავში[1]. მორწმუნე კათოლიკების მცირე ნაწილს, საბჭოთა პერიოდში რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისათვის თბილისში უწევდათ ჩამოსვლა (გიორგი 2020). საბჭოთა ეპოქაში ქართველ კათოლიკეთა რუსთავში ხილვადობისა და მობილიზებისათვის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა, მათი ეთნიკურობის გათვალისწინებით, რელიგიურობაზე პრეტენზია ნაკლებად ან თითქმის არ გამოიხატებოდა. ამის გათვალისწინებით ქართველი კათოლიკები რუსთავის ინტერნაციონალურ ოჯახში უმტკივნეულოდა და ბუნებრივად ეწერებოდა.

62 წლის ლეილა ადიგენის ერთ-ერთი სოფლიდან ჩამოვიდა ქალაქ რუსთავში, სადაც მართლმადიდებელ მამაკაცზე იქორწინა. ქ-ნი ლეილა იხსენებს რომ კომუნისტების დროს ისინი სახლში, ჩუმად ლოცულობდნენ ყოველ პარასკევს, ბაბუა ასწავლიდა ლოცვებს, რომელიც მაშინ დიდად არ ეხალისებოდა, მაგრამ მაინც ასრულებდნენ. სტუდენტობის დროს კი თბილისში მეგობრებთან ერთად დადიოდნენ პეტრე-პავლეს ეკლესიაში. პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა დადგა საკითხი ზიარების მიღებასა და ჯვრის დაწერაზე, არჩევანი უნდა გაეკეთებინათ. მას არ სურდა მშობლიური რელიგიის დათმობა, ისე მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჯვარს არ დასწერდნენ. აქ, იგი აღნიშნავს მისი

---

[1] *ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მთხრობელთან შემხვდა ინფორმაცია, თუმცა მისი იდენტიფიცირება კონკრეტულ უბანთან მაინც ვერ მოვახერხე.*

მეუღლის დიდსულოვნებას, რომელსაც შეეცოდა იგი და დასთანხმდა კათოლიკური წესით ჯვრისწერაზე. ამ შემთხვევაში მის მეუღლეს გადანათვლა არ დასჭირდა და ისევ მართლმადიდებლად დარჩა. ქ-ნი ლეილას ოჯახის ნახევარი მართლმადიდებელი, ნახევარი კი კათოლიკეა, მაგალითად, მისი უფროსი ვაჟი კათოლიკეა, რძალი მართლმადიდებელი. მას არ უქმნის დაბრკოლებას მისი რწმენა, სანთელი დაანთოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მართლმადიდებელ მოძღვართან და მართლმადიდებელ მეზობლებთანაც. თუმცა ჰყვება, რომ ხშირად იღებს შეთავაზებას გადანათვლაზე მართლმადიდებლური წესით, რაც მისთვის პრინციპულად მიუღებელია. ერთადერთი, რასაც იგი მტკივნეულად იხსენებს, ესაა პერიოდი, როდესაც არ აძლევდნენ უფლებას რუსთავში კათოლიკური ტაძრის მშენებლობისთვის, ამ საკითხს იგი პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს და ასეთ შემთხვევას იხსენებს, 2012 წლის არჩენების პერიოდში, როდესაც ოპოზიციური დეპუტატობის კანდიდატი, მათ ეზოში ხალხთან შესახვედრად მოვიდა და ასეთი რამ თქვა, რომ მათი ოპონენტები, მაშინდელი მოქმედი ხელისუფლება მიწას ასხვისებს, კათოლიკეებზე ყიდის. ამან ძალიან ატკინა გული ქ-ნ ლეილას, როგორ, ნუთუ ის „სხვაა?!“ კათოლიკეები, ხომ ამ კულტურის და მიწის შვილები ვართო. მან ასევე გაიხსენა რუსთავის კათოლიკური ტაძრის გახსნის დღე (2018 წლის დეკემბერი), როდესაც მოქმედმა მერმა რამდენჯერმე მოიხადა ბოდიში იმის გამო, რომ ტაძრის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა. ქ-ნ ლეილას აზრით, ქალაქის მერს ზუსტი

და მართებული წარმოდგენა არ ჰქონდა კათოლიკეებზე თუ ვინ არიან ისინი სინამდვილეში.

რაც შეეხება, რუსთავის კათოლიკური ტაძრის მოძღვარს, მამა ზურაბს რუსთავში, კათოლიკური ეკლესიის ეზოში შევხვდი და წირვის დაწყებამდე, ვისაუბრეთ ლათინ კათოლიკეთა თემზე საქართველოში. იგი მესაუბრა წინააღდეგობებსა და ზეწოლაზე, რომელსაც კათოლიკური თემი განიცდის დღეს საქართველოში, ისიც ლეილას მსგავსად სამხრეთ საქართველოდანაა და რუსთავში ერთი წელიც არ იყო რაც მსახურებდა. მას უკვირს და ვერ აუხსნია, ის წინააღმდეგობა, რომელსაც მისი თემი საქართველოში აწყდება. მას უჭირს სახელდება საიდან მოდის ეს ზეწოლა კათოლიკურ თემზე. იგი ორ მწვავე საკითხს გამოყოფს, რომელიც ორი ქრისტიანული ეკლესიის ურთიერთობას მოიცავს, ერთი ესაა კათოლიკური თემის კულტურული მემკვიდრეობის დაპატრონება მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან. საუბარია საქართველოში აშენებულ კათოლიკურ ტაძარებზე, რომელიც 1989-91 წლებში მართლმადიდებლურად გადაკეთდა. ქართველი კათოლიკეები აქამდე უშედეგოდ დავობენ მათ დაბრუნებაზე. მეორე საკითხი, ესაა კათოლიკების მასობრივი გადანათვლა მართლმადიდებლობაზე. იგი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევებს სამხრეთ საქართველოდან, თუ როგორ ავიწროებენ სამსახურებში კათოლიკეებს და არჩევნის წინაშე აყენებენ ან გადანათვლა და სამსახური ან უსამსახუროდ მრწამსის შენარჩუნება. მისი თქმით, ასეთივე დილემის წინაშე დგებიან ქორწინების დროსაც, კათოლიკეს ხშირად უწევს გა-

დანათვლა, მისი თქმით, ზეწოლის ფაქტები გვხვდება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც.

ყველაზე მწვავედ კი მაშინ დგება საკითხი, როცა საქმე ქალაქის საჯარო სივრცეში გამოჩენას ეხება. ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ და რეზონანსულ საქმედ იქცა ლათინ კათოლიკეთა მცდელობა, ახალ რუსთავში, მათ მიერ ნაყიდ მიწაზე ეკლესიის მშენებლობაზე მიეღოთ ნებართვა.

> „2013 წლის 16 აპრილიდან, „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“ უშედეგოდ ცდილობს, რუსთავში, მე-9 მიკრო რაიონში, მის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისათვის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის მოპოვებას“.[1]

ამ საკითხის სიმწვავესა და წინააღმდეგობაზე მიუთითებს, რუსთაველი კათოლიკეების გადაწყვეტილება 2015 წლის 7 დეკემბერს „გულმოწყალების კარი“ დაედგათ ღია ცის ქვეშ, იქ, სადაც, ისინი ტაძრის აშენებას გეგმავენ.[2] უჩვეულო სანახაობა „კარი“ ღია ცის ქვეშ თავისებურად ეხმიანებოდა ჩიხურ ვითარებს.

---

[1] *კათოლიკე ეკლესია საქართველოში რუსთავის მერიას დისკრიმინაციის გამო უჩივის. [ელექტრონული ჟურნალი] ტაბულა, 19 ნოემბერი 2015.*

[2] *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. კათოლიკური ეკლესია, მთელი მსოფლიო მასშტაბით „გულმოწყალების კარს” ხსნის. (განთავსებულია 8 დეკემბერი 2015). მის.: http://religion.geo.gov.ge/geo/news/katolikuri-eklesia-mteli-msoflios-masshtabit.*

რუსთავის სასამართლომ განაჩენი კათოლიკეების სასარგებლოდ გამოიტანა, თუმცა პრობლემა ამით არ გადაწყვეტილა. მათ ისევ მერიაში შეიტანეს განაცხადი ნებართვის ასაღებად მერიის არქიტექტურის სამსახური კი გადაწყვეტილიებას ისევ ვერ იღებს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „რეზონანსში“ ვკითხულობთ:

> „არქიტექტურის სამსახური ჩიხშია შესული, რადგან გენერალური განვითარების გეგმაში მიწა განსაზღვრულია როგორც საცხოვრებელი ადგილი. ამიტომ კანონიერად ვერ ახერხებენ ამას და ვინაიდან ეს ძალიან ფაქიზი თემაა და ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ დისკრედიტაციაა, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გაგვეგზავნა წერილი „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის” და მათთვის გვეთხოვა რეკომენდაცია.“[1]

საკითხი რომ მხოლოდ საკანონმდებლო ხასიათის დავას არ წარმოდგენს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი რეპლიკიდანაც ჩანს:

> „კათოლიკური ეკლესიის მართლმადიდებელ ადვოკატს საკრებულოს დეპუტატები ეუბნებოდნენ, რომ

---

[1] *ღვედაშვილი გ., კათოლიკური ეკლესია რუსთავის მერიის წინააღმდეგ. გაზ. „რეზონანსი“, 21 ნოემბერი 2015, გვ. 3.*

> დაუშვებელი იყო, მას კათოლიკური ეკლესიის ინტერესები დაეცვა.“[1]

ლათინ კათოლიკეთათვის ტაძრის მშენებლობა რუსთავში მხოლოდ 2018 წელს გახდა შესაძლებელი, თუმცა სხვა ადგილზე. ხუთწლიანი ბრძოლა ტაძრის მშენებლობისათვის ნებართვის მოსაპოვებლად რელიგიის სახელმწიფოს სააგენტოს მიერ ბიუროკრატიულ დაბრკოლებად მონათლა და საკითხი მშენებლობისათვის ადგილის შეცვლით დაიხურა.

> „თბილისში რომის პაპის ვიზიტით შექმნილი დადებითი გარემოს შემდეგ, როცა თბილისის ეპისკოპოსი და კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ჯუზეპე პაზოტო, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარესა და ადმინისტრაციის იურისტებთან ერთად, რუსთავის მერს შეხვდნენ, კათოლიკური ეკლესიის სხვა ადგილზე აშენება გადაწყდა.“ [2]

აღნიშნულ ალტერნატიულ ადგილზე ტაძრის ასაშენებლად, პირველი ქვა თავად რომის პაპმა აკურთხა. ეს ქვა უკვე მშენებარე ტაძარში 2018 წლის 7 თებერვალს ჩაიდგა. ნაცვლად 500 კვ.მ მეტრისა მშენებლობისათვის 1200 კვ.მ გამოიყო, თუმცა ქალაქის განაპირა მხარეს, საიდანაც ძი-

---

[1] *ღვედაშვილი გ., კათოლიკური ეკლესია რუსთავის მერიის წინააღმდეგ. გაზ. „რეზონანსი“, 21 ნოემბერი 2015, გვ. 3.*

[2] *იმედი ნიუსი, რუსთავში კათოლიკური ეკლესია იხსნება, სანდო წყარო, 4 ოქტომბერი, 2018.*

რითადად კერძო დასახლებები გვხვდება. ამგვარად ხუთი წლის დავა რუსთავში დამკვიდრებისათვის კათოლიკე მრევლისათვის დადებითად გადაწყდა, თუმცა რომის პაპის ჩარევა საკითხის მოგვარებაში, გამოხმაურებები იტალიურ მედიასა თუ რელიგიური უფლებების დარღვევის ანგარიშები, პრობლემის სიღრმეზეც მიუთითებს. ბუნებრივია ისმის კითხვა, რა იყო ფორმალური და არაფორმალური მიზეზები მშენებლობაზე უარის მიღებისას. აქ ორი საკითხის გამოყოფა შეიძლება, ერთი ესაა საზოგადოებრივი განწყობა, რომლის გამოძახილიც იყო მერიის მხრიდან უარი და მეორე ფორმალური მხარე, როგორ ხდება ზოგადად ამგვარი საკითხების დარეგულირება საკანონმდებლო დონეზე. როგორც ირკვევა ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო ბაზა არც ისე მოწესრიგებულია, ვინაიდან ცალკე ნებართვა რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე არც ხდება. რუსთავის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბრისას ირკვევა, რომ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მათ ნებართვა გასცეს რელიგიური დანიშნულების ნაგებობაზე მშენებლობისათვის, ესაა სწორედ კათოლიკური ეკლესიის შემთხვევა. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, აბა როგორ ხდება სხვა რელიგიური ნაგებობების მშენებლობაზე ნებართვის მიღება?! როგორც მერიის სამსახურიდან ირკვევა, ასეთი ნებართვები უბრალოდ არც გაცემულა. მართლმადიდებლური ტაძრები ისე შენდება, რომ მოთხოვნა ნებართვის მისაღებად არ იგზავნება მერიის მისამართით. სხვა კონფესიებს რაც შეეხებათ, ისინი სხვა დანიშნულებით აშენებენ ნაგებობს და შემდგომ რელიგიური დანიშნულებით იყენე-

ბენ. კონკრეტული მაგალითები რომ განვიხილოთ, იეჰოვას სამეფო დარბაზები აშენდა, როგორც ბიზნესცენტი, თუმცა მას, ბუნებრივია, რომ შეკრებებისა და ბიბლიაზე საუბრისათვის იყენებენ. ლუთერანების ტაძარი, ძველ რუსთავში 1993 წელს აშენდა და მაშინდელი რეგულაციების მოძიება რთულია. სახარების რწმენის სამლოცველო კერძო სახლშია მოწყობილი, შესაბამისად მას ნაგებობისთვის რელიგიური დანიშნულების სტატუსის მისანიჭებლად არავისთვის მიუმართვას. ამრიგად, როგორც ირკვევა, მხოლოდ ლათინ კათოლიკეები აღმოჩნდნენ რუსთავში, პირველები ვინც ეკლესიის მშენებლობისათვის ნებართვა ითხოვა. ამ ნებართვის მიღება, მათი ხუთწლიანი სასამართლო დავის შემდეგ მოახერხეს. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ ფორმალური უარის გარდა, იყო საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაც, რომლებიც ასე ფორმულირდებოდა, ერთი ის, რომ მათ არ სურდათ ქალაქის ცენტრში სკოლასთან ახლოს კათოლიკური მრწამსის ეკლესია და მეორე – რუსთავში იმდენად ცოტა მრევლია, რომ მათ არ სჭირდება ტაძარი.

საგულისხმო საკითხია, თუ რას წარმოადგენს რელიგიური ჯგუფი, რომლის საჯარო სივრცეში დამკვიდრებას მკვეთრი წინააღმდეგობა და უამრავი ბარიერი შეხვდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დღეს რუსთავში 150-მდე კათოლიკე ოჯახი უნდა იყოს. მათი უდიდესი უმრავლესობა სამხრეთ საქართველოდანაა და ეთნიკურად ქართველია. ისინი, რუსთავში, სხვა თანამოქალაქეების მსგავსად, ბედის საძიებლად ჩამოვიდნენ და მის მრავალფეროვნებას ქმნიდა. განსხვავებულობა, რომელიც არ ეფუძნებოდა ეთნიკურობას, საფრთხედ იქნა აღქმული და მანიპულაციის

საგნად იქცა. როგორც კათოლიკე თემის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს ჩემთან საუბარში, ბევრი კათოლიკე რუსთავში მართლმადიდებლად მოინათლა, რადგან სხვადასხვა ტიპის ზეწოლას ვეღარ გაუძლო (გიორგი 2020). შესაბამისად კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი, ძირითადად მრევლის სიმცირეს ეფუძნებოდა, რომლებიც ეკლესიისათვის განკუთვნილ ცარიელ ადგილზე სალოცავად მიდიოდნენ.

როდესაც რუსთავში ვცდილობდი კათოლიკე მრევლის მოძიებას, ვისთანაც დაკავშირებას მოვახერხე, რამდენიმე მათგანი გადანათლული აღმოჩნდა უკვე, კითხვაზე თუ რა იყო მიზეზი, ძირითად პასუხად შერეული ოჯახი სახელდებოდა და შეთავაზება გადანათვლაზე. უფრო ღრმად კი არ ისურვეს ამ საკითხზე საუბარი. წირვას, რომელსაც რუსთავის კათოლიკურ ეკლესიაში 2020 წლის მარტში დავესწარი მხოლოდ 7 მორწმუნე რუსთაველი ესწრებოდა, მათგან ოთხი სამოცს გადაცილებული იყო. ახალგაზრდები საერთოდ არ იყვნენ. ამასთან დაკავშირებით ლეილა იხსენებს, რომ სანამ რუსთავში ტაძარს ააშენებდნენ, სამუსიკო სკოლაში ატარებდნენ ლოცვებს, მაშინ ძალიან ბევრი ხალხი დადიოდა, საჩუქრებიც იყო. მისი აზრით, შესაძლოა ესეც იყოს ფაქტორი მრევლის აქტიურობისა თუ სიმრავლისა ტაძარში.

საჩუქრები და მატერიალური დაინტერესება რელიგიის კონტექსტში ძალიან გავრცელებული ნარატივია რუსთავში. კონტრარგუმენტი მართლმადიდებლური მრევლის მხრიდან სხვა კონფესიების მიმართებით სწორედ მათი მრევლის გადაბირებას უკავშირდება მატერიალური დაი-

ნტერესებით. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ რუსთავში მოქმედი საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასის“ ერთ-ერთ თანამშრომელს. კათოლიკური ეკლესიის საქველმოქმედო მისიის ორგანიზაცია „კარიტასი“ რუსთავში 2013 წლიდან მუშაობს. მათი საქმიანობა მოიცავს ერთ სივრცეში დღის ცენტრის და ბავშვთა თავშესაფარის არსებობას, ასევე აქვთ მობილური ჯგუფები. 2020 წელს მათ 13 ბენეფიციარი ჰყავთ რუსთავში. ბუნებრივია ჩვენი კითხვა ეხებოდა რამდენად იყო მათი საქმიანობა დაკავშირებული კათოლიკურ რელიგიასთან.

> „როგორც იცით „კარიტასი“ რელიგიური ორგანიზაცია, კათოლიკური ეკლესიის მიერ არის დაარსებული, და ეს არ არის დასამალი. 25 წელია უკვე რაც საქართველოში მოღვაწეობს და უბრალოდ არის რელიგიური ორგანიზაცია, თუმცა თანამშრომლები ძირითადად კათოლიკეები არ ვართ და ძირითადად მართლმადიდებლები ვართ. ანუ ჩვენი რელიგიური სიტუაცია არ გვიშლის ხელს, რომ ვიმუშაოთ „კარიტასში“ და, პირიქით, ყველა რელიგიის, ეთნიკურობის, სქესის და სექსუალური ორიენტაციის ადამიანის. პირიქით, ორგანიზაციის მიმართულებაა ის, რომ დაეხმაროს ყველა ადამიანს, ვისაც აქვს ამის საჭიროება, განურჩევლად მისი წარმომავლობისა“ (თიკო 2020).

„კარიტასის“ თანამშრომელი საუბრობს, იმ განსაკუთრებულ შემთხვევაზე, როდესაც მათ სივრცეში სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანები უპრობლემოდ იყო-

ფენ ერთიან სივრცეს და საუკეთესო მაგალითებს ქმნიან განსხვავებულობის თანაარსებობის. რაც შეეხება საკითხს თუ რამდენად საგრძნობია მათთვის ის რომ რელიგიური ორგანიზაციაა მათი სამსახური გვპასუხობს, რომ მხოლოდ კათოლიკურ შობას ისვენებ და აღდგომას შეიძლება წითელი კვერცხი შესთავაზონ ბენეფიციარებს. როგორც თავად აღნიშნავს, ისინი უყვებიან აღდგომის შესახებ თუმცა ბენეფიციარებს უტოვებენ არჩევანს მიირთვან თუ არა წითელი კვერცხი.

ქველმოქმედება, საჩუქრები და მატერიალური დაინტერესება საქართველოში და მათ შორის რუსთავში რელიგიური უმცირესობები აღქმის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

დასკვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ ლათინ კათოლიკეთა ტაძრის მნიშვნელობა რუსთავში საგულისხმო საკითხად იქცა მრავალფეროვნების აღქმის და მიმღებლობის თვალსაზრისით. აღსანიშნავი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ეს საკითხი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც სამართლებრივი დავის სახე მიიღო, თუმცა საკითხის დარეგულირება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა ადგილის მოცვლის შესაძლებლობა გაჩნდა. ნებართვა ეკლესიის აშენების თაობაზე მაშინ მიიღო ლათინ კათოლიკეთა თემმა, როცა ცენტრიდან პერიფერიისკენ გადანაცვლებას დასთანხმდნენ. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე რელიგიურობისათვის საჯარო სივრცეში მატერიალური რეპრეზენტაცია.

მუსლიმური თემი საქართველოში

თანამედროვე საქართველოს საბჭოთა წარსულიდან მემკვიდრეობით ერგო ეთნოკონფლიქტები და ეთნოკონფესიური ურთიერთდაპირისპირებები. თავისებურ პარადოქსსა და ამავდროულად ერთგვარ კანონზომიერებას ქმნის საქართველოს საბჭოთა პერიოდის მულტიეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის გამოცდილება. პოსტსოციალისტური რუსთავი საინტერესოდ ასახავს იმ წინააღმდეგობას, რაც ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესსა და მრავალფეროვნების გაგებას უკავშირდება. ამ საკითხებზე მსჯელობისათვის განვიხილავ პოსტსოციალისტურ რუსთავს, როგორც, ორმოცი ძმის ქალაქსა, რომელიც საქართველოს ისტორიაში კომუნისტებმა დააბრუნეს. საინტერესოა რამდენად და როგორ ახერხებს რუსთავი თანამედროვე რეალობაში „მიიღოს“ მრავალფეროვნება და ამავე დროს ეროვნული იდენტობის გასამყარებლად რელიგიაში ეძიოს ფესვები.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ქალაქის საპრეზენტაციოდ ნაციონალური და ინტერნაციონალური ნარატივები, საინტერესოა როგორ ტრანსფორმირდა თანამედროვეობაში. რუსთავის საბჭოთა გამოცდილება თავისებურად უკავშირდება პოსტსოციალისტურ პერიოდში რელიგიურობის აღორძინების პროცესს. იმის გასაზომად თუ რა ბედი ეწია ქალაქის ინტერნაციონალურ სულისკვეთებას დავაკვირდებით მუსლიმური თემის პოზიციას ქალაქის ურბანულ სივრცეში. ეს საკითხი გარდა იმისა, რომ უკავშირდება მრავალეთნიკურობისა და მრავალკულტურულობის

გამოცდილებას, ასევე კავშირშია ნაციონალური ნარატივის გააზრებასთანაც. ვინაიდან ქალაქის ისტორიული სახის მსაზღვრელი დიდწილად მუსლიმანებისგან თავდაცვა და მათი როგორც საფრთხედ წარმოდგენას ნიშნავდა. ამ თვალსაზრისით რუსთავი ქართული ისტორიის საერთო ნაწილად იქცევა.

საქართველო ისლამური სამყაროს გარემოცვაში ამ რელიგიის ჩამოყალიბებისთანავე მოექცა. მიუხედავად იმის, რომ ქართულ კულტურაზე ამ რელიგიას მნიშვნელოვანი ინტელექტუალური გავლენა აქვს, მისი აღქმა, მაინც „კულტურულ სხვად“ ჩამოყალიბდა, რასაც ძირითადად, ჩემი აზრით, ისტორიის საბჭოთა პერიოდის ინტერპრეტაცია ედება საფუძვლად. ხატები, რომელიც ისლამის, როგორც პერმანენტული მოწინააღმდეგის, დამპყრობლის აღქმას უკავშირდება სწორედ საბჭოთა პერიოდში ყალიბდება. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში გადაღებული ისტორიული ფილმების საფუძველზე ჩამოყალიბებული, წარმოდგენები, ეს იქნება „ტყვეთა სყიდვა“ თუ ხალხის დაწიოკება აოხრება, დღემდე გავლენის მქონეა. სწორედ ვიზუალურ ხატებს უნდა შეექმნა ორიენტირები მტერ-მოყვარის გარჩევაში. ამავე ნარატივის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ არქეოლოგ გოგო ლომთათიძის მოთხრობა „შავი ორშაბათი“. ავტორი რუსთავში არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა და მოგვიანებით რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორიც იყო. ქალაქის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული დღის მხატვრულად გაცოცხლებას იგი აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეეცადა. ეპოქისათვის დამახასიათებელი გამოგონილი პერსონა-

ჟებითა და სისასტიკით გამორჩეული სცენების აღწერით ავტორის მიზანი უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება დასამახსოვრებელი გაეხადა ქალაქის უკანასკნელი დღე. როგორც ისტორიიდან ვარკვევთ, რუსთავი, ბერქა ყაენმა, გამუსულმანებულმა მონღოლმა, სრულიად ააოხრა და გადაწვა. ამ ფაქტის მეტი სიმბოლურობისათვის ავტორმა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის, აღდგომის შემდგომი დღე, ორშაბათი, მიცვალებულთა დღე აირჩია. სწორედ ამ დღეს სასტიკი მტერი უსწორდება ქრისტიანულ ქალაქს, უმოწყალოდ აოხრებს და ცეცხლმოკიდებულს ტოვებს მას.

> „ნადავლიც ეცოტავათ, მაგრამ წინ კიდევ რამდენიმე, უფრო დიდი და მდიდარი ქალაქი ეგულებოდათ და ახლა იქით რბოდა მათი ხარბი და დაუნდობელი გონება. რუსთავი კი გამალებით იწვოდა და იფერფლებოდა. ძე-ხორციელი აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ცეცხლი ჩაექრო და რაიმე მაინც გადაერჩინა.“[1]

ამდენად რუსთავის, როგორც შუა საუკუნეების ქალაქის დანგრევა-განადგურება ისტორიული მტრის კისერზეა, რომლის მარკირებაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში სწორედ რელიგიური ნიშნით, ისლამით ხდება. რუსთავის თანამედროვე დისკურსიც სწორედ ამ დიქოტომიაზე დგას, ჩვენ ქართველები და ისინი „ურჯულოები“, მუსლიმები. ქართული ქალაქი, რომელიც რეგიონის ეთნოდემოგრაფი-

---

[1] *ლომთათიძე გ., ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, („ვახტანგ გორგასალი უჯარმაში“ და „რუსთავის შავი ორშაბათი“), ჟ. „მნათობი“, №1, 1975., გვ. 152-155.*

ული სურათის შექმნაში მონაწილეობს. ქალაქის ყოფილი, კომუნისტური ფუნქციონერები პოსტსოციალისტურ რუსთავში ინდუსტრიული ქალაქის მნიშვნელობის წარმოჩენას, სწორედ რუსთავის ქართული კომპონენტით ხსნიან, რაც რეგიონის მთლიან სურათზე გავლენას ახდენს. გაზეთ მეტალურგის ყოფილი რედაქტორი, 2013 წელს, ჩემთან საუბარში რუსთავზე საუბრისას კომუნისტების დამსახურებას სწორედ იმ ნიშნით წარმოაჩენს, რომ ეს მხარე, რეგიონი, რუსთავის მშენებლობით გაქართულდა.[1] ვინც კომუნისტების მოღვაწეობას განსხვავებულად აფასებს, აღნიშნულის საპირისპიროდ აზერბაიჯანელების კონცენტრაციას კომუნისტებს „აბრალებს", რომლებმაც დამატებით რუსეთიდან ჩამოიყვანეს და აქ დაასახლეს (50 წლის ქალბატონი). მთლიანობაში საკითხი ასე დგას, რა როლი აქვს რუსთავს ქვემო ქართლის რეგიონში და რა ფაქტორს ქმნის იგი, როგორ წარმოაჩენს ქართულ საზოგადოებას, რაც თავის ასახვას რელიგიურ წარმოდგენებშიც პოვებს. იმისთვის რომ კონკრეტულად რუსთავის მუსლიმურ თემზე ვისაუბრო, ჯერ საქართველოს მასშტაბით მუსლიმური თემის კომპოზიციაში ჯობია გავერკვეთ, ვინაიდან როგორც ცნობილია, არც რელიგიური და არც ეთნიკური თვალსაზრისით იგი ერთიან ჯგუფს არ წარმოადგენს.

ქვემო ქართლის რეგიონში ყველაზე კომპაქტურადაა განსახლებული აზერბაიჯანული თემი. მათი ამგვარი განლაგება და საბჭოთა გამოცდილება, როცა საკომუნიკაციო ენას ქვეყანაში რუსული წარმოადგენდა, მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის მათი სამოქალაქო ინტეგრაციისათვის უკვე

[1] *საველე დღიური 2013: 3.*

პოსტსაბჭოთა პერიოდში. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომელიც ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებას გულისხმობს, გაუცხოება და ბარიერები მაინც აქტუალურად რჩება, მათ შორის რელიგიური ნიშნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტები ყველაზე ნაკლებ აქცენტს რელიგიურობაზე აკეთებენ და უფრო მეტად კულტურულ იდენტობების ჩამოყალიბებასა და მათ დაცვაზე არიან ორიენტირებულები. ამის მაგალითად გამოდგება, ის ფაქტი, რომ ყველაზე განსაკუთრებული ხაზგასმით ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნას ცდილობენ, რომელიც მათთვის არა რელიგიური, არამედ კულტურულ-ტრადიციული დღესასწაულის ფორმას იღებს. ასევე ვნახეთ მცდელობები ამ დღესასწაულის უქმედ გამოცხადების მოთხოვნის თაობაზეც. საკუთარი იდენტობისა და საქართველოს ნაწილად თავის წარმოჩენის მცდელობას ვხდებით მათი მხრიდან ამ რეგიონის საიმიჯო კლიპის გაპროტესტების ფორმაშიც. ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული კლიპი რეგიონის კულტურას ჰომოგენურად წარმოაჩენდა. ამის საპასუხოდ, მათ მოამზადეს ალტერნატიული ვიდეორგოლი, რომელიც ამ ჯგუფის აზრით, უფრო მეტად ინკლუზიური იყო და უკეთ ასახავდა არსებულ რეალობას.[1]

---

[1] *არჯევანიძე ნ., კულტურული დომინაცია და უმცირესობების კულტურის წაშლის მცდელობები ქვემო ქართლის რეგიონში კრებულში, მიქელაძე თ., (რედ.), რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები – კვლევების, ანგარიშების და სტატიების კრებული სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გვ. 262-305. თბილისი, 2020.*

უკანასკნელ პერიოდში, 2018-2019 წლებიდან ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემებში შეინიშნება სამოქალაქო გააქტიურება და ახალგაზრდული ჯგუფების თვითორგანიზების საინტერესო შემთხვევები. ასეთია მაგალითად პლატფორმა „სალამი“ რომლის მიზანს საქართველოში აზერბაიჯანული თემის კულტურისა და ენის გაძლიერება და დაცვა წარმოადგენს. ისინი ცდილობენ ისეთი საკითხების წარმოჩენას, რომელიც თემში აუცილებელი ცვლილებისკენაა მიმართული, მაგალითად ნაადრევი ქორწინება, ქალის მოტაცება და ა.შ. საგულისხმოა, რომ ისინი რეალურად რელიგიურ საკითხებს ნაკლებად ან თითქმის არ ეხებიან.[1]

ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემის ახალგაზრდებისგან განსხვავებით პანკისის ახალგაზრდობის უმრავლესობა რელიგიური ნიშნითაა მარკირებული. მათი რელიგიურობის მარკერი ფიზიკურ გამოხატულებებსაც პოვებს, როგორიცაა ჰიჯაბის ტარება. ასევე აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობა სრულად ფლობს ქართულ ენას და ამ თვალსაზრისით მათი ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციის საკითხის პრობლემა არ დგას. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პანკისის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ტრადიციულ ისლამს ემიჯნება და თავს სალაფიზმს ან ვაჰაბიზმს მიაკუთვნებს. რამდენიმე წლის წინ ძალიან

---

[1] *ჰაჩიევა პ., პლატფორმა „სალამი„ ოფიციალურად დარეგისტრირდა რადიო მარნეული FM: https://marneulifm.ge/ka/marneuli/article/26125*

დიდ პრობლემას, მათი ისლამურ სახელმწიფოთი დაინტერესება და მათი სირიაში წასვლა იყო.[1]

დღეისათვის მუსლიმები საქართველოს საერთო მოსახლეობის 10 % შეადგენენ ისინი ქვეყანაში არ წარმოდგენენ ჰომოგენურ ჯგუფს, მუსლიმები ეთნიკური მიკუთვნებულობითა და რელიგიური პრაქტიკით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. აჭარაში მცხოვრები მუსლიმები ეთნიკურად ქართველები და რელიგიურად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ძირითადად შიიტური ტრადიციის მიმდევრები, თუმცა მათი ნაწილი სუნიტურ და სალაფიტურ ისლამსაც აღიარებს. პანკისში მცხოვრები ქისტების ნაწილი ტრადიციული სუფიური ისლამის მიმდევრები არიან, ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდები სალაფიტურ და ვაჰაბიტურ ტრადიციებს ქმნიან ხეობაში. თუმცა დაზუსტებული მონაცემები თუ ისლამის რომელ მიმართულებას რამდენი მიმდევარი ჰყავს საქართველოში რთული დასადგენია, რადგან მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში მსგავსი დიფერენციაცია არ გვხვდება, ქრისტიანობისგან განსხვავებით[2].

---

[1] *ბარქაია მ., ჯანელიძე ბ., უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, რელიგია და პოლიტიკა პანკისის ხეობაში, მთავარი რედ. თამთა მიქელაძე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2018.*

[2] *აბულაძე დ., ისლამის „გასახელმწიფოებრიობა“ - სახელმწიფოს მიერ ისლამის მართვის საკითხი საქართველოში კრებულში ს. ზვიადაძე (რედ.), „ხილული და უხილავი რელიგია – რელიგიის საკითხების კულტურული და პოლიტიკური განზომილება“ ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 89-111, თბილისი, 2021.*

მუსლიმების საკითხი საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ნაციონალიზმის იდეას და ქართველობისა და მოქალაქეობის საკითხსაც. შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკაც იცვლება განვითარებული პროცესების კვალდაკვალ. მათიას პელკმანსი, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისიდან იკვლევდა აჭარაში მოსახლეობის რელიგიურობის საკითხებს, საუბრობს რექრისტიანიზაციის, როგორც წინაპართა რწმენაზე დაბრუნების მტკივნეულ პროცესზე. იგი 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში კი გვიყვება პარადოქსზე, რომელიც საბჭოთა სისტემის რღვევასა და რელიგიის თავისუფლებას მოჰყვა აჭარისა და ყირგიზეთის მაგალითზე. პოსტსაბჭოთა რელიგიის თავისუფლებამ აჩვენა, რომ „თავისუფლება" ახალ შესაძლებლობებთან ერთად წარმოქმნის მნიშვნელოვან შეზღუდვებსა და უთანასწორობას.

> „2001-ში, აჭარის რეგიონის ერთ-ერთი პატარა ქალაქის იმამმა მითხრა, „კომუნისტების დროს ჩვენ უფრო მეტი თავისუფლება გვქონდა: ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვქონდა. ახლა, ჩვენ ვკარგავთ ყველაფერს.[1]

პელკმანსის აზრით, აჭარელი იმამის შერჩევითი ნოსტალგია და მეხსიერება უკავშირდება ფაქტს, რომ საბჭოთა ეპოქაში ისინი რჩებოდნენ მუსლიმებად და დამოუკიდებლობის შემდგომ როდესაც მიეცათ საჯარო სივრცეში

---

[1] *Pelkmans M., Paradoxes of religious freedom and repression in post-Soviet contexts. Journal of Law and Religion, 29 (03). pp. 436-446. ISSN 0748-0814, 2014.*

ლოცვის შესაძლებლობა, ეშმაკი თამაშობს მათ თამაშს, ისლამი მცირდება, ცოტავდება. აქ საუბარია იმაზე, რომ 90-იანი წლებიდან ქართველობა განისაზღვრა მართლმადიდებლური ტერმინოლოგიით. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართველისა და საქართველოს გაგებას, მის მარკირებას ახდენს ფიზიკურ სივრცეშიც, რაც ნაწილია წარსულისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციისა. სერანოს აზრით, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თავდაჯერებას ვერ ავხსნით მხოლოდ კომუნისტური გამოცდილებით, პირადი სივრციდან საჯაროში შემოჭრით დიდი ხნის ლოდინის შემდგომ, მას მაინც ძირითადად პოლიტიკური ნება განაპირობებს და სტრატეგიული მიზანი განისაზღვროს კავშირი რელიგიასა და ეროვნულ იდენტობას შორის. ასევე ქვეყნის ტერიტორია მოინიშნოს როგორც საქრისტიანო. შესაბამისად, ახალი ტაძრების მშენებლობა არა უბრალოდ სამლოცველოების გახსნაა, არამედ უკავშირდება ნაციონალური ლადჩაპტის შექმნას, რომელიც ასახავს რელიგიისა და ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვან თანხვედრას.[1]

მართლმადიდებლობის ქართველობასთან გათანაბრებამ და ქართული მიწის ამ ნიშნით მარკირებამ ყველაზე მეტი სიმწვავე და წინააღმდეგობა სწორედ აჭარელი მუსლიმების მხრიდან სალოცავი ადგილის მოთხოვნას დაუკავშირდა. 2012 წლიდან რელიგიური ნიადაგზე დაპირის-

---

[1] *Serrano S., De-secularizing national space in Georgia. Identity studies in the Caucasus and the Black Sea Region, 2, pp.5-20. (hal-01533778) 2010.*

პირების რამდენიმე შემთხვევა მოხდა, სადაც ფარული წინააღმდეგობა ღია კონფრონტაციაში გადაიზარდა და სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული თუ არ წარმოებული პოლიტიკის ნაკლოვანი მხარეები მთელი სიმწვავით წარმოაჩინა. აღსანიშნავია რომ ღია რელიგიური დაპირისპირებები საქართველოში, აჭარელ მუსლიმებს უკავშირდებოდა, რომლებიც ეკომიგრანტების სტატუსით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არიან ჩასახლებულნი. გახმაურებული რელიგიური დაპირისპირება გამოხატავს მუსლიმების მხრიდან სალოცავი ადგილის გამოყოფის მცდელობას, რომელსაც ქრისტიანი მოსახლეობა უპირისპირდება. ნებისმიერი მცდელობა მუსლიმების მხრიდან სალოცავის მშენებლობისა თუ ადგილის მარკირებაზე იწვევს წინააღმდეგობას. როგორც ქეთევან ხუციშვილი აღნიშნავს, მსგავსი შემთხვევები ხდება მაშინ თუ ქალაქის ან სოფელის მოსახლეობა შერეულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე ჩნდება, კონსპირაციის თეორიისათვის ყოველთვის ტოვებს ადგილს, საკითხი, კომპლექსურობა კი, მის სიღრმეზეც მიუთითებს.[1]

ნებისმიერ დაპირისპირებას რელიგიურ ნიადაგზე ისტორიის ინტერპრეტაციასთან მივყავართ. ყველაზე გახმაურებული საკითხი, რომელიც რელიგიური ნაგებობის აშენების ნებართვას უკავშირდება ესაა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა. რომლის მშენებლობის საჭიროებაც

---

[1] *ხუციშვილი ქ., რელიგიისა და პოლიტიკის მიმართება (თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესების მაგალითზე), კრ. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, თსუ გამომცემლობა გვ.129-135. თბილისი, 2013.*

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დადგა, თუმცა გადაწყვეტილების მიღება დღემდე მიუღწეველია და დავა სასამართლო გარჩევის თემად იქცა. სოფიო ზვიადაძე, რომელიც ბათუმში ისლამის გაფერმკრთალებაზე საუბრობს, თემას ფართო ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. ამ საზოგადოებრივი დისკუსიის ნაწილია აზიზიეს მეჩეთის აღდგენასთან დაკავშირებით დავაც. აღნიშნული საკითხი, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოს მოლაპარაკების საგანს წამოადგენდა, კულტურული მემკვიდრეობაზე ზრუნვის კონტექსტში. არსებითი საკითხი, რაზედაც მკვლევარი საუბრობს არის ინტერპრეტაციის საკითხი, თუ როგორ შინაარსსა და მნიშვნელობას დებს საზოგადოება ამა თუ იმ მემკვიდრეობის ძეგლში. აზიზიეს მეჩეთი, რომლის აღდგენა სალოცავი ადგილის სიმცირით უნდა ყოფილიყო განპირობებული ბათუმში, მეორე მხრივ ის შეიძლებოდა გამხდარიყო ისტორიული ადგილი, სადაც ქართველმა მუსლიმებმა საქართველოს ფარგლებში დარჩენის ურყევი გადაწყვეტილება მიიღეს. ამის ნაცლად ისტორიული მეჩეთის რეკონსტრუქცია შიშებსა და საფრთხეების მოლოდინს დაუკავშირდა და უარყოფილი აღმოჩნდა სახელმწიფოს მხრიდან.[1] ამ და სხვა საკითხების დასარეგულირებლად, სახელმწიფო შეეცადა უფრო მეტად გაეკონტროლებინა რელიგიური პროცესები და განსაკუთრებით ისლამი. ისლამის განსახელმწიფოებას უწოდებს დავით აბულაძე 2011 წლიდან სახელმწიფოს მხრიდან ისლამის ცალკეული ჯგუფებისათვის მხარდა-

---

[1] *ზვიადაძე ს., ისლამის გაფერმკრთალება ბათუმში. კრებულში ს. ზვიადაძე (რედ.), „ხილული და უხილავი რელიგია – რელიგიის საკითხების კულტურული და პოლიტიკური განზომილება“ თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 112-128, 2021.*

ჭერას და მათ დაყოფას ტრადიციულ და არატრადიციულ ისლამად. ამ პოლიტიკის გაგრძელების ნაწილია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნაც, რომლის მუშაობას კრიტიკულად აფასებენ არასამთავრო ორგანიზაციები და ცალკეული ექსპერტები.[1]

---

[1] *ფარულავა, დ., როგორ აფასებენ რელიგიის სააგენტოს საქმიანობას მრჩეველთა საბჭოს ყოფილი წევრები. ჟ. „ლიბერალი". http://liberali.ge/news/view/26754/rogor- afasebenreligiis-saagentos-saqmianobas-mrchevelta-sabchos-yofili-tsevrebi%20%20), 2016.*

ლიბერალი, რას ამბობენ NGO-ები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუქმების გადაწყვეტილებაზე. Online Magazine Liberali. http://liberali.ge/articles/view/38165/ras-amboben-NGOebi-religiis-sakitkhta-sakhelmtsifo-saagentos-gauqmebis-gadatsyvetilebaze; 2018.

დუმბაძე ლ., რატომ ვერ შეელია მთავრობა რელიგიის სააგენტოს. ჟ. „ბათუმელები", https://batumelebi.netgazeti.ge/news/152058/;

მიქელაძე თ., (რედ.), რელიგია, პოლიტია და სოციალური კონტექსტები, კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. თბილისი, 2018.

ისლამის უხილავი კვალი რუსთავში

რელიგიის საკითხთა სააგენტოს ქვემო ქართლის წარმომადგენლად საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქის დანიშვნა სახელმწიფო პოლიტიკის აშკარა კანონზომიერებაზე შეიძლება მიუთითებდეს. კარგი ქართულით მოსაუბრე აბაი ფაშაევი ქალაქ რუსთავის მერიის შენობაში, ერთ მოკრძალებულ ოთახში ზის. მას ტელეფონით ვთხოვე შეხვედრა, რაზეც ზრდილობიანი თანხმობა მივიღე მისგან. იგი თავაზიანად შემხვდა რუსთავის მერიის შენობის წინ და ჯერ კიდევ მოუწყობელ კაბინეტში მიმიპატიჟა. მცირე საუბრის შემდგომ, აღმოჩნდა, რომ მას ჩემს კითხვებზე არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად პასუხის გაცემა არ შეეძლო. კითხვები, რომელიც სააგენტოს საქმიანობასა და რუსთავში რელიგიურ ვითარებას უკავშირდებოდა, მხოლოდ ოფიციალურად შემეძლო წერილობით დამესვა. როცა მის სახელზე დაწერილი განცხადება ოფიციალური მეილით გავაგზავნე, აღმოჩნდა, რომ წერილის ადრესატი, ის კი არა, სააგენტოს ხელმძღვანელი უნდა ყოფილი აუცილებლად, რომლისგანაც უნდა მიმეღო პასუხი. დაბეჭდილი წერილი კი სახელმწიფო კანცელარიის შენობაში უნდა მიმეტანა. როგორც ამ პატარა შეხვედრის დეტალებიდან ირკვევა, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქის დანიშვნას ამ პოზიციაზე, მხოლოდ სიმბოლური ხასიათი გააჩნდა და რეალურად იგი არათუ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში, მას დელეგირების დონეზეც არ აქვს უფლებამოსილება სააგენტოს სახელით ისაუბროს. აღსანიშნავია, რომ იგი სიმბოლურად მონაწილეობს ქალაქში გამართულ რელიგიურ ღო-

ნისძიებებში და წარმოადგენს სააგენტოს, თუმცა მხოლოდ ნომინალურ დონეზე. მოცემული ფაქტი მთლიანობაში კარგად გამოხატავს სახელმწიფოს მცდელობას ფორმალურ დონეზე მისი მიდგომა რელიგიური საკითხებისადმი იყოს ინკლუზიური, თუმცა რეალური შინაარსის გარეშე.

რუსთავში აზერბაიჯანული თემის ყველაზე დიდი ეთნოკონფესიური ჯგუფია, ამავე დროს ყველაზე კარგად ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებასთან. ამის მიუხედავად აზერბაიჯანული თემი რელიგიური თვალსაზრისით უხილავი რჩება ქალაქის სივრცეში. საინტერესოა რა განაპირობებს მუსლიმური თემის თვითაღქმასა და პოზიციას, როგორ უკავშირდება იგი ქალაქის ისტორიულ გამოცდილებას. რუსთავში მცხოვრები აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელთა უმრავლესობა შიიტური ისლამის მიმდევარია, თუმცა მათთვის რელიგიურ რიტუალებზე მოთხოვნა მხოლოდ სასიცოცხლო ციკლის მნიშვნელოვან ეტაპებს უკავშირდება, როგორიცაა დაბადება და სიკვდილი. როგორც რუსთავის ახუნდისგან ვიგებთ, ყოფილა შემთხვევა, როცა სუნიტ აზერბაიჯანელებსაც მომსახურებია. მისი აზრით, აზერბაიჯანული თემის სუნიტებსა და შიიტებს შორის ზღვარი უფრო მეტად იშლება მას შემდეგ, რაც ქალაქში ვაჰაბიტები ჩნდებიან. როგორც რუსთავის ახუნდი გადმოგვცემს ახლა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი გეტყვის, რომ მუსულმანია და მორჩა (მუჰამედი 2020).

რუსთავის ინტერნაციონალური ბუნებისა და მისი ინეტერპრეტაციისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მუსლიმური თემი და მათთვის რუსთავის ურბანულ სივრცეში სალოცავი ადგილის მოძიება წარმოადგენს. რუსთავის ყვე-

ლაზე დიდი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა აზერბაიჯანელებია. ისინი ქალაქის მოსახლეობის, როგორც მოსახლეობისგან არაოფიციალურად ვიგებთ, დაახლოებით 12% შეადგენენ. რუსთავში ამ დროისათვის არც ერთი მეჩეთი და სამლოცველო არ გვხვდება. ქალაქში მუსლიმური კვალის ძიება სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, ტაბუდადებულ საკითხთა რიგშია. ამ თემაზე არც უმრავლესობის, ქრისტიანების წარმომადგენლებს და არც მუსლიმებს არ სურს გახსნილად საუბარი. მუსლიმური სალოცავის აშენების სურვილზე საჯაროდ გაცხადებულ მოთხოვნას ვერსად შეხვდებით. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ჩემს შეკითხვაზე: თუ მოუმართავთ მუსლიმური თემის წარმომადგენლებს სალოცავის მშენებლობის ინიციატივით, მივიღე პასუხი:

> „მუსლიმთა თემის საკულტო ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოდან მოთხოვნა არ შემოსულა“.[1]

საუბარია, რომ სანაპიროს ქუჩაზე ერთ-ერთ კერძო სახლში გახსნილი იყო მუსლიმთა სამლოცველო, თუმცა ის არც რეგისტრირებულია როგორც ასეთი და მის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაც სირთულეს წარმოადგენს. მისი არსებობა მხოლოდ ჭორის დონეზე ფიქსირდება და ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას მის შესახებ არ აქვს ინფორ-

---

[1] *ვაშაკიძე ზ., თქვენი შეკითხვის პასუხად, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი, 2019.*

მაცია. მისი რეალურობა მხოლოდ რამდენიმე რუსთაველმა დაადასტურა ისიც წარსულში. რუსთავის მკვიდრი აზერბაიჯანელი გოგონა ამბობს, რომ სკოლის პერიოდში რამდენჯერმე ყოფილა იქ, და ზუსტად არც კი ახსოვს რომელი შენობა იყო. იგი ამბობს:

> „მე არ ვარ მორწმუნე და შესაბამისად მსგავსი საკითხები ნაკლებად მაინტერესებს. ჩემი მშობლებიც არ არიან აქტიური მორწმუნე მუსულმანები, რელიგიურ დღესასწაულებს ოჯახში აღვნიშნავთ. თინეიჯერულ ასაკში ვცდილობდი უფრო რელიგიური ვყოფილიყავი, ვიცავდი მარხვებს, დაინტერესებული ვიყავი შესაბამისი ლიტერატურით... ამაზე მამა ცოტა ნერვიულობდა, ჩემს ოჯახში ის უფრო ადარდებდათ ძალიან რელიგიური არ ვყოფილიყავი, ვიდრე ის, რომ რელიგია სულ არ მაინტერესებს ახლა“ (23 წლის გოგონა, 2019).

მუსლიმური სალოცავის შესახებ ინფორმაცია არ გვხვდება ინტერნეტ-სივრცეში. აზერბაიჯანელი ახალგაზრდა, რომელიც თავს მორწმუნე მუსლიმებად მიიჩნევს ამბობს, რომ ნამდვილად იყო მუსლიმთა შეკრების ადგილი რუსთავში სანაპიროს ქუჩასთან ახლოს, რომელიც ქირით ჰქონდათ აღებული, თუმცა დღეს მის შესახებ აღარ აქვს ინფორმაცია. ამბობს რომ მორწმუნეები სალოცავად სხვადასხვა ადგილებში იკრიბებიან ახლა.

> „ახლა რამდენიმე დღის წინ ჩვენთვის შია მუსულმანებისათვის მნიშვნელოვანი დღეები იყო. ვიხსენებდით

> მუჰამედის შვილიშვილს 10 დღის მანძილზე. რადგან შეკრების ადგილი არ გვაქვს, ვქირაობდით რესტორანს, ერთ დღეში 100 ლარს ვიხდიდით, აბა რა უნდა გვექნა“ (29 წლის ვაჟი, 2019).

რუსთავის ახუნდმა მუჰამადმა ჩამოთვალა სამი პრობლემა რაც მისი აზრით, რუსთავის აზერბაიჯანელებს დიდი ხანია აწუხებს, ესენია: სასაფლაოს არქონა ქალაქში, სალოცავი ადგილის არქონა და სკოლის საკუთარი შენობის არ არსებობა. აქედან სასაფლაოს პრობლემა ახლახან მოგვარებულა, ქალაქის მერიამ რამდენიმე თვის წინ ამისათვის გამოყო შესაბამისი მიწის ნაკვეთი. რაც შეეხება მეჩეთს, სალოცავს, ამ საკითხზე, მას ახსენდება გამოცდილება, როდესაც ჩაიშალა მშენებლობა ქრისტიანი მოსახელობის აქტიურობით. ამ ფაქტის შესახებ ცნობების მოძიება და გადამოწმება ჩემთვის რთული აღმოჩნდა, რადგან არ გახმაურებულა. რუსთავის მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს ახსოვს, რომელიც შემსწრეა განვითარებული მოვლენების. ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი ადამიანის მოძებნა მოვახერხე. რუსთაველი ახალგაზრდა გოგონა საუბრისას გაიხსენებს:

> „რუსთავი ჭრელი ქალაქია, ეს სიჭრელე გამოიხატება ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაში. პრობლემები არ იქმნება, ერთი იყო მეჩეთთან დაკავშირებული პრობლემა. ჩემს ბინასთან ახლოს დაუსახლებელი ტერიტორიაა, ჭაობიანი ადგილი იყო და იქ უნდოდათ მეჩეთის აშენება, მგონი განცხადებაც

ჰქონდათ დაწერილი მერიაში, მაგრამ გარშემო კორპუსების ქრისტიანმა მოსახლეობამ გააპროტესტა. მოსახლეობამ, ბინის თავმჯდომარეებმა მოაგროვეს ხელმოწერები, რის საფუძველზეც უკვე მერიამ გადაწყვიტა არ აშენებულიყო მეჩეთი, ამგვარად ამოიწურა ინციდენტი. მე მაშინ სკოლაში დავდიოდი 2009 ან 2010 წელი იქნებოდა“ (23 წლის გოგონა, 2019).

ამგვარად მუსლიმთა საჯარო სივრცეში დაფიქსირება მთელ რიგ წინააღმდეგობებს უკავშირდება. მათი მრავალრიცხოვნების მიუხედავად პოზიციის გამოხატვა არ ან ვერ ხერხდება საჯაროდ, რაც შესაძლოა ისევე ისტორიის სტერეოტიპულ აღქმასთან იყოს დაკავშირებული და რეგიონის თავისებურებასთან. რუსთავში მუსლიმური სამლოცველოს არ არსებობა და მოთხოვნაზე თავშეკავებულობა, რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას, ერთი ესაა, რომ რუსთაველი აზერბაიჯანელები ყველაზე კარგად არიან ინტეგრირებულებები ქართულ საზოგადოებასთან. ისინი საქართველოში მცხოვრები თანამოძმეებისგან განსხვავებით სრულყოფილად ფლობენ ქართულ ენას, რაც მათი ქალაქის ქართულ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს. მეორე, რუსთავის მახლობლად ბევრია აზერბაიჯანული სოფელი, სადაც შიიტური სამლოცველოები გვხვდება და შესაბამისად რუსთავის მორწმუნე აზერბაიჯანელები ძირითადად იქ დადიან. რუსთაველი აზერბაიჯანელები ასევე ითვალისწინებენ იმ ნეგატიურ ფონს, რომელიც რუსთავში 2013 წელს ჰეიდარ ალიევის ძეგლის დადგმით შეიქმნა ქალაქში. ყველაფრის გათვალისწინებით რუსთავში მუსლი-

მური სალოცავის არ არსებობა არ იწვევს განსაკუთრებულ შფოთსა და ღია წინააღმდეგობის სურვილს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. ამას ემატება რუსთავის ეზოებში მასიურად ქრისტიანული სალოცავების მოწყობის ტენდენცია, რომელიც ქრისტიანული მოსახლეობის მხრიდან ერთგვარად გამოხატულ პოზიციას წარმოადგენს და საჯარო სივრცეში დომინაციასა და იერარქიაზეც შეიძლება მიუთითებდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი რუსთავი რელიგიური თვალსაზრისით საინტერესო და საგულისხმო ველს წარმოადგენს პოსტსოციალისტური/პოსტსეკულარული თუ პოსტათეისტური რეალობის გაანალიზებლად. უეკლესიო/ურელიგიო ქალაქში მოხდა რელიგიურ გამოვლინებებზე მოთხოვნის გაძლიერება. ეკლესიების მშენებლობები გაფორმდა არა როგორც ცარიელ ადგილზე მშენებლობის დაწყება, არამედ, როგორც არსებულის აღორძინება. ამისათვის საფუძვლების ძიება ქალაქის არქეოლოგიურ ფენებიდან გახდა შესაძლებელი. საბჭოთა ნაციონალური ნარატივის მიხედვით, კომუნისტებმა ისტორიული ქალაქი ააღორძინეს. ინდუსტრიული ქალაქი შუასაუკუნეების ნაქალაქარზე აშენდა საბჭოთა ძმური კავშირის მხარდაჭერით. კომუნისტების მიერ შემოთავაზებული ქალაქის ნაციონალური ნარატივის აღორძინებად გვევლინება ქალაქის მართლმადიდებლური ეკლესიების მასიური მშენებლობა, რომელთა სიმბოლური მნიშვნელობა სცილდება რელიგიურ დატვირთვასა და ძალაუფლების ბრძოლის დისკურსს ქმნის. თუ მართლმადიდებლური ეკლესიების მშენებლობა ქალაქის ნაციონალურ ნარატივს ეხმიანება, ქალაქის ინტერნაციონალური (ორმოცი ძმის

ქალაქი) ბუნების გამოვლინება, რელიგიური პლურალიზმი ძნელად და მტკივნეულად აღიქვამდა რუსთავში. ამის მაგალითად გამოდგება სამართლებრივი დავა ლათინ-კათოლიკეთა მხრიდან ტაძრის მშენებლობის უფლების მისაღებად, რომელსაც განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა და რომის პაპის მხრიდან ჩარევაც კი მოჰყვა. თუ რუსთავში წარმოდგენილია ევანგელისტურ-პროტესტანტული ტაძარი, ახლა უკვე კათოლიკური, ასევე ვხვდებით იაღოვას მოწმეთა რელიგიურ ნაგებობებს, აქ ვერ შეხვდებით მეჩეთსა ან მუსლიმურ სალოცავს, მაშინ როცა მუსლიმი აზერბაიჯანელები ქალაქის მოსახლეობის, არაოფიციალურად, 12%-ს შეადგენენ. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა უკავშირდებოდეს ასევე რუსთაველების მხრიდან ისტორიის აღქმის თავისებურებას, აზერბაიჯანელთა ინტეგრაციის მაღალ მაჩვენებლებს ქართულ საზოგადოებაში და ქალაქის სიახლოვეს არსებულ აზერბაიჯანული სოფლების არსებობას, რაც ხსნის ქალაქში მეჩეთის აუცილებლობის არ არსებობას. მთლიანობაში რუსთავის ურბანული სივრცე წარმოდგენილი რელიგიური ნაგებობებითა და მასთან დაკავშირებული ნარატივებით ასახავს ბრძოლას ძალაუფლებისა და ახალი წესრიგისათვის მნიშვნელობებისაგან დაცლილ დეინდუსტრიულ ქალაქში. რუსთავის მუსლიმი რელიგიური წარმომადგენელი გადმოგვცემს ამ მომენტისათვის მას არ მიაჩნია მართებულად რუსთავში მეჩეთის მშენებლობის საკითხის დაყენება, რადგან ჯერ ამის დრო არაა. თუმცა, რასაც იგი მთავრობას სთხოვს ესაა ვაჰაბიტებისა და სალაფიტების კონტროლს და მათი გავლენისგან დაცვას. იგი საინტერესო პარალელს აკეთებს იეჰოვას მოწმეებსა და ვაჰა-

ბიტებს შორის, მისი აზრით, როგორც ქრისტიანობისათვის წარმოადგენს იეჰოველები საფრთხეს, ისე ტრადიციული ისლამისათვის საშიშია ვაჰაბიზმისა და სალაფის გავრცელება (მუჰამადი 2020).

ყველაზე საინტერესო საკითხი მაინც ისაა, თუ როგორ აღიქვამს ამა თუ იმ რელიგიური თემის წარმომადგენელი არსებულ რეალობას პოსტსოციალისტურ რუსთავში, სად და რაში ხედავენ პრობლემას და როგორ ხდება ამ საკითხების არტიკულირება. რა სახის ველები იქმნება საუბრების დონეზე ნარატივებისათვის, სადაც ვხვდებით მუსლიმებისათვის მოთხოვნას ჩანდნენ ან არ ჩანდნენ ქალაქში. დღეს რასაც ვაკვირდებით ქალაქში, ესაა ერთი მხრივ აზერბაიჯანული თემის მაღალი ინტეგრაცია, რაც მათი მხრიდან ქართული ენის ფლობაში გამოიხატება, მეორე მხრივ მათი პოზიციის სუსტი არტიკულაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ისინი ყველაზე მსხვილ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, მათი მხრიდან მცდელობა ჩანდნენ საჯარო სივრცეში, ნაკლებად ან თითქმის არ გვხვდება, ეს ერთი მხრივ შეიძლება უკავშირდებოდეს ზოგადად ისლამის აღქმას საზოგადოებაში, მეორე მხრივ რეგიონის თავისებურებას, იგულისხმება ქვემო ქართლის ეთნიკური და რელიგიური კომპოზიცია. კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქის მკვიდრი ახალგაზრდა აზერბაიჯანული თემის ნაწილი რელიგიას მნიშვნელობას უკარგავს, ნაწილისათვის იგი ისლამის ახალ მოძრაობას უკავშირდება, რაც მთლიანობაში აზერბაიჯანული თემის თვითიდენტიფიკაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. აზერბაიჯანული თემის თვითაღქმაში ბუ-

ნებრივია შესაბამის როლს ქალაქის საბჭოთა და პოსტსაბ-ჭოთა გამოცდილება თამაშობს, სადაც მრავალფეროვნების გაგება განსხვავებულია. მიუხედავად იმისა ქალაქის მშე-ნებლობა „ორმოცი ძმის“ ერთობლივ ძალისხმევას დაუკავ-შირეს კომუნისტებმა, პოსტსოციალისტურ ეპოქაში, ხალ-ხთა მეგობრობა მაინც არადამაჯერებელ ღირებულებად აღიქმება და უფრო მეტად შიშებსა და საფრთხეებს უკავ-შირდება. ქალაქ რუსთავის მუსლიმური თემის სასულიერო პირისათვის საფრთხე და წინააღმდეგობა არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფსა და ქალაქის ქრისტიანულ მოსახელო-ბას, არამედ ისლამის ახალ რადიკალურ მიმდინარეობას და მათ ექსპანსიას უკავშირდება. აღნიშნული პრობლემის გამოკვეთა ერთი მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის ერთგვარ გამოვლინებადაც შეიძლება განვიხილოთ, ვინაიდან რელი-გიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო თანამშრომლობს და მათი გავლით ფინანსდება საქართველოში მხოლოდ ტრადიციულად მიჩნეული რელიგიური ჯგუფები. ამგვა-რად რუსთავში ისლამის სახიერი კვალის ძიება პრაქტიკუ-ლად შეუძლებელია, თუმცა მისი აჩრდილი მნიშვნელოვან ფაქტორს ქმნის, როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული თემისათვის ქალაქში.

თავი მეხუთე

ნოვა ჰუტა – ქალაქის იდეა, კონტექსტები და პარალელები საქართველოსთან

ნოვა ჰუტას, პოლონეთის მეტალურგიული ქალაქის, დაარსება დროში რუსთავის მშენებლობას ემთხვევა და მათ შორის საგულისხმო პარალელების გაკეთების საშუალებას იძლევა. მსგავსი პროფილის ქალაქების ბედი განსხვავებულად წარიმართა. ერთი მათგანი სხვა ქალაქის ნაწილად იქცა, მეორე კი დამოუკიდებლად განვითარდა. ერთი სისტემის ორი პირმშო შედარების ფართო შესაძლებლობებს იძლევა. მათი განვითარების გზები განსხვავებულია, წინააღმდეგობებით სავსეა. თავის დამკვიდრებისა და საკუთარი იდენტობის შესაძენად ორივე მათგანი დღემდე სხვადასხვა სიმბოლოსა თუ ნარატივების საშუალებით განაგრძობს ბრძოლას. ნოვა ჰუტა საკუთარი წინააღმდეგობრივი წარსულითა და გაურკვეველი აწმყოთი რუსთავთან პარალელების გაკეთების ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ნოვა ჰუტაზე საუბარი წარმოუდგენელია კრაკოვის გარეშე. პოლონეთის გამორჩეული ქალაქი კრაკოვი, ნოვა ჰუტას მშენებლობის მიზეზიც იყო და მიზანიც. კრაკოვი ნოვა ჰუტასათვის იმ ათვლის წერტილს წარმოადგენს, საიდანაც მეტალურგიული გიგა-

ნტისა და მისი მომსახურე ქალაქის მშენებლობა იწყება და სრულდება. ამ თავში საუბარი დაეთმობა:

1) ნოვა ჰუტა – კრაკოვის ინტეგრაციული დისკურსის განხილვასა და იმ საკითხების გამოყოფას, რომლითაც ნოვა ჰუტა კრაკოვთან მიმართებას გამოხატავს.

2) ნოვა ჰუტას მშენებლობის ისტორიული კონტექსტის განხილვა, რაც, ასევე, მის კრაკოვთან და დანარჩენ პოლონეთთან ურთიერთმიმართების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვის საშუალებას იძლევა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში პოლონეთზე გავლენის გასავრცელებლად საბჭოთა სისტემის მოქმედებები. საბჭოთა სისტემის საჩუქარი თუ სასჯელი პოლონელ ხალხს?

3) სოლიდარობის მოძრაობის ჩამოყალიბება პოლონეთში და ნოვა ჰუტას მუშათა ხვედრითი წილი ამ მოძრაობაში. საკვანძო საკითხის ცალკეული ასპექტები, რაც ნოვა ჰუტას განსხვავებულად წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა. სწორედ სოლიდარობის მოძრაობამ ნოვა ჰუტას არსებითი ტრანსფორმაცია მოახდინა და გადამწყვეტი როლი შეასრულა მის კრაკოვთან და დანარჩენ პოლონეთთან ინტეგრირებაში.

4) ნოვა ჰუტა, როგორც სიმბოლო და სიმბოლოების ტრანსფორმაციის პროცესი ნოვა ჰუტას საჯარო სივრცეში.

5) ნოვა ჰუტას პოსტ-სოციალისტური რეალობა, რევიტალიზაცია და ახალ იდენტობათა მარკერების ძიება. სოციალიზმის რებრენდინგი და ეგზოტიკურობა; ტურისტული კომპანიებისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ დასახული თანამედროვე ნოვა ჰუტა.

6) პარალელები რუსთავსა და საქართველოს კონტექსტთან. მსგავსება-განსხვავებების გამოყოფის შესაძლებლობები და მათი საფუძვლების ანალიზის მცდელობები.

ნოვა ჰუტა და კრაკოვი

ნოვა ჰუტა თავისი პომპეზურობითა და ამბიციური დასაწყისით არასდროს უჩიოდა ყურადღების ნაკლებობას. განსაკუთრებულ ინტერესს მნახველში მისი კრაკოვთან კონტრასტულობა და ამავდროულად, ლატენტურ დონეზე არსებული მსგავსებაც იწვევდა. კონტრასტი და წინააღმდეგობა კრაკოვთან მიმართებაში უკვე ჩადებული იყო ნოვა ჰუტას მშენებლობის იდეაშივე, თუმცა, ამის მიუხედავად იგი კრაკოვის შემადგენლობაში მოექცა და მასთან პაექრობასა თუ ჭიდილში თანდათანობით მის ნაწილად ჩამოყალიბდა. ნოვა ჰუტას კრაკოვთან ინტეგრაცია რთული, წინააღმდეგობრივი, მაგრამ შეუქცევადი პროცესია, რაც დღეს კიდევ უფრო აშკარაა, რადგან ამისი რეალური პოლიტიკური ნება და მზაობა არსებობს. რაც მთავარია, აღარ არსებობს კონკრეტული მიზეზი, კომუნისტური რეჟიმის სახით, რაც მათ ინტეგრაციას შეუშლიდა ხელს. თუმცა დღესაც ყოფით დონეზე უამრავი წინააღმდეგობა ხვდება დიდი ხნის წინ დაწყებულ ინტეგრაციის პროცესს, როგორიცაა ნეგატიური სტერეოტიპები ქალაქის ამ ნაწილსა და იქაურ მცხოვრებლებთან მიმართებაში. ქალაქ კრაკოვის ფარგლებში ნოვა ჰუტას გამოჩენიდან მოყოლებული ინტეგრაციისათვის უამრავი ხელისშემშლელი, ხოლო მოგვიანებით გარკვეული ხელშემწყობი ფაქტორიც წარმოიშვა, რომელმაც გავლენა იქონია მათ შორის ურთიერთდახმარებისა და თანაცხოვრების ისტორიის შექმნაზე. ნოვა ჰუტასა და კრაკოვის ურთიერთობების ისტორიიდან გამოვყოფთ რამდენიმე საკითხს, ფაქტორებს, რომლებმაც გარკვეული

გავლენა მოახდინა ან უნდა მოეხდინა კრაკოვის ძველ, ტრადიციულ და ახალ, სოციალისტურ ნაწილებს შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და მათ ერთ მთლიანობად ჩამოყალიბებაზე. ცალკეულ მათგანს განვიხილავთ, როგორც მაინტეგრირებელ ან მის ხელისშემშლელ ფაქტორად:

1. ნოვა ჰუტას ისტორიული ფუნქცია: კრაკოვის ისტორიის სოციალისტური ნაწილი პრაქტიკულად საკუთარ თავზე ნოვა ჰუტამ აიღო, რის გამოც ერთგვარად აარიდა მას სოციალისტურ ჩარჩოებზე მორგება. რადგან ადმინისტრაციულად ნოვა ჰუტა კრაკოვის ნაწილი იყო, აღარ იყო აუცილებელი ერთ ქალაქში მსგავსი სოციალისტური სიმბოლოების გამეორება, ეს იქნებოდა ქუჩების სახელწოდება თუ სხვადასხვა მონუმენტის დადგმა.

2. რელიგიური ფაქტორი: კრაკოვთან ინტეგრაციის მნიშვნელოვან საფუძვლად შესაძლოა განვიხილოთ ნოვა ჰუტას მცხოვრებთა რელიგიურობა, რაც ტრადიციულად პოლონური ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი მაკონსტრუირებელი იყო. ბრძოლა ნოვა ჰუტას ჯვრისათვის შეიძლება იყოს ის საფუძველი, რომელშიც საერთო ინტერესი ჩნდება. ქრისტიანული სიმბოლოსათვის ბრძოლა ის თემაა, რომელსაც კრაკოვი მხარს აქტიურად დაუჭერდა. „კიდობანი“ ეკლესიის მშენებლობა გარდამტეხი მომენტი იყო ნოვა ჰუტას ხანმოკლე ისტორიაში. კრაკოველისათვის ამ ეკლესიის მონახულების სურვილი ნოვა ჰუტას ტერიტორიაზე სიმპტომატურ მოვლენად შეიძლება განვიხილოთ.

3. რომის პაპის, იოანე პავლე II-ის, პოლონური წარმომავლობა და მისი მხარდაჭერა ნოვა ჰუტას დასახლებისათვის: რომის პაპის ჩართულობა ნოვა ჰუტაში ეკლესიის

მშენებლობის ნებართვის მისაღებად და შემდგომი ბრძოლა მის განსახორციელებლად ასევე დიდ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებდა კრაკოვის სხვა უბნების მცხოვრებთა შორის. მისი ავტორიტეტი ასევე კარგ საერთო ნიადაგს ქმნიდა ძველი კრაკოვისა და ახალგაზრდა ნოვა ჰუტას ინტეგრაციისათვის.

4. თავისუფალი პროფკავშირების „სოლიდარობის“ მოძრაობის ტოტალურობა: სოლიდარობის მოძრაობა, შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთისათვის და მათ შორის ნოვა ჰუტა-კრაკოვისათვის მთავარი მაინტეგრირებელი სიმბოლოა. სწორედ ნოვა ჰუტას მეფოლადეთა კრიტიკულმა ჩართულობამ ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში მოიტანა სასურველი შედეგი არა მხოლოდ კრაკოვის, არამედ მთელი პოლონეთისათვის. სოლიდარობის საერთო-სახალხო მოძრაობის ავანგარდში ნოვა ჰუტას მოხვედრა ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდათ კრაკოველებს და გარკვეული გავლენაც უნდა მოეხდინა ინტეგრაციის პროცესზე.

5. საერთო ეროვნული ინტერესი: მთავარი მაინტეგრირებელი ქალაქის ძველ, ტრადიციულ და მის შედარებით ახალ ნაწილებს შორის არის ეროვნული იდეა. მათ საერთო უფრო მეტი აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთიანი ძალისხმევით მთავარი მოწინააღმდეგე დაამარცხეს. აღნიშნული თეზა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს დღესდღეობით, როდესაც ღირებულებებისა და შეხედულებათა გადაფასება ხდება.

6. ტურისტული პერსპექტივა: საერთო მომავალი და მისწრაფებების პირობებში, როდესაც საშუალო ნოვა ჰუტელის არჩევანი კრაკოვთან და მის წარსულთან იდენტი-

ფიცირებაა, იმავეს თქმა რთულია უკუშემთხვევაში, თუმცა კრაკოვი ნოვა ჰუტას მიღებით საკუთარი მრავალფეროვნების, განსხვავებულობის კომპლექსურობის და ღიაობის დადასტურებას შეძლებს. ამგვარი მიდგომა გააადვილებს ინტეგრაციის პროცესს. მაშინ, როცა კრაკოვი ტურიზმის თვალსაზრისით საოცრად მიმზიდველი ქალაქია, ნოვა ჰუტას ჩართვა ამ ტურისტულ ინდუსტრიაში სერიოზულ პერსპექტივებს ქმნის მისი მრავალმხრივობის წარმოსაჩენად.

7. ეკონომიკური ფაქტორი: ეკონომიკური ბალანსი, მიუხედავად იმისა, რომ ნოვა ჰუტას მშენებლობაში ეკონომიკური გათვლა ნაკლებად იყო ჩადებული და მისი მუშაობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ემსახურებოდა, 60-იან და განსაკუთრებით 70-იან წლებში ნოვა ჰუტას ლენინის სახელობის ფოლადის საამქრომ საოცარ მაჩვენებლებს მიაღწია. ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში, როცა მაღაზიების მომარაგება პირდაპირ მოსკოვის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული, ბუნებრივია ნოვა ჰუტა ბევრად უკეთესად მარაგდებოდა, ვიდრე კრაკოვი, რის გამოც კრაკოვის მცხოვრებლები ზოგ შემთხვევაში საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ნოვა ჰუტას მიაშურებდნენ. მაგრამ 90-იანი წლების შემდეგ, როცა მძიმე ინდუსტრიის წარმოება პრაქტიკულად გაჩერდა და შესაბამისად სამსახურები გაქრა, ნოვა ჰუტას მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დასასაქმებლად კრაკოვს მიმართა, რითაც თავის გატანა და გადარჩენა მოახერხა.

8. ტრამვაის ხაზი: ნოვა ჰუტას კრაკოვთან ტრამვაის ხაზით დაკავშირება მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა ყოფი-

ლიყო ქალაქის გასაერთიანებლად. რადგან ტრამვაი, როგორც ყველაზე ქალაქური ტრანსპორტი, კარგად შემოსაზღვრავს ქალაქის შემოგარენს. ნოვა ჰუტაში ტრამვაის პირველი ხაზი 1952 წელს გაიყვანეს, პრაქტიკულად მაშინვე, როცა იგი კრაკოვს მიუერთდა.

9. ეკოლოგიური საკითხები: ნოვა ჰუტას გაჩენის დროს ეკოლოგიური საკითხების განხილვა პრიორიტეტად არ მიიჩნეოდა და არც განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან გარემოს დაბინძურების საკითხი, კრაკოველების მხრიდან ნოვა ჰუტას ვერმიღების ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტია. ამავე დროს ნოვა ჰუტა არის ადგილი, სადაც საოცრად კარგად და უხვად არის გაშენებული ბაღები და მწვანე ზოლები. ხოლო ფართო ქუჩების წყალობით ქალაქის ამ ნაწილში პრაქტიკულად არ არის საცობები. ამ მიმართულებით აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2005 წელს კრაკოვის ისტორიის მუზეუმის ერთ-ერთ განშტოებად ჩამოყალიბდა ნუვა ჰუტას ეკომუზეუმი.

10. სიმბოლური მოდელები და მათი რეპრეზენტატულობა: ცალკე ფაქტორად უნდა განვიხილოთ სიმბოლოები და სტერეოტიპები, როგორც განსხვავებული რეალობის რეპრეზენტატორები. კონკრეტულ დროსა და სივრცეში შექმნილმა სიმბოლოებმა მთელი ევოლუცია განვლეს. ზოგიერთი სრულიად შეიცვალა, ზოგიერთმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა, ზოგიერთი, უბრალოდ, გაქრა. 90-იანი წლებიდან ნოვა ჰუტას ურბანულ სივრცეში ახალი სიმბოლოები გაჩნდა, რაც სწორედ ინტეგრაციისაკენ სწრაფვის ტენდენციაზე უნდა მიუთითებდეს.

11. რენესანსის სტილი: რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ნოვა ჰუტას ურბანული არქიტექტურული განლაგება და მისი ფორმები პარალელებს რენესანსის ეპოქის გამოსახულებებთან პოულობს. მაშინ, როცა კრაკოვისათვის რენესანსი, როგორც მოვლენა და ეტაპი, თვითგამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

12. მეხსიერების პოლიტიკა: ასევე ცალკე გამოსაყოფია მეხსიერების პოლიტიკა, რომელიც ნოვა ჰუტას სოციალისტურ მემკვიდრეობას ახალი ფორმით გვაწვდის და მის ერთგვარ ინტერპრეტირებას ახდენს. ნოვა ჰუტას წარსულისა და აწმყოს ამსახველი არაერთი ფოტოალბომი და გზამკვლევი გამოდის, მათ შორის აღსანიშნავია ნოვა ჰუტას ენციკლოპედია, სადაც განმარტებულია უბანთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენა, საგანი თუ საკითხი. მეხსიერების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი და მიმართულების მიმცემი იქნება სოციალიზმის მუზეუმი, რომელიც ბინას ნოვა ჰუტაში სოლიდარიზმის გამზირზე დაიდებს. აქვე შეიძლება განვიხილოთ მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, რომლებიც წარსული რეალობის ასახვის განსაკუთრებულ ხედვას გვთავაზობენ. წარსულის წარმოდგენა და მისი გააზრება ასევე შეიძლება კრაკოვისა და ნოვა ჰუტას მაინტეგრირებელ ფაქტორებად გავიხილოთ. ვინაიდან ინფორმაცია, მეხსიერება, რომელიც ნოვა ჰუტას გარშემო იქმნება, ის პროდუქტია, რომლის მომხმარებელი კრაკოვშიც მოიძებნება.

ნოვა ჰუტას მშენებლობის ადგილი და ისტორია

ქალაქი, თავისი არსით, ცენტრის იდეის ერთგვარი გამოვლინებაა, რომელიც ახალ ორიენტირებს ქმნის არსებულ ცენტრებსა თუ პერიფერიებთან მიმართებაში. ქალაქის მთავარი მარკერი სწორედ მისი ცენტრია, რომლის არსებობა აუცილებლად გულისხმობს ქალაქის მიმართებას პერიფერიებთან, რომლებზედაც უნდა დომინირებდეს ცენტრი. თავისთავად ქალაქი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ცენტრიც იყოს და პერიფერიაც სხვადასხვა მიმართებით, რასაც არსებითად ის კონტექსტი განსაზღვრავს, სადაც ის ოპერირებს. ტრადიციულად ქალაქები, მათი განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება დავყოთ მარადიულ და ისტორიულ ქალაქებად. მარადიული ქალაქისთვის შეიძლება გამოიყოს ორი დონე – საკაცობრიო და ეროვნული. მარადიულობის სტატუსს ქალაქები განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის გამო იძენენ ისტორიული დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. თუმცა არსებობენ ქალაქები, რომლებიც რამდენადმე აღწევენ თავს დროის განსაზღვრულობას და „მარადიულები“ ხდებიან მთლიანად კაცობრიობისათვის ან ამა თუ იმ ხალხისათვის. ემბლემატური ქალაქი შეიძლება იყოს რომელიმე ქვეყნის ან იმპერიის დედაქალაქი, რომელმაც მოახერხა ინტელექტუალური პოტენციალის მობილიზება და მისი რეალიზებით შექმნა მნიშვნელოვანი სიახლე ან ეტაპი ქვეყნის (შესაძლოა კაცობრიობის) ისტორიაში. დედაქალაქის სტატუსი ქალაქისათვის უკვე

ნიშნავს მისი განსაკუთრებულობის ხაზგასმას, თუმცა ემბლემატურობისთვის მხოლოდ ეს საკმარისი არ უნდა იყოს. ემბლემატური ქალაქის ფუნქცია მაინც სიმბოლოებისა და ღირებულებების მოდელების შექმნაა. მარადიული ქალაქები ქმნიან მარადიულ ღირებულებებს, რომლებიც სცილდება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ინტერესებსა თუ მოთხოვნილებებს და დანარჩენი მსოფლიოსათვისაც აქტუალური ხდება. მარადიული ქალაქის ფუნქცია ეროვნულ დონეზე გულისხმობს სიმბოლოების გაერთიანებას მთელი ერისათვის და მისი კონსოლიდაციით ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას.

კრაკოვმა, იმის მიუხედავად, რომ იგი პოლონეთის არც პირველი და არც უკანასკნელი დედაქალაქი არ ყოფილა, მოახერხა, პოლონეთისათვის ემბლემატური ქალაქი გამხდარიყო. კრაკოვი პოლონეთის დედაქალაქი მხოლოდ 1038 წლიდან 1596 წლამდე იყო. თუმცა იგი სხვადასხვა დროს ამა თუ იმ ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური ერთეულის ცენტრად მაინც რჩებოდა. დღეს იგი პოლონეთის ერთ-ერთი რეგიონის, მალოპოლსკას, ცენტრალური ქალაქია. კრაკოვის ცენტრი, 1978 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული და ყოველწლიურად დაახლოებით 2 000 000-მდე მნახველს მასპინძლობს. ქალაქ კრაკოვში შემონახულია ყველა ის სიმდიდრე და ღირებულება, რომელთა გარეშეც პოლონეთი საკუთარ იდენტობას ვერ შექმნიდა და წარმოაჩენდა დანარჩენი მსოფლიოს წინაშე. ვაველის კათედრალური ტაძარი კარგი მაგალითია იმ აკუმულირებული ღირებულებებისა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაგროვდა პოლონეთში. ხოლო მასზე

მიშენებული სალოცავები ვიზუალურად ასახავს იმ ზოგად ტენდენციას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა დროში ცალკეული მმართველები, ცდილობდნენ საკუთარი კვალი დაეტოვებინათ მასზე და გარკვეული წვლილი შეეტანათ კათედრალური ტაძრის შემკობაში. ამ ტაძარში ტრადიციულად მიმდინარეობდა მეფეთა ხელდასხმა, მათი კურთხევა და ქორწინებები. დღეისათვის ტაძარში აურაცხელი ოდენობით სხვადასხვა სახის სიწმინდე და სიმდიდრეა დაცული, აქვე არიან დაკრძალული პოლონეთისათვის გამორჩეული და თავდადებული მმართველები და გმირები. ტრადიცია გამორჩეული მამულიშვილების კრაკოვში დაკრძალვისა, დედაქალაქის ვარშავაში გადატანის შემდგომაც გაგრძელდა. აქაა დაკრძალული XX საუკუნის გამოჩენილი პოლონელი მოღვაწე იოსეფ პისუცკიც.

განათლების კერა: ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ქალაქის ეკონომიკურმა დაწინაურებამ გააჩინა განათლებული კლასის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ქალაქისათვის მყარი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე იზრუნებდა. პოლონეთის მეფემ კაზიმირ III დიდმა, რომის პაპის ურბან V-საგან გამოითხოვა ნებართვა კრაკოვის აკადემიის შესაქმნელად. მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით 1364 წელს პოლონეთის მაშინდელ დედაქალაქში ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, ხოლო ცენტრალურ ევროპაში რიგით მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა ქალაქის ინტელექტუალური საფუძველი. სასწავლებელში სამეფო ხაზინიდან ფინანსდებოდნენ სამეცნიერო დარგის მოღვაწეები: ერთი წარმომადგენელი თავისუფალ ხელოვნებაში, ორი – მედიცინაში, სამი – სამართალში

და ხუთი – რომის სამართალში. უნივერსიტეტის ძირითადი დაფინანსების წყაროს ვილიჩკას მარილის საბადო წარმოადგენდა, რომელიც პირდაპირ მეფის დაქვემდებარების ქვეშ იყო მოქცეული. უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ქალაქის ცხოვრებაში მიუთითებს სხვა მონარქების განსაკუთრებული ზრუნვა და მატერიალური შეწევნა.

1400 წლიდან ხელახლა ააღორძინეს კრაკოვის უნივერსიტეტი პოლონეთის მონარქმა ვლადისლავ იაგელომ და მისმა მეუღლემ, იადვიგამ. დედოფალმა მთელი თავისი სამკაულები შესწირა უნივერსიტეტის გაძლიერებას, რის გამოც მათ პატივსაცემად უნივერისტეტს იაგელონიის სახელი ეწოდა. იაგელონიის უნივერსიტეტის ტრადიცია პირდაპირაა დაკავშირებული ქალაქის განვითარებასთან, რითაც მისი ისტორიისა და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. ქალაქი კრაკოვი და სრულიად პოლონეთი ამაყობს გამოჩენილი ადამიანებით, რომელთა სახელებიც მათ აღმოჩენებთან ერთად იაგელონიის უნივერსიტეტს დაუკავშირდა (ამის გამორჩეული მაგალითია ნიკოლაუ კოპერნიკი 1473-1543), ჰელიოცენტრული თეორიის ავტორი, რომელმაც განათლება სწორედ იაგელონიის უნივერსიტეტში მიიღო). უნივერსიტეტის პროფესორები და მისი კურსდამთავრებულები ტრადიციულად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნისა და ქალაქის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ მის განვითარებასა და ზოგად ბედსა თუ უბედობაზე.

XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსკენ პოლონეთისთვის ემბლემატური კრაკოვის მახლობლად სოცია-

ლისტური ქალაქის, ნოვა ჰუტას, მშენებლობის მიზეზებისა და მოტივების ძიება ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. მისი ახსნა, გაგება ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ კრაკოვის ისტორიასა და მის თავისებურებასთან მჭიდრო კავშირშია შესაძლებელი. ნოვა ჰუტას მშენებლობის პროექტი პირდაპირ ასახავს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებსა და ტენდენციებს, რომელებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაჩნდა პოლონეთში ახალ მსოფლიო რეალობასთან ერთად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ II მსოფლიო ომის დასრულებას პოლონეთი უმძიმესი შედეგებით შეხვდა: დაბომბილი ქალაქები, განადგურებული ინფრასტრუქტურა, დანგრეული ეკონომიკა, მძიმე სოციალური და მორალური მდგომარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოტყუებულობის განცდა, რომ იგი სოციალიზმისათვის გაწირეს, რითაც ტრადიციულ ევროპულ ოჯახს მოსწყვიტეს.

> „მათ ევროპისგან მიტოვებულად, გაყიდულად და ევროპული ცივილიზაციისგან მოწყვეტილად იგრძნეს თავი“[1].

იალტის შეხვედრაზე, 1945 წლის თებერვალში მსოფლიოს მაშინდელმა ლიდერებმა ფრანკლინ რუზველტმა, უინსტონ ჩერჩილმა და იოსებ სტალინმა გავლენის სფერო-

---

[1] *Mach Z., Polish National Culture and Its Shifting Centre's, Krakow, Centre for European Studies, Jagellonian University, accessed 06.06.17; available from http://www.humanityinaction.org/files/278-Polish-National-Culture-and-its-Shifting-Centres.pdf, p. 4. 2000,*

ები გაიყვეს, საერთო შეთანხმების მიხედვით: პოლონეთი სოციალისტურ ბლოკში აღმოჩნდა. პოლონეთისათვის ახალი სისტემისა და რეალობის ავტორიც მისი ისტორიული მტერი, ამჯერად საბჭოთა კავშირი, (რუსეთის დომინაციით) მოგვევლინა. პოლონელები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის ყველა სიმწარე გადაიტანეს ფაშიზმით დაწყებული, ახლა კიდევ უფრო იმედგაცრუებულად გრძნობდნენ თავს, რადგან ევროპისგან რკინის ფარდით გამოყვეს.

> „პოლონელები სასტიკად იმედგაცრუებულნი დარჩნენ, როდესაც მათ დახმარება ვერ მიიღეს 1939 წელს ფაშისტების და მოგვიანებით საბჭოთა კავშირის თავდასხმის დროს. როცა იალტაში დასავლეთმა პოლონეთი საბჭოთა გავლენის სივრცედ ცნო.“[1]

ეს იყოს პოლონელების ევროპისაკენ სწრაფვის ერთგვარი ჩახშობა, ვინაიდან პოლონელებისათვის იდენტობის ერთ-ერთი ისტორიული მარკერი სწორედ ევროპული ოჯახისადმი კუთვნილება იყო. პოლონელებს საკუთარი თავი დასავლურ ევროპულ ერად მიაჩნიათ. ეს იდეა, ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია მათი ნაციონალური იდენტობის ფორმირებისათვის.

ნოვა ჰუტა, კრაკოვისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლონეთისათვის, კომუნისტური რეჟიმის ერთგვარ „საჩუქარსა“ თუ „სასჯელს“ წარმოადგენდა მარშალის

---

[1] *Mach Z., Polish National Culture and Its Shifting Centre's, Krakow, Centre for European Studies, Jagellonian University, accessed 06.06.17; available from http://www.humanityinaction.org/files/278-Polish-National-Culture-and-its-Shifting-Centres.pdf, p. 5. 2000,*

გეგმის საწინააღმდეგოდ. საჩუქარი, პოლონეთმა და მისმა საამაყო კრაკოვმა, რომელიც მიიღო დაუპატიჟებელი სტუმრისგან იმ სისტემას დაუკავშირდა, რომელიც ვერასდროს იგრძნობდა თავს „შინ“. შესაბამისად, ნოვა ჰუტას გათავისება დღემდე პრობლემას წარმოადგენს კრაკოვისა და მთლიანად პოლონური საზოგადოებისათვის. რაც შეეხება მარშალის გეგმას, რომელიც ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვარ საჩუქარსა თუ დახმარებას წარმოადგენდა ევროპისათვის, პოლონეთს მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. მარშალის გეგმა ომგამოვლილი ევროპის რეკონსტრუქციას გულისხმობდა და ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი მდივნის ჯორჯ მარშალის სახელს ატარებდა. ბუნებრივია, სტალინმა შტატების გეგმა დაიწუნა და 1947 წლის ივნისში მის განხილვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მარშალის გეგმა საბჭოთა რეჟიმის მიერ განიხილებოდა როგორც შეერთებული შტატების ანტიკომუნისტური აქციის ნაწილი.

ნოვა ჰუტას გენეზისი: ნოვა ჰუტას სახელი და მისი აშენების იდეა პირველად, საჯაროდ, 1946 წელს გაჟღერდა და ფოლადის ინდუსტრიის ცენტრალური საბჭოს დოკუმენტაციაში დაფიქსირდა. თუმცა, კომუნისტურმა მთავრობამ გადაწყვეტილება ნოვა ჰუტას ფოლადის მუშათა ქალაქის მშენებლობის შესახებ 1947 წლის 17 მაისს მიიღო. მათი წარმოდგენით კომუნიზმის მშენებლობისათვის მძიმე ინდუსტრიის მუშათა კლასის შექმნა აუცილებელი იყო ქვეყნისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით მაშინდელი პრეზიდენტი ბოლესლავ ბეირუთი მოსკოვში ჩამოვიდა. მან პროექტის განსახორციელებლად დიდძალი „სესხი“ უკან

დაბრუნების ვალდებულების გარეშე მიიღო. აქვე ჰყვებიან ამბავს სტალინის პირად დამოკიდებულებაზე ნოვა ჰუტას მშენებლობის შესახებ, როდესაც მან გამომწვევად ჰკითხა ბეირუთს, ესმოდა თუ არა ამ პროექტის მნიშვნელობა და სიდიადე? თანხმობის მიღების შემდგომ სტალინი მიბრუნებია ბერიას და უთქვამს, რომ მას არაფერიც არ ესმოდა. აღნიშნული ისტორია, რომლის ნამდვილობასა და სიზუსტეს ვერავინ დაადასტურებს ან უარყოფს, საინტერესოდ მიუთითებს ბელადის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე სოციალისტური ქალაქის მშენებლობის მიმართ.

> „გოლიათი ნოვა ჰუტა უნდა ქცეულიყო ახალი პოლონეთისა და კომუნისტური ეკონომიკის ნიმუშად, რომელიც 1892 წელს გამოქვეყნებული კომუნისტური მანიფესტის პოსტულატებს პასუხობდა. ამ ნაშრომის პოლონური თარგმანის გამოცემაში ვკითხულობთ: „მძიმე ინდუსტრიის განვითარება მოცემულ ქვეყანაში მოემსახურება განმანათლებლობასა და შრომითი კლასის პოზიციების გაძლიერებას საზოგადოებაში.“[1]

სასჯელი: ომის შემდგომ მსოფლიოში და მათ შორის პოლონეთში ფოლადის წარმოების მნიშვნელოვნების წარმოჩენა გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, თუმცა კრაკოვთან მისი დაკავშირება მაინც გაუგებარი რჩება. ეკონომიკური თვალსაზრისით გაუგებარი გადაწყვეტილება მხო-

---

[1] *Crowley D., Building the world anew: design in Stalinist and post-Stalinist Poland. Journal of Design History, Vol 7, No 3, 1994, გვ. 12.*

ლოდ პოლიტიკური მოტივით შეიძლება ავხსნათ. კრაკოვი უნდა „დაისაჯოს“ იმის გამო, რომ ნაკლებად სჯერა სოციალიზმის მშენებლობისა და როდესაც მის მახლობლად მეფოლადე მუშათა ქალაქი გაშენდება, კრაკოვი თავის აქტუალობას დაკარგავს, შესაბამისად, ცენტრის ფუნქციასაც. კრაკოვთან კონფლიქტი და შეუთავსებლობა უკვე ჩადებული იყო ნოვა ჰუტას მშენებლობის იდეაში. „კრაკოვი აღიქმებოდა, როგორც ქალაქი სოციალისტური ტრადიციის გარეშე, ფესვგადგმული ბურჟუაზიული, კულტურული და ინტელექტუალური წრეებით[1] უამრავი ადმიანის მტკიცებით, ნოვა ჰუტა წარმოადგენდა სასჯელს, რეგიონის სუსტი მონაწილეობისათვის 1946 წლის რეფერენდუმში. დასაწყისიდანვე კრაკოვსა და მის უმცროს დას შორის ანტაგონიზმი ჩამოვარდა“[2] როგორც უკვე აღინიშნა, ნოვა ჰუტას განხორციელების პროექტი დაკავშირებულია პოლონეთში ომის შემდგომ ვითარებასთან, რომელიც ახალი სამყაროს მშენებლობის იდეით იყო გაჯერებული და მოცული. ამ იდეის რეპრეზენტატულობისათვის აუცილებელი იყო მშენებლობის გაჩაღება. ვინაიდან მეორე მსოფლიო ომში კრაკოვი დაბომბვას გადაურჩა, შესაბამისად, მას თავიდან ვეღარ ააშენებდნენ. ხოლო კომუნისტებისათვის მშენებლობა უბრალო მეტაფორაზე მეტი იყო, მათ სჭირ-

---

[1] *Carter F., Trade and Urban Development in Poland: an Economic Geography of Cracow from its Origins to 1795. Cambridge: Cambridge University Press, 1994.*

[2] *Stenning A., “Solidarity“, solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ. 100-101.*

დებოდათ ე. წ. სამშენებლო სცენა, სადაც „მაყურებლებს“ შესთავაზებდნენ თავიანთ ხელოვნებას მშენებლობაში. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სოციალისტურ ბანაკში მოხვედრილი ხალხი, რომ ახალ სამყაროს აშენებდნენ როგორც ფიზიკურად, ასევე იდეურად. ამდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის აუცილებელი იყო კონკრეტული სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, რომლებიც მათ ესთეტიკასა და მსოფლმხედველობას შეესაბამებოდა. რადგან მათ არ მიუწვდებოდათ ხელი კრაკოვზე, რომ განეახლებინათ და ახალი სული შთაებერად პოლონეთის სათაყვანებელი კრაკოვისთვის ერთგვარი აუცილებლობა შეიქმნა, მის მახლობლად მაინც აეშენებინათ სოციალისტური ფოლადის მუშათა ქალაქი. ნოვა ჰუტას გენეზისის შესაძლო ვერსიებიდან ყველაზე გავრცელებული, 1946 წლის რეფერენდუმს უკავშირდება და იგი კრაკოვის დასჯის ფორმად განიხილება. კრაკოვის მახლობლად სოციალისტური ქალაქის აშენება დროში ნამდვილად ემთხვევა კომუნისტების მიერ 1946 წელს ჩატარებულ ფორმალურ რეფერენდუმს, რომლის საშუალებითაც საბჭოთა კავშირი შეეცადა ძალაუფლების ლეგიტიმაციას პოლონეთში. ბუნებრივია რეფერენდუმი გათამაშებული სპექტაკლი იყო, თუმცა მან მაინც აჩვენა მოსახლეობის განწყობები. ამ რეფერენდუმში გამოიკვეთა ინტელექტუალური კრაკოვის ნეგატიური დამოკიდებულება, მინიმალური ტოლერანტობა სოციალისტური რეჟიმის მიმართ. პოლიტიკური სისტემისათვის კრაკოვის ბურჟუაზიულ-რეაქციონისტული განწყობა არასასურველ კლიმატს ქმნიდა ახალფეხმოკიდებული სოციალიზმისათვის პოლონეთში. კომუნისტებისათვის აშკარა

იყი კრაკოვის, როგორც საშიში სოციალური სივრცის, განეიტრალების აუცილებლობა. ამისათვის საჭირო იყო მისი ალტერნატივის შექმნა მის მახლობლად, რომელიც მას დაუპირისპირდებოდა, მასზე დომინირებას მოახდენდა და საბოლოოდ გადაფარავდა. ყოველივეს გათვალისწინებით ნოვა ჰუტას მშენებლობის გადაწყვეტილება კრაკოვის დასასჯელად გადადგმულ ნაბიჯად იქნა აღქმული. ანტიკრაკოვის შექმნა ეს ადვილი ამოცანა არ იყო, თუმცა, ამ ამბიციური პროექტის განხორციელებას რეჟიმი მაინც შეეცადა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ნოვა ჰუტა, როგორც დამოუკიდებელი, მეფოლადე მუშათა გამაერთიანებელი ქალაქი თვითკმარი ორგანიზმი იყო, 1951 წელს იგი კრაკოვის ნაწილად გამოცხადდა და მის შემადგენლობაში მოექცა. არასასურველი „საჩუქარი“ კრაკოვმა ნამდვილ სასჯელად აღიქვა და დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლო მისი მიღება და გათავისება. ნოვა ჰუტა კრაკოვის უმცროს დადაც მოინათლა, თუმცა კრაკოვთან ინტეგრაციისათვის უფრო მეტი ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება გამოჩენილიყო, რამაც ეს პროცესი განუსაზღვრელი ვადით გადასწია ქალაქის ძველ და ახალ ნაწილებს შორის.

მშენებლობისა და სიახლის მეტაფორა: ნოვა ჰუტას ამბიციურ გეგმებში შედიოდა ხალხისათვის უამრავი სამუშაო ადგილის შექმნა, ასევე საცხოვრებელი სახლების აშენება, ნათელი მომავლისკენ სწრაფვა და იმის შეგრძნების ჩამოყალიბება, რომ მუშათა კლასი წამოადგენს საზოგადოების მამოძრავებელ ძალას და რომ სწორედ მათ შრომაზეა ძირითადად დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და მომა-

ვალი. ამის გათვალისწინებით ნოვა ჰუტასადმი ინტერესი და მოლოდინი საოცრად დიდი იყო ომისგან გამოფიტულ პოლონეთში. სამუშაოსა და თავშესაფრის მაძიებელ ადამიანებს პირდაპირ ამქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდებოდა.

სოციალიზმის მშენებლობა: დანარჩენი კაპიტალისტური სამყაროსგან განსხვავებით, პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობა დაიწყო. ზოგადად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური სისტემების ბუნება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „კოლექტიური ცენტრალიზმი“.[1] სოციალიზმის მშენებლობისათვის მთავარი მახასიათებელი ახალი სოციალისტური რეალობის შექმნა იყო, რომელიც ახალ ეკონომიკაში ახალი პრიორიტეტების დასახვას გულისხმობდა, როგორებიცაა მძიმე ინდუსტრიის განვითარება, სახელმწიფო კონტროლის წარმოება სამომხმარებლო პროდუქტებზე, მუშათა კლასის შექმნა და მათი წარმმართველობის დემონსტრირება და სხვ... ზოგიერთი ისტორიკოსის შეფასებით, ომის შემდგომი პერიოდი პოლონეთის ისტორიაში გამოირჩევა სიმარტივით, გართულებებისა და წინააღმდეგობის გარეშე საბჭოთა კავშირის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ესაა ცენტრის ურთიერთობის ისტორია მოსკოვის მიერ არჩეულ და მართულ პირებთან, რომლებიც მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში მიმდინარეობდა. სოციალიზმის მშენებლობის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ ნოვა ჰუტაც, რომელიც ჯერ კიდევ მაშინდელმა მედიამ მოიხსენია პირველ სოცია-

[1] *Sowa J., Unexpected Twist to Ideology, Praktika Teoretyczna, 2012:21.*

ლისტურ ქალაქად, რომელსაც ახალგაზრდები ახალი მომავლის იმედით უნდა მიეზიდა.[1]

ნოვა ჰუტას, როგორც მოვლენას, ვერ განიხილავ, როგორც ერთჯერად აქტს, რომელიც ისტორიულ დროში შეიქმნა და დასრულდა. მისი გავლენა, როგორც სოციალური სივრცისა, დღესაც დიდია და სხვადასხვა სტერეოტიპი თუ ეპითეტი მიეწერება. მის მშენებლობაში ჩადებულია წინააღმდეგობა, სარკაზმი, მონდომება, ენერგია, იმედები, სიყალბე, გულუბრყვილობა, სიამაყე და იმედგაცრუებაც. ნოვა ჰუტა შეიძლევა დავინახოთ არა როგორც სისტემის მახასიათებელი, არამედ მის მიერ განხორციელებული ცვლილებების ერთგვარი კარიკატურა.[2]

ნოვა ჰუტა კომუნისტურმა სისტემამ შექმნა, როგორც ახალი ცენტრი, რომელიც ხალხისთვის მაორიენტირებელი გახდებოდა. ცენტრი, რომელიც უკვე არსებულს აქტუალობას დაუკარგავდა და მის მნიშვნელობას დაამცრობდა. ამისათვის ძალიან მოსახერხებელი იყო ცარიელ, სუფთა ადგილზე ამბიციური პროექტის განხორციელება. ასეთ ადგილად მათ კრაკოვის მახლობლად სოფლების აგრარული დანიშნულების ტერიტორია შეარჩიეს. ადგილის განსაზღვრა და შერჩევა არსებითია ქალაქის ფუნქციისა და

---

1 *Stenning A., "Solidarity", solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ. 99.*

2 *Stenning A., "Solidarity", solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ. 99.*

მნიშვნელობის გასაგებად. ნოვა ჰუტას შემთხვევაში ცარიელ ადგილზე მშენებლობის დაწყება ორმაგ დატვირთვას იძენდა. ერთი, რომ ახალი მშენებლობისათვის მეტი შესაძლებლობები იყო, რადგან არ სჭირდებოდათ არსებულის გადაკეთება ან ახალი პროექტის მასზე მორგება, ხოლო, მეორე მხრივ, ეს იყო სიმბოლო მშენებლობისა, ურბანული სივრცის შექმნისა ჩამორჩენილ აგრარულ სექტორში, მასში „ცივილიზაციის“ შეტანა.

ნოვა ჰუტას აშენების გეგმა 1949 წლის 23 ივნისს გაცხადდა, მაშინ, როცა დეტალური გეგმა-პროექტი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მთავრობამ გეგმა მხოლოდ 1952 წელს დაამტკიცა. საცხოვრებელი სახლების განლაგება სამეზობლო გაერთიანების კონცეფციაზე იყო დამყარებული, რომლის იდეაც ამერიკელ სოციოლოგს, კლარენს არტურ პერის, ეკუთვნის (1920). მთელი იდეა ამ ტიპის დასახლებისა თვითკმარი კომუნის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. მაცხოვრებლები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული არა მხოლოდ საცხოვრებლით, არამედ სარგებლობენ საერთო სოციალური ინსტიტუციებით, საბავშვო ბაღი, სკოლა, მაღაზია, საპარიკმახერო და ა.შ. თუმცა აღსანიშნავია ფაქტი, რომ ამ პროექტებში ბუნებრივად არ ფიგურირებდა ეკლესია, რადგან მისთვის სოციალისტურ ქალაქში ადგილი არც უნდა ყოფილიყო. თითოეული ასეთი სამეზობლო უბანი შემოსაზღვრული იყო მწვანე ზოლით და ცენტრალური ქუჩით მთავარ მოედანსაც უკავშირდებოდა. პროექტი დაახლოებით 100 000 მცხოვრებზე იყო გათვლილი და შესაბამისად ცენტრთან დაკავშირებულ 5 უბანს მოიცავს, რომლებიც არასრულ წრეს ქმნიდნენ მთავარ მოედანზე.

ნოვა ჰუტას ცენტრალური მოედანი სოციალისტური რეალიზმის მწვერვალად მიიჩნევა პოლონეთში. ამ ნაწილის მშენებლობა 1952-56 წლებში მიმდინარეობდა და დღემდე დასრულებული სახით არაა წარმოდგენილი. ამ ადგილის დიზაინი გამოჩენილ არქიტექტორს, იანუშ ინგარდენს, ეკუთვნის. მთლიანობაში პროექტზე პოლონელი სახელგანთქმული არქიტექტორების მთელი ჯგუფი მუშაობდა თადეუშ პტაშიცკის ხელმძღვანელობით.

ნოვა ჰუტას მშენებლობის პროექტი ხალხს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იზიდავდა, მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომელთაც არც პროფესია და არც მშენებლობაზე მუშაობის გამოცდილება არ გააჩნდათ. მათ იქვე ასწავლიდნენ რა და როგორ გაეკეთებინათ. 1949 წლის 23 ივნისს მშენებლობა დაიწყო. პირველად აშენებულ კორპუსებში კარგად ჩანს მშენებლების გამოუცდელობა. ნოვა ჰუტას მშენებლობის პროცესი შეჯიბრებასა და აგურების დალაგებაში რეკორდების მოხსნის ფონზე მიმდინარეობდა. მაგ. პიოტრ ოჯანსკიმ 1950 წლის 22 ივლისს სამუშაო ნორმა 525.5% გადაჭარბებით შეასრულა. ერთ სამუშაო დღეში მან 34.728 აგური დაალაგა. სტახანოველების შექმნა სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. ნოვა ჰუტას მშენებლობა და აგურების ერთ-ერთი დამწყობი გმირის ისტორია ანჯეი ვაიდამ გენიალურად ასახა თავის ფილმში „მარმარილოს კაცი“. გმირების შექმნა პროპაგანდისტული მანქანის მთავარი საქმე იყო, რომელიც ადამიანების ბედით მანიპულირებდა და როდესაც აღარ დასჭირდებოდა, უმოწყალოდ ივიწყებდა და მიტოვებულობის განცდისთვის იმეტებდა.

ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ნოვა ჰუტას ადრეულ ისტორიაში არის 1954 წლის 22 ივლისს ფოლადის პირველი ღუმელის ექსპლუატაციაში შესვლა. ამავე წელს შესრულდა 30 წელი დიდი ბელადის, ლენინის, გარდაცვალებიდან, რომლის პატივსაცემად ჰუტას (მეტალურგიულ საამქროს) მისი სახელი ეწოდა. საინტერესოა, რომ ლენინი გარკვეულად დაკავშირებული იყო კრაკოვთან და ნოვა ჰუტას ტერიტორიასთანაც. პირად ჩანაწერებში სიმპათიითაა განწყობილი ფეხშიშველა და ფერად კაბებში გამოწყობილი ქალების მიმართ, რომლებიც ასე განსხვავდებიან „საშინელი“ პარიზელებისგან. მისი სახელის გაჟღერების შემდგომ 1960 წლისთვის, ლენინის ძეგლი ვარდების ცენტრალურ გამზირზეც გამოჩნდა, რაც სოციალიზმის განვითარების ახალ ეტაპზე მიუთითებდა კრაკოვის ერთ-ერთ ნაწილში.

სოლიდარობის მოძრაობა, ნოვა ჰუტა და კონტექსტები

სოლიდარობის მოძრაობა პოლონეთის უახლოეს ისტორიაში აბსოლუტურად დომინანტური მოვლენაა, შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთის უახლესი ისტორია 70-იანი წლებიდან 90-იანი წლების ბოლომდე პირდაპირ იმეორებს სოლიდარობის მოძრაობის ისტორიას. სოლიდარობა, როგორც ორგანიზებული მოძრაობა ოფიციალურად 80-იანი წლების დასაწყისში ჩნდება და მკვიდრდება, როგორც საყოველთაო სახალხო მოძრაობა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. საპროტესტო გამოსვლები ქალაქ გდანსკში დაიწყო. 1980 წლის 17 აგვისტოს საგაფიცვო კომიტეტმა 21-პუნქტიანი მოთხოვნა გამოაკრა.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნათა უმრავლესობა სოციალური ხასიათისა იყო, მთლიანობაში ეს აქცია უფრო პოლიტიკურს ჰგავდა. სოლიდარობა, როგორც სავაჭრო კავშირი, კომუნისტური პარტიისგან დამოუკიდებელი, უნდა ყოფილიყო, რაც სოციალისტური რეჟიმისთვის სერიოზული სიგნალი იქნებოდა. „სოლიდარობის მოძრაობის მიერ წამოყენებული მოთხოვნები და მათი ქმედებები, გვაფიქრებინებს, რომ იგი ვერასდროს განვითარდებოდა ტრადიციული პროფკავშირების გზით, რომელიც მშრომელთა ინტერესებს სამუშაო ადგილზე იცავს“.[1] გაფიცვებისა და გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნას მთავრობამ 1981

[1] *Stenning A., “Solidarity“, solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ.2.*

წლის 13 დეკემბერს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით უპასუხა. აღნიშნულმა ღონისძიებამ პროტესტი უფრო გააღრმავა. სოლიდარობის მოძრაობამ კი უფრო გააძლიერა მუშაობა და წინააღმდეგობის გაწევის ახალი ფორმები გამონახა. ერთ-ერთი ასეთი იყო მიწისქვეშა საფოსტო მარკების ბეჭდვა და მათი გავრცელება. გამოხატვის ეს ალტერნატიული საშუალება ლაკონიური და კომპაქტური ფორმით ისტორიის ახალ ნარატივს ქმნიდა.

> „საფოსტო მარკების სერია პოლონეთის ალტერნატიულ ისტორიას წარმოადგენს, სადაც სოლიდარობის მოძრაობა ოფიციალური ისტორიის საწინააღმდეგოდ თავსდება, რომელსაც ისტორიის შექმნის ექსკლუზიური უფლების მქონე კომუნისტური პარტია ადგენდა.“[1]

საფოსტო მარკები, არა მხოლოდ მოგვითხრობენ ისტორიას, ისინი უპირისპირდებიან ისტორიის ოფიციალურ ვერსიასა და ახალ წარმოდგენებს ქმნიან, რისთვისაც გამოხატვის სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ: 1) სატირული სახე, რომლის საშუალებითაც, მთავრობის ენას აბსურდულად წარმოაჩენდნენ და მის ავტორიტარულობაზე უთითებდნენ; 2) ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი დისკურსი, რომელიც ეროვნული ისტორიითა და თვითგანსაზღვრითაა გამოხატული; 3) ენის, სიტყვის გარდაქმნა

---

[1] *Evans S. K., The Argument of Images: Historical Representation in Solidarity Underground Postage, 1981- 87, American Ethnologist, Vol. 19, No. 4, Imagining Identities: Nation, Culture, and the Past, November, 1992, გვ. 749.*

ნახატად, რომლის საფუძველიც სიმართლე იყო, აქ სოლიდარობა ცდილობდა გამოჩენილიყო, როგორც სიმართლის მფლობელი და ენა გამოეყენებინა, როგორც იდეოლოგიური ბაზისი. მათი მცდელობა ახალი ხატების შექმნისკენ იყო მიმართული, რომლებიც ტრადიციულ ისტორიულ მისწრაფებებს გამოხატავდა და არსებულ რეჟიმს უპირისპირდებოდა.

> „ისინი სოლიდარობის მოძრაობას პოლონეთის მმართველთა მემკვიდრეებად განიხილავდნენ. ამგვარი ისტორია უფრო მეტს აკეთებდა, ვიდრე რეჟიმთან უბრალო დაპირისპირებაა. მათი მცდელობა იყო წარმოსახვითი საზოგადოება, „პოლონეთი“ შეექმნათ.“[1]

მიწისქვეშა სოლიდარობის მიერ დაახლოებით 3000 განსხვავებული ტიპის მარკა შეიქმნა. მათ შორის განუსაზღვრელად დიდი ადგილი კატინის ტრაგედიის თემას უჭირავს. ცალკეული ნიმუშები პოლონეთის ისტორიის შინაარსსა და მნიშვნელობას ორიგინალური ფორმით გადმოგვცემს.

მოძრაობამ პოლონეთის უახლესი პერიოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ, გლობალურ დონეზეც. სოლიდარობის მოძრაობის მიერ მიღებული შედეგები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას დაემთხვა. სოლიდარობის მოძრაო-

---

[1] *Evans S. K., The Argument of Images: Historical Representation in Solidarity Underground Postage, 1981- 87, American Ethnologist, Vol. 19, No. 4, Imagining Identities: Nation, Culture, and the Past, November, 1992, გვ. 750.*

ბამ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ლომის წილი იქონია საბჭოთა კავშირის დაშლაში. მან დიდი გავლენა მოახდინა სოციალისტურ ბლოკში შემავალ ქვეყნებზე (მათ შორის საბჭოთა კავშირის ქვეყნებზეც). გავლენა გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სიმბოლოებისა და სახელების განმეორებაში, მაგ. საქართველოში ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია 1990 მაისში ქმნის ბლოკს „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო", რაც პირდაპირ იმეორებს პოლონეთის „მრგვალი მაგიდის შეხვედრის" დასახელებას. სოლიდარობის მოძრაობის პოპულარობა მსოფლიოში განსაკუთრებით მაღალი იყო და დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ანჯეი ვაიდას ფილმმა „რკინის კაცი", 1981 წელს კანის კინოფესტივალზე მთავარი ჯილდო, „ოქროს პალმა", დაიმსახურა. ფილმში მოთხრობილია გდანსკში მიმდინარე მოვლენები, სოლიდარობის მოძრაობის გენეზისი, რაც 1981 წელს ცნობილი ხელშეკრულებით დასრულდა. შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ კანის კინოფესტივალის ტრიუმფატორი ფილმი „მარმარილოს კაცის" (1976) გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის მოქმედება ნოვა ჰუტაში ვითარდება. მარმარილოს კაცი ერთი ჩვეულებრივი პიროვნება იყო, რომელიც სისტემის პროპაგანდისტულმა მანქანამ გმირად აქცია, შემდგომ კი უმოწყალოდ გაიმეტა დავიწყებისთვის. განაწყენებული გმირი იწყებს ბრძოლას სიმართლისათვის და სისტემას ეჯახება. იგი სისტემასთან ბრძოლას ეწირება, თუმცა მის საქმიანობას მისი შვილი, რკინის კაცი, აგრძელებს და წარმატებასაც აღწევს. ფილმში „რკინის კაცი" რეალური პიროვნებები, მათ შორის ლეხ ვალენსაც, ჩნდება.

ის ფაქტი, რომ მოძრაობის ლიდერმა, ლეხ ვალენსამ, 1983 წელს, მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო, მოძრაობის მნიშვნელობასა და მისდამი დასავლეთის ღია მხარდაჭერაზე მიუთითებს. სოლიდარობის მოძრაობამ და მისმა ლიდერებმა პოლიტიკური მიზანდასახულობით, მოლოდინებით, წარმატებებით, იმედგაცრუებებით, გაუცხოებითა თუ ღირებულებების გადაფასებებით დიდი გზა განვლეს. მოძრაობა, რომელიც პოლონეთის მასშტაბით ტოტალური იყო ცალკეული ადამიანების, ქალაქებისა თუ უბნების ისტორიის ნაწილად იქცა. ნოვა ჰუტას ამბავიც სოლიდარობის ისტორიის ნაწილად იქცა და პირიქით. იდეალური, „სამაგალითო“ სოციალისტური ქალაქი სოლიდარობის მოძრაობის ავანგარდში მოექცა და მის ერთ-ერთ სერიოზულ კერად იქცა.

> „1970-იანი წლებიდან ნოვა ჰუტა ანტიკომუნიზმის ბასტიონი გახდა. მეფოლადეები და მათი ოჯახის წევრები გდანსკის გემთმშენებლების მსგავსად აპროტესტებდნენ და გაფიცვებს აწყობდნენ. ნოვა ჰუტამ მალოპოლსკას რეგიონში სოლიდარობის მოძრაობის ფარგლებში დამოუკიდებელი ქსელი შექმნა.“[1]

ცნობილია, რომ ნოვა ჰუტას ლენინის საამქროს მუშათა ხვედრითი წილი სოლიდარობის პროფესიულ კავ-

---

[1] *Stenning A., “Solidarity“, solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ.5.*

შირში ყველაზე მაღალი იყო. სოლიდარობის მოძრაობას ნოვა ჰუტაში სერიოზული წანამძღვრები და საფუძველი ჯვრისათვის ბრძოლამ მოუმზადა (1957). მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ნოვა ჰუტაში დასახლდნენ, ტრადიციული რელიგიურობით გამოირჩეოდა. მთავარი წინააღმდეგობა არსებულ რეჟიმთან სწორედაც ამ ნიადაგზე წარმოიშვა. ბუნებრივია, „იდეალურ სოციალისტურ“ ქალაქში როგორადაც ნოვა ჰუტა რეჟიმს წარმოედგინა, ეკლესიისა და ჯვრის ადგილი არ უნდა ყოფილიყო. მოთხოვნილება ეკლესიასა და სალოცავზე საზოგადოებაში სულ უფრო იზრდებოდა. ნოვაჰუტელებისთვის ნებართვის მიღება ეკლესიის ასაშენებლად რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, თუმცა შესაძლებელი (1957 წლის 17 მარტი). ეკლესიის ასაშენებლად ნებართვის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ღმერთისა და ჯვრის შემოშვებას ნოვა ჰუტას ტერიტორიაზე. 1960 წლის 27 მარტი ნოვა ჰუტას ისტორიაში ცნობილია სახელით – „ბრძოლა ნოვა ჰუტას ჯვრისათვის“. სამწუხაროდ, ეს ბრძოლა უსისხლოდ არ დასრულებულა. ნოვა ჰუტას ქუჩებში ჯვრის გამოჩენას კომუნისტურმა რეჟიმმა შიშველი ძალა დაუპირისპირა. დაღუპულების შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, ცნობილია, რომ 500-მდე მოქალაქე დააპატიმრეს. საბოლოოდ, ბრძოლამ შედეგი გამოიღო, ნოვა ჰუტაში პირველი ეკლესია „კიდობანი“ ააშენეს (1967-1977).

ტაძარი „კიდობანი“ სიმბოლურია, როგორც შინაარსით, ასევე ვიზუალური გადაწყვეტითაც. იგი გარედან დაახლოებით 2 000 000 კენჭითაა მოპირკეთებული, რაც სიმბოლურად ეკლესიის ასაშენებლად ცალკეული მოქა-

ლაქის მონდომებასა და წვლილს გამოხატავს. ეკლესიის მშენებლობა სახალხო მოძრაობად იქცა, რამაც კრაკოველების ყურადღებაც მიიქცია და გულგრილი ვერ დატოვა. ბევრ მათგანს გაუჩნდა სურვილი მოენახულებინა ტაძარი, რომელიც დიდი ბრძოლისა და მონდომების შედეგად აიგო. ბრძოლა ეკლესიისა და ჯვრისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ წინაპირობად იქცა ნოვა ჰუტაში სოლიდარობის მოძრაობის დაწყებისა. მიუხედავად იმისა, რომ სოლიდარობის მთავარ კერად ქალაქი გდანსკი ითვლება, ნოვა ჰუტამ თავისი სოლიდური წვლილი შეიტანა სისტემის დემონტაჟში და სრულიად მომზადებული შეხვდა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის შექმნას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნოვა ჰუტამ იკისრა როლი, სოლიდარობის მოძრაობაში ყოფილიყო კრაკოვის ერთგვარი წარმომადგენელი. პოლონეთის მარადიული ქალაქი მასშტაბურად სწორედ მისი სოციალისტური უბნით, ნოვა ჰუტათი, იყო წარმოდგენილი.

> „ერთგვარი ირონიაა იმ ფაქტში, რომ ლენინის სახელობის ნოვა ჰუტას სოლიდარობის ორგანიზაცია 38 000 წევრით, ყველაზე დიდი გაერთიანება იყო ქვეყანაში.“[1]

სწორედ ეს ფაქტი შეიძლება გამოდგეს ყველაზე სერიოზულ არგუმენტად ნოვა ჰუტას კრაკოვთან ინტეგრა-

[1] *Stenning A., “Solidarity“, solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ. 5.*

ციის დისკურსში. კრაკოვი მისთვის ყველაზე საძულველ და „უცხო“ რეჟიმს თავისივე იარაღით უპირისპირდება. ხოლო ნოვაჰუტელებს ეძლევათ საშუალება დაადასტურონ საკუთარი არჩევანი კრაკოვის „სასარგებლოდ“. ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ იდენტობისთვის ბრძოლასაც წარმოადგენდა, ეს ერთგვარი სერიოზული გამოწვევა იყო ნოვა ჰუტასთვის, რომ გაეკეთებინა არჩევანი: გაემართლებინა შემოქმედის, საბჭოთა რეჟიმის მოლოდინი ან ყოფილიყო კრაკოვის მოქალაქეთა ღირსეული ნაწილი, რომლის ისტორიული მეხსიერება სცდება სოციალისტური რეჟიმის დამყარებას პოლონეთში. ნოვა ჰუტამ სოლიდარობის მოძრაობაში აქტიური მონაწილეობით პრაქტიკულად გააკეთა განაცხადი კრაკოვთან ინტეგრაციაზე. სოლიდარობის თემა ის საერთო ნიადაგია, სადაც უნდა ენახათ ერთმანეთი ნოვა ჰუტასა და კრაკოვს. ლოკალურ დონეზე წინააღმდეგობის გაძლიერებამ და რეჟიმის სისასტიკემ ხელი შეუწყო საზოგადოების ერთიანობის განცდასა და ნოვა ჰუტა კრაკოვს შორის არსებული ანტაგონიზმის დაძლევას. ნოვა ჰუტა ერთდროულად მოცული იყო ცალკეული პროტესტის გეოგრაფიული არეალებით, როგორებიცაა მეტალურგიული საამქრო, ქალაქის ორი ეკლესია და ცენტრალური მოედანი ლენინის ძეგლითა და სოლიდარობის მოძრაობით, რომელიც მოსახლეობისგან მოგროვილი ფულით, საკვებითა და სამოსით დაპატიმრებული აქტივისტების ან მიმალვაში მყოფი პირების ოჯახებს ეხმარებოდა [1] მიუხედავად იმისა,

[1] *Stenning A., “Solidarity“, solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference of the Association of American Geographers, New York, 28th Feb – 3rd March 2001, გვ.6.*

რომ ნოვა ჰუტამ ღირსეულად ჩააბარა გამოცდა, წინააღმდეგობა კრაკოვთან ინტეგრაციის პროცესში ერთი ხელის მოსმით არ დაძლეულა. შესაძლოა, პირიქითაც, სოლიდარობის გამარჯვებითა და ქვეყნის დამოუკიდებლობით დაიწყო ნოვა ჰუტასთვის ახალი ტიპის სიძნელეები, კერძოდ, მძიმე ინდუსტრიის შეჩერება, რომელსაც მოჰყვა ტოტალური უმუშევრობაც. თუმცა, აქვე შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნოვაჰუტელებმა გამოსავალი კრაკოვთან ინტეგრაციაში იპოვეს. უმუშევრად დარჩენილმა ათასობით ნოვაჰუტელმა სამუშაო კრაკოვში იშოვა და ამ გზით გადაირჩინა თავი. ამგვარად, სახეზეა აუცილებლობით გამოწვეული ინტეგრაციის მაგალითი.

როგორც უკვე აღინიშნა, ბრძოლა ნოვა ჰუტას ჯვრისათვის სოლიდარობის მოძრაობისათვის ერთგვარი წინაპირობა იყო. რელიგია ზოგადად პოლონეთისათვის ისტორიულად ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალება იყო. ეს გრძნობა მით უფრო გამძაფრებული იყო ათეისტური რეჟიმის წინააღმდეგ და შესაბამისად, სოლიდარობის მოძრაობაში სათანადო ადგილი ეკავა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ სწორედ რელიგიური საკითხი იყო კრაკოვისა და ნოვა ჰუტასათვის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ერთ-ერთი საფუძველი. 1996 წელს იეჟი რიდანის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში – „მარქსის ქუჩის კუთხე და ჯვრის დამცველთა ქუჩა“ ასახულმა მოვლენებმა კრაკოველებს სოლიდარობის გრძნობა გაუჩინა ნოვა ჰუტელების მიმართ. მათ მოითხოვეს დამნაშავეების დასჯა და დაზარალებულთა საქმეების ხელახალი განხილვა. ფილმში სწორედ ჯვრის დაცვის ისტორიაა მოთხრობილი, რომელსაც ნოვა ჰუტაში მარ-

ქსისა და მაიაკოვსკის ქუჩის კუთხეში ჰქონდა ადგილი. ფილმში თვითმხილველები ჰყვებიან ისტორიას, თუ როგორ უსწორდებოდა პოლიცია ქალებს და როგორ გრძელდებოდა ბრძოლა ჯვრისათვის. ამ ბრძოლის გამოხატულებაა მაიაკოვსკის ქუჩის სახელის შეცვლა „ჯვრის დამცველთა“ სახელით. მთავარი აქ მაინც ისაა, რომ ამ ფილმმა კრაკოველებში ნოვა ჰუტელების მიმართ სოლიდარობის გრძნობა გამოიწვია, რაც ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოლიდარობის მოძრაობის ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდა და ერთგვარად შეფასებისა თუ გადაფასების ახალ ფაზაში შევიდა, რიგ შემთხვევებში კრიტიკის საგანიც გახდა. სოლიდარობის თავისუფალი პროფესიული კავშირი ამ დრომდე აგრძელებს მოღვაწეობას, თუმცა დღეს რეალურად იგი უფრო ნომინალური ხასიათისაა და, ფაქტობრივად, საგრძნობ გავლენას მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ვერ ახდენს. სოლიდარობის მოძრაობა თავისი მასშტაბურობითა და ამბიციით იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ მისი იკონოგრაფიული თუ მენტალური სიმბოლური ხატება სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ მოვლენაში დღემდე ჩნდება და მჟღავნდება. პოლონეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა სოლიდარობის მოძრაობიდან მოდის და თვითიდენტიფიცირებას იმ ღირებულებებთან ახდენს, რაც სოლიდარობისათვის იყო დამახასიათებელი. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედ პოლიტიკოსთა უმრავლესობა, პირდაპირ თუ ირიბად, ამ მოძრაობასთანაა დაკავშირებული. მათ შორის, აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, ყოფილი პრემი-

ერი დონალდ ტუსკი და მოქმედი პრეზიდენტი. პრეზიდენტ კაჩინსკის დაკრძალვის ცერემონიალზე მისი კავშირი და დამოკიდებულება მოძრაობა სოლიდარობასთან მკვეთრად იყო ხაზგასმული. მის დაკრძალვაზე ჟღერდა ე.წ. სოლიდარობის მოძრაობის ჰიმნი „Mury“ (კედელი) იაცეკ კაჩმარსკის შესრულებით. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი კატალონიური სიმღერა 1978 წელს, კაჩმარსკიმ საკუთარი ტექსტით შეავსო და საზოგადოებას საბრძოლო სულისკვეთებით გაჟღენთილი სიმღერა შესთავაზა, რომელიც თავისუფლების ჰიმნად იქცა. სიმღერის პათოსი კედლების ნგრევისაკენ არის მიმართული, რომელსაც რეჟიმი აშენებდა, მაშინ, როცა ხალხი დუმდა. აქვე შეიძლება ითქვას, რომ სოლიდარობის მიწისქვეშა მოძრაობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა კატინი და მისი მნიშვნელობის რეპრეზენტაცია იყო საზოგადოებაში. კატინი სწორედ ის თემა იყო, რომელიც არსებულ რეჟიმს ყველაზე დიდ დარტყმას აყენებდა, ხოლო პოლონელებისათვის მისი პატივისცემა და დამახსოვრება ეროვნული ღირსების საკითხი იყო. აქვე აღსანიშნავი ფაქტია, რომ კატინის მემორიალურმა დაფამ სათანადო ადგილი სწორედ ვაველის საკათედრო ტაძარში დაიკავა.

როგორც უკვე აღინიშნა, სოლიდარობის მოძრაობა პოლონეთის უახლესი ისტორიის ნაწილია, თუმცა მისი გადააზრება და თუნდაც კრიტიკული ხედვა პოლონელი საზოგადოების უპირატესობაა. ამ უპირატესობის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ კრაკოვი – ნოვა ჰუტას ინტეგრაციისათვის სოლიდარობის მოძრაობა, როგორც სერიოზული არგუმენტი და ფაქტორი საერთო ნიადაგის მოსაძებნად.

ნოვა ჰუტას სიმბოლურობა და რეპრეზენტაცია

ნებისმიერი სოციალური სივრცის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სიმბოლოების მინიმუმი. სიმბოლოები, რომლებიც თავიანთ მნიშვნელობას გაამართლებს და თვითმყოფად სახეს მისცემს. ნოვა ჰუტას გენეზისსა და ისტორიას შეგვიძლია თვალი მივადევნოთ სიმბოლოების ტრანსფორმაციის მაგალითზე. ასეთ სიმბოლოებად შეგვიძლია განვიხილოთ რეალური თუ ისტორიული პირები, რომელთა ძეგლები ან სახელები გვხვდება წარმოდგენილ სივრცეში. ფაქტები ან მოვლენები, რომლებიც აისახება სხვადასხვა ნარატიული ფორმით და სოციალური მოხმარების საგნად იქცევა, თავისი სათანადო ადგილი და როლი გააჩნია უნივერსალურ სიმბოლოებს, რომლებითაც ხასიათდებოდა ყველა სოციალური სივრცე, მაგ. ცენტრი, ცენტრალური გამზირი, ცენტრალური გზაჯვარედინი და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ნოვა ჰუტა დღეისათვის კრაკოვის ერთ-ერთ აუგად მოსახსენიებელ უბნად ითვლება და, ამავდროულად, საკუთარი მიმზიდველობა გააჩნია, კრაკოვის მერია დაინტერესებულია გარკვეული პროექტები განახორციელოს. ამ მიმართულებით კრაკოვის მუნიციპალიტეტის ქალაქის სტრატეგიული განვითარების განყოფილებაში, 2009 წლიდან, პროექტი ძველი ნოვა ჰუტას რევიტალიზაციისათვის მუშავდება. რევიტალიზაციას უნდა დაექვემდებაროს ცენტრალური მოედანი და ვარდების გამზირი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სოციოლოგიურ-ანთროპოლოგიური კვლევა, რომელიც მიზ-

ნად ისახავდა მოსახლეობის განწყობებისა და მოლოდინების დადგენას აღნიშნული სოციალური სივრცის მიმართ. კვლევა ჩაატარა იაგელონიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტმა და გამოავლინა უამრავი პრობლემური საკითხი, რომლებიც შეიძლება შეხვდეს რევიტალიზაციის პროცესს. ასეთია მაგალითად ის ფაქტორი, რომ ნოვა ჰუტას შექმნიდან მისი მოსახლეები იყვნენ მხოლოდ ახალგაზრდები, რომლებიც უკვე ასაკში არიან და საჭიროდ არ მიაჩნიათ ხმაურიანი ღონისძიებები, „მშვიდი ცხოვრება“ ურჩევნიათ. აზრთა სხვადასხვაობაა შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. ბევრი მათგანი, მათ შორის გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები, თვლიან, რომ ნოვა ჰუტა აუთენტური სახით უნდა დარჩეს და მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს მისი მთავარი მიმზიდველობა, მაგრამ ამ ყველაფერს უპირისპირდება მოსახლეობის მოთხოვნილებები სამი მიმართულებით: ფუნქციური თვალსაზრისით ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცის, უსაფრთხოების საკითხის მოგვარება და ესთეტიკური მოთხოვნილებები. ასევე გამოირკვა, რომ მთელმა რიგმა სიმბოლოებმა და ღირებულებებმა განიცადეს ცვლილებები და დაკარგეს ფუნქცია.

ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხი მაინც სიმბოლოების ცვლილებასა და მათ გაქრობას ეხება. ლენინის ძეგლი ნოვა ჰუტაში ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ძლევამოსილი სიმბოლო, რომელიც ნოვა ჰუტას პირდაპირ ასოციაციას ქმნიდა. ლენინის კავშირი ნოვა ჰუტასთან კრაკოვზე გადის. ცნობილია ლენინის დამოკიდებულება კრაკოვისადმი და მისი წერილები კრაკოვიდან. 1912 წელს პოლიტიკური ემიგრაციისას ორი წლის განმავლობაში იგი კრაკო-

ვში ცხოვრობდა. ლენინი კრაკოვში ვენიდან ჩამოვიდა და მისთვის კრაკოვი, თავისი მიმდებარე ტერიტორიით (ნოვა ჰუტა მაშინ კრაკოვის შემოგარენის რამდენიმე სოფლით იყო წარმოდგენილი) სასიამოვნო და სასურველი აღმოჩნდა მომავალი ბელადისთვის ევროპის ხმაურიან ქალაქებთან, მათ შორის პარიზთან შედარებით. მისი ამგვარი ემოციური დამოკიდებულების შედეგია, ალბათ, მისი ნოვა ჰუტაში გამოჩენაც. 1954 წელს მისი სახელი ნოვა ჰუტას კომბინატს ეწოდა მისი გარდაცვალების 30 წლისთავთან დაკავშირებით. მისი ვიზუალიზაცია, ცოტა მოგვიანებით, ერთი წლის შემდგომ მოხდა, თუმცა მოკრძალებული მასშტაბებით. მისი ძეგლი მსროლელთა პარკში დაიდგა, მაგრამ მალევე მუზეუმში გადაინაცვლა, საიდანაც ასევე სწრაფად გაუჩინარდა. 1970 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვარდების გამზირზე ლენინის ახლი ძეგლი დამდგარიყო. გამოცხადებულ კონკურსში ლენინის ძეგლის პროექტისთვის მერიან კონიჩნიმ გაიმარჯვა. ლენინის აღნიშნული ძეგლი თავისი მასშტაბურობით საოცრად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. იგი 7 ტონას იწონიდა და ვარდების გამზირის ნამდვილ დომინანტად და „მშვენებად“ იქცა. მისი დადგმა მხოლოდ 1973 წელს მოხერხდა.

ამ პერიოდში, რამდენადმე უცნაურად ჩანს ამ მასშტაბის პროექტის განხორციელება და მისი საჭიროება, მაშინ როცა ამ დროისათვის ნოვა ჰუტას უკვე გარკვეული „ცხოვრებისეული გამოცდილება“ ჰქონდა დაგროვილი. გადახდილი იყო ბრძოლა ჯვრისთვის, ეკლესიის მშენებლობისათვის ნებართვაც ჰქონდა მიღებული და ეკლესიებსაც ითვლიდა. შესაძლოა ლენინის ასეთი შთამბეჭდავი გამოჩენა

ერთგვარი სიმპტომი იყო სისტემის შერყეული ავტორიტეტისა, რომელსაც ბელადის „მძიმეწონიანი“ სახე დაუპირისპირეს. თუმცა ფოლადის ლენინისთვისაც არ აღმოჩნდა ადვილი დაკისრებულ მისიას გამკლავებოდა. მისი ფიზიკური დაზიანებისა და განადგურების მცდელობებით დაიწყო ბრძოლა ძეგლის წინაღმდეგ. 1979 წელს მასზე დამაგრებული 6 კგ. ტროტილი აფეთქდა და შემთხვევითი გამვლელი მამაკაციც იმსხვერპლა. ლენინის ძეგლი გაზრდილი პროტესტისა და უკმაყოფილების ფონზე შეტევის ნამდვილი ობიექტად იქცა. თუმცა მისი მოცულობის გათვალისწინებით მაინც განაგრძობდა „მოძრაობას“ იმ მიმართულებით, რომელიც ძეგლის ავტორების მიერ იყო განსაზღვრული. საგანგებო მდგომარეობის დროს წინააღმდეგობა და აგრესია ძეგლის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა და რეალურად მის ჩამოგდებამდე გაგრძელდა. გადაღებულია კადრები, 1989 წელს პოლიცია როგორ იცავს მოსახლეობისგან ძეგლს. საბოლოოდ 1989 წლის 10 დეკემბერს უშველებელი ამწის მეშვეობით ლენინის ძეგლისგან საბოლოოდ გათავისუფლდა ვარდების გამზირი. საინტერესო ფაქტია, რომ ლენინის ძეგლი, დღესაც განაგრძობს „ცხოვრებას“, იგი შვეიცარიელმა ფილანტროპმა 100 000 შვეიცარულ კრონად შეიძინა და თავისი კოლექცია გაამდიდრა. ნოვა ჰუტას ლენინი განსხვავებულ გარემოში ისევ განაგრძობს ტურისტებისა და დაინტერესებულ პირთა გაკვირვებას. რაც შეეხება მის ყოფილ სავანეს, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი გაქრობით დიდი სიცარიელე გაჩნდა, რამაც ადგილობრივებში განსხვავებული ემოციები გამოიწვია. გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის მისი უკან დაბრუნების იდეაც, თუმცა

ამ აზრს მოწინააღმდეგეები უფრო მეტი ჰყავს და საუბრები ამის შესახებ უფრო კერძო ხასიათს ატარებს დღემდე.

ბევრად უფრო მოკრძალებული ისტორია აქვს სტალინის ქანდაკებას ნოვა ჰუტაში. ის 1952 წელს დაიდგა და მალევე, 1956 წელს, გაურკვეველი მიზეზით დიდი ხმაურის გარეშე უბრალოდ გაუჩინარდა. „ნოვა ჰუტას ენციკლოპედიაზე“ დაყრდნობით ქალაქის ტერიტორიაზე სულ 20 მემორიალი არსებობდა. დღეისათვის მათი უმრავლესობა ანტიკომუნისტური შინაარსითაა წარმოდგენილი. ნოვა ჰუტას ტერიტორიაზე გაჩნდნენ ადგილობრივი გმირებიც, მაგალითად მემორიალი იმ ადამიანისა, რომელიც რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა და ახალი წარმოდგენების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. აღნიშნული მემორიალი ეძღვნება ბოგდან ვოსიკას და სხვა დაღუპულ პირებს, რომელთა ვინაობის მიჩქმალვასაც თავის დროზე იმდროინდელი ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა. ადგილობრივი გმირების გვერდით სათანადო ადგილი უჭირავს რომის პაპს იოანე პავლე II-ს, რომელმაც ნოვა ჰუტა ორჯერ მოინახულა და სერიოზული მხარდაჭერაც გამოუცხადა. ნოვა ჰუტაში მისი რამდენიმე ქანდაკებაა წარმოდგენილი.

ნოვა ჰუტაში აღმართლ მემორიალთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სოლიდარობის მემორიალი მთავარ (ცენტრალურ) მოედანზე. საგულისხმოა, რომ ქალაქში 1970 წლიდან აღმართული პილოტთა მემორიალი 1989 წლიდან პოლონელ პილოტთა სახელს ატარებს, რაც ნაციონალური ელემენტის გაძლიერების ტენდენციის მაჩვენებელია. ნოვა ჰუტა – კრაკოვის ინტეგრაციულ ტენდენციას ასახავს 90-იანი წლებიდან ისეთი მემორიალების გამოჩენა,

რაც ზოგადად პოლონურ იდენტობას გამოხატავს. მათ შორის აღსანიშნავია იან მატეიკოს მემორიალის გამოჩენა (1994). ცნობილია, რომ მას ეკუთვნოდა სახლი ნოვა ჰუტას მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც დღეს იან მატეიკოს სასახლის სახელითაა ცნობილი. იან მატეიკო პოლონელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურაა. შეიძლება ითქვას, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული პოლონეთის ეროვნული იდენტობის შექმნის მნიშვნელოვანი ეტაპი. მისი საცხოვრებელი სახლი (ახლა სახლ-მუზეუმი) კრაკოვის ცენტრში, ფლორიაცკას ქუჩაზე მდებარეობს. ზოგადი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 80-90-იანი წლებიდან ნოვა ჰუტას ტერიტორიაზე იმ ტიპის მემორიალები ჩნდება, რაც საერთო ეროვნული ხასიათისაა და ამ ფორმით ნოვა ჰუტა საერთოს პოულობს კრაკოვთან. ზოგადი დასკვნის სახით აქვე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 1989 წლის შემდგომი ყველაზე მეტი მემორიალი ნოვა ჰუტას ტერიტორიაზე გაჩნდა, მაინც ვერ მოხდა იმ სიცარიელის ამოვსება, რაც ლენინის ძეგლის დემონტაჟის შემდგომ გაჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ლენინის ძეგლთან ერთად მისი სიმბოლური ცენტრის გაუჩინარებაც მოხდა. ძირითადი შედეგი, რაც სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, ცენტრის დეგრადაცია იყო. რომ ნოვა ჰუტას ცენტრმა თავისი რეალური ფუნქცია და მნიშვნელობა დაკარგა. ვფიქრობ, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს რამდენიმე მიზეზით:

1) ცენტრის სახელის ცვლილებით: როგორც ცნობილია, ნოვა ჰუტას ცენტრალურ მოედანს სახელი შეეცვალა და ბედის ირონიით სტალინის მოედანს ამერიკის შეერთე-

ბული შტატების ერთ-ერთი ყველაზე ანტიკომუნისტურად განწყობილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის სახელი ეწოდა. ასეთი მკვეთრი ცვლილება თავისთავად გარკვეულ წინააღმდეგობას ბადებს და ერთგვარი ხელოვნური ელფერიც დასდევს. ნოვა ჰუტას მოსახლეობისათვის მის სახელთან დაკავშირებული მოედანი შესაძლოა „ცენტრის“ მნიშვნელობას სცილდებოდეს.

2) შესაძლოა დაკავშირებული იყო ზოგადად უბნის ეკონომიკურ დეგრადაციასთან, სადაც ცენტრის ფუნქციაც დაკნინებულია, ან არ არსებობს მოთხოვნა ცენტრზე, როგორც ასეთზე. ცენტრი, როგორ წესი, პომპეზური, გამორჩეული ადგილია, ორიენტირია დანარჩენი ნაწილისათვის დაწყებული ვიზუალური გამოხატულებით, რეალური ეკონომიკური ფუნქციით დასრულებული.

3) ყველაზე რეალური მიზეზი რაც ნოვა ჰუტა – კრაკოვის ინტეგრაციულ დისკურსშიც ექცევა, ესაა ახალი ცენტრის მოძიება ნოვაჰუტელების მხრიდან და ეს ცენტრი არც მეტი არც ნაკლები, კრაკოვშია საძიებელი. დღეს კრაკოვი – ნოვა ჰუტა ანტაგონიზმის შექმნის არც მიზეზი და მოტივი არ არსებობს. ნოვაჰუტელებისათვის კრაკოვის ცენტრი მიმზიდველი და სასურველია, შესაბამისად, არ არის აუცილებლობა ორი ცენტრის არსებობისა. ცენტრის იდეისათვის საკმარისია კრაკოვის ცენტრიც. მაშინ როცა ნოვა ჰუტა კრაკოვთან მეტოქეობას აცხადებდა, შესაბამისად, მისი ამბიცია იყო საკუთარი ცენტრი ჰქონოდა, ყველა თავისი ფუნქციით.

4) ვერ მოხერხდა არსებული ცენტრის ეფექტური, რელევანტური სიმბოლოებით ჩანაცვლება, რომელიც, ერთი

მხრივ, ნოვა ჰუტას სწრაფვას და ძალისხმევას ახალი რეალობისკენ შეაჯამებდა და, მეორე მხრივ, სივრცის თვითმყოფადობას, მის სპეციფიკურობას და მასშტაბურობას გაუსვამდა ხაზს.

სიმბოლოების გაქრობა გამოჩენის გარდა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მათი რეპრეზენტაციულობა, სადაც არა მხოლოდ ცალკეული სიმბოლოა აქტუალური, არამედ მთლიანად ურბანული სივრცე. ლეფევრის თანახმად, სივრცე სამი პრაქტიკის შედეგად იწარმოება: გარემოს ფიზიკური ტრანსფორმაციის სივრცული ქცევით, სივრცის რეპრეზენტაციით და სივრცისთვის დამახასიათებელი ყოველდღიური პრაქტიკით.[1] ნოვა ჰუტა, როგორც სოციალისტური რეჟიმის ამბიციური პროექტი, შექმნის დღიდანვე მოექცა ინტერესის სფეროში. მის გამოჩენას თან ახლდა აქტიური პროპაგანდა, რომელსაც ახალგაზრდები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილიდან უნდა მოეზიდა. აქვე გაცხადდა მისი, როგორც პირველი სოციალისტური ქალაქის, იდეალური სოციალისტური ქალაქის და ა.შ. ხატი. ინფორმაცია ნოვა ჰუტას შესახებ ჯერ კიდევ მისი შენების დაწყებამდე გაჩნდა, რითაც საფუძველი ეყრებოდა მითს პოლონეთში პირველი სოციალისტური ქალაქის მშენებლობის შესახებ. ქალაქის წარმოდგენასა და წარმოდგენის მიმართების თვალსაზრისით შეიძლება სამი ძირითადი მიმართება გამოიყოს:

---

[1] *Stanek Ł., The production of urban space by mass media storytelling practices: NowaHuta as a case study; Paper presented at the conference „the Work of Stories“ Massachusetts Institute of Technology, 6-8 May 2005, Massachusetts Institute of technology http://web.mit.edu/comm-forum/mit4/papers/stanek.pdf, accessed 6 March 2006. გვ. 1.*

1. მითის შექმნა: ნოვა ჰუტას ამბავი ახალმოსულებისათვის წაკითხული უნდა ყოფილიყო, როგორც მითი, რომელიც დრამატულ მიმართებას გამოხატავს რეპრეზენტულსა და რეპრეზენტაციას შორის, სადაც დისტანცია აშკარაა მედიის მხრიდან ნაჩვენებ ბრწყინვალე სურათსა და ტალახს შორის, რომელიც ქალაქის მშენებლობას თან ახლდა.

2. ნოვა ჰუტას შესახებ წერის ყველაზე გავრცელებული ფორმა დემითოლოგიზაციას გულისხმობს. პოპულარული რეპრეზენტაციები აკრიტიკებენ და უარყოფენ მითს, რომელიც ილუზიას, პროპაგანდასა და ზერელე დაკვირვებას ეფუძნება. ამის სანაცვლოდ მისი არსის გასაგებად „ნამდვილი" ქალაქის გაგებას გვთავაზობენ.

3. წერის მესამე ვარიანტი სრულად გამორიცხავს პირველ ორს. ამ შემთხვევაში ნოვა ჰუტა განიხილება, როგორც სიმბოლო, რომელიც რეპრეზენტაციის საგანს კი არ წარმოადგენს, არამედ თავად არის რეპრეზენტაცია. ეს სიმბოლიზმი ეფუძნება მეტონიმს: ქალაქში მუშათა სოციალური წახალისება სიმბოლიზდება, როგორც პროლეტარიატის ახალი როლი ქვეყანაში; მეტალურგიული საწარმო პოლონეთის ინდუსტრიალიზაციის სიმბოლოდ გვევლინება.[1]

საგულისხმო ფაქტია, რომ ნოვა ჰუტას რეპრეზენტაციის პროცესში მისი ურთიერთსაწინააღმდეგო მაჩვენებ-

---

[1] *Stanek Ł., The production of urban space by mass media storytelling practices: NowaHuta as a case study; Paper presented at the conference „the Work of Stories" Massachusetts Institute of Technology, 6-8 May 2005, Massachusetts Institute of technology http://web.mit.edu/comm-forum/mit4/papers/stanek.pdf, accessed 6 March 2006. გვ. 5.*

ლები ჩამოყალიბდა, რითაც ნოვა ჰუტა პარადოქსების ქალაქად იქცა. ასეთ ოპოზიციებად შეგვიძლია გამოვყოთ:

1) ახალგაზრდა ქალაქი – პენსიონერთა ქალაქი

2) ათეისტური ქალაქი – რელიგიური ქალაქი

3) ინდუსტრიული ქალაქი – დიდი სოფელი

4) მწვანე ქალაქი – დაბინძურებული ქალაქი

5) კრაკოვთან ანტაგონიზმი – კრაკოვთან ინტეგრაცია

1989 წლიდან ნოვა ჰუტას რეპრეზეტაცია საწინააღმდეგო წარმოდგენებით შეიცვალა. სოციალისტური ქალაქი ანტისოციალისტური გახდა. „ნოვა ჰუტას მრავალსახოვანი რეპრეზენტაცია, როგორიცაა „სოციალისტური ქალაქი" გამოწვევად იქცევა ხოლმე, მისი როგორც გამოსვლების, გაფიცვების, არეულობისა და ანტიკომუნისტური მოძრაობის ქალაქის წარმოდგენისათვის პოლონეთში. ამგვარად სოციალიზმის სიმბოლო ხშირად ამტკიცებს ტრანსფორმაციას ანტიკომუნისტური სიმბოლოს სახით."[1]

მსგავსი ტრასფორმაცია განიცადა წარმოდგენამ ნოვა ჰუტაზე, როგორც ათეისტურ ქალაქზე. ნოვა ჰუტამ საკუთარი რელიგიური მიკუთვნებულობა კათოლიკური სამყაროსადმი ქრისტიანობისა და ჯვრისთვის ბრძოლის ახალი ფურცლის შექმნით დაამტკიცა.

ნოვა ჰუტასთან მიმართებაში სხვა ტიპის დაპირისპირებებსაც ვხვდებით, როგორიცაა დიდი სოფელი და ინდუსტრიული ქალაქი. როგორც ცნობილია, ნოვა ჰუტას ტერიტო-

---

[1] *Stanek Ł., The production of urban space by mass media storytelling practices: NowaHuta as a case study; Paper presented at the conference „the Work of Stories" Massachusetts Institute of Technology, 6-8 May 2005, Massachusetts Institute of technology http://web.mit.edu/comm-forum/mit4/papers/stanek.pdf, accessed 6 March 2006. გვ. 11.*

რია სოფლების გაერთიანებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა წარმოშობით სოფელთან და მისი ცხოვრების წესთან იყო დაკავშირებული. ქალაქის ჩამოყალიბების პროცესში რთული იყო გაგემიჯნა ცალკული ოჯახის მაგალითზე, რა იყო მათი ცხოვრების ფორმა. ხშირად ჰყვებიან ისტორიებს, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები თავიანთ ორფეხა და ოთხფეხა შინაურ ცხოველებთან ერთად ახალ ბინებში.

ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს ნოვა ჰუტა, როგორც მწვანე ქალაქი, რომელიც, ამავდროულად, ეკოლოგიური დაბინძურების სერიოზულ წყაროს წარმოადგენდა. ეკოლოგიური საკითხი დღეისათვის განსხვავებულადაა წარმოდგენილი ნოვა ჰუტაში. კრაკოვის მასშტაბით ითვლება, რომ ნოვა ჰუტა ყველაზე კარგად გამწვანებული უბანია. აქ ბევრი პარკია და ყველაზე მეტი მწვანეზოლიანი საფარი გვხვდება. ქალაქში ნაკლები მანქანა მოძრაობს, შესაბამისად, გამონაბოლქვიც ნაკლებია. ქალაქის ამ ნაწილში პრაქტიკულად არ გვხვდება საცობები ქუჩებში. თუმცა ფოლადის საამქროს გამო ნოვა ჰუტა ეკოლოგიური კატასტროფის ცენტრი შეიძლებოდა გამხდარიყო.

კრაკოვთან ანტაგონიზმისა და დაპირისპირების საფუძველი ნოვა ჰუტას გენეზისშივე იდო. სოციალისტური ქალაქის მშენებლობის იდეა კრაკოვის საწინააღმდეგოდაა მიმართული. მაგალითად, ნოვა ჰუტა, ახალგაზრდულ ქალაქად მოინათლა მაშინ როცა კრაკოვი პენსიონერების ქალაქად წარმოადგინეს და ა. შ. დაპირისპირების საფუძველი მათ შორის არსებობდა. თუმცა, ნოვა ჰუტას ისტორიის თავისებურმა განვითარებამ და განსაკუთრებით სიმბოლოე-

ბის ტრანსფორმაციამ ინტეგრაციის სერიოზული საფუძველი შექმნა. ღირებულებების გადაფასების პროცესში, განსაკუთრებით 1989 წლიდან, აქტუალური გახდა დისკუსია ნოვა ჰუტას ახალი ადგილისა და ფუნქციის შესახებ კრაკოვის ფარგლებში. ნოვა ჰუტას ახალი იმიჯის თუ ძველის შენარჩუნების თემა აზრთა სხვადასხვაობის საგანს წარმოადგენს დღესაც. ერთი მხრივ, სოციალისტური, კომუნისტური ატმოსფეროს შენარჩუნება და მისი წარმოდგენა, როგორც ეგზოტიკისა და, მეორე მხრივ, მოსახლეობა, რომლებსაც ცხოვრების ნორმალური პირობები სჭირდება. ისმება საკითხი, რამდენადაა შესაძლებელი ნოვა ჰუტას აუთენტურობის შენარჩუნება.

ნოვა ჰუტას განვითარების პერსპექტივებზე ფართო დისკუსია მიმდინარეობს საზოგადოებაში, არიან ადამიანები, რომლებიც მის ავტონომიასა და დამოუკიდებლობაზე საუბრობენ, ე. წ. ლოკალური პატრიოტები. ყველა თანხმდება, რომ რეალურად გლობალურ პლანში, ნოვა ჰუტას განვითარება მხოლოდ კრაკოვთან მჭიდრო კავშირშია შესაძლებელი. ამის მაგალითს ანჯეი ვაიდასა და მისი მეუღლის ინიციტივა წარმოადგენს, ნოვა ჰუტაში პოლონეთის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის გახსნის შესახებ, რომელიც სოციალისტური პერიოდის ხანას მოიცავს. მუზეუმის გახსნა უკვე 2010 წელს მოხერხდა, ხოლო მის საბოლოო გამართვასა და კონცეფციაზე სპეციალისტთა დიდი ჯგუფი მუშაობს.

ნოვა ჰუტა და რუსთავი

საქართველოში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, რომელიც დროში პირდაპირ ემთხვევა ნოვა ჰუტას მშენებლობას, საშუალებას გვაძლევს გარკვეული პარალელები გავავლოთ ერთი სისტემის ორი პირმშოს მახასიათებლებს შორის. გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, სახეზეა განსხვავებებიც, რასაც ძირითადად რამდენადმე განსხვავებული კონტექსტი განაპირობებდა. კერძოდ, მსგავსი პროფილის ქალაქების მშენებლობის რეპრეზენტაციას განსხვავებული რეაგირება მოჰყვა საქართველოსა და პოლონეთში. ბევრად ეფექტური იყო პროპაგანდისტული მანქანის მუშაობა საქართველოში, როგორც საბჭოთა ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა რუსეთის გავლენის ქვეშ გაცილებით ადრე მოექცა (1921), რომ აღარაფერი ვთქვათ მეფის რუსეთთან ურთიერთობის უფრო ადრეულ გამოცდილებაზე. ამას გარდა ქართველი კომუნისტების ჩართულობა პროექტის განხორციელებაში გაცილებით წარმომადგენლობითი იყო. ამავე დროს, საქართველოს შემთხვევაში უფრო უკეთ იყო გათვალისწინებული ლოკალური კონტექსტი, რასაც სტალინის წარმომავლობის ფაქტორიც განაპირობებდა. ამდენად, მსგავსებების მიუხედავად, აუცილებლად გასათვალისწინებელია რეჟიმის რეპრეზენტატულობის ხარისხი ცალკეულ კონტექსტში, რაც შესაბამისი გავლენის შესაძლებლობებს ქმნიდა.

მსგავსებები:

1) ცარიელი ადგილის შერჩევა ახალი ქალაქის მშენებლობისათვის, ესაა რუსთავის ისტორია, რომელიც კომუ-

ნისტებმა საზოგადოებას შესთავაზეს, ფილმებისა თუ სხვა ნარატიული ტექსტების სახით. მოშიშვლებული ადგილის გამოჩენით, რომელიც აუთვისებელი და გაუდაბურებული იყო, რუსთავის რეპრეზენტაციული ნარატივის განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი ველზე მშენებლობა გარკვეულ პარალელებს პოულობს ნოვა ჰუტასთან. ნოვა ჰუტა კრაკოვის შემოგარენის სასოფლო სამეურნეო მიწებზე აშენდა, ტრიალ მინდორზე. სოფელი და აგრარული სექტორი ურბანულ სივრცესთან მიმართებაში, როგორც ჩამორჩენილი ისე განიხილებოდა. ამგვარად ქალაქისათვის სამშენებლო ადგილის შერჩევა, რუსთავსა და ნოვა ჰუტას შორის მსგავსების დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

2) ისტორიული ეპოქა, პერიოდი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა ძალის რეგიონებში დომინაცია რუსთავსა და ნოვა ჰუტას ერთ ჯგუფად ალაგებს. როგორც ერთი სისტემის შემოქმედება, ისინი ტოლ-სწორნი არიან. ორივე შემთხვევაში სახეზეა გადაწყვეტილების ცენტრალიზებული მიღების პრაქტიკა და ადგილობრივი მოსახლეობის ფორმალური ჩართულობის იგნორირებაც. ყველა ამ მახასიათებლებით რუსთავი და ნოვა ჰუტა ერთ მგომარეობაში ექცევიან.

3) რუსთავისა და ნოვა ჰუტას მშენებლობას უკავშირდება მიგრაცია/ურბანიზაციის პროცესი, ქვეყნის მასშტაბით გლეხები/მთიელები მასიურად მოდიან ქალაქის ასაშენებლად. ორივე შემთხვევაში ქალაქები მიგრანტებისთვის იქმნება, რომლებიც ძველი ცხოვრების წესს ტოვებენ, კავშირს წყვეტენ მიწასთან და მუშათა კლასში ეწერებიან. მუშათა ქალაქის იდეა, რომლის მცხოვრებლები ძირითადად

მუშები არიან, მჭიდროდ აკავშირებს რუსთავსა და ნოვა ჰუტას.

4) ორივე ქალაქის მშენებლობის რეპრეზენტაციისას რეჟიმის მხრიდან გარკვეული ტრადიციის მოძიებისა და გარკვეული მითების შექმნის მცდელობებს ვხვდებით. ახალი ქალაქის დაფუძნებას შესაბამისი მითი სჭირდება, რაც ლეგიტიმაციის საკითხებსაც უკავშირდება. რეპრეზენტაციის საკითხის მნიშვნელობა და მისი შინაარსისათვის ნარატივების ძიება, ორივე ქალაქისათვის საერთოა.

5) რუსთავსა და ნოვა ჰუტას შორის მსგავსებების გამოსაყოფად, საგულისხმო საკითხია მათი „ცენტრთან" მიმართება. რუსთავის თბილისთან (ცენტრთან) სიახლოვე, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თბილისთან უფრო ახლოს აშენების ვარიანტიც განიხილებოდა, ეს მსგავსება განსხვავებად შეიძლება განვიხილოთ. ამის მიუხედავად, ვითარება, რომელიც სისტემის ნგრევის შედეგად ჩამოყალიბდა რუსთავსა და ნოვა ჰუტაში, მსგავსია. 90-იანი წლებიდან რუსთავი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღესაც თბილისშია დასაქმებული და რუსთავში მხოლოდ ღამის გასათევად მიდის. რუსთავსა და თბილისს შორის განუწყვეტლად მოძრაობს სამარშუტო ტაქსები, რომლებიც მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომია და ორ ქალაქს შორის მობილობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ნოვა ჰუტას შემთხვევაში, ეს ფაქტორი კიდევ უფრო თვალშისაცემია, რადგან იგი კრაკოვის ადმინისტრაციული ნაწილია და რუსთავის მსგავსად პოსტ-სოციალისტურ პერიოდში მო-

სახლეობის უდიდესი ნაწილი სამუშაოდ ყოველდღიურად კრაკოვის ცენტრში გადაადგილდება.

6) უმუშევრობის საკითხი, რაც სისტემის მსხვრევასა და ქარხნების გაჩერებას მოჰყვა, ორივე ქალაქის ცხოვრებაში მწვავედ აისახა. გიგანტური ქარხნების სამრეწველო ციკლის მოშლა ნამდვილ კატასტროფად იქცა ორივე ქალაქის მოსახლეობისათვის. ტოტალური უმუშევრობის პირობებში რუსთავისათვის ერთადერთი ხსნა თბილისთან სიახლოვე აღმოჩნდა, ხოლო ნოვა ჰუტასათვის კრაკოვის ცენტრი. ამ მომენტში ყველაზე კარგად გამოჩნდა რუსთავი-თბილისის ინტეგრაციული დისკურსი, რაც ასევე საერთო მახასიათებლად ყალიბდება ნოვა ჰუტასთან მიმართებაში.

7) ეკოლოგიის თემატიკა რუსთავსა და ნოვა ჰუტას ასევე აერთიანებს. ეკოლოგიური საკითხები რუსთავისათვის ისევე აქტუალური და მწვავე თემაა, როგორც ნოვა ჰუტასათვის. ქალაქის პოსტსაბჭოთა და საბჭოთა იმიჯში ეკოლოგიისა და გამწვანების საკითხები უკანასკნელ როლს არ თამაშობს ქალაქის სახის ჩამოყალიბებასა და მის რეპრეზენტაციაში.

8) მოსახლეობის რაოდენობითაც ორივე ქალაქი მსგავს მდგომარეობაშია. ნოვა ჰუტას მოსახლეობამ სოციალისტურ პერიოდში 200 000 მიაღწია, ხოლო რუსთავისა 170 000. ამის მიუხედავად, ნოვა ჰუტა მაინც კრაკოვის ერთ უბანს შეადგენდა, რუსთავი კი დამოუკიდებელ ქალაქად რჩება.

9) ორივე ქალაქში ვხვდებით სტალინის პირად ინიციატივასა და პოზიციას. სტალინი, როგორც „ყოვლისმცოდნე“, „ყოვლისშემძლე“ დიადი ბელადი, ყველა საქმეში ახერხებდა

ყოფილიყო კომპეტენტური და სცოდნოდა საკითხის ყველა დეტალი, მათ შორის რუსთავისა და ნოვა ჰუტას შესახებ. რეალურად რთული სათქმელია რა და როგორ იყო სინამდვილეში, თუმცა ხალხის მეხსიერებამ თავიანთი ქალაქების შექმნაში მისი აქტიური „მონაწილეობა“ და „ზრუნვა“ შემოინახა.

10) ქალაქის საპრეზენტაციო ფორმები საგრძნობლად აახლოებს რუსთავსა და ნოვა ჰუტას. ახალგაზრდობის, სიჭაბუკის, მეგობრობის ქალაქი, ის იმიჯია რუსთავისათვის, რომელსაც ძველი თაობა ხშირად სიამაყით იხსენებს. მსგავს სენტიმენტებს ვხვდებით ნოვა ჰუტას მოსახლეობაში. ამ ქალაქების ასაშენებლად მოდიოდნენ ახალგაზრდები და, როგორც თავად იხსენებენ ქალაქში მოხუცს ძნელად თუ შეხვდებოდი. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვინმესთან სტუმრად მშობელი ჩამოვიდოდა. ამ ნიშნით პირდაპირი პარალელის გაკეთება შეიძლება რუსთავსა და ნოვა ჰუტას შორის. თუმცა ქალაქის ეს ხატი უფრო მეტაფორის სახეა, სადაც ახალგაზრდობა სისტემისათვის სასურველ მდგომარეობას წარმოადგენს, ვიდრე რეალობის პირდაპირი ასახვა.

11) ანტიკომუნისტური პროტესტის სიმძლავრე, ერთი შეხედვით რუსთავთან დაკავშირებით, თვალში საცემი არაა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქალაქის ცალკეული ნარატივის ბედს პოსტსაბჭოთა პერიოდში, ეს სწორედ ანტიკომუნიზმის სიმპტომატურ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. ანტიკომუნისტური განწყობა რუსთავში შეიძლება ჯგუფური „დავიწყების“ „ამნეზიის“ ფორმებშიც ამო-

ვიკითხოთ, როდესაც ქალაქის ფიზიკური ან დროითი სივრციდან კომუნისტურ რეჟიმთან ასოცირებული რეალიები უკვალოდ ქრება. ამ ნიშნით რუსთავი გარკვეულ პარალელს მაინც პოულობს ანტიკომუნიტურ ბასტიონად მონათლულ ნოვა ჰუტასთან.

12) ეკლესიის მშენებლობის საკითხი რუსთავში: რუსთავი ამაყობს ფაქტით, რომლის მიხედვითაც ეკლესიის მშენებლობა რუსთავში საბჭოთა სისტემის დანგრევამდე როგორც შეუქცევადი პროცესი, რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. მიიჩნევა, რომ საბჭოთა სისტემის ნგრევიდან პირველი ეკლესია, კავკასიის მასშტაბით, სწორედ რუსთავში აშენდა. ამ მოვლენას კარპე მუმლაძემ საგანგებო წიგნიც მიუძღვნა. ეკლესიის მშენებლობა ნოვა ჰუტას თვითდამკვიდრებისა და თვითაქტუალიზებისათვის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა როგორც კრაკოვის, ისე სრულიად პოლონეთის მასშტაბით.

13) ახალი გმირებისა და სიმბოლოების ძიება დამახასიათებელია როგორც რუსთავის, ისე ნოვა ჰუტასათვის. ამისი საუკეთესო მაგალითები ქალაქის ურბანულ სივრცეში განლაგებული ძეგლები, მათი მოძრაობა და ქუჩის სახელების ცვლილებებია. ამ მახასიათებლებით რუსთავი პირდაპირ პარალელს ნოვა ჰუტასთან პოულობს.

14) წარსულისადმი ნოსტალიგიის თემა ორივე ქალაქის შემთხვევაში სახეზეა. რუსთავისა და ნოვა ჰუტას მოსახლეობის „ნოსტალგია“ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც, ადრე უკეთ ცხოვრობდნენ და მათ ამჟამინდელ რთულ ეკონომიკურ რეალობას იდენტობების კრიზისიც ემატება.

განსხვავებები:

1) პირველ რიგში, ის, რაც განასხვავებს რუსთავს ნოვა ჰუტასგან არის მისი ოფიციალური სტატუსი, დამოუკიდებელი თვითმართველი ქალაქისა, მაშინ როცა ნოვა ჰუტა კრაკოვის ადმინისტრაციული ნაწილია. ყველაფრის მიუხედავად, რუსთავი დამოუკიდებელ ქალაქად ჩამოყალიბდა და მისი თბილისთან უშუალო მიერთების საკითხი საჯაროდ არ დასმულა. იმის მიუხედავად, რომ კომუნიკაცია თბილისსა და რუსთავს შორის ისეთივე მარტივია, როგორც თბილისის სხვადასხვა უბანს შორის, მსგავსი საკითხი მაინც არ განხილულა ქართულ პოლიტიკურ ისტაბლიშმენტში.

2) რუსთავის შემთხვევაში, მის სარეპრეზენტაციო მოდელში ოფიციალური ისტორიოგრაფიიდან კონკრეტული ნაციონალური ნარატივების მოძიებას ვხვდებით, რომლის მიხედვითაც, კომუნისტებმა შუა საუკუნეების ისტორიული ქალაქი ააღორძინეს და საქართველოს შავი მეტალის დამუშავების ტრადიცია დაუბრუნეს. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური ნარატივების კონსტრუირება მთავარ განმასხვავებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ეფუძნება არსებული ქალაქი. შესაძლოა, სწორედ ეს მახასიათებელი უშლიდეს ხელს რუსთავს სათანადო რეფლექსია მოახდინოს საბჭოთა მემკვიდრეობაზე. ხოლო მსგავსი ნარატივის არარსებობა ხელს უწყობდეს ნოვა ჰუტას ახალ რეალობაში სათანადო ადგილი დაიკაოს როგორც კრაკოვის, ისე პოლონეთის მასშტაბით.

3) მიუხედავად საპროტესტო მუხტის სიმძლავრისა, რუსთავი არ და ვერ ჩაითვლება ანტიკომუნისტური გამოსვლების ცენტრად, როგორც ეს ნოვა ჰუტას შემთხვევაში

აშკარად ჩანს. რუსთავის ანტიკომუნისტური გამოსვლები ეწერება ერთიან ქართულ კონტექტში, სადაც მას რიგითის, არა ლიდერის როლი აქვს მაშინ, როცა ნოვა ჰუტა პირდაპირ ეპიცენტრში აღმოჩნდა სოლიდარობის მოძრაობაში, რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა რეჟიმი.

4) თანამედროვე პერსპექტივიდან დანახული რუსთავის წარსული განსხვავდება ნოვა ჰუტას ისტორიისგან. საქართველოში რუსთავი არ აღიქმება, როგორც კომუნიზმის „ნარჩენი", ვინაიდან მხოლოდ ამ ნაწილში არ იყო თავმოყრილი და კონცენტრირებული კომუნისტური სიმბოლოები. შესაბამისად, რუსთავი დღეს განსაკუთრებული სოციალისტური მემკვიდრეობით არ გამოირჩევა, როგორც ეს ნოვა ჰუტას შემთხვევში გვხვდება. შესაბამისად, არ ხდება მისი, როგორც ტურისტული ადგილის წარმოჩენა ამ კუთხით.

5) სოციალისტური რუსთავის მშენებლობა „ჩაეწერა" ერთიანი ქართული ნაციონალური ნარატივის დისკურსში, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა. მისი მშენებლობა უფრო მეტად სწორედ ნაციონალურ ნარატივებთან ასოცირდება, ვიდრე საძულველ რეჟიმთან. სწორედ რუსთავის ეს ნაციონალური ურბანული ნარატივები გვაძლევს სისტემის ლეგიტიმაციისა და მისი პოზიტიურად წარმოჩენის შესაძლებლობებს უკვე პოსტსაბჭოთა რეალობაში.

6) რუსთავის არქეოლოგიური გათხრები: რუსთავის მშენებლობას თან სდევდა აღმოჩენები, რომელიც ქალაქის სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება. ქალაქის პირველ არქეოლოგებად მშენებლები აღმოჩნდნენ, რომლებიც მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიურ არტეფაქტებს

პოულობდნენ. მიწის ზემოთ სოციალისტური რუსთავის პარალელურად, მიწისქვეშა ისტორიული რუსთავის მშენებლობა მიმდინარეობდა.

7) რუსთავისა და ნოვა ჰუტას განსხვავებულობის საფუძვლები საერთო კონტექსტებში შეიძლება ვეძიოთ. რუსთავის კონტექსტში საქართველოს 70-წლიანი საბჭოთა გამოცდილება იგულისხმება, სადაც რეჟიმი „უფრო“ მეტად შინ გრძნობდა თავს. ამას ემატება სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედისა და მისი ხელმძღვანელის ქართული წარმომავლობა. მაშინ, როცა საბჭოთა სისტემას პოლონეთი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გავლენის სფეროს სახით (სოციალისტური ბლოკი) შემოუერთდა. ამდენად, ის, რაც უფრო იოლად შეიძლება გამოსულიყო საქართველოში, გაცილებით რთული მისაღწევი იყო პოლონეთში. თუ საქართველოში საბჭოთა რეჟიმი ყველა სეგმენტში და ყველა ფორმით იყო წარმოდგენილი, პოლონეთში უფრო ფრაგმენტული იყი. ამდენად, არაა გასაკვირი, რომ პოლონეთმა უფრო ადრე და მეტად ეფექტურად მოახერხა კომუნისტური წარსულისგან თავის დაღწევა. ხოლო კომუნიზმის ფრაგმენტები ტურისტულად მიმზიდველი გახადა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმმა საქართველოსა და პოლონეთს მემკვიდრეობად დაუტოვა ნარატივები, რომლებიც თავისებურად განაგრძობენ არსებობას და ყოველდღიურობაზე ახდენენ გავლენას. ამ ნარატივების გავრცელების არეალი არ არის შეზღუდული კონკრეტული ურბანული სივრცით, თუმცა, მათი გავლენის ხარისხსა და სიმძაფრეს აღნიშნული სივრცეების მდგომარეობა და მათდამი დამოკიდებულება განაპირობებს. საბჭოთა

რეჟიმი, ბუნებრივია, ერთიანი პოლიტიკით მოქმედებდა, თუმცა, იმის მიხედვით, თუ სად რამდენად ჰქონდა ფესვები გადგმული, შესაბამისი იყო მისი გავლენის ხარისხიც. ის, რისთვისაც დიდი ძალისხმევა ესაჭიროებოდათ პოლონეთში, გაცილებით ადვილად ხერხდებოდა საქართველოში. თუ გიგანტური მშენებლობა პოლონეთში სასჯელად აღიქვეს, საქართველოში საჩუქრად შეფასდა. შესაბამისად, თანამედროვე პერსპექტივიდან, ამგვარად, დაისმის საკითხი, როგორ ვაფასებთ სოციალისტურ/საბჭოთა მემკვიდრეობას. სამწუხაროდ, პოლონეთისგან განსხვავებით, საქართველოში იგი განსაკუთრებული კვლევის საგანს არ წამოადგენს და მას, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას, არ აღიქვამენ. რუსთავის, როგორც სოციალისტური ქალაქის, გაგებასთან დაკავშირებით არც განსაკუთრებული დებატები და დისკუსიები იმართება საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, ნოვა ჰუტა გამორჩეულია და მისდამი ინტერესი განუზომლად დიდია როგორც ფართო საზოგადოებში, ისე სამეცნიერო წრეებში. ნოვა ჰუტას კვლევით დაინტერესებულია უამრავი პოლონელი და უცხოელი მკვლევარი, რაც საზოგადოებაში სოციალისტურ მემკვიდრეობაზე რეფლექსიის პროცესს უწყობს ხელს.

მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა და ხელისშემშლელი პირობებისა, ნოვა ჰუტა კრაკოვის ინტეგრაცია, გარდაუვალი აუცილებლობა და დროის მოთხოვნაა. ნოვა ჰუტას გენეზისი, მისი მშენებლობა და შემდგომი განვითარება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ პოლონეთის უახლესი ისტორიის კონტექსტში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად.

ნოვა ჰუტა ასახავს სწორედ იმ ტენდენციებს, რომლებიც სოციალისტურ ბანაკში ახალ რეალობასთან ერთად წარმოიშვა, თუმცა, ამავდროულად, მისი ბედი და განვითარება პოლონეთის საერთო ისტორიას, ტრადიციასა და აზროვნების თავისებურებას დაუკავშირდა. კრაკოვის ფაქტორი, მისი მნიშვნელობა და გავლენა ნოვა ჰუტას მშენებლობის დასაწყისიდანვე განმსაზღვრელი იყო. ნოვა ჰუტამ არსებობის მოკლე ისტორიის მანძილზე ისეთი გამოცდილება დააგროვა, რომელიც მას კრაკოვთან ინტეგრაციაში უდავოდ დაეხმარებოდა.

ნოვა ჰუტას კრაკოვის ინტეგრაციული დისკურსის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმბოლოები, მათი გენეზისი და შემდგომი ტრანსფორმაცია. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ლენინის მონუმენტი წარმოადგენს, რომელიც, ერთი მხრივ, ქალაქის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა, ხოლო, მეორე მხრივ – შეტევის ობიექტად, ძეგლის ჩამოგდებამ გარკვეული ვაკუუმი შექმნა და მისი ჩანაცვლება ვერც ერთმა სიმბოლომ ვერ შეძლო. ნოვა ჰუტას ცენტრი, რომელმაც, გარკვეულწილად, მნიშვნელობა დაკარგა, უახლოეს მომავალში რევიტალიზაციას დაექვემდებარება. ნოვაჰუტელებისათვის ცენტრის მნიშვნელობის დაკნინება რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას, მათ შორის ერთ-ერთი შეიძლება კრაკოვთან ინტეგრაციის კონტექსტშიც განვიხილოთ, კერძოდ ის, რომ ცენტრმა კრაკოვის მთავარ მოედანზე გადაინაცვლა და, ამდენად, ლოკალურმა ცენტრმა აქტუალობა დაკარგა.

რაც შეეხება საქართველოსთან პარალელებს, ნოვა ჰუტას ანალოგიის მოძებნა რთული არაა. მაგალითად, თბი-

ლისის მახლობლად მეტალურგიული ქალაქის რუსთავის მშენებლობის შემთხვევა. მეტიც, ნოვა ჰუტას ანალოგი პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან სოციალისტურ და საბჭოთა ქალაქში თუ მის მახლობლად არის შესაძლებელი. მათ შორის მსგავსებების მიუხედავად, განსხვავებულია კონტექსტი და შესაბამისად რეჟიმის მხრიდან მოქმედების თავისუფლებაც, რაც ქალაქის შემდგომ განვითარებაშიც აისახება. რუსთავი ნოვა ჰუტას მსგავსად ცარიელ ადგილზე, პრაქტიკულად დროის იმავე მონაკვეთში ზარ-ზეიმითა და დიდი პროპაგანდის თანხლებით აშენდა, თუმცა რუსთავი დამოუკიდებელ ქალაქად ჩამოყალიბდა და არც რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ბასტიონად ქცეულა. რაც საბჭოთა რეჟიმისათვის ძნელად მისაღწევი იყო პოლონეთში, ის ადვილად მისაღწევი აღმოჩნდა საქართველოში.

შეიძლება ითქვას, რომ ნოვა ჰუტა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება საძულველი სისტემის „საჩუქარი“, მისი სიმბოლო, ტურისტულად მიმზიდველ და პოლონელებისათვის ემბლემატური ქალაქის, კრაკოვის, ნაწილად აქციო. ნოვა ჰუტამ თავისი 70-წლიანი არსებობის მანძილზე მოახერხა თავისებურად განეცადა და მოეთხრო პოლონეთის მთელი ისტორია. ამ თვალსაზრისით, რუსთავიც საქართველოს ისტორიის თავისებური წაკითხვისა და ინტერპრეტაციის დამოუკიდებელ მაგალითს ქმნის. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანიც ამ თვალსაზრისით გზის გაკვალვა და მომავლის პრესპექტივების დასახვა იყო.

დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქ რუსთავის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევა მისი სახის წარმოდგენასა და ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, რაც მის რეპრეზენტაციულ მოდელში ფართოდ აისახა. გაუდაბურებული ველი და ისტორიული ნაქალაქარი სხვადასხვა ფორმით მოემსახურა რუსთავის მნიშვნელობის წარმოჩენას საზოგადოების თვალში. აღნიშნული საკითხი ბუნებრივად უკავშირდება სისტემის ლეგიტიმაციას, რომელიც ქალაქის მშენებლობით ქვეყანაზე „ზრუნვასა" და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილს გამოხატავს. ამდენად, ადგილის შერჩევის საკითხი რუსთავის ურბანული ნარატივის განუყოფელი ნაწილი ხდება, რომელიც შესაბამის გავლენას პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ამჟღავნებს.

შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტად იქცა ქალაქის რაობის წარმოსაჩენად. რუსთავ-ქალაქის რეპრეზენტაციაში არსებით როლს თამაშობდა და დღემდე გარკვეული ფორმით ინარჩუნებს ამ სტატუსს ქალაქის ისტორიული მუზეუმი. სწორედ მუზეუმში დაცული ექსპონატების საშუალებით არის შესაძლებელი იმ ნატარივების ჩამოყალი-

ბებაზე თვალის გადევნება, რომელიც ქალაქის კონტრასტულ, თუმცა ერთიან ბუნებას ქმნის.

შოთა რუსთაველის წარმომავლობის რუსთავთან ასოცირება და მისი ინდუსტრიული ქალაქის მკვიდრად გამოცხადება ერთ-ერთ, ყველაზე, დიდ ცდუნებად იქცა საბჭოთა რეჟიმისათვის. აღნიშნული თემა რუსთავში ლიტერატურული პროცესების ქვაკუთხედი გახდა. შოთა რუსთაველის რუსთაველობის საკითხი, რაც კომუნისტური მთავრობის მხარდაჭერით რუსთავის ურბანული ნარატივის ნაწილად იქცა, ერთნაირი ენთუზიაზმით აიტაცეს როგორც ადგილობრივმა პოეტებმა, ასევე ჟურნალისტებმა, მეცნიერებმა და თავად რუსთავის მოსახლეობამ. შოთა რუსთაველის თემა ყველაზე ძლიერი არგუმენტი და გამართლება აღმოჩნდა რუსთავის განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საბჭოთა კავშირის მასშტაბით. შოთა რუსთაველი, ქალაქის რეპრეზენტაციული ნარატივის ყველაზე არსებით ნაწილად შეიძლება განვიხილოთ საბჭოთა პერიოდში, იმის მიუხედავად რამდენად დამაჯერებლად გამოიყურება მსგავსი მტკიცება ისტორიული ფაქტებისა და წყაროების ფონზე.

შორეული წარსულიდან ხალიბების ტომის საქმიანობის დაკავშირება რუსთავის მეტალურგიულ გიგანტთან, ასევე რუსთავის რეპრეზენტაციული ნარატივის ნაწილად იქცა. ისტორიული ფაქტებით მანიპულაცია რეჟიმისათვის მნიშვნელოვან ლეგიტიმაციის იარაღს წარმოადგენდა. აღნიშნული ნარატივის მიხედვით ქართველებს ჰქონიათ გამოცდილება ფოლადის დამუშავებისა, რომელიც ისტორიული ქარტეხილების გამო, სამწუხაროდ დავიწყებას მისცე-

მია. ამავე ნარატივში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა რეჟიმმა უზრუნველყო ისტორიული ცოდნის დაბრუნება რუსთავის მეტალურგიის მშენებლობით.

რუსთავის მშენებლობის კონტექსტი და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა ბუნებრივად დაუკავშირდა მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლების პირველ პირს, იოსებ ბესარიონის ძე სტალინს. გარდა იმ ფაქტისა, რომ ბელადის გადაწყვეტილებისა და უშუალო მონაწილეობის გარეშე მაშინ არაფერი ხდებოდა, მისი წარმომავლობა ამ მოცემულობას კიდევ უფრო ამძაფრებდა და ნაციონალურ ელფერს სძენდა. ამგვარად, სტალინის პიროვნული ფაქტორი რუსთავის ურბანული ნარატივის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

სოციალისტური შრომის გმირების, როგორც ელიტური კატეგორიის გამოყოფა, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სოციალისტური იდენტობების ჩამოყალიბების პოლიტიკაზე. სოციალისტური რეალიზმის, როგორც რეალობის კონსტრუირებაში გადამწყვეტი როლის მქონე მეთოდზე. სწორედ ამ რეალობის ნაწილს წარმოადგენდა ახლად ფორმირებული ელიტა. სოციალისტური იდენტობების კონსტრუირებისათვის აქტიურად გამოიყენებოდა მილიტარისტული სულისკვეთებით გაჯერებული ნაციონალური ნარატივები, ამგვარად, ბრძოლისა და თავდადებისათვის გამოიყო ახალი ასპარეზი, სამუშაო ფრონტი. შესაბამისად ელიტის დაკომპლექტება ხდებოდა, იმ ადამიანებით, რომლებიც მუშაობისას გმირობას იჩენდნენ გეგმების შესრულების პროცესში. ერთი მხრივ, ხდებოდა სხვადასხვა სამუშაოების გათანაბრება, მეორე მხრივ, იქმნებოდა სა-

მუშაოთა იერარქია, სადაც სათავეში ექცეოდა მძიმე ფიზიკური შრომა. კონკრეტული სოციალისტური შრომის გმირების ისტორიის მაგალითზე შეგვიძლია დავაკვირდეთ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ტიტულის მინიჭების ლოგიკიდან იწყებოდა. ტიტულის მინიჭება ერთგვარ წყალგამყოფად იქცეოდა ადამიანის ცხოვრებაში, რაც მას, ერთი მხრივ, ელიტური ცხოვრების სტილს და, მეორე მხრივ, იმავე სამუშაოზე დარჩენას და რუტინაში მონაწილეობას სთავაზობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფში მოხვედრილი ადამიანები მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ საზოგადოებაში, რასაც მათი რესურსებისადმი წვდომა და ნომენკლატურასთან სიახლოვე განაპირობებდა, მათ ვერ შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა დონეზე ამ ადამიანების ელიტურობა არ იყო გაზიარებული საზოგადოების მიერ და შესაბამისად ახალ დროში მათი „გმირებად“ ფუნქციონირებაც შეწყდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქ რუსთავის დაარსებისთანავე კომუნისტებმა იზრუნეს მისი წარსულის შექმნაზე, რომელსაც ისტორიის სახე მისცეს, ამით შეეცადნენ აეთვისებინათ „ტერიტორია“, რომელიც მეხსიერებისთვის იყო განკუთვნილი, „დაიწერა“ რუსთავის ურბანული ნარატივები, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდა ნაციონალური ისტორიაში ადგილის დაკავებისა. ასეთი ნარატივები იყო ისტორიული რუსთავის გაცოცხლება, რომელიც განადგურდა სხვადასხვა შემოსევის შედეგად; შოთა რუსთაველის დაკავშირება ქალაქის წარსულთან და მის მემკვიდრეობაზე პრეტენზია; ისეთი დავიწყებული ტრადიციის აღდგენა, როგორიცაა

რკინის დნობა და ამ პროცესში, ბუნებრივია, კომუნისტების როლის კიდევ უფრო განდიდება. თუმცა სისტემის ცვლილებასთან ერთად ეს ნარატივები გაქრა ისტორიის დისკურსიდან და მხოლოდ მეხსიერებასა და არქივებს შემორჩა. კონკურსის მაგალითზე ჩანს, რომ მთლიანად უარი ეთქვა საბჭოთა პერიოდის წარმოდგენაზე, როგორც საქართველოს ისტორიის ნაწილზე და მასთან ერთად ქალაქზე შექმნილი ისტორიული ნარატივებიც „გაუჩინარდა", რაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მათი შექმნის ისტორია ჯერ კიდევ ცოცხალია საზოგადოების მეხსიერებაში და, ამავდროულად, არ შექმნილა ოფიციალური ისტორია, რომელიც მათ ადგილს დაიკავებდა. ამ ყოველივეს ვიზუალური ილუსტრაციისათვის კი მუზეუმის მეორე სართულზე წარმოდგენილი საკონკურსო მასალის განლაგება გამოდგება. როდესაც ახლო წარსულის, საბჭოთა ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია უფრო შორეულ წარსულზე მომზადებული მასალით იფარება და რომელსაც ისტორია ჰქვია, ხოლო ის, რაც მეხსიერებაში ჯერ კიდევ მყარადაა, საჯარო დავიწყებისთვისაა განწირული. კონკურსის ორგანიზატორების მიერ გაწერილი ფორმატის მიუხედავად, სადაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის გადააზრებისათვის ადგილი არ რჩებოდა, კონკურსის ფილოლოგიურ ნაწილში მაინც მოიძებნა რამდენიმე შემთხვევა, სადაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობაზე რეფლექსია ხდება. მთლიანობაში კი საქართველოს ისტორიაში გამართულმა კონკურსმა ქალაქ რუსთავში აჩვენა, რომ საბჭოთა წარსულის გადააზრება არ დგას დღის წესრიგში, რასაც ცოცხალი მეხსიერება უშლის ხელს, რომელიც წინააღმდეგობრივია, არაერთგვაროვანია

და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად, პირად გამოცდილებებსაც მოიცავს. შესაბამისად, ამ ადგილის შევსებასა და გადაფარვის მცდელობას ვხვდებით უფრო ძველი ისტორიის მოშველიებით, რომელიც, როგორც ჩანს დღევანდელ იდეოლოგიასა და მისწრაფებებს უფრო კარგად გამოხატავს და შეესაბამება. ამგვარად, კონკურსზე წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის ნაწილში არ მოიძებნა ადგილი არათუ სოციალისტური რუსთავისათვის არამედ ისტორიული რუსთავისთვისაც, რაც ადასტურებს, რომ ქალაქი ახალი იდენტობის ძიებაშია.

კომუნისტებმა რუსთავის მშენებლობასთან ერთად, ქალაქის წაკითხვის ორი განსხვავებული დისკურსი შემოგვთავაზეს – ნაციონალური და ინტერნაციონალური. ქალაქის ამ ხედვების გასამყარებლად რეჟიმი სხვადასხვა ავტორსა და ფაქტს მოიხმობდა. ურბანული ნარატივების მეშვეობით კი ქალაქის ძლიერ მხარეებს წარმოაჩენდა და ქვეყნის მასშტაბით მის განსაკუთრებულ სტატუსს უზრუნველყოფდა. რუსთავი საქართველოს სიამაყედ გამოცხადდა. ამ ყველაფრის საპირისპიროდ ქალაქის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქარხნების ქალაქში მასიურმა უმუშევრობამ დაისადგურა. წარმოდგენები ბედნიერ მომავალზე მწარე რეალობით შეიცვალა. რამაც ავტომატურ რეჟიმში ღირებულებათა გადაფასების საკითხი დააყენა. მათ შორის კომუნისტების მიერ შემოთავაზებულმა ნაციონალურმა ნარატივებმა დაკარგა დამაჯერებლობა, ხოლო ქალაქის მულტიკულტურული იმიჯი აღარ იყო მიმზიდველი. რუსთავის ინტერნაციონალური ბუნების შესუსტება, ერთი

მხრივ, ეთნიკური უმცირესობების აქტიურმა მიგრაციამ, მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის ზრდამ განაპირობა. აღნიშნულ საკითხებზე დაკვირვებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას რუსთავის სკოლების მიერ მომზადებული ბლოგები გვაძლევს.

წარმოდგენილ ბლოგებში რუსთავის ინტერნაციონალური ოჯახის კვალის მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის ყველაზე აშკარა ილუსტრაციად ალიევის სკვერის იგნორირება გამოდგება, მაშინ, როდესაც საუბარია ქალაქის დასასვენებელ ადგილებზე, გამწვანებასა თუ ეკოლოგიაზე. ქალაქის მულტიკულტურულობის წარმოდგენასთან ერთად იკარგება მასთან ასოცირებული ნაციონალური ნარატივებიც. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური და პატრიოტული პასაჟები არ აკლია ზოგადად ბლოგებს ქალაქის შესახებ, კონკრეტული ნარატივი შოთა რუსთაველის სადაურობის შესახებ მტკიცებითი ფორმითაც არ გვხვდება. ექვსი სკოლიდან ხუთი სკოლის მიერ მომზადებულ ბლოგში საერთოდ არ არის მოხსენიებული უდიდესი პოეტი და მისი ფასდაუდებელი მემკვიდრეობა. მხოლოდ ერთი სკოლის ბლოგში გვხვდება კონკრეტული მეცნიერის მიერ გამოთქმული ვარაუდის სახით. ამის სანაცვლოდ პრაქტიკულად ყველა ბლოგში გვხვდება ისტორიული ქალაქის შესახებ დაწვრილებითი მსჯელობა. ეს ფაქტი შესაძლოა გამოწვეული იყოს ამ ნარატივის სისუსტით, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტებმა შესთავაზეს საზოგადოებას. სავარაუდოდ, ამგვარი აქცენტირება ქალაქის ისტორიულობაზე მის არადამაჯერებლობაზე შეიძლება მიუთითებდეს. ბლოგებში მინიმალისტურადაა წარმოდგენილი ქალაქის

ისტორიის სოციალისტური პერიოდი, რაც სიმპტომატურია და ქალაქის წარსულის რეპრეზენტაციის თავისებურებაზე მიუთითებს. ქალაქის მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპის იგნორირება კავშირში უნდა იყოს სისტემის ნგრევასთან, რომლის ინიციტივითაც აშენდა/აღდგა ქალაქი. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, მის მიერ შეთავაზებულმა ნარატივებმაც დაკარგა ძალა და გავლენა. ბლოგებში ვხვდებით გარკვეული სახით იდენტობის ძიებასთან ასოცირებულ ერთგვარ პროცესსაც, მაგალითად, ახალი გმირების წარმოჩენა, რომლებიც დაიღუპნენ ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. მათი სახელები ჩნდება რუსთავის ქუჩებში და მათ შესახებ ქალაქის კონტექსტში წერენ. ამ პროცესის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ ეკლესიების მოხსენიება ქალაქისათვის მნიშვნელოვან ადგილებად. ამგვარად, რუსთავის ერთ-ერთი სახელი, „ორმოცი ძმის ქალაქი", ერთგვარ მეტაფორად იქცა და ისტორიას ჩაბარდა, იქამდე, სანამ ახალი ძალა ქალაქის იდენტობის ახალ მარკერებს არ მოხაზავს და ორმოცი ძმის ურთიერთობის ახალ კონტექსტს არ შესთავაზებს საზოგადოებას.

სოციალისტური რუსთავი დაპროექტდა, როგორც სამაგალითო მუშათა ქალაქი, სადაც ეკლესიისა და რელიგიისათვის ადგილი აღარ უნდა დარჩენილიყო. კომუნისტებმა ცარიელ ადგილზე გაშენებულ ქალაქს საგულისხმო ადგილი საქართველოს ისტორიაში მოუძებნეს. საბჭოთა ურბანულმა ნარატივებმა რუსთავი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების ცენტრში მოაქცია და ქართული საბჭოთა ნაციონალიზმის წყაროდაც აქცია.

ერთი მხრივ, ქალაქის ნაციონალური სახელი და მეორე მხრივ მისი ინტერნაციონალური პროფილი, თავისებურად გულისხმობდა ლატენტურ ბრძოლას რელიგიურობასა და საბჭოთა ათეიზმს შორის. შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტების მიერ შემოთავაზებული ქალაქის ნაციონალური ნარატივები, გახდა საფუძველი და შესაძლებლობა რუსთაველებს ეფიქრათ ქალაქში პირველი ეკლესიის მშენებლობაზე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. თანამედროვე რუსთავის ქალაქგეგმარებაში ეკლესიებისა და ჯვრებისათვის ადგილის მოძიება არ გამხდარა რთული საქმე. მართლმადიდებლური სიმბოლოების გამოჩენა ქუჩებში და მათი აღქმა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ქალაქის საბჭოთა ნაციონალურ ნარატივების ინტერპრეტაციასთან.

რუსთავში ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობა თუ აღდგენა ლოკალურ კონტექსტს გასცდა და საერთო ქართულ თუ პოსტსაბჭოთა მოვლენად იქცა. მიიჩნევა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მასშტაბით, რუსთავი აღმოჩნდა ის ქალაქი, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე და შემდგომ პირველი ეკლესია აშენდა. დღეისათვის რუსთავში 23 მოქმედი და 10 მშენებარე მართლმადიდებლური ეკლესიაა წარმოდგენილი. მართლმადიდებლურ ტაძრებს ქალაქის ურბანულ სივრცეში გამორჩეული ადგილი უჭირავთ, მათ ვხვდებით ქალაქის ნებისმიერ საიმიჯო რგოლსა თუ პუბლიკაციაში. ასევე აღსანიშნავია ჯვრების დადგმა, რომლებსაც ბიძგი ქალაქის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა მისცა, როდესაც იალღუჯის მთაზე უზარმაზარი რკინის ჯვრის კონსტრუქცია დადგა. ამას მოჰყვა რკინის ჯვრე-

ბის ეზოებში მასიურად დადგმა. რუსთავში რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარი შეიძლება გამოვარჩიოთ, ესენია: რუსთავის სიონი, ხარების ეკლესია და ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარი. რუსთავის საკათედრო ტაძარი გამოირჩევა მასშტაბებითა და გმირი მეფის, ვახტანგ გორგასლის (Vს.) სახელდებით, რომელიც ტიპური არაა ზოგად ქართული საეკლესიო ტრადიციისათვის. მებრძოლი მეფის სახელი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს რუსთავისათვის, როგორც ქალაქის წარსულის ნაციონალური ინტერპრეტაციის მორიგი შესაძლებლობა. სიმბოლურობით გამოირჩევა რუსთავის პირველი მართლმადიდებლური ტაძარი, რომლის მშენებლობაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე დაიწყო და ხარების სახელს ატარებს. სახელდებად ხარების არჩევა, ასევე სიმბოლურ ხასიათს უნდა ატარებს, რომელიც ახალი ეპოქის მახარებელი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი მშენებლობა სწორედ ნაეკლესიარზე გადაწყდა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ფორმა. ნაეკლესიარის V საუკუნით დათარიღება და ვახტანგ გორგასლის სახელი, ხარების ეკლესიას კომუნისტების მიერ ისტორიული ქალაქის აღორძინების ნარატივთან აახლოვებს და მის გაგრძელებად წარმოგვიდგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთავის პირველი ეკლესიის მშენებლობის ინიციატორთა შორის რუსთავის მოქალაქეთა ნახვა, რომელთა მიერ მოყოლილი ამბავი კიდევ სხვაგვარად ალაგებს წარსულსა და აწმყოს. ამგვარად კომუნისტურმა სისტემამ ერთგვარად გააგრძელა ქალაქის ისტორიული ნარატივების წერა და მათი ინტერპრეტაცია, რითაც მოახდინა საკუთარი სოცი-

ალური კაპიტალის ტრანსფერი პოსტსოციალისტურ პერიოდში. შესაბამისად ლოგიკურია, რომ ამ ისტორიის თხრობას საბჭოთა მწერალი იღებს საკუთარ თავზე. ხოლო რუსთავის ანტისაბჭოთა საზოგადოების ნაწილის ინიციატივა და მცდელობა აშენებულ ქალაქში ქრისტიანული ეკლესია ოფიციალური ისტორიის მიღმა უნდა დარჩენილიყო.

რუსთავის ეზოს სამლოცველოები, რომლებიც მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციაში თავსდება და შესაბამისი რელიგიური სიმბოლოებითაა წარმოდგენილი, ფართო საზოგადოებრივ ინტერესს პასუხობს და სცდება მხოლოდ რელიგიურ, საკრალურ დანიშნულებას. განსაკუთრებით საგულისხმო ფაქტია, რომ მის მოწყობაში მონაწილეობას მთელი სამეზობლო იღებს და ეს ფაქტი არ გამხდარა განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე პირების მხრიდან პროტესტის საგანი. აღსანიშნავია, რომ სამლოცველოები, როგორც მთხრობელებისგან გამოიკვეთა ძირითადად ადგილის მოკავების მიზნით ეწყობა, რათა სახელმწიფომ არ გაასხვისოს მათი ეზოს ნაწილი და იქ არ ჩაიდგას რაიმე „უსახური“ შენობა. ასევე მიაჩნიათ, რომ აღნიშნული სამლოცველოები მოემსახურება მათი ეზოების უსაფრთხოებასა და კრიმინალისგან დაცვას. გარდა ამისა, ეზოს სამლოცველოები გამწვანებული და მოვლილი ადგილებია, სადაც ბავშვები და ასაკოვანი ადამიანები დღის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ დაცულად. მთხრობელთა ნაწილის აზრით, სამლოცველოების მოვლით უამრავმა მოხუცმა იპოვა საქმე და ამ ფორმით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაც მოახდინა. აღსანიშნავია, რომ ადგილი დაცლილია გაწერილი, კონკრეტული რელი-

გიური პრაქტიკისგან. ამგვარად ეზოს სამლოცველოები მრავალფუნქციური ხასიათისაა და ისინი პასუხობენ საზოგადოების არამხოლოდ რელიგიურ მოთხოვნებს, არამედ მათ სოციალურ საჭიროებებსაც და რაც ყველაზე მთავრია, სამეზობლოს თვითორგანიზების შესაძლებლობად იქცა. ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეზოს სამლოცველო ამ ფორმით, ერთი მხრივ აფართოებს საკრალური სივრცის გაგებას, თუმცა, მეორე მხრივ, ხდება თავად სალოცავის თავისებური დესაკრალიზაცია/პროფანიზაცია. ვინაიდან იგი გარკვეულ ავტონომიას ინარჩუნებს ოფიციალური ეკლესიისგან და კულტმსახურება არ აღესრულება. ამდენად ეზოს სამლოცველოები ზიარდება სამეზობლოებსა და ქალაქში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ერთად ცხოვრობენ და ქმნიან საერთო საარსებო სივრცეს.

ლათინ კათოლიკეთათვის ტაძრის მშენებლობა რუსთავში მხოლოდ 2018 წელს გახდა შესაძლებელი, თუმცა სხვა ადგილზე. ხუთწლიანი ბრძოლა ტაძრის მშენებლობისათვის ნებართვის მოსაპოვებლად რელიგიის სახელმწიფოს სააგენტოს მიერ ბიუროკრატიულ დაბრკოლებად მოინათლა. უნდა ითქვას, რომ ლათინ კათოლიკეთა ტაძრის მნიშვნელობა რუსთავში საგულისხმო საკითხად იქცა მრავალფეროვნების აღქმის და მიმღებლობის თვალსაზრისით. აღსანიშნავი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ეს საკითხი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც სამართლებრივი დავის სახე მიიღო, თუმცა საკითხის დარეგულირება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა ადგილის მოცვლის შესაძლებ-

ლობა გაჩნდა. ნებართვა ეკლესიის აშენების თაობაზე მაშინ მიიღო ლათინ კათოლიკეთა თემმა, როცა ცენტრიდან პერიფერიისკენ გადანაცვლებას დასთანხმდნენ. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე რელიგიურობისათვის საჯარო სივრცეში მატერიალური რეპრეზენტაცია.

რელიგიური მრავალფეროვნების კუთხით, დღეს რასაც ვაკვირდებით ქალაქში, ესაა ერთი მხრივ აზერბაიჯანული თემის მაღალი ინტეგრაცია, რაც მათი მხრიდან ქართული ენის ფლობაში გამოიხატება, მეორე მხრივ მათი პოზიციის სუსტი არტიკულაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ისინი ყველაზე მსხვილ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, მათი მხრიდან მცდელობა ჩანდნენ საჯარო სივრცეში, ნაკლებად ან თითქმის არ გვხდება, ეს ერთი მხრივ შეიძლება უკავშირდებოდეს ზოგადად ისლამის აღქმას საზოგადოებაში, მეორე მხრივ რეგიონის თავისებურებას, იგულისხმება ქვემო ქართლის ეთნიკური და რელიგიური კომპოზიცია. კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქის მკვიდრი ახალგაზრდა აზერბაიჯანული თემის ნაწილი რელიგიას მნიშვნელობას უკარგავს, ნაწილისათვის იგი ისლამის ახალ მოძრაობას უკავშირდება, რაც მთლიანობაში აზერბაიჯანული თემის თვითიდენტიფიკაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. აზერბაიჯანული თემის თვითაღქმაში ბუნებრივია შესაბამის როლს ქალაქის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გამოცდილება თამაშობს, სადაც მრავალფეროვნების გაგება განსხვავებულია. მიუხედავად იმისა ქალაქის მშენებლობა „ორმოცი ძმის“ ერთობლივ ძალისხმევას დაუკავში-

რეს კომუნისტებმა, პოსტსოციალისტურ ეპოქაში, ხალხთა მეგობრობა მაინც არადამაჯერებელ ღირებულებად აღიქმება და უფრო მეტად შიშებსა და საფრთხეებს უკავშირდება. ქალაქ რუსთავის მუსლიმური თემის სასულიერო პირისათვის საფრთხე და წინააღმდეგობა არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფსა და ქალაქის ქრისტიანულ მოსახელობას, არამედ ისლამის ახალ რადიკალურ მიმდინარეობას და მათ ექსპანსიას უკავშირდება. აღნიშნული პრობლემის გამოკვეთა ერთი მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის ერთგვარ გამოვლინებადაც შეიძლება განვიხილოთ, ვინაიდან რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო თანამშრომლობს და მათი გავლით ფინანსდება მხოლოდ საქართველოში ტრადიციულად მიჩნეული რელიგიური ჯგუფები. ამგვარად რუსთავში ისლამის სახიერი კვალის ძიება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა მისი აჩრდილი მნიშვნელოვან ფაქტორს ქმნის, როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული თემისათვის ქალაქში.

საბჭოთა რეჟიმმა საქართველოსა და პოლონეთს მემკვიდრეობად დაუტოვა ნარატივები, რომლებიც თავისებურად განაგრძობენ არსებობას და ყოველდღიურობაზე ახდენენ გავლენას. ამ ნარატივების გავრცელების არეალი არ არის შეზღუდული კონკრეტული ურბანული სივრცეებით, თუმცა, მათი გავლენის ხარისხსა და სიმძაფრეს აღნიშნული სივრცეების მდგომარეობა და მათდამი დამოკიდებულება განაპირობებს. საბჭოთა რეჟიმი, ბუნებრივია, ერთიანი პოლიტიკით მოქმედებდა, თუმცა იმის მიხედვით, თუ სად რამდენად ჰქონდა ფესვები გადგმული, შესაბამისი იყო

მისი გავლენის ხარისხიც. ის, რისთვისაც დიდი ძალისხმევა ესაჭიროებოდა პოლონეთში, გაცილებით ადვილად ხერხდებოდა საქართველოში. თუ გიგანტური მშენებლობა პოლონეთში სასჯელად აღიქვეს, საქართველოში საჩუქრად შეფასდა. შესაბამისად, თანამედროვე პერსპექტივიდან, ამგვარად, დაისმის საკითხი, როგორ ვაფასებთ სოციალისტურ/საბჭოთა მემკვიდრეობას. სამწუხაროდ, პოლონეთისგან განსხვავებით, საქართველოში იგი განსაკუთრებულ კვლევის საგანს არ წამოადგენს და მას, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას არ აღიქვამენ. რუსთავის, როგორც სოციალისტური ქალაქის გაგებასთან დაკავშირებით არც განსაკუთრებული დებატები და დისკუსიები იმართება საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, ნოვა ჰუტა გამორჩეულია და მისდამი ინტერესი განუზომლად დიდია როგორც ფართო საზოგადოებში, ისე სამეცნიერო წრეებში. ნოვა ჰუტას კვლევით დაინტერესებულია უამრავი პოლონელი და უცხოელი მკვლევარი, რაც საზოგადოებაში სოციალისტურ მემკვიდრეობაზე რეფლექსიის პროცესს უწყობს ხელს.

მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა და ხელისშემშლელი პირობებისა, ნოვა ჰუტა კრაკოვის ინტეგრაცია, გარდაუვალი აუცილებლობა და დროის მოთხოვნაა. ნოვა ჰუტას გენეზისი, მისი მშენებლობა და შემდგომი განვითარება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ პოლონეთის უახლესი ისტორიის კონტექსტში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად. ნოვა ჰუტა ასახავს სწორედ იმ ტენდენციებს, რომლებიც სოციალისტურ ბანაკში ახალ რეალობასთან ერთად წარმოიშვა, თუმცა, ამავდროულად, მისი ბედი და განვითარება

პოლონეთის საერთო ისტორიას, ტრადიციასა და აზროვნების თავისებურებას დაუკავშირდა. კრაკოვის ფაქტორი, მისი მნიშვნელობა და გავლენა ნოვა ჰუტას მშენებლობის დასაწყისიდანვე განმსაზღვრელი იყო. ნოვა ჰუტამ არსებობის მოკლე ისტორიის მანძილზე ისეთი გამოცდილება დააგროვა, რომელიც მას კრაკოვთან ინტეგრაციაში უდავოდ დაეხმარებოდა.

ნოვა ჰუტას კრაკოვის ინტეგრაციული დისკურსის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმბოლოები, მათი გენეზისი და შემდგომი ტრანსფორმაცია. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ლენინის მონუმენტი წარმოადგენს, რომელიც ერთი მხრივ ქალაქის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა, ხოლო მეორე მხრივ – შეტევის ობიექტად, რომლის ჩამოგდებამ გარკვეული ვაკუუმი შექმნა და მისი ჩანაცვლება ვერც ერთმა სიმბოლომ ვერ შეძლო. ნოვა ჰუტას ცენტრი, რომელმაც, გარკვეულწილად, მნიშვნელობა დაკარგა, უახლოეს მომავალში რევიტალიზაციას დაექვემდებარება. ნოვაჰუტელებისათვის ცენტრის მნიშვნელობის დაკნინება რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას, მათ შორის ერთ-ერთი შეიძლება კრაკოვთან ინტეგრაციის კონტექსტშიც განვიხილოთ, კერძოდ ის, რომ ცენტრმა კრაკოვის მთავარ მოედანზე გადაინაცვლა და, ამდენად, ლოკალურმა ცენტრმა აქტუალობა დაკარგა.

რაც შეეხება საქართველოსთან პარალელებს, ნოვა ჰუტას ანალოგიის მოძებნა რთული არაა. მაგალითად, თბილისის მახლობლად მეტალურგიული ქალაქის რუსთავის მშენებლობის შემთხვევა. მეტიც, ნოვა ჰუტას ანალოგი პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან სოციალისტურ და

საბჭოთა ქალაქში თუ მის მახლობლად არის შესაძლებელი. მათ შორის მსგავსებების მიუხედავად, განსხვავებულია კონტექსტი და შესაბამისად რეჟიმის მხრიდან მოქმედების თავისუფლებაც, რაც ქალაქის შემდგომ განვითარებაშიც აისახება. რუსთავი ნოვა ჰუტას მსგავსად ცარიელ ადგილზე, პრაქტიკულად დროის იმავე მონაკვეთში ზარ-ზეიმითა და დიდი პროპაგანდის თანხლებით აშენდა, თუმცა რუსთავი დამოუკიდებელ ქალაქად ჩამოყალიბდა და არც რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ბასტიონად ქცეულა. რაც საბჭოთა რეჟიმისათვის ძნელად მისაღწევი იყო პოლონეთში, ის ადვილად მისაღწევი აღმოჩნდა საქართველოში.

შეიძლება ითქვას, რომ ნოვა ჰუტა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება საძულველი სისტემის „საჩუქარი“, მისი სიმბოლო, ტურისტულად მიმზიდველ და პოლონელებისათვის ემბლემატური ქალაქის, კრაკოვის, ნაწილად აქციო. ნოვა ჰუტამ თავისი 80-წლიანი არსებობის მანძილზე მოახერხა თავისებურად განეცადა და მოეთხრო პოლონეთის მთელი ისტორია. ამ თვალსაზრისით, რუსთავი საქართველოს ისტორიის თავისებური წაკითხვისა და ინტერპრეტაციის დამოუკიდებელ მაგალითს ქმნის. მოცემული ნაშრომის მიზანიც ამ თვალსაზრისით გზის გაკვალვა და მომავლის პერსპექტივების დასახვაც იყო.

Tea Kamushadze

SOVIET HERITAGE OF RUSTAVI
BIG ISSUES OF THE SMALL PLACE
ENGLISH RESUME

Soviet reality represents a dominant event of Georgia of the XX century (1921-1990), which imbued a political factor of all the spheres of social life and was the main focus of values for years. Despite the fact that 30 years have passed since the Soviet collapse and the given period has become part of the Georgian history, its influence is still relevant in today's reality. In order to understand the past of the Soviet Georgia and peculiarities of its heritage, which are diversely manifested in the present, I will consider representative models of Rustavi city, urban narratives and related to them memory policy in the time context. The Soviet system created the reality through manipulation of historical facts in the form of „social realism" and ensured the legitimacy of the own system in the eyes of the society via various representational means. The issues raised in the book serve to isolate

the features of Soviet heritage in Georgia and analyze them, in particular, the formation of the „socialistic“ face of Rustavi, as well as considering the process of its transformation from the anthropological perspective. The main subject of the research is how the urban narratives offered by the Soviet system affected the collective memory of the Georgian society, and their trace under the conditions of transformation. The question arises here as to why the city's socialist past „disappeared“ from the modern representative urban narratives of Rustavi and why it is difficult to create a new one. The urgency of the scientific reasoning on the formation of the face of Rustavi and its post-Soviet transformation process is stipulated by the idea of Rustavi itself, whose construction initiative and industrial profile directly relate to the Soviet system. Accordingly, when a system is changed or falls down, its all kinds of challenges are revealed in this particular type of society and namely this provides an opportunity for discussion and observation. Observation of the process of anthropological research of the heritage of Georgia may become a starting point. Thus, the urgency of the research is stipulated, on the one hand, by the severity of the issue of the Soviet heritage and the degree of its influence on the present and, on the other hand, by the lack of scientific works regarding the abovementioned issue, both in Georgian and foreign languages. Rustavi's post-Soviet reality has

not become an object of independent scientific research for the scientists of social and human sciences so far. Accordingly, the mentioned research could have been an interesting acquisition for both Rustavi urban research and, in general, Soviet researches of Georgia. In a more general context, the research is significant for the introduction of new topics within Georgian ethnological school.

To judge the peculiarities of the Soviet heritage, the highlighting of Rustavi city is stipulated by several factors. The emergence of Rustavi on the political map of Georgia is related to the period after the Second World War. The post-World War II period is an important new stage for the Soviet system, which took off the mantle of a winner and proceeded to the construction of socialism with more pursuasiveness across the Soviet Union and socialist block. This period is characterized by the high pace of industrialization and urbanization. The construction of one of the„oldest“ and „newest“ Rustavi depicts a distinctive feature of this stage in the case of Georgia. It can be said that the Soviet and post-Soviet representation of Rustavi accumulates all the resistance and difficulties that the Soviet system left to Georgia as a legacy. The Soviet legacy is the key issue, where science and everyday life come together. In science, as in every aspects today, there is a burning question of reconciliation and reflection of the Soviet heritage. After the collapse of the Soviet Union,

scientists have become interested in this direction. Yet, the understanding of the Soviet heritage has not become a subject of a wide range of scientific discussion. Radical political and economical and socio-cultural changes have been widely reflected on daily life of the population. Nevertheless. The new reality was as new as the old one was no longer. The hated system, which was destroyed, expressed the desire of the population to live in a different way, though the desired outcomes were far different from the expectations. Since its establishment, the industrial city, which had been attracting people with its employment opportunities all around Georgia and the Soviet Union, became the main hotbed of unemployment in the post-Soviet period. Thus, Rustavi as the firstborn of the Soviet system and its uniform victim creates a fertile ground to monitor Soviet heritage and stimulates scientific intellect.

The issues of the research discussed in the thesis are based on the possibilities of identification and distinguishing of the Soviet and post-Soviet urban narratives of the city Rustavi and their subsequent analysis:

1) Why did the Soviet system refer to the national narratives for the representation of a new socialist city? Why was it interested in it and why did the Communist government assist in construction of the industrial city and reconstruction of the historical city at the same time?

2) How did Rustavi's „national“ and „international“ narratives coexist and what was their role in the formation of a new identity of Rustavi population? What was the role of the socialist realism in the formation of the Soviet identity? Why did workers write poems and narratives? Why did famous writers and public figures visit metallurgical factory?

3) What happened to Rustavi urban narratives in the post-Soviet period? Why did the „international“ narratives lose their urgency and the „national“ ones lose their persuasiveness? How is the process of search of the transformation of the urban narratives and new identity visualized in Rustavi urban space?

4) How were the Communist narratives transferred into the religious forms and how did they materialize in the urban space of Rustavi? Why and how did the national narratives of the Socialist Rustavi, created by communists, become part of the Orthodox Christian church of Georgia in the post-Soviet time? Why could not the perception of religious pluralism in the city reflect the international image (of the city) and the experience of multiculturalism in the Soviet time?

5) How can we compare Rustavi post-Soviet experience with the city of similar profile Nowa Huta in Poland? How does the comparison of two industrial giant cities make it possible to define similarities and differences? Apart from the similarities, while defining the differences, a natural question

arises: why the interest towards Nowa Huta from both tourist and scientific points of view is big and continues to increase, while no one offers a visit to Rustavi for tourists coming to Georgia. Unfortunately, in fact, there is no scientific interest in understanding of its social and political nature.

The main source, on which the thesis is based, represents the ethnographic material, which I obtained while working on the field itself: observations, personal records, interviews and photo, audio and video footage taken by me. Apart from this, I used newspaper articles for the work as an efficiently used representation field in the narrativization process by the Soviet Union. Mainly I selected two newspapers („Metallurg“ and „Socialist Rustavi“), which were published in Rustavi and which commented on the everyday life of the city widely. Depending on their volume, I processed only the numbers that had been released in jubilee years (1948, 1958, 1968, 1978, 1988). In addition, I used fiction widely, which according to its relevant specifics and style (socialist realism is being implied), it referred to relevant reflection on the socialist reality of Rustavi. The processing of relevant literature provided me with an opportunity to discuss the distinguished role of workers-poets while presenting the essence of the city, which was also reflected on association of Shota Rustaveli with the city of Rustavi. Based on the processing of the same sources, the required trend was distinguished and

the appropriate place and attention were devoted to Rusatvi in the creative works of all Georgian writers or poets. The most significant sources for the research were fiction and documentary films about Rustavi. Since the visualization of the narratives has a great and special role to influence on the memory of the society, the relevant sources could not stay beyond research and analysis. The thesis uses various kinds of official and unofficial documentation, including maps, which also represent a useful source to investigate certain issues. Certainly, I used electronic resources during the research process, such as social media. It can be said that contemporary representation means largely depend on social networks. Observation of construction of the narratives and identity of the post-Soviet period is unimaginable without internet. To investigate certain issues, I considered internet-blogs in details, which had been prepared by Rustavi schools to present their city in the competition announced by the Ministry of Education. In this case, we had an opportunity to not only observe the narrativization of new identities, but also measure the interest towards the abovementioned issues. Monuments and their adventures in Rustavi urban space represent another important source for the research. In this case, the space and moving objects in the space represent a subject matter, whose movement in the overall focus of values indicates the search process of the new identity.

Structure of the book The work consists of introduction, four chapters, 17 sub-chapters, conclusions, illustrative material and bibliography.

The process of birth and establishment of national narratives in connection with the city of Rustavi is dicussed in the first chapter. The issue of development of the ferrous metallurgy in Transcaucasia and the finding of its appropriate place occupy an important place in the Rustavi representative narrative. Its presentation for the society as a deserted field and a historical site of the former city was not accidental. Rustavi, as a presentation of Rustaveli's city, is naturally placed in Rustavi national narrative. Coming from the importance of Rustaveli, for the purpose of Georgian identity, the association of socialist Rustavi with Shota Rustaveli became a great temptation for communists. An issue of Chalybes is also present in this narrative, when the development of ferrous metallurgy on the Georgian land was announced as a continuation of the legacy of Chalybes. Rustavi Local History Museum represents an important space for visualization of Rustavi national nature, which maintained the appropriate function in the post-Soviet period as well. Presentation of Rustavi as a city with national values was connected to Stalin's personal factor, who, as a person who knew history of Georgia well, took into consideration the factors listed above and returned/granted the historic city to Georgia.

The peculiarities of the formation of the international face of Rustavi are discussed in the second chapter, which, on the one hand, represented ideologically desirable model, and, on the other hand, reflected on the reality created in the socialist city. On the system's side, Rustavi, as branding of the city of forty brothers, has become a significant part for the creation of its representative model. By presenting the international nature of Rustavi, it was associated with the Soviet Union, which propagated the idea of people's friendship. Interestingly, the international representation model coexisted with the national one, which was reflected in the idea of a rebirth of the historic city, which was possible only through the support of the fraternal people. The part of the formation of the city's international narratives was represented by a new issue of the formation of the Soviet identity. The subject of a new identity represented coming into being at the head of the labour values and identification of its confrontation with the struggle. Working in factories and plants was equated with the creative work, and the fruitful work with the patriotism, which could become a source of heroism. The socialist realism, which meant the replacement of reality by inventing the reality, played a vital role in the formation of the Soviet identity in the city of people's friendship.

An attempt to clarify the peculiarities of the transformation process of the Soviet national and international narratives

is presented in the third chapter. The following questions are asked in this chapter: Why did the international narratives of the city lose the urgency? And, why are not national narratives convincing anymore? The represented issues provide reflection on the Soviet legacy of Rustavi. The possibilities of allocation of appropriate markers for the new identity of Rustavi will be discussed in the context of memory policies and representational means. We encounter here with an attempt to analyze the perception of essence of the city, which is conceptualized by dialectics of memories and oblivion and materialized by the relevant forms in the city urban areas.

The fourth chapter is dedicated to the consideration of Polish socialist city of Nowa Huta in the context of both Krakow and unified Poland. Similar to Rustavi, the „story“ of Nowa Huta begins in the aftermath of World War II. Both were designed as ferrous metallurgy workers' cities. The construction of both cities was connected to the legitimacy of the Soviet Union and its power of representation. Yet, their development was being held in different directions. The distinction between them provides a wide range of possibilities for discussing the Soviet system and the peculiarities of its heritage in the examples of Georgia and Poland. Nowa Huta has long been in the field of scientific interest. Despite the fact that today it is part of the municipal administration of Krakow, it still maintains its individuality and is very popular from the tourist point of view. In this regard, the comparison

of Rustavi to Nowa Huta not only provides us with an opportunity to make remarkable conclusions, but also might bear a practical purpose: to lead to the „recognition“ of the Soviet past of Rustavi, to transform it into tourist product and offer it to the people who are interested in these issues. In this chapter, on the one hand, Rustavi is presented as a city with huge scientific potential, and on the other hand, its recent past is considered as a tourist resource, which should first be noticed by the locals in order to offer it to others. In this case, Nowa Huta represents an interesting example for Rustavi and Georgia.

Conclusions: In the form of a conclusion, it is worth noting that the selection of the place for the construction of the city of Rustavi was an essential step for its representation and formation, which had been widely reflected in its representative model. The deserted valley and the historic city served to represent the city of Rustavi in different forms in the eyes of the public. This issue is naturally associated with the legitimacy of the system, which expresses the desire to „take care“ of the country by constructing the city and restoring historical justice. Thus, the selection of the place becomes an integral part of the urban narrative of Rustavi, which depicts the relevant influence in the post-Soviet period.

It can be said that Rustavi History Museum has become one of the most interesting tools to represent the city’s essence. It played an important role in the representation of

the city of Rustavi and it still preserves the status of the city's Museum of Local History. Namely, the exhibits that are kept in the museum make it possible to follow the formation of the narratives, which create the city's contrasted though still unified nature.

Association of Shota Rustaveli with Rustavi and the announcement of the industrial city as his heritage had become one of the greatest temptations for the Soviet regime. This issue became a cornerstone of literary processes in Rustavi. Shota Rustaveli's „Rustaveloba", which became part of the urban narrative of Rustavi with the support of the Communist government, was whirled away with enthusiasm equally by local poets and journalists, scientists and workers. The theme of Shota Rustaveli was the strongest argument and justification to present Rustavi exclusively both inside the country and in the Soviet Union. Shota Rustaveli can be considered as one of the most significant parts of the city's representative narrative in the Soviet period, regardless of how convincing it looks in the background of similar historical facts and sources.

From the distant historical past, the link between the activities of Chalybe tribe with the Rustavi Metallurgical Giant, also became a part of Rustavi representative narrative. Manipulation with historical facts was an important weapon of legitimization for the regime. According to the aforementioned narrative, Georgians were experienced in steel

processing, which was then forgotten due to historical hardships. We read in the same narrative that the Soviet regime ensured the return of historical knowledge with the construction of Rustavi metallurgy.

The context of the construction of Rustavi and representation of its significance were naturally connected with the first person of the Soviet government of those times, Joseph Besarion Stalin. Besides the fact that nothing would happen without the decision and the direct participation of the leader, his origin further intensified this aspect and provided the national appearance. Thus, Stalin's personal factor became an essential part of the urban narrative of Rustavi in both Soviet and post-Soviet periods.

Distinguishing of the socialist labour heroes, as an elite category, allows us to judge the formation of the policy of socialist identities and the method, which had a decisive role in constructing the reality of social realism. The newly formed elite represented the part of this particular reality. The national narratives saturated with militaristic spirit were actively used for the construction of socialist identities. Thus, the arena – the working front - for fighting and devotion was marked out. Accordingly, elite was being composed of men who showed heroism in the work process while fulfilling plans. On the one hand, the equalization of various jobs was being performed and, on the other hand, there was supposed to be a hierarchy of jobs, where hard physical jobs were considered

to be the top ones. We can observe these contradictions on the example of the history of certain socialist labour heroes, which began from the granting of titles. Granting of the title was a kind of watershed in the life of a man, which on the one hand, offered an elite lifestyle and, on the other hand, it offered being on the same work and participation in the routine. Despite the fact that the people in this group occupied a significant place in the community, which meant access to resources and proximity to the nomenclature, they failed to maintain their position after the collapse of the Soviet Union. It turned out that the elitism of these people on the level of values was not shared by the society and accordingly, their functioning as 'heroes' terminated in the new period.

It should be noted that, upon the establishment of the city of Rustavi, Communists took care of the creation of the history of the city, which was given a historical face. By this, they tried to master the „territory" which was intended for the memory. Rustavi's urban narratives were „written", which expressed the claim to occupy the place in the national history. Such narratives served as the ressurection of the history of Rustavi, which had been destroyed due to various invasions; the claim to link Shota Rustaveli with the past of the city and its heritage; restoration of forgotten traditions and customs, such as fusion of iron. Certainly, in this process the role of Communists did enhance. However, together with the changes of the system, these narratives disappeared from

history discourse and was preserved only in the memory and archives.

Communists together with the construction of Rustavi offered two different discourses to present the city: national and international. To strengthen these views of the city, the regime would call various authors and facts. It presented the strong sides of the city through urban narratives as well as provided for its special status throughout the country. Rustavi was declared as the pride of Georgia. In contrast to this, the city's situation changed significantly after the collapse of the Soviet Union; massive unemployment began in the factories of the city. Dreams about happy future were replaced by a bitter reality, which raised the issue of revaluation of the values in automatic regime. As a result, national narratives offered by the Communists lost their credibility, and the multicultural image of the city ceased being attractive. The weakening of the international nature of Rustavi was stipulated on the one hand, by active migration of the ethnic minorities and, on the other hand, by the growth of national movement.

The urban planning of the city was an example of perfect workers' city, without the space for religion. At the same time the soviet government put Rustavi into the center of Georgian Soviet nationalistic narratives. The composition of the citizens was international. The national and international image of Rustavi contained the latent tension between the religiosity and soviet atheism. Before the collapse of the So-

viet Union already in 1991, the spaces for Orthodox churches and crosses were found in the urban environment. This was conceptualised as the revitalisation of lost historical reality. The other confessions occurred in an assimetric conditions. Their visibility was facing some difficulties and, in some cases, led to court disputes. The religious topography of Rustavi reflects the tension for gaining power and establishing new order in the de-industrialized post-communist city

The construction of the first Orthodox church in Rustavi obtained a special significance, both locally and across the country. Rustavi, as a city of exemplary workers, had to attract the population, with its own history and the greatness of the past, the discovery of which took place simultaneously with the construction of an industrial city and its authors were naturally communists. The communists took care of the international face of the city, as well as finding its place in the history of Georgia. Consequently, the people of Rustavi could have felt proud as the opening of a historical museum in the still uninhabited city was a sign of the importance of history for Rustavi with its Chalybean heritage, Shota Rustaveli's origin and the status of a city.

The way Karpe Mumladze and Lasha Khetsuriani tell this story creates a fundamentally different picture, both in form and in thought, however, their assessment towards the significance and evaluation of the temple for the city coincides with the modern situation. The point of intersection of

these two stories is the museum. It was this place that should have linked the construction of the temple to the historic city. Thus, the system would continue to write and interpret the city's historical narratives in response to maintaining its own legitimacy. It is noteworthy that the Soviet writer took on the narrative of this story. The initiative and desire that matured and formed in the Rustavi society should have remained beyond official history.

Orthodox Christian Yards chapels in Rustavi are represented by appropriate religious symbols, respond to the general public interest and go beyond only the sacral purpose. It is especially noteworthy that the whole neighborhood community participates in its building and this fact has not been the subject of protest from the side of the representatives of different religious groups. It should be noted that the chapels, as revealed by the interviewees, are arranged mainly to occupy the place, not to sell the part of their yard and not to place any „ugly" building there. It is also believed that these chapels will serve the security of the yards. In addition, yard chapels are lush and tidy places where children and the elderly spend an important part of the day. According to some of the interviewees, a lot of old people found the purpose by taking care of the chapels. Thus, the chapels of the yard are multifunctional in nature and they meet not only the religious needs of the community, but also their social needs and,

most importantly, have become an opportunity for self-organization of the neighborhood community.

The Soviet Union left the narratives as Georgian and Polish heritage, which continue to exist in their own way and influence on everyday life. The area of dissemination of these narratives is not restricted by certain urban spaces. However, the quality and the strength of their influence are stipulated by the state of those spaces and the attitude towards them. The Soviet regime naturally acted according to a single policy. Nevertheless, the quality of its influence depended on the place and extent of their roots. Something that required a lot of efforts in Poland could be done much easier in Georgia. If the giant construction was perceived as a punishment in Poland, it was assessed as a gift in Georgia. Thus, a question can be set from the modern perspective regarding the appreciation of socialist/Soviet legacy. Unfortunately, in contrast to Poland, it does not represent the subject of special research in Georgia and it is not perceived as cultural heritage. No specific debates or discussions are held in the society regarding Rustavi as a socialist city. From this perspective, Nowa Huta is distinguished and the interest towards it is immensely large for both general public and scientific circles. Numerous Polish and foreign researchers are interested in the research of Nowa Huta, which, in its turn, assists to the promotion of the process of reflection on socialist heritage in the society.

Despite numerous obstacles and hindering conditions, the integration of Nowa Huta into Krakow represents an inevitable necessity and time requirement. We can consider the genesis of Nowa Huta, its construction and the subsequent development in the context of the recent history of Poland, in parallel with the world events after the Second World War. Nowa Huta reflects the same trends that emerged in the socialist camp with the new reality, but at the same time, its fate and development was linked to the history, tradition and peculiarities of thinking in Poland. Krakow's factor, its significance and influence was determined from the very beginning of the construction of Nowa Huta. Nowa Huta had accumulated such experience during its brief existence that it would certainly help the city to integrate into Krakow.

Within the framework of integrational discourse of Nowa Huta into Krakow, symbols, their genesis and further transformation are especially important. The most striking example of this is Lenin's monument, which on the one hand, became a real symbol of the city and, on the other hand, the object, subject to attack, whose replacement had created a certain vacuum. Moreover, no symbol managed to replace it. The center of Nowa Huta, which lost certain significance, will be subject to revitalization in the near future. For people in Nowa Huta, the reduction in significance can be explained by several reasons, including consideration of one of them in the context of integration with Krakow; in particular, moving

the center to the main square of Krakow, resulting in the loss of urgency by the local centers.

As for parallels with Georgia, the analogy with Nowa Huta is not difficult to find. For example, the construction of the metallurgical city of Rustavi near Tbilisi. Moreover, it is possible to find the analogy of Nowa Huta, virtually, in every major socialist and Soviet city or in its vicinity. In spite of similarities, the context is different and accordingly, the freedom of action is also different on the part of the regime, which is then reflected on further development of the city. Similar to Nowa Huta, Rustavi was built in an empty place, in the same span of time and under the great propaganda. However, Rustavi became an independent city and did not become a bastion to fight against the regime. Things that were difficult for the Soviet regime to achieve in Poland, could be achieved in Georgia with less resistance.

It can be said that Nowa Huta is a good example of how the „gift“ of the hated system could be transformed into the tourist attraction and how it could be made a part of emblematic city of Krakow for Polish people. During 70 years of existence, Nowa Huta managed to experience and tell Poland its entire story in its own way. In this regard, Rustavi sets an independent example of a peculiar reading and interpretation of Georgian history.

ბიბლიოგრაფია

1. აბესაძე ა., ნაცრისფერყდიანი რვეული, ჟ. „დროშა“, N12, 1963.
2. აბულაძე ნ., 32 წელი რუსთავის მიწაზე, გაზ. „მეტალურგი“, №4 1968.
3. აბულაძე დ., ისლამის „გასახელმწიფოებრიობა“ – სახელმწიფოს მიერ ისლამის მართვის საკითხი საქართველოში. კრებულში ს. ზვიადაძე (რედ.), „ხილული და უხილავი რელიგია – რელიგიის საკითხების კულტურული და პოლიტიკური განზომილება“ (გვ. 89-111). ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.
4. ამირეჯიბი ჭ., კარგი საჩუქარი, ჟ. „ცისკარი“, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, №1, 1961.
5. ამირეჯიბი ჭ., „იყავნ ქალაქნი“, კრ.: მადლი კომუნისტური შრომისა, თბილისი 1963.
6. არჯევანიძე, ნ., კულტურული დომინაცია და უმცირესობების კულტურის წაშლის მცდელობები ქვემო ქართლის რეგიონში კრებულში, მიქელაძე თ., (რედ.), რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები – კვლევების, ანგარიშების და სტატიების კრებული (გვ. 262-305). სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2020.

7. ასლანიშვილი ა., „ხალიბური ფოლადივით უტყუარი“. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1978.
8. Assman J., From Moses to Egyptian: the Memory of Egypt in western Monotheism, and „Collective Memory and Cultural Identity“, The Collective Memory reader, Oxford: Oxford University Press. 2011
9. Hierarchies of Knowledge in Central-eastern European Anthropology. The anthropology of East Europe Rewiew, №22, 2004.
10. Buyandelgeriyn M., Post-Post-Transition Theories: walking on multiple Paths. Annual Review of Anthropology, 37:235-250, 2008.
11. Burawoy M., Katherine V. (eds.) Uncertain transition: ethnographies of Change in the Postsocialist World. Lanham, Rowman & Littlefield, 1999.
12. მოდებაძე თ., „ჩვენ – რუსთაველები“, ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №9503, F6-68.
13. ბარქაია, მ., ჯანელიძე, ბ., „უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში“. თბილისი, 2018.
14. ბაქრაძე კ., ძმობის ქალაქი, ჟ. „დროშა“, №2, 1983.
15. ბელიაშვილი ა., „ვეფხია ხალიბაური“, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1960.
16. ბელოუსოვი ა., „ორმოცი ძმის ქალაქი“. ჟ. „რუსთავის ჩირაღდნები“, მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული ალმანახი, 1985.

17. ბეჟუაშვილი ჟ., „იბრძვიან უკეთესი მაჩვენებლებისათვის“, გაზ. „მეტალურგი“, 3 ივნისი 1967, გვ. 1.
18. Berger L. Peter., The Many Altars of Modernity: Toward a Paradigm for Religion in a Pluralist Age, publisher: De Gruyter, 2014.
19. ბორაშვილი მ., „ეტიუდები მშრომელ ადამიანზე“, ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი № 13650, F3-142. 1985
20. Brundage F., Where These Memories Grow: History, Memory and Southern Identity. Chapel Hill, NC: University of North Carolina Press, 2000.
21. Buchowski M., The Enigma of Middle Class: A Case Study of Entrepreneurs in Poland, Changing Economies and Changing Identities in Postsocialists Eastern Europe. Berlin: Lit Verlag., 2008.
22. გაგნიძე ი., „უმუშევრობა და მისი დაძლევის გზები“ (ქ. რუსთავის მაგალითზე), ეკონომიკის მეცნიერების საკანდიდატო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1994.
23. გამსახურდია კ., „გულითადი სალამი რუსთავის მშრომელებს, მისი ქარხნების ხელმძღვანელებს“, გაზ. „მეტალურგი“ №4, 1968.
24. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი, ნ. სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010.

25. გელაშვილი ვ., „რუსთავი მეგობრობისა და ძმობის ქალაქი“. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 17 აგვისტო 1972.
26. გიგიბერია ვ., „ჩვენ, მეფოლადეები“..., ჟ. „დროშა“, №4, 1970.
27. გიორგაძე რ., ორმოცი ძმის ქალაქი. სამშობლო, 4 თებერვალი 1978.
28. გოგოლაძე შ., (2010, ივნისი 29). გაორმაგებული ძალებით ვაპირებთ მუშაობას რომ რუსთავი რაც შეიძლება მალე გახდეს ევროპული ტიპის ქალაქი. [ონ-ლაინ გამოცემა] ხელმისაწვდომია მის.: http://droni.ge/?m=1&AID=585.
29. გორგაძე გ., „მაღალი ღირსების ადამიანები“, დოკუმენტური ფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი №15228, F6-235. 1981.
30. გორდეზიანი გ., „სოციალისტურ შრომის გმირს“ ვ. კობერიძეს. გაზ. „მეტალურგი“, 12 მაისი 1961.
31. გუდიაშვილი ლ., „საახალწლო მილოცვები“. გაზ. „მეტალურგი“, 1 იანვარი, 1967.
32. დავიდოვი რ., „მეგობრობის ქუჩები“, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 23 აპრილი 1972.
33. De Soto H., Contested Landscapes: Reconstructing Environment and Memory in Post-socialist Saxony-Anhalt. Altering States: Ethnographies of translation in Eastern Europe and the Former Soviet Union, Ann Arbor: University of Michigan Press, 2000.
34. Davies N., God’s Playground A History of Poland, Volume II 1795 to the present, New York, 1982.

35. დემეტრაძე 1964: დემეტრაძე ქ. „გაკვეთილი მეტალურგიულ ქარხანაში“. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი. 1, 1964.
36. Dobrenko E. Political economy of Socialist Realism. 1st ed. London:Yale University Press New Haven, 2007.
37. Dragadze, T., „Domestication of Religion under Soviet Communism“ in Hann, C.M. (ed) Socialism: Ideals, Ideologies, and Local Practice, London, Routledge, 1993
38. დუმბაძე, ლ., „რატომ ვერ შეელია მთავრობა რელიგიის სააგენტოს“. ჟურნალი „ბათუმელები“. ჰტტპს://ბატუმელები.ნეტგაზეტი.გე/ნეწს/152058/ 2018
39. ებრალიძე ჯ., „ბრძმედი“, დოკუმენტური ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №7138, F6-31. 1973.
40. Evans S. K. The Argument of Images: Historical Representation in Solidarity Underground Postage, 1981- 87, American Ethnologist, Vol. 19, No. 4, Imagining Identities: Nation, Culture, and the Past, November, 1992.
41. Wajda A., „Człowiek z marmuru“, Kino Polska, ფილმი, 1976.
42. Wajda A., „Człowiek z żelaza „, Kino Polska, ფილმი, 1981.
43. ვარდოშვილი მ., რა დაუჯდა „ტყეშელაშვილის ცხენები“ ბიუჯეტს? [ონ-ლაინ ჟურნალი] ბიზნესი და მენეჯმენტი, №3(23), 2009. მის: www. http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=23&rubr=0&mas=379, წვდომა 30.05.2017.

44. Welzert H., Re-narrations: How Pasts Change in Conversational remembering. Memory Studies 3: 5-1, 2010.
45. Verdery K., Theorizing Socialism: A prologue to the „Transition“. The Anthropology of Politics: a reader in Ethnography, Theory and Critique. Malden & Oxford, Blackwell, 2002.
46. Wereśniak P., „Nie kłam kochanie“, ფილმი, 2008.
47. Verkaaik, Oskar, ed., Religious Architecture: Anthropological Perspectives. Amsterdam: Amsterdam University Press, 2013.
48. Warner J., Poland: The Environment in Transition, The Geographical Journal, Vol. 165, No. 2, The Changing Meaning of Place in Post- Socialist Eastern Europe: Commodification, Perception and Environment, pp. 209- 221, 1999.
49. ვეფხვაძე გ., „ახალი მიჯნა“ – 1953-1958. ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №810, F6-71. 1970.
50. ვეფხვაძე გ., კაცია ზ., საქართველოს მატიანე – წელი 1971. ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №1554, F2-250. 1972
51. Vodopivec N., Past for the Present: the Social memory of Textile Workers in Slovenia. Remembering Communism: Genres of Representations. New York: Social Science Research Council. 2010.
52. Watson P., Nowa Huta: The Politics of Post-Communism and the Past; Generational Consciousness, Narrative and

Politics, edited by J. Edmunds and B.S. Turner. Lanham, Md.: Rowman and Littlefield, 2002.

53. Zarzycki J., „Zagubione uczucia“, ფილმი, Zespol Filmowy „Syrena“, 1957.

54. ზვიადაძე, ს. „ისლამის გაფერმკრთალება ბათუმში“. კრებულში ს. ზვიადაძე (რედ.), „ხილული და უხილავი რელიგია – რელიგიის საკითხების კულტურული და პოლიტიკური განზომილება“ (გვ. 112-128). ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.თბილისი, 2021.

55. Злобіна Т., Рябчук А. Туристи тут не ходять, Критика, травень-червень, წვდომა: 06.06.2017. ხელმისაწვდომია: https://krytyka.com/ua/articles/turysty-tut-ne-khodyat 2009.

56. ზურაშვილი ს., ქვემო ქართლის საინფორმაციო პორტალი, განთავსებულია 8 მაისი, 2013, წვდომა: 3 აგვისო 2016, მის.: http://www.kkpress.ge/index.php?do=fullmod/news&id=900

57. თევზაძე გ., რუსთავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებში. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 38, 1953.

58. თევზაძე გ., „ფოლადის ტალღა“ (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეების ილო ქოქაშვილის, და ვლადიმერ მეტრეველის შრომითი საქმიანობის შესახებ), ჟ. „მნათობი“, №6, 1973.

59. თორია მ., საბჭოთა წარსული, მეხსიერების ადგილები და იკონოკლაზმი თანამედროვე საქართველოში, ჟ. „ცივილიზაციური ძიებანი“ №9, 2012

60. თოფურიძე ქ. რუსთავი (ისტორიული ნარკვევი), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965.
61. Janas K., Gwosdz K., Post-socialist identities in a socialist space: the case of NowaHuta, Krakow 2009.
62. რუსთავი ინფო. 9 იანვარი, 2016. წვდომა მარტი 19, 2017, ხელმისაწვდომია მის.:https://www.facebook.com/inforustavi/posts/585594231590526
63. Yurchak A., Everything Was forever, Until It Was No More; The Last Soviet Generation. Princeton: Princeton university Press, 2006.
64. Casanova Jose., Religious Associations, Religious Innovations and Denominational Identities in Contemporary Global Cities, Topographis of Faih: Religion in Urban Space, BRILL, Leiden – Boston file:///C:/Users/user/Downloads/%E1%83% 2013
65. კაკაბაძე ლ., „ორმოცი ძმის ქალაქი“. ჟ. „საქართველოს ქალი“ №3, 1967.
66. Kansteiner W., Finding meanings in Memory: Critique of collective memory studies. Harvard, History and Theory, vol. 41, 2002.
67. Kaproń M., „Labirynt pamięci“, დოკუმენტური ფილმი, 2009.
68. კვახაძე ზ., „რენტაბელობის ბრძოლის ფრონტზე“. გაზ. „მეტალურგი“, 27 იანვარი 1967.
69. Kwinta ., „Papieros od prezydenta“, დოკუმენტური ფილმი, 1987.
70. ბეჟანიშვილი ა., ზაალიშვილი ლ., მაჭარაშვილი ლ., ჩხეიძე

შ., ხურციძე ს., სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის (კვლევის ანგარიში), თბილისი 2017

71. Cieślak B., O Nowej to Hucie, 1974
72. Kim Knott, Volkhard & Brigit Meyer, Iconic Religion in Urban Space, Material Religion, 12:2, 123-136, DOI: 10.1080/17432200.2016.1172759 2016
73. კობახიძე ვ., „ძმობის ქალაქი“, გაზ. „სამშობლო“, იანვარი 1973.
74. Connerton P., How modernity Forgets. Cambridge, UK; New York: Cambridge University Press, 2009.
75. Kosiński B., Budowałem Miasto, დოკუმენტური ფილმი, 1972.
76. The Historical Museum of Kraków, Nowa Huta Ecomuseum A guidebook, The Historical Museum of Kraków, Kraków 2007.
77. Raport końcowy ze spotkań konsultacyjnych dotyczących zmian w przestrzeni Placu Centralnego i Alei Róż (przygotowany na zlecenie Wydziału Strategii i Rozwoju Urzędu Miasta Krakowa), Kraków 2009.
78. Crowley D., Building the world anew: design in Stalinist and post-Stalinist Poland. Journal of Design History, Vol 7, No 3, 1994.
79. Cubitt G., History and Memory. Manchester and New York: Manchester University Press, 2007.
80. კუზნეკოცი მიშინა, „ნახევარი საუკუნის მატიანე“ 1951, დოკუმენტური ფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის

საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №3650, F6-77. 1967

81. ლარცუალიანი შ., „მეტალურგიული გიგანტი“ (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად), ჟ. პიონერი, №8, 1967.

82. ლეკვეიშვილი 1968: ლეკვეიშვილი თ., „მზით სავსე ქალაქი“. გაზ. მეტალურგი №4, 1968.

83. ლეჟავა მ., „ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე“ (ქ. რუსთავის დაარსების 15 წლისთავის გამო), ჟ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №1, 1963.

84. ლიბერალი 2018. რას ამბობენ NGO-ები რელიგიის საკითხთა სახელმწიფ სააგენტოს გაუქმების გადაწყვეტილებაზე. ინტერნეტ გამოცემა ლიბერალი http://liberali.ge/articles/view/38165/ras-amboben-NGOebi-

85. ლომთათიძე გ., ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, („ვახტანგ გორგასალი უჯარმაში“ და „რუსთავის შავი ორშაბათი“), ჟ. „მნათობი“, №1, 1975.

86. ლომთაძე დ., „რუსთავი საქართველოს ინდუსტრიული სიამაყეა ჟ. „აგიტატორის ბლოკნოტი“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალი, №2, 1949.

87. Mandel R., Caroline H. (eds.) Markets & Moralities: Ethnographies of Postsocialism. Oxford, New York: Berg, 2002.

88. მაჭავარიანი ნ., მასშტაბური პროექტი – ძველი რუსთავის ევროპული იერსახე [ონ-ლაინ გამოცემა] (ობზერვერი,

განთავსებულია 19 აპრილიდან 2016); მის.: www.:https://observer.com.ge/2016/04/მასშტაბური-პროექტი-ძველ/

89. მახარაძე შ., „სოციალისტურ შრომის გმირს ა. ძამაშვილს“, გაზ. „მეტალურგი“, 12 მაისი 1961.

90. Mach Z., Polish National Culture and Its Shifting Centre's, Krakow, Centre for European Studies, Jagellonian University, 2000, accessed 06.06.17; available from http://www.humanityinaction.org/files/278-Polish–National–Culture–and–its–Shifting–Centres.pdf

91. Mach Z., The Roman Catholic Church in Poland and the Dynamics of Social Identity in Polish Society. Krakow 2000; accessed 06.06.17. available from http://www.humanityinaction.org/files/279-The–Roman–Catholic–Church–in–Poland–and–the–Dynamics–of–Social–Identity–in–Polish–Society.pdf

92. მენაფირე უ., „კვლავ ბრძოლაა საჭირო“, გაზ. „მეტალურგი“, 1 მაისი 1967.

93. მერკვილაძე ზ., „მეგობრობის ქალაქი“, გაზ. „კომუნისტი“, 7 ოქტომბერი 1967.

94. მერკვილაძე ზ., „მეგობრობის ქალაქი“. გაზ. „კომუნისტი“, 7 ოქტომბერი 1967.

95. მერკვილაძე ზ., „ლაშქრობა გრძელდება“, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1969.

96. მეფარიშვილი მ., „რუსთავის სასამართლომ კათოლიკე ეკლესიის სარჩელი დააკმაყოფილა“ [ონ-ლაინ გამოცემა] (ნეტგაზეთი, განთავსებულია 8 ივნისიდან, 2016). მის.: www: http://netgazeti.ge/news/121968/

97. Miezian M., Krakow's Nowa Huta, Socialist Form Fascinating in Content, Bezdroża, 2004.
98. მირცხულავა ა., „სურა დაიმსხვრა“: (რუსთავის სიმფონია. დრამატული პოემა 4 მოქმედებად და 8 სურათად) ჟ. „მნათობი“, №5, 1960.
99. მირცხულავა ა., „რუსთავი“, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1970.
100. Misztal b., Theories of Social Remembering. Philadelphia: Open University Press. 2003.
101. მორჩილაძე ა., „ჩრდილი გზაზე“, თბილისი: ბაკურ სულაკაური გამომცემლობა, 2014.
102. მოსიაშვილი გ., სანაია. გ. 29 წელი დაარსებიდან - პირველი, 13 ნოემბერი
103. მუმლაძე კ., „მეფოლადის სიყვარული“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1958.
104. მუმლაძე კ., „მეტალურგების ქალაქი“, ჟ. „დროშა“. №5, 1961.
105. მუმლაძე კ., „ქართველი მეტალურგები“, თბილისი: საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, 1962.
106. მუმლაძე კ., „უმტკიცესი რვალისა“ (მეათე ხუთწლედის რიტმი), თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1962.
107. მუმლაძე კ., (რედაქტორი) „შოთაის მიწის ლხენამა“. რუსთავი: მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული გაერთიანების ლიტერატურულ-მხატვრული კრებული, 1966.

108. მუმლაძე კ., „ზაფხულის ათი ცხელი დღე“. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.
109. მუმლაძე კ., „ჩვენთან არს ღმერთი“ (როგორ გაანათლა კათოლიკოს-პატრიარქმა რუსთავი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“ „პერგამენტი“, 1991.
110. მუმლაძე მ., „ჯუმბერ ჯიქიას „გაქცეული“ რაშები რუსთავში ბრუნდებიან“, გაზ. „რუსთავი“, 27-30 ივნისი 2016, გვ. 7.
111. Munk A., Kierunek – Nowa Huta, დოკუმენტური ფილმი, 1951.
112. მურმანიშვილი კ., „ხელმადლიანი ვაჟკაცი“. გაზ. „მეტალურგი“, 6 იანვარი 1967.
113. Murzy A. M., Kazimierz środkowoevropejskie doświadczenie rewitalizacji; Międzynarodowe Centrum Kultury; Krakow 2006.
114. Encyklopedia Nowej Huty; Kraków 2006.
115. Nora P., Kritzman L. D. (Editors). Realms of Memory: Rethinking the French Past, New York: Columbia University Press, 1996.
116. Nora P., Between Memory and History: Lex Lieux de Memoire. Representations 26, 1989.
117. ობგაიძე შ., თბილის-რუსთავის საჰაერო აუზის ზოგიერთი ლითონით გაჭუჭყიანების მონიტორინგი და მეტეოროლოგიური პირობების კვლევა, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტექნიკური მეცნიერების საკანდიდატო დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005.

118. ოდიშვილი გ., „ჯარისკაცული შემართებით“, გაზ. „მეტალურგი“, 10 თებერვალი 1967, გვ. 1.
119. Olick J., Joyce R. Social Memory Studies: From „Collective Memory“ to the Historical Sociology of Mnemonic Practice. Annual Review of Sociology 24:105-140, 1998.
120. Ostrowski K. J., Cracow (Translated by Tomasz Bieron) Cracow-Warsaw, 1992.
121. პაპუაშვილი ე., ქ. რუსთავის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება და მისი სამომავლო პერსპექტივები, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2011.
122. პატარაია გ., „რუსთაველის ნაკვალევზე“, დოკუმენტური ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №9342, F3-98. 1968.
123. პაჭიკაშვილი ნ., „ქალაქ რუსთავის სამაროვნბი“, IV-IX სს. ავტორეფერატი, არქეოლოგიის ინსტიტუტი, 2006.
124. პაჭიკაშვილი ნ., „რუსთავის ისტორია“, რუსთავის ისტორიის მუზეუმი, რუსთავი, ჩანაწერი, 2012.
125. Pelkmans Mathijs, Paradoxes of religious freedom and repression in post-Soviet contexts. Journal of Law and Religion, 29 (03). pp. 436-446. ISSN 0748-0814, 2014.
126. Pozniak K., Nowa Huta: Generations of Change in a Model Socialist Town, University of Pittsburgh Press, 2014.
127. ჟაფრანიეც კ., მალკიევიჩ ი., „Droga zmian“, დოკუმენტური ფილმი 2006.

128. Ziełiński P., Powstanie i rozwój systemu społecznego i instytucjonalnego Nowej Huty (1949-1966), Toruń 2009.
129. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. კათოლიკური ეკლესია, მთელი მსოფლიო მასშტაბით „გულმოწყალების კარს“ ხსნის. (განთავსებულია 8 დეკემბერი 2015) მის.: http://religion.geo.gov.ge/geo/news/katolikuri-eklesia-mteli-msoflios-masshtabit
130. Ridan J., „Róg Marksa i Obrońców krzyńża“, დოკუმენტური ფილმი, 1996.
131. Ridan J., „Lenin z Krakowa“, დოკუმენტური ფილმი, 1997.
132. Ridan J., Kowynia J., „Orkiestra dęta“, დოკუმენტური ფილმი, 2006.
133. Richardson T., Kaleidoscopic Odessa: history and Place in Contemporary Ukraine. Toronto: University of Toronto Press, 2008.
134. რუსთავის №22 საჯარო სკოლა, რუსთავი ჩვენი ქალაქი. წვდომა: 5 ოქომბერი 2014, მის.: http://22schoolers.do.am
135. რუსთავის №24 ქართული გიმნაზია, რუსთავი ჩვენი ქალაქი. წვდომა: 3 აგვისტო 2016, მის.: http://rustavis-24gimnazia.blogspot.com/.
136. რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. შთაბეჭდილებების წიგნი. „მუზეუმის კოლექტივის სახელით“. პაპავა ვ., 1953.
137. რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. შთაბეჭდილებების წიგნი. გრიგალაშვილი ნ., კობაძე მ. 1953.

138. რუსთავის №2 საჯარო სკოლა, რუსთავი. წვდომა: 3 აგვისტო 2016, მი.: http://rustavismeoreskola.blogspot.com/
139. რუსთავის ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარი“, რუსთავი ჩვენი ქალაქი ჩვენი სახლია. წვდომა: 3 აგვისტო 2016,მის.: https://teamlampari.wordpress.com/.
140. რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შთაბეჭდილებების წიგნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა სახელით, კასრაძე თ., 1953.
141. ჯანაშია ე., კორთსანჯია ო., დაუშვილი თ., ხარშილაძე ლ. შთაბეჭდილებების წიგნი, 1953.
142. საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, საბჭოთა საქართველო 1951 წელი, დოკუმენტური ფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №7262, F6-47.
143. საზოგადოებრივი მაუწყებელი. საფონდო ეპიზოდები. კოლაჟი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №9847, F2-226. 1961.
144. სალუქვაძე ი. (რედ.) თბილისი ცვლილებების ხანაში (ურბანული სივრცისა და ქალაქგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი), თბილისი 2010.
145. სანაშვილი ნ., „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, ფილმი, „ქართული ფილმი“, 1954.
146. Serrano, S., De-secularizing national space in Georgia. Identity studies in the Caucasus and the Black Sea Region, 2, pp.5-20. „hal-01533778“ 2010.

147. Serrano, S., Sharing the Not-SacredRabati and Displays of Multiculturalism in Tsypylma Darieva, Florian Mühlfried & Kevin Tuite (ed) Sacred Places, Emerging Spaces Religious Pluralism in the Post-Soviet Caucasus (berghahn New York Oxford), 2018.
148. Setha M., The Anthropology of Cities: Imagining and Theorizing the City. Annual Review of Anthropology, Vol. 25, 1996.
149. სეხნიაშვილი ა., „რუსთავი და რუსთაველები“, ჟ. „დროშა“, №7, 1966.
150. Sykut M., „Lekcja historii“, დოკუმენტური ფილმი, 2009.
151. «Стаханов. Забытый герой» ВГТРК, 2009.
152. Soroczyński A., „Z marmuru i żelaza“, დოკუმენტური ფილმი, 1994.
153. Stanek Ł., The production of urban space by mass media storytelling practices: NowaHuta as a case study; Paper presented at the conference „the Work of Stories“ Massachusetts Institute of Technology, 6-8 May 2005, Massachusetts Institute of technology http://web.mit.edu/comm-forum/mit4/papers/stanek.pdf, accessed 6 March 2006.
154. Stenning A., Placing (Post-)Socialism: The Making and Remaking of NowaHuta, Poland; European Urban and Regional Studies, No7, 2000.
155. Stenning A., ‘Solidarity’, solidarity and the challenges of transformation: Restructuring labour and community in post-socialist Poland; Presented to the Annual Conference

of the Association of American Geographers, New York, 28th Feb - 3rd March 2001.

156. სულაბერიძე თ., რუსთავის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერენეტჟურნალი „ამბიონი“ 22.04.2013 http://www.ambioni.ge/rustavis-yovladwmida-rvtismsoblis-mizinebis-saxelobis-tazari

157. რუსთავი უფრო კეთილმოწყობილი და მიმზიდველი ხდება, [ელექტრონული ჟურნალი] ტაბულა, 11-18 იანვარი, 2011.

158. კათოლიკე ეკლესია საქართველოში რუსთავის მერიას დისკრიმინაციის გამო უჩივის. [ელექტრონული ჟურნალი] ტაბულა, 19 ნოემბერი 2015.

159. ტაძარი რუსთავში 2018 – 29 წელი დაარსებიდან – პირველი ტაძარი რუსთავში, ტვ4 13.11.2018, https://www.youtube.com/watch?v=XKJpu-rkfpY

160. ტივიშვილი დ., სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი ჩამოყალიბების პრინციპები და განვითარების გზები ქალაქების თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო ზონაში, ეკონომიკის მეცნიერების საკანდიდატო დისერტაცია, საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი, 1999.

161. Whitehead A., Memory. London and New York: Routledge Taylor & Fracis Group, 2009.

162. უბირია ა., „ძმათა ქალაქი“, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 19 იანვარი 1978.

163. ფანჯიკიძე გ., „რუსთავის ახალი სიცოცხლე“, ჟ. „ცის-კარი“, №8, 1974.
164. ფარულავა დ., „როგორ აფასებენ რელიგიის სააგენტოს საქმიანობას მრჩეველთა საბჭოს ყოფილი წევრები“. ჟ. „ლიბერალი“. http://liberali.ge/news/view/26754/rogor- afasebenreligiis-saagentos-saqmianobas-mrchevelta-sabchos-yofili-tsevrebi%20%20).
165. ქალაქ „რუსთავის თვითმმართველობის ოფიციალური ვებგვერდი“, ბოლო წვდომა 30-04-2012, მის.: http://rustavi.ge/?page–id=170.
166. ქამუშაძე თ., „რუსთავის სოციალისტური რეპრეზენტაცია და ნაციონალური ნარატივები“, კრებულში, „ისტორიული რეპრეანტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“ მასალები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014.
167. ქამუშაძე თ., „ორმოცი ძმის ქალაქი იდენტობის ძიებაში, ანთროპოლოგიური კვლევანი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017.
168. Kamushadze T., Rustavi: Searching for New Identity in the City of Forty Brothers. LAMBERT Academic Publishing. Berlin, 2018.
169. ღარიბაშვილი რ., (შემდგენელი) „გმირობისათვის დაბადებული“. თბილისი, გამომცემლობა „ტრიადა“, 2004.
170. ღვაბერია ო., „მშვიდობის და მეგობრობის ქალაქი“, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 10 ნოემბერი 1972.
171. ღვედაშვილი გ., „კათოლიკური ეკლესია რუსთავის მე-

რიის წინააღმდეგ“. გაზ. „რეზონანსი“, 21 ნოემბერი 2015.

172. ღონღაძე შ., „ქართველი მეტალურგები“, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", თბილისი,1955.

173. ღურწკაია კ., მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები ქ. თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის (ქვემო ქართლის ბარის) ზონის მაგალითზე, ეკონომიკის მეცნიერების საკანდიდატო დისერტაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2000.

174. ყანჩაველი მ., რუსთავის საქალაქო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების მიმართულებათა გამოკვლევა, ეკონომიკის მეცნიერების საკანდიდატო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1993.

175. ყოლბაია მ., ღვინიაშვილი გ., „ჩემი რუსთავი“. წვდომა: აგვისტო 3, 2016, მის: http://gaicanitrustavi.blogspot.com/2013/11/blog-post–10.html.

176. შავლოხაშვილი ი. „ხუმრობით ვეტყვი ბიჭებს“, „რუსთავის ჩირაღდნები“, მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული ალმანახი, 1958.

177. შუბლაძე შ., „რუსთავი დროის პრიზმაში“, დოკუმენტური ფილმი, 1999.

178. შუკაკიძე ა., ქ. რუსთავის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები , საკანდიდატო

დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინ-
სტიტუტი, 1991.
179. ჩარკვიანი კ., „განცდილი და ნააზრევი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 2004.
180. ჩიკვაიძე ც., „რუსთავი - „ორმოცი ძმის“ ქალაქი. კრ.: როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია, თბილისი, 2012.
181. ჩიტაია გ., „ქართველი ტომების როლის აღიარება მელითონეობის ისტორიაში“, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, №159, 1978.
182. ჩიხლაძე ჯ., „მშრომელს – ღირსეული ზრუნვა“, ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №12797, F3-129.
183. ჩხარტიშვილი ს., „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორია“ (1944-1983), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.
184. წერეთელი პ., „საახალწლო მილოცვები“, გაზ. „მეტალურგი“, 1 იანვარი 1967.
185. ჭილაშვილი ლ., „ქალაქი რუსთავი. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი“, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია / თბილისის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1958.
186. ჭოხონელიძე კ., „უტევენ ხუთწლედის ზღუდეებს“. გაზ. „მეტალურგი“, 3 თებერვალი 1967.
187. ხარბედია ლ, ჯახუა გ. „ხალიბთა მემკვიდრენი“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ისტორიის ნარკვე-

ვები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.

188. ხომერიკი ც., ქ. რუსთავის ახალშობილთა ფიზიკური განვითარება ზოგიერთი ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, ეკონომიკის მეცნიერების საკანდიდატო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1993.

189. ხუციშვილი ქ., „რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში“, გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2004.

190. ხუციშვილი ქ., „რელიგიისა და პოლიტიკის მიმართება (თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესების მაგალითზე), კრ. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა“, (გვ.129-135) თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2013.

191. ჯავახიშვილი გ., „ტყიბულის მეშახტეთა ყოფა და კულტურა“, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.

192. ჯალიაშვილი ა., „საბჭოთა საქართველო“ 1947 წელი, დოკუმენტური ტელეფილმი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო ფონდი, პროგრამების არქივი №7264, F6-47.

193. ჯამასპიშვილი ს., „ქართველი ხალხის სიამაყე“, გაზ. „მეტალურგი“, 21 იანვარი 1958, გვ. 1.

194. ჯაფარიძე ქ., „რუსთავი – ხალხთა მეგობრობის ქალაქი“, გაზ. „კომუნისტი“, 5 დეკემბერი 1971.

195. ჯახუა ა., „სამელნე“, „რუსთავის ჩირაღდნები“, მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული ალმანახი, №1, 1958.
196. ჯახუა გ., „იუბილარი ქალაქი“, ჟ. „დროშა“, №7, 1978.
197. ჯახუა გ., (რედაქტორი) ვარ რუსთაველი. კრ. რუსთავი: ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველი“-ის ლიტერატურული კრებული, 1998.
198. ჯახუა გ., „დიდი შოთა რუსთავს დაუბრუნდა“. გაზ. „სამშვილდე“, 16 მაისი 2010.
199. Jelin E., Contested Memories of repression in the Southern Cone: Commemorations in a Comparative Perspective. Political transitions: politics and Cultures. London: Pluto Press, 2003.
200. ჯიოშვილი ნ., „რუსთავი სპორტული ქალაქის სახელს ინარჩუნებს“. გაზ. „რუსთავი“, 11-18 იანვარი, 2011, გვ. 8.
201. ჯონიროძე ა., ლაცაბიძე მ., მათიაშვილი ა., ტყემალაძე ს., „გაიცანით ჩემი ქალაქი – რუსთავი“. წვდომა: აგვისტო 3, 2016, მის: https://rustaviproject.blogspot.com/.
202. ჯორბენაძე ბ., „რუსთავის მუზეუმის ახალი ექსპოზიცია“, ჟ. „ძეგლის მეგობარი“, 66-67, 1988.
203. Halbwachs M., On Collective Memory. Chicago: The University of Chicago Press, 1992.
204. Halbwachs. M., The collective memory. tarns. Francis J. Ditter and Vida Yazdi Ditter. New York: Harper and Row, 1980.

205. Humphrey C., Does the Category „Postsocialist“ Stil make Sense? postsocialism: Ideals, Ideologies and Practices in Eurasia. London; New York: Routledge, 1999.
206. Hann Ch., Dunn E. (Eds) Civil Society: Challenging Western models. London: Routledge, 1996.
207. Hann Ch., Postsocialism: Ideas, Ideologies and Practices in Eurasia. London and New York: Routledge, 2002.
208. Hacıyeva, P.. პლატფორმა „სალამი„ ოფიციალურად დარეგისტრირდა [Platform „Salam“ Officially registered], რადიო მარნეული: https://marneulifm.ge/ka/marneuli/article/26125 2020.
209. Helmuth B., Schwenk J., Steets S., „Introduction: Filling the Void? – Religious Pluralism and the City. „Religious Pluralism and the City: Inquires into Postsecular Urbanism. Ed Helmuth B., Schwenk J., Steets S. London: Bloomsbury Academic 2018.
210. Hodgkin K., Radstone S., Contested Pasts: The Politics of memory. New York: Routledge. 2006.

დანართი

რუსთავის ისტორიის მუზეუმი, სასკოლო კონკურსი „ერი და კაცობრიობა“. 2011 წელი

სასკოლო კონკურსი „ერი და კაცობრიობა“ დაჯილდოვების დღე რუსთავის სახელმწიფო თეატრის შენობაში. 2011 წელი



1953 წ. 4 მაისი

ქ. რუსთავში მეხუთრეებმა დაესტუმრებმა
ვინახულეთ ჩვენი ქალაქის მუზეუმი,
ისურვეს თავი შეაბეჭდილება დასტოვეს
ჩვენზე ძველი ქართული ქალაქის ასაზე
ნ ის შეუმჩნეველი სხვაობა თუ ის
ჩქარი ტემპით აღსდგა ეანგარებული ქალაქი,
ჩვენი ქვეყნის საამაყო რუსთავი.
მადლობა მუზეუმის თანამშრომლებს
თ. ასათიანის გაგზავნა შეხვედრისათვის.

ნ. ტრიკოლაშვილი
ე. კობაძე

4 მაისი
1953 წ.

რუსთავის ისტორიის მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნი.
1953 წელი

იუბილარის თანატოლი

— МИРУ

რუსთავის „თანატოლები“, ქალაქის საიუბილეო წლებში გაზეთებში იბეჭდებოდა ბავშვებისა და მოზარდების ფოტოები, რომელთა ასაკიც ქალაქისას ემთხვეოდა

ІКОЛЬНИКОВ!

то учебного года на
т в помещении город-
Торговые организации
необходимо для уча-
я форма, карандаши,
другие товары пользу-
одится до середины

ьную форму предла-
а магазина № 18

ки» Л. Карапетян,
представленные мага-

атереи, где ребята
Помогает им в этом
ина «Детский мир».

Р. Габричидзе.

ЦИГАНІСТИКА

ЦИГАНІСТИКА

ქართველი ჭომეების როლის აღიარება მელითონეობის ისტორიაში

ХАЛИБТА МЕМКВИДРЕОБА, „СОЦИАЛИСТУРИ РУСТАВИ“. 1978 წელი.

რუსთავის მეტალუგიული კომბინატის მთავარი შენობა. 2015 წელი

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მთავარი შენობის წინ გადაღებული ფოტო. სოციალისტური შრომის გმირის ოთარ ლომიძის პირადი ფოტოალბომიდან

ჰეირადი ალიევის სახელობის სკვერი ძველ რუსთავში.
2014 წელი

შოთა რუსთაველის ძეგლი ახალ რუსთავში.



ამოცანები მასშტაბური აა

● რუსთაველის საჯარო-საერთაშორისო ორგანიზაციის გამგეობის კრებაზე ბატონ ‘ბატონობის’ სხდომა

რუსთაველის ბარელიეფი გაზეთ „მეტალურგის“ გვერდებზე.
1988 წელი

„ხალხთა მეგობრობის ქუჩა“ და „მეგობრობის ქუჩა“,
რუსთავი 2015 წელი

რუსთავის სიონი. 2019 წელი



რუსთავის ხარების ეკლესია (პირველი ქრისტიანული ტაძარი
რუსთავში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. 2020 წელი

რკინის ჯვრის კონსტრუქცია
იაღლუჯის მთაზე.
2019 წელი

ვახტან გორგასლის სახელობის
რუსთავის საკათედრო ტაძარი
ძველ რუსთავში. 2020 წელი

ბოლნური ჯვრის კონსტრუქცია იაჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2019 წელი

ბოლნური ჯვრებით შემკული ტროტუარის ჯებირი იაჰოვას მოწმეთა სამეფო დაბაზის წინ ჟიული შარტავას ქუჩაზე. 2020 წელი

ეზოს სამლოცველოები. 2020 წელი

ეზოს სამლოცველოები. 2020 წელი

ეზოს სამლოცველოები. 2020 წელი

ეზოს სამლოცველოები. 2020 წელი

ეზოს სამლოცველოები. 2019 წელი

ლათინ კათოლიკეთა ეკლესია რუსთავში. 2020 წელი

ლუთერანული ეკლესია რუსთავში. 2020 წელი

რწმენის სახარების ეკლესია რუსთავში. 2020 წელი

რუსთავქალაქობა. 2011 წელი

რუსთავქალაქობა. 2010 წელი

ძველი რუსთავი. 2016 წელი



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირის სახელობის ქუჩა რუსთავში.

საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი რუსთავში. 2016 წელი

კრაკოვის მოედანი, მარიაცკის საკათედრო ტაძარი. 2009 წელი

ტაძარი კიდობანი ნოვა ჰუტაში (აშენდა 1976 წელს),
კრაკოვი, 2010 წელი.
ნოვა ჰუტას ქალაქგეგმარება

დროის მონაკვეთი	საერთო რაოდენობა	ლოკალური მნიშვნელობის	მნიშვნელოვანი პოლონეთის მასშტაბით	რელიგიური	კომუნისტური	არ შემორჩა
1956 წლამდე	1	–	–	–	1	1
1867 წლამდე	2	–	2	–	–	
1989 წლამდე	7	–	5 (6)	1	1	1
დღემდე	10	1	7 (8)	2	–	
საერთო რაოდენობა	20	1	14	3	2	18

ნოვა ჰუტაში წარმოდგენილი სიმბოლოების შინაარსის გრაფიკული გამოსახულება:



დიაგრამები. 2010 წელი

„დიდების კუთხე“ სოციალისტური შრომის გმირის საცხოვრებელი ბინა. რუსთავი. 2012 წელი

თეა ქამუშაძე, ანთროპოლოგიის დოქტორი (2018), არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი.

გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კვლევის ინტერესები: პოსტსაბჭოთა ურბანული ტრანსფორმაციები, სოციალისტური მემკვიდრეობა, რელიგია ქალაქში, ისტორიის რეპრეზენტაცია და სოციალიზაციის ტრადიციული ფორმები.